

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ამერიკისმცოდნეობა

ნინო დონაძე

ღირებულებების დამკვიდრება ამერიკის შეერთებულ
შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით:

შედარებითი ანალიზი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ელენე მეძმარიაშვილი - ისტორიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

სადოქტორო კვლევის ობიექტს წარმოადგენს ისტორიის სწავლების როლი ისეთი ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორც არის პატრიოტიზმი, ტოლერანტობა და თანასწორობა.

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ როგორ მკვიდრდება დემოკრატიული ღირებულებები - თანასწორობა, რელიგიური ტოლერანტობა და პატრიოტიზმი ისტორიის სწავლების გზით შეერთებულ შტატებსა და საქართველოში; სწავლების რა მეთოდებს იყენებენ ორივე ქვეყანაში, რა სახის აქტივობებია მოცემული ამ მიზნით ისტორიის სახელმძღვანელოებში, ხოლო ყოველივე ამის შესწავლის საფუძველზე, ამერიკული გამოცდილების გაზიარება. კვლევის საკვანძო კითხვებია: ჩვენთვის საინტერესო ღირებულებების სწავლებისას, რა ტიპის შინაარსი, მეთოდები გამოიყენება ორივე ქვეყანაში? რა სახის დავალებებია ისტორიის სახელმძღვანელოებში? როგორ არის შესაძლებელი, ყოველივე ამის საფუძველზე ამერიკული გამოცდილების გაზიარება?

კვლევა ძირითადად ეფუძნება პირველად წყაროებს, როგორებიცაა სხვადასხვა შტატის და საქართველოს სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმები, ისტორიის ამერიკული და ქართული სახელმძღვანელოები, ამერიკელი ისტორიკოსების ინტერვიუები, სტატისტიკური მონაცემები დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ. რაც შეეხება მეორეულ წყაროებს, კვლევისთვის გამოყენებულია წიგნები, ამერიკელი ისტორიკოსების სამეცნიერო სტატიები და სხვ.

ნაშრომში განხილულია ღირებულებების დამკვიდრების საკითხი კოლონიურ ამერიკაში და შედარებულია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდთან, თუ რა იყო განათლების მიზანი და რომელი ღირებულებების დამკვიდრებას მიიჩნევდნენ მნიშვნელოვნად მამა-დამაარსებლები. ასევე, გაანალიზებულია პროგრესული განათლების გავლენა ისტორიის სწავლებაზე და მისი მიზანი - ამერიკანიზაცია. გარდა ამისა, კვლევა მოიცავს ღირებულებების დამკვიდრების საკითხს ცივი ომის დროს და თანამედროვე შეერთებულ შტატებში.

რაც შეეხება საქართველოს, ეს საკითხი განხილულია პირველი რესპუბლიკის პერიოდამდე და დამოუკიდებლობის წლებში. კვლევა ასევე მოიცავს საბჭოთა პერიოდს, 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე.

კვლევის შედეგად გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

1. ისტორიის სწავლება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს ღირებულებათა დამკვიდრებაში შეერთებულ შტატებში, თუმცა დღესდღეობით ზოგიერთი შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა გადახედვას საჭიროებს, რათა უფრო მეტად იყოს ორიენტირებული, მაგალითად, თანასწორობის დამკვიდრებაზე.

2. ამერიკული სახელმძღვანელოებში უფრო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი მულტიკულტურალიზმი იმისთვის, რათა გამარტივდეს ღირებულებების დანერგვა. თუმცა, სახელმძღვანელოებში მოცემული სწავლების მეთოდები და დავალებები მრავალფეროვანია.

3. საქართველოში სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა და ზოგიერთი სახელმძღვანელო საჭიროებს გადახედვას, რათა გამრავალფეროვნდეს დავალებები. უმჯობესი იქნება, თუ დავალებები დახარისხდება და ექნება მოკლე აღწერა, რომელი უნარის განვითარებას ისახავს მიზნად, როგორც ამერიკულ სახელმძღვანელოებშია მოცემული.

4. განათლების პროცესი არის კომპლექსური და ღირებულებათა გადაცემაში მხოლოდ ისტორიის სწავლება შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს, მნიშვნელოვანია მასწავლებლების სათანადო მომზადება.

კვლევის ძირითადი ნაწილი ორი თავისგან შედგება. თითოეული თავი დაყოფილია სამ ქვეთავად. ნაშრომს ახლავს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესავალი, დასკვნა და 242 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

Abstract

This dissertation explores the role of history education in fostering democratic values such as patriotism, tolerance, and equality.

The central aim of the study is to examine how these values—equality, religious tolerance, and patriotism—are instilled through history teaching in the United States and Georgia. The research investigates the methods used in both countries, the types of activities presented in history textbooks to support building values and based on this analysis, the research aims to share American experience. There are key research questions: while building the values that we are interested in what types of content and methods are used in both countries? What kinds of assignments are included in history textbooks? Based on all of this, how can the American experience be shared?

The research is principally based on primary sources, including social studies curricula from different American states and Georgia; American and Georgian history textbooks; interviews of American historians; and statistical data on incidents of discrimination. Secondary sources include scholarly articles, books, and other academic publications by American historians.

The research analyzes the establishment of values in colonial America and compares them with the post-independence period, focusing on the educational goals and the values emphasized by the Founding Fathers. It further examines the influence of progressive education on history teaching, especially the goal of Americanization, and addresses the role of history education in building values during the Cold War and in the contemporary United States.

In the Georgian context, the research discusses the period before the First Republic, the Soviet era, and the years following the restoration of independence in 1991.

Key findings include:

1. History education has played—and continues to play—a crucial role in shaping civic values in the United States; however, some state curricula should be revised to place greater emphasis on equality.

2. American textbooks should more fully incorporate multicultural perspectives to better facilitate building values, though they already present diverse teaching strategies and tasks.

3. In Georgia, the social studies curriculum and some textbooks need revision to diversify learning activities. It would be beneficial to categorize assignments and indicate the specific skills they aim to develop, as is common in American textbooks.

4. The educational process is complex, and history education alone may not be sufficient for transmitting democratic values. Therefore, proper teacher preparation is essential.

The research consists of two main chapters. Each of them is divided into three sub-chapters. It includes abstracts in Georgian and English, an introduction, a conclusion, and a bibliography that includes 242 sources.

აბსტრაქტი.....	II
ABSTRACT.....	IV
შესავალი	1
თავი I - საგანმანათლებლო რეფორმების გავლენა ღირებულებების დამკვიდრებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში (ისტორიული დისკურსი)	23
1.1 მამა-დამაარსებლების როლი ამერიკული განათლების ფორმირებაში და ღირებულებების დამკვიდრება.....	23
1.2. სასწავლო გეგმის რეფორმა და პროგრესივიზმის გავლენა ისტორიის სწავლებაზე 1910-30-იანი წლების შეერთებულ შტატებში	38
1.3. სასკოლო რეფორმა და ღირებულებების დამკვიდრება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში.....	46
თავი II - ღირებულებების დამკვიდრება თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით.....	65
2.1 პატრიოტული აღზრდა	65
2.2 თანასწორობის სულისკვეთებით აღზრდა	90
2.3 რელიგიური ტოლერანტობის გაღვივება.....	129
დასკვნა.....	160
ბიბლიოგრაფია:.....	170

შესავალი

საკვლევი პრობლემა და აქტუალობა. ისტორიის სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებაში. ისტორია არ არის მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენების ერთობლიობა, არამედ ეს არის საშუალება, რომელიც გვებმარება ინფორმირებული და აქტიური მოქალაქის აღზრდაში, მოქალაქის, რომელსაც კრიტიკული აზროვნების უნარი აქვს გამომუშავებული. ისტორიის სწავლა მოსწავლეებს ეხმარება ცვლილებების გააზრებაში, სხვადასხვა მოსაზრების შეფასებასა და თანამედროვე სამყაროს გამოწვევების გაანალიზებაში. „ისტორიის სწავლა ლიბერალური განათლების გულშია და დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების საფუძველს წარმოადგენს“ [American Historical Association, 2016]. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლება აღარ განიხილება, როგორც მხოლოდ ცოდნის გადაცემის პროცესი, არამედ ეს არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ღირებულებები ყალიბდება. სწორედ ამ კონტექსტში ისტორიის სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როგორც წარსულის გამოცდილების გააზრება და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრების მექანიზმი [American Historical Association, 2025].

დღესდღეობით ისტორიის სწავლება და მისი მეშვეობით ისეთი დემოკრატიული ღირებულებების გაღვივება, როგორებიცაა თანასწორობა, პატრიოტიზმი, ტოლერანტობა შეერთებულ შტატებშიც და საქართველოშიც აქტუალური საკითხია. მის აქტუალობას განაპირობებს შეერთებულ შტატებში ბოლო წლებში მომხდარი მოვლენები. მაგალითად, 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმში შეჭრა იყო დემოკრატიულ ინსტიტუტებზე თავდასხმა, რაც აქამდე შეერთებული შტატების ისტორიაში არ მომხდარა. მაშინდელმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა კაპიტოლიუმში შეჭრილი მოქალაქეები „დიად პატრიოტებად“ მოიხსენია [Moore, 2021]. კაპიტოლიუმზე თავდასხმამ დააზიანა დემოკრატია და ამერიკელი ხალხი უთანხმოებამ დაყო [Biden, 2021]. აქედან გამომდინარე, ბაიდენ-ჰარისის

ადმინისტრაცია დემოკრატიის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. „განათლება ამერიკული დემოკრატიისათვის“ იყო გეგმა, რომელიც გამოქვეყნდა განათლების დეპარტამენტისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნული ფონდის მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ისტორიის სწავლების გაუმჯობესებასა და ღირებულებების დამკვიდრებას [Educating for American Democracy, 2021].

2020 წლის 25 მაისს ჯორჯ ფლოიდის მკვლელობა კი რასიზმის, რასობრივი უთანასწორობის გამოვლინებაა. მისმა მკვლელობამ, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე, სხვა ქვეყნებშიც მასობრივი პროტესტი გამოიწვია. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ დისკრიმინაციისა და აფროამერიკელთა მკვლელობის შემთხვევები მონობის მემკვიდრეობის შედეგია. ამასვე ადასტურებს პიუს კვლევითი ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც აფროამერიკელები მიიჩნევენ, რომ მონობის მემკვიდრეობა მათ ცხოვრებაზე უარყოფით გავლენას ახდენს [Cox, 2022].

შეერთებულ შტატებში მექსიკელი იმიგრანტების ან მექსიკელიამერიკელების მიმართ დისკრიმინაციის საკითხიც აქტუალურია. განსაკუთრებით აქტუალური დონალდ ტრამპის პირველი საპრეზიდენტო კამპანიის დროს გახდა, როდესაც მისი რიტორიკა ხასიათდებოდა, როგორც რასისტული და ქსენოფობიური [Canizales and Vallejo, 2021]. თუმცა მექსიკელების მიმართ დისკრიმინაცია ტრამპის პრეზიდენტობის დროს არ დაწყებულა, მას უფრო ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და იწყება 1840-იანი წლების ბოლოდან, როდესაც მექსიკა-ამერიკის ომის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა მექსიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი შეიერთა [Munoz, 1989:19-20].

საკვლევი საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ შეერთებული შტატებისთვის დამახასიათებელია რელიგიური მრავალფეროვნება, რელიგიური პლურალიზმი და რელიგიის თავისუფლების ტრადიცია აქვს. ამისდა მიუხედავად, პიუს კვლევითი ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევები ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტი დისკრიმინაციის შემთხვევა მუსლიმების მიმართ არის, რაც განპირობებულია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით [Masci, 2019]. ტერაქტიდან მრავალი წლის შემდეგაც კი ამერიკელი მუსლიმების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების

შემთხვევები კვლავ მზარდი არის. სხვადასხვა შტატში არის მუსლიმთა დაშინების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები. მუსლიმებს მოიხსნიებენ ეპითეტით - „ტერორისტი“ [Sothern Poverty Law Center, 2011]. დონალდ ტრამპის პირველი ადმინისტრაციის დროს კი ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. თუ ტრამპის იმდროინდელ განცხადებებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ მისი რიტორიკა განსხვავდება სხვა პრეზიდენტების (ჯ. ბუშის, ბ. ობამას, ჯ. ბაიდენის) განცხადებებისგან. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: „ისლამს ჩვენ ვძულვართ“. 2018 წელს ტრამპმა რამადანის დროს ელჩებსა და დიპლომატებს სადილზე უმასპინძლა, რაც გააპროტესტეს მუსლიმთა სამოქალაქო უფლებების დამცველმა ჯგუფებმა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ტრამპის ცხარე რიტორიკამ მუსლიმი ამერიკელების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევების ზრდა გამოიწვია [NBC News, 2018]. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ცხადყოფს დემოკრატიული ღირებულებების გაღვივების აუცილებლობას. ნაშრომში წარმოჩენილი არის ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამომწვევი მიზეზები, რომლებსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. გარდა ამისა, ფედერალური განათლების დეპარტამენტის, ასევე, ამა თუ იმ შტატის განათლების დეპარტამენტის როლი ისტორიის სწავლებასა და მისი მეშვეობით დემოკრატიული ღირებულებების დანერგვაში.

პრობლემად შესაძლებელია დავასახელოთ ისიც, რომ შეერთებულ შტატებში არ არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით ფედერალურ მთავრობას სასწავლო გეგმის შედგენის უფლება არ აქვს. თითოეული შტატი თავად ადგენს სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმას, ამგვარად, არის ორმოცდაათი შტატი და ორმოცდაათი სასწავლო გეგმა, ამას კოლუმბიის ოლქიც ემატება. სხვადასხვა შტატის განათლების დეპარტამენტის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგი მათგანი დაწვრილებით ასახავს შეერთებული შტატების ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს, ზოგი კი მოკლე და ბუნდოვანია. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ შეერთებული შტატების ისტორიის

მნიშვნელოვანი საკითხები ან არ ისწავლება ან არასწორად ასწავლიან. მაგალითად, ექვსი შტატის (მონტანა, უაიომინგი, აიოვა, მეინი, ვერმონტი, დელავერი) სასწავლო გეგმაში არ წერია სიტყვა მონობა [Duncan et al.2020]. მასაჩუსეტსისა და კოლუმბიის ოლქის სასწავლო გეგმაში წერია სიტყვები „თეთრკანიანთა უპირატესობა“. საინტერესოა, ეს საკითხი განიხილება თუ არა, როგორც პრობლემა. ხოლო თხუთმეტი შტატის (იუტა, ტექსასი, მინესოტა, არკანზასი, მისისიპი, ალაბამა, ჯორჯია, ფლორიდა, ჩრ. კაროლინა, კენტუკი, დას. ვირჯინია, ვირჯინია, ინდიანა, ოჰაიო, ნიუ-იორკი) სასწავლო გეგმაში მონობა, როგორც სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი, მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა, რვა შტატის (ალასკა, ორეგონი, მინესოტა, უაიომინგი, სამხრეთ დაკოტა, მისური, მეინი, დელავერი) სასწავლო გეგმაში თითქმის არაფერი წერია სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის შესახებ [Duncan et al. 2020].

გარდა სასწავლო გეგმისა, შეცდომებს ვაწყდებით ამერიკულ სახელმძღვანელოებში. მაგალითად, სახელმძღვანელოში „ამერიკული სანახაობა“ (მე-10-12 კლასები, AP ისტორია) მოცემულია რუკა, სადაც აფრიკელები მოხსენიებულები არიან, როგორც იმიგრანტები გერმანელებთან, ინგლისელებთან, დანიელებთან და ა.შ. ერთად. აფრიკელები არ იყვნენ იმიგრანტები, ისინი არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით წამოიყვანეს ახალ მიწაზე. ასევე, აღნიშნულ სახელმძღვანელოში ვხვდებით სიტყვას „მულატი“, რაც რასისტულ ტერმინად ითვლება. რაც შეეხება, მე-7 კლასის „ტექსასის ისტორიის“ სახელმძღვანელოს, მოცემულია ილუსტრაციები, რომლებიც პლანტაციებში მონათა მუშაობას ასახავს, ნაჩვენები არ არის რეალური სურათი, თუ როგორ სასტიკად ექცეოდნენ მათ [Duncan et al. 2020].

შეერთებულ შტატებში არსებობს ალტერნატიული სასწავლო გეგმაც, მაგალითად, 2019 წლის აგვისტოში „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა „პროექტი 1619“, რომელიც ეძღვნება დამონებულ აფრიკელებს, რომლებიც პირველად ჩამოიყვანეს ვირჯინიაში. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს შეერთებული შტატების ისტორიის ახლებურად გააზრებას. ამ პროექტის ავტორი ნიკოლ ჰანა ჯონსი თავის ესეში, რომელიც ამ პროექტის შემადგენელი ნაწილია, თომას ჯეფერსონსა და დამოუკიდებლობის

დეკლარაციას აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ ღირებულებები, რომლებიც დეკლარაციაშია მთელ ერს არ მიესადაგება. ჯონსი მიიჩნევს, რომ აფროამერიკელების დამსახურებაა ამერიკული დემოკრატიის ფორმირება და ისინი ამერიკის რეალური მამა-დამაარსებლები არიან [Hannah-Jones, 2019]. პროექტი გააკრიტიკეს არა იმის გამო, რომ დიდ ყურადღებას მონობის მემკვიდრეობას უთმობს, არამედ იმიტომ, რომ მონობის ხედვა ისტორიულად ლიმიტირებულია. თუმცა, ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისტორიის ახლებური გაანალიზება მიანიშნებს იმაზე, რომ წარსულის გაგება „გაყინული“ არ არის. ისტორიკოსებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ პროექტი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, შეერთებული შტატების ისტორიის არასწორი ინტერპრეტაციის გამო. რამდენიმე შტატში ამ პროექტის მიხედვით სწავლება აიკრძალა. მიჩ მაქკონელმა, რომელიც სენატის უმცირესობის ლიდერია, შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის მდივანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ პროექტი მხოლოდ ქვეყნის ნაკლოვანებებს უსვამდა ხაზს და საზოგადოებას ყოფდა [Gasman, 2021]. პულიცერის ცენტრმა „ნიუ იორკ თაიმსთან“ თანამშრომლობით სასწავლო პროგრამები შეიმუშავა, სადაც მრავალფეროვანი წყაროა მოცემული, მათ შორის, ზემოთ ხსენებული ესე. აღნიშნული სასწავლო გეგმის მიხედვით ასწავლიან, მაგალითად, კალიფორნიაში, კოლუმბიის ოლქში და ა.შ. [Pulitzer Center, 2025]. ეს პროექტი მკაცრად გააკრიტიკა მაშინდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და მის საპასუხოდ გამოაცხადა „კომისია 1776“-ის შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავდა „პატრიოტიზმის აღდგენას“ ამერიკულ სკოლებში. ტრამპმა განაცხადა: ჩვენი ხელმძღვანელობის ფარგლებში ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნულმა ფონდმა გასცა გრანტი, რომელიც მხარს უჭერს პრო-ამერიკული სასწავლო გეგმის შემუშავებას და იგი წარმოაჩენს სიმართლეს ჩვენი ქვეყნის დიადი ისტორიის შესახებ [Watson and Segers, 2020].

ხოლო 2021 წლის იანვარში „პრეზიდენტის საკონსულტაციო კომისია 1776“-მა გამოაქვეყნა „ანგარიში 1776“, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: დეკლარაციის მნიშვნელობა, პრინციპების კონსტიტუცია, ამერიკის პრინციპების გამოწვევები,

ეროვნული განახლების ამოცანა [The President's Advisory Commission, 2021:1]. ანგარიში ხაზს უსვამს ფუნდამენტური დოკუმენტებისა და მამა-დამაარსებლების სიდიადეს. ანგარიშში საუბარია მონობის შესახებაც - ყველაზე გავრცელებული ბრალდება, რომელიც წარმოთქმულია მამა-დამაარსებლების მიმართ და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის ის, რომ ისინი იყვნენ ფარისევლები, რომლებსაც არ სჯეროდათ მათ მიერ წარმოთქმული პრინციპების და, ამგვარად, ქვეყანა, რომელიც მათ შექმნეს, ტყუილს ეფუძნება. ეს ბრალდება მცდარია და განსაკუთრებით ბოლო წლებში ჩვენს სამოქალაქო ერთიანობას უზარმაზარი ზიანი მიაყენა [The President's Advisory Commission, 2021:10]. ბევრი ამერიკელი იმ ილუზიაში ცხოვრობს, რომ მონობა რაღაც განსაკუთრებული ამერიკული ბოროტება იყო. სამწუხარო ფაქტი არის ის, რომ მონობის ინსტიტუტი უფრო მეტად ცხოვრების წესი იყო და არა გამონაკლისი კაცობრიობის ისტორიაში. ჯორჯ ვაშინგტონს ჰყავდა მონები, თუმცა თავისი სისცოცხლის დასასრულს მან ყველა თავისი მონა გაათავისუფლა. თომას ჯეფერსონსაც ჰყავდა მონები. მას სურდა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩაეწერა, რომ იგი მკაცრად გამოხდა მონობას, თუმცა მონათმფლობელი დელეგატების მოთხოვნით ეს დეკლარაციაში არ ჩაიწერა. ვაშინგტონში ჯეფერსონის მემორიალზე ამოტვიფრულია შემდეგი სიტყვები: „ვკანკალებ ჩემი ქვეყნისთვის როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია; მისი სამართალი სამუდამოდ ვერ დაიძინებს“ [The President's Advisory Commission, 2021:10-11]. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში კი წერია შემდეგი სიტყვები, რომ ყველა ადამიანი თანასწორად იბადება. მამა-დამაარსებლებმა იცოდნენ, რომ მონობა შეუთავსებელი იყო ამ ჭეშმარიტებასთან. მათ მონობის დასასრულის თესლი დათესეს. შეერთებულ შტატებში დაწყებულმა მონობის გაუქმების მოძრაობამ გაკვალა გზა მონობის სამართლებრივად დასრულებისკენ [The President's Advisory Commission, 2021:12].

მოხსენების გამოცემისთანავე ამერიკულმა ისტორიულმა ასოციაციამ (American Historical Association) განცხადება გაავრცელა, რომელსაც ორმოცდაშვიდი ორგანიზაცია აწერს ხელს. განცხადებაში დაგმობილია ეს ანგარიში, ვინაიდან

პროფესიონალი ისტორიკოსების ჩართულობის გარეშეა დაწერილი. ანგარიშში ბოლო შვიდი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევები უგულბელყოფილია. გარდა ამისა, ვკითხულობთ, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და შეერთებული შტატების კონსტიტუციის გააზრებას შეუძლია ყველა ამერიკელის სამშობლოს სიყვარულის გრძნობით გაერთიანება. „პრეზიდენტის მრჩეველთა კომისია 1776-ის“ მიერ მომზადებული ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ამ ფუნდამენტურ დოკუმენტებზე და უარყოფს მცდელობებს, რომ შეისწავლონ, თუ როგორ მოახდინა გავლენა მონობამ აშშ-ის ისტორიის ფორმირებაზე. ამ ანგარიშში ავტორები მოითხოვენ მოსწავლეების ინდოქტრინაციასა და წარსულის არცოდნას სამოქალაქო ღირსებად აქცევენ [American Historical Association, 2021]. ანგარიში ორ საკითხს მოიცავს, როგორებიცაა მამა-დამაარსებლებისადმი პატივისცემა, რაც წარმოჩენილია გამარტივებული ინტერპრეტაციითა და ეყრდნობა სიცრუეს, უზუსტობებს და შეცდომაში შემყვან განცხადებებს. მეორე საკითხი კი ეხება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისტორიული კვლევების წინააღმდეგ ქადაგებას - ფართო ისტორიულ ტენდენციებს ერთი კონკრეტული მაგალითით ასახავს (განსაკუთრებით ეს ეხება „პროექტ 1619“-ს) [American Historical Association, 2021].

ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც მამა-დამაარსებლებს ეხება, მათ ღვთაებრივ ადამიანებად წარმოაჩენს, რომლებმაც შექმნეს დოკუმენტები, რომლებიც „სამართლისა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის უნივერსალურ და მარადიულ პრინციპებს“ გამოხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში მთლიანად უგულბელყოფილია მონები, ინდიელები და ქალები ისევე, როგორც მამა-დამაარსებლებმა ეს ჯგუფები ფუნდამენტურ დოკუმენტებში არ მოიხსენიეს. ასევე, იგი გვერდს უვლის კონფედერაციის შტატებს, რომელთა ლიდერები ლალატში არიან ბრალდებულები და რომელთაც სამოქალაქო ომი წამოიწიეს. ომში 700 000-ზე მეტი ამერიკელი დაიღუპა. ამ საკითხების ნაცვლად, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროგრესულ რეფორმებზე და მათ უცნაურად

უკავშირებენ მუსოლინისა და მეორე მსოფლიო ომის ევროპელ ფაშისტებს [American Historical Association, 2021].

გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის არჩევნებში დონალდ ტრამპი მეორე ვადით არ აირჩიეს პრეზიდენტად, ამ რეკომენდაციების გაცემა ძალაში არ შესულა, თუმცა, მისი მეორე ვადით არჩევის შემდეგ ტრამპმა აღმასრულებელი ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც უნდა აღდგეს „კომისია 1776“-ის მუშაობა, რომელიც განათლების დეპარტამენტთან ერთად იმუშავებს და იარსებებს ორი წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ მოითხოვს, რომ კომისიამ მუშაობა გააგრძელოს [White House, 2025]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2025 წლის 20 მარტს ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რომლის მიხედვით, განათლების დეპარტამენტი უნდა დაიხუროს და მმართველობა მთლიანად შტატებს გადაეცეს, ვინაიდან განათლებაში ფედერალური როლი წარმატებული არ არის, რაზეც მეტყველებს ის, რომ განათლების დონე ზოგიერთ საგანში ისტორიულ მინიმუმზეა [Trump, 2025].

საკვლევი საკითხის პრობლემად შესაძლებელია მივიჩნიოთ ისიც, რომ ამერიკულ ისტორიის სახელმძღვანელოებში ნაკლებად არის წარმოჩენილი მულტიკულტურალიზმი. ამერიკული საზოგადოება ყველა ერის ხალხისგან ჩამოყალიბდა, ასეთი მრავალფეროვნება უფრო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი სასკოლო სახელმძღვანელოებში [Hutchins-Viroux, 2009:133]. მართალია, სახელმძღვანელოები გაუმჯობესებულია, თუმცა, მაგალითად, ნაკლები ყურადღება ეთმობა მექსიკელიამერიკელების ისტორიას, ასევე, სხვა ლათინოამერიკელების, როგორებიც არიან, მაგალითად, კუბელები ან პუერტო-რიკოელები [UnidosUS and Johns Hopkins, 2023:16]. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრობლემები ეხება შავკანიანთა ისტორიასაც. ვფიქრობ, სწორედ ამან გამოიწვია ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავება შეერთებულ შტატებში.

სამოქალაქო დაპირისპირებები არანაკლებ გვაწუხებს საქართველოშიც, რომლის არაერთი მაგალითი არსებობს, რაც ღირებულებების დამკვიდრების სერიოზულ

დეფიციტზე მეტყველებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის შესწავლა, როგორც შეერთებული შტატებისთვის, ასევე, საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია. 2014 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც ჩატარდა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ, გვიჩვენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეუწყნარებლობის პროპაგანდის ფაქტებს, განსაკუთრებით კი, აჭარის რეგიონში, სადაც სკოლის ადმინისტრაცია ხშირად იყენებს სიტყვებს „თათარი“, „ურჯულო“ მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. გარდა ამისა, აგრესიული დამოკიდებულებაა შედარებით გვიან წარმოქმნილი რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებსაც მოიხსენიებენ სიტყვებით - „სექტანტი“, „იელოველი“ უარყოფითი დატვირთვით [ბანძელაძე, 2014].

სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური შეუწყნარებლობის უფრო ფართო სურათს იძლევა 2016 წელს პროექტის „ტოლერანტობა, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით, საჯარო სკოლებში დისკრიმინაციის შემთხვევებსა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევებს სისტემური ხასიათი აქვს [მიქელაძე და სხვები, 2016:134]. რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევაში იგულისხმება საგაკვეთილო პროცესის დროს კოლექტიური ლოცვა, ასევე მართმადიდებელი სასულიერო პირების მიერ სკოლის კურთხევა და ა.შ. გარდა იმისა, რომ ირღვევა რელიგიური ნეიტრალიტეტი, ასევე ზოგადი განათლების კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, რელიგიური რიტუალის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება [საქართველოს პარლამენტი, 2005].

საქართველოში ვაწყდებით ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებსაც, მაგალითად, 2019 წელს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ცხადყოფს განსხვავებული ეროვნებისა და კანის ფერის ხალხის მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევებს. ასეთი განწყობის გაღვივებას ზოგჯერ პოლიტიკოსების სიძულვილის ენის შემცველი რიტორიკა

უწყობს ხელს [ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2009:6-7]. რაც შეეხებათ, ქართველ მოსწავლეებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხის მიმართ მეტი მიმღებლობა აქვთ, ვიდრე სხვადასხვა რწმენის მქონე ხალხის მიმართ. ამგვარად, სკოლებში ტოლერანტობის საკითხისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის [მახაშვილი, 2021].

ნაშრომში დასმული არის ისტორიის სწავლების პრობლემები საქართველოში, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლებისას ყურადღება ეთმობა თარიღების, მოვლენებისა და მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურების დამახსოვრებას. ისტორიის ამგვარი სწავლება დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდისთვის, რასაც ცხადყოფს იმდროინდელი ისტორიის სახელმძღვანელოები. ამის ნაცვლად, მნიშვნელოვანია ისტორიული მოვლენების ანალიზი, წარსულში მომხდარი მოვლენების აწმყოსთან დაკავშირება და ისტორიის, როგორც გამოცდილების შესწავლა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი სახელმძღვანელოებიც, სადაც კვლევითი დავალებებია მოცემული, როლური თამაში და დებატები, რომლებიც ავითარებს კომუნიკაციის, მოსაზრებების გაზიარების, ურთიერთთანამშრომლობის უნარებს. ასევე, მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ქართული სახელმძღვანელოების ნაკლოვანებად, ვფიქრობ, უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამერიკული სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, აქ არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული დავალებების ტიპები, რომელი უნარის განვითარებას ითხოვს ესა თუ ის დავალება. გარდა ამისა, პრობლემა სახელმძღვანელოების შექმნასთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ შექმნას საკმარისი დრო არ ეთმობა, რამაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმძღვანელოების ხშირი შეცვლა გამოიწვია [Edu.aris, 2024].

ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა ეხება შინაარსობრივ მხარესაც, ამ მხრივ საყურადღებოა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენები, რომლებიც სახელმძღვანელოში სათანადოდ არ არის აღწერილი. ვფიქრობ, ეს არის საკითხი, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს პატრიოტი მოქალაქის აღზრდას, ეს ღირებულება

კი აქ წარმოჩენილი არ არის, მაგალითად, არ გვხვდება ინფორმაცია ომში დაღუპული ან სასტიკად ნაწამები ჯარისკაცების შესახებ.

საკვლევი საკითხის აქტულობა, ასევე, მდგომარეობს მის სიახლეში, რაც ნიშნავს იმას, რომ საკითხის მახასიათებლად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის, რომ შეერთებულ შტატებში ღირებულებების დამკვიდრება ისტორიის სწავლების გზით ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეუსწავლელია. საქართველოში ერთმანეთთან შედარებული არ არის ქართული და ამერიკული გამოცდილება, თუმცა, შესწავლილია ღირებულებების დამკვიდრების საკითხი საქართველოსთან მიმართებით, განსაკუთრებით კი, თანამედროვე პერიოდი. მაგალითად, აღსანიშნავია ელენე მეძმარიაშვილისა და ოლივერ რაისნერის კვლევა „კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გავლენა ისტორიის განათლებისას საქართველოში“, კვლევა მიზნად ისახავს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას საქართველოში, როგორც მულტიკულტურულ და მულტიკონფესიურ ქვეყანაში [Madzmariashvili & Reisner, 2014]. ავტორებმა შეისწავლეს იმ პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები და ეროვნული სასწავლო გეგმა, ასევე, ევროკლიოსა და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის მიერ განხორციელებული ევროკლიო/მატრას პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა საქართველოში ისტორიის სწავლების გზით. როგორ ვასწავლოთ ისტორია და მოქალაქეობრიობა მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ გარემოში“ (2008/2011 წწ.) შედეგები.

გარდა ამისა, პროფესორების ელენე მეძმარიაშვილისა და ნანა ციხისტავის კოორდინირებით შეიქმნა სამუშაო მასალები, ქრესთომატია მოსწავლეებისა და ისტორიის მასწავლებლებისთვის ისტორიის ინტერაქტიული სწავლებისთვის იმავე პროექტის ფარგლებში. სამუშაო მასალები გამოიცა წიგნის სახით - „როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში“ [კუშევა, რედ. 2011:3]. წყაროები დაჯგუფებულია ოთხ საკითხად: მრავალფეროვანი საქართველო, ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება, მიგრაცია, რელიგია [კუშევა, რედ. 2011:4-5].

აღსანიშნავია პროფესორ ელენე მეძმარიაშვილის საერთაშორისო თანარედაქტორობით გამოცემული პუბლიკაცია „კულტურათა გზაჯვარედინი - შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში“ [კუშნერიოვა, რედ. 2015a:2], რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით ევროკლიომ საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციებთან ერთად განახორციელა. გამოცემა მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში მრავალკულტურული საზოგადოების პრობლემური საკითხების სწავლასა და სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვას [კუშნერიოვა, რედ. 2015b:3].

მნიშვნელოვანია ნანა ციხისთავის კვლევა „ტოლერანტობა და რელიგიის სწავლება აშშ-ში“, სადაც განხილულია რელიგიის სწავლების როლი ტოლერანტი მოსწავლეების აღზრდაში [ციხისთავი, 2025].

გარდა ამისა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისტორიის სწავლების მიზანს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის გლობალურ ჭრილში განხილვა წარმოადგენს. საქართველოს ისტორია კი გლობალური კონტექსტის გარეშე ისწავლება. ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანასწორობა და პატრიოტიზმი საფუძვლად უდევს დემოკრატიული სახელმწიფოების ფორმირებას, ხოლო მათი დანერგვის აუცილებლობაზე ადგილობრივი და გლობალური გამოწვევები მიუთითებს [მიქაბერიძე, 2024]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ სახელმძღვანელოებში გვხვდება დავალებები, რომლებიც ხაზს უსვამს საკითხის გლობალურ კონტექსტში გააზრებას, თუმცა ასეთი დავალებები მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი.

კვლევის ამოცანა. კვლევის მთავარი ამოცანა არის, იმის შესწავლა თუ როგორ მკვიდრდება დემოკრატიული ღირებულებები - თანასწორობა, რელიგიური ტოლერანტობა და პატრიოტიზმი ისტორიის სწავლების გზით შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. კვლევის საკვანძო კითხვებია: ჩვენთვის საინტერესო

ღირებულებების სწავლებისას, რა ტიპის შინაარსი, მეთოდები გამოიყენება ორივე ქვეყანაში? რა სახის დავალებებია ისტორიის სახელმძღვანელოებში? როგორ არის შესაძლებელი, ყოველივე ამის საფუძველზე ამერიკული გამოცდილების გაზიარება?

კვლევის მიზანი. კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს და შეისწავლოს:

- ამერიკის შეერთებულ შტატებში ღირებულებების - ტოლერანტობის, თანასწორობისა და პატრიოტიზმის - დამკვიდრება ისტორიის სწავლების გზით, კერძოდ, 1. სხვადასხვა შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმები და ისტორიის სახელმძღვანელოები და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის სწავლებისას მათში ასახული ღირებულებები; 2. სასწავლო თემატიკა; 3. სწავლების მეთოდები; 4. სახელმძღვანელოებში მოცემული აქტივობები.

- კვლევა, ასევე მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რამდენად არის წარმოჩენილი მულტიკულტურალიზმი ამერიკულ ისტორიის სახელმძღვანელოებში.

- როგორ დგას საქართველოში ისტორიის სწავლების გზით ტოლერანტობის, თანასწორობისა და პატრიოტიზმის დამკვიდრების საკითხი და ამ მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული სასწავლო გეგმის შესწავლა, ქართული ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი და ამერიკულ გამოცდილებასთან შედარება.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო. კვლევა ქრონოლოგიურად რამდენიმე პერიოდს მოიცავს, რომლებმაც გავლენა იქონია ისტორიის სწავლების გზით კონკრეტული ღირებულებების დამკვიდრებაზე. პირველი კოლონიურ პერიოდს მოიცავს და იმდროინდელი განათლების თავისებურებებს, რომლის კვლევაც აუცილებელი გახდა, რათა ნათლად დაგვეჩვენა, თუ რა განსხვავება იყო ამ პერიოდისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განათლებას შორის იმ პერიოდისთვის აქტუალური ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით.

შესაბამისად, შემდეგი, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 1860-70-იან წლებამდე პერიოდის კვლევა, როდესაც სახელმძღვანელოების შინაარსი შეიცვალა და ქვეყანაში შეცვლილმა ვითარებამ ისტორიის სწავლებისას წინ სხვა პრიორიტეტები წამოწია.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი პერიოდია 1910-30-იან წლები, როდესაც პროგრესივიზმს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ისტორიის სწავლებაზე და ჯონ დიუიმ (John Dewey) სხვაგვარად ჩამოაყალიბა ისტორიის სწავლების მნიშვნელობა და სწავლების მეთოდები.

ამის პარალელურად ნაშრომში გაანალიზებულია სასკოლო რეფორმა და ღირებულებების დამკვიდრება 1910-20-იანი წლების საქართველოში (პირველი რესპუბლიკის ხანა) და შედარებულია იმდროინდელი შეერთებული შტატების განათლებასთან, ისტორიის სწავლებასა და ღირებულებების დანერგვასთან. თუმცა, ნაშრომში განხილულია წინა პერიოდიც, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები ისტორიის სწავლების მნიშვნელობაზე.

კვლევა მოიცავს ცივი ომისდროინდელ განათლებას, ისტორიის სწავლებასა და ღირებულებების დამკვიდრებას შეერთებულ შტატებში. ამის პარალელურად, შედარების მიზნით, საჭირო გახდა ამავე პერიოდში ისტორიის სწავლებისა და ღირებულებების დამკვიდრების საკითხის შესწავლა საბჭოთა კავშირში. განხილულია, თანასწორობის, რელიგიური თანასწორობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის გაღვივების საკითხი საბჭოთა კავშირის ისტორიის სწავლების გზით.

კვლევა მოიცავს 1990-იან წლებში ისტორიის სწავლების საკითხს შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. ამ მხრივ განვიხილეთ, 1980-90-იან წლებში ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები, დებატები კურიკულუმთან დაკავშირებით და ახალი კანონი, რომელიც სტანდარტებზე დაფუძნებულ სწავლებას ითხოვდა. შედარების მიზნით, საჭირო გახდა განათლებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ღირებულებების, როგორებიცაა თანასწორობის, რელიგიური ტოლერანტობისა და პატრიოტიზმის გაღვივების საკითხების შესწავლა

საქართველოში 1990-იან წლებში. ყოველივე ეს კი შედარებულია თანამედროვე შეერთებულ შტატებთან და საქართველოსთან, რაც ნაშრომში დასკვნის სახით არის წარმოდგენილი.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა. სადოქტორო კვლევის თემა „ღირებულებების დამკვიდრება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით: შედარებითი ანალიზი“ ქართულ აკადემიურ სფეროში შეუსწავლელია. აღნიშნული კვლევა არის კომპლექსური და არ მოიცავს მხოლოდ სხვადასხვა შტატის სასწავლო გეგმებისა და ისტორიის სახელმძღვანელოების კვლევას, არამედ განხილულია ისტორიული კონტექსტი, კონკრეტული პერიოდის პოლიტიკური მდგომარეობა და მისი გავლენა განათლებაზე, ცალკეული შტატისა და ფედერალური მთავრობის როლი განათლებაში.

არსებობს ცალკეული სტატიები ან სალექციო მასალები ამერიკული ღირებულებების შესახებ, მაგალითად, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება საგანი „შესავალი ამერიკისმცოდნეობაში“, რომლის ერთ-ერთი ლექცია ამერიკულ ღირებულებებს ეთმობა, რაც დამეხმარა იმაში, თუ რომელი ღირებულებები უნდა განმეხილა ნაშრომში. ამასთანავე, სადოქტორო ნაშრომში ეს საკითხი კიდევ უფრო სიღრმისეულად არის შესწავლილი და შესაძლებელს ხდის სტუდენტებისთვის უფრო მეტი სასწავლო მასალის მიწოდებას.

რაც შეეხება ამერიკულ განათლებას, არსებობს ცალკეული სტატიები, მაგალითად, ჯონ დიუისის შესახებ, ასევე, ანასტასია ზაქარიადის წიგნი „ამერიკული ფილოსოფია“, რომელიც განათლების ფილოსოფიასაც მოიცავს, განხილულია პროგრესული განათლების თეორიაც, თუმცა, ნაკვლევი არ არის დიუისის გავლენა ისტორიის სწავლებაზე. გარდა ამისა, ქართულ სამეცნირო სივრცეში შესწავლილი არ არის, იცნობდნენ თუ არა დიუისის საქართველოსა და რუსეთში 1910-იან წლებში, თუმცა, უცხოენოვანი ნაშრომები გვხვდება იმის შესახებ, თუ რამდენად იცნობდნენ დიუისს რუსეთში. საქართველოში ამერიკული განათლების ფილოსოფია შესწავლილია, თუმცა სადოქტორო კვლევა მიზნად ისახავს განათლების, როგორც სოციალური

ფენომენის შესწავლას, ასევე, განათლების, როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენებას შეერთებულ შტატებში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადოქტორო კვლევა ისტორიის მასწავლებლებისთვის არის ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც მათ დაეხმარება სასწავლო სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც მიზნად დაისახავს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის სწავლებისას ღირებულებების გააზრებას, მათ დანერგვას სწავლების დროს და მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. გარდა ამისა, კვლევა დაეხმარება სახელმძღვანელოს ავტორებს. მაგალითად, შესაძლებელია ამერიკულ სახელმძღვანელოებში მოცემული დავალებების, სხვადასხვა სახის აქტივობის ასახვა ქართულ სახელმძღვანელოებში. ამასთანავე, ისტორიის სასწავლო პროგრამის შემუშავების ან გადახედვის პროცესში ეს კვლევა განათლების სამინისტროს დაეხმარება იმის განხილვაში, თუ რამდენად საკმარისად არის წარმოჩენილი დემოკრატიული ღირებულებები და მათი დამკვიდრება სწავლების დროს. ასევე, კვლევაში განხილული საგანამანათლებლო რეფორმები საქართველოში, განათლების ისტორიის გააზრება განათლების სამინისტროს დაეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ როგორი განათლების სისტემა სჭირდება საქართველოს დღეს.

კვლევის მეთოდოლოგია. აღნიშნული საკითხის საკვლევად გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზი, შედარებითი ანალიზი, კრიტიკული ანალიზი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება, შეერთებულ შტატებთან მიმართებით შესწავლილი არის კოლონიური პერიოდი, დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი და თანამედროვე შეერთებული შტატები, ამასთანავე საქართველოსთან მიმართებით შესწავლილია მეფის რუსეთის გავლენა განათლებაზე, პირველი რესპუბლიკის პერიოდი, საბჭოთა პერიოდი, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. აღნიშნული საკითხის საკვლევად გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

კონტენტ ანალიზის კვლევის მეთოდი გამოყენებულია სხვადასხვა შტატის, ასევე, საქართველოს სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმების, ამერიკული და ქართული სახელმძღვანელოების შესასწავლად. ამავე დროს, ამ მასალებზე მუშაობისას გამოვიყენე **შედარებითი და კრიტიკული ანალიზი. დედუქციის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს ზოგადი პრინციპებიდან კონკრეტული დასკვნების გამოტანას, მაგალითად, რომ თანასწორობა დემოკრატიული ღირებულებაა, გამოვიყენე მაშინ, როდესაც ვიკვლევდი, თუ როგორ ღვივდება ეს ღირებულება შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით, როგორ არის ყოველივე ასახული სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

რაც შეეხება **ინდუქციის მეთოდს**, რომელიც გულისხმობს კერძო ფაქტებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანას, საკითხის საკვლევად შემდეგი სახით მაქვს გამოყენებული, მაგალითად, ორივე ქვეყანაში შვეისწავლე კონკრეტული საგანმანათლებლო რეფორმები, სასწავლო გეგმები და ზოგადი დასკვნის სახით დავწერე, რომ ისტორიის სწავლება იყო და არის ღირებულებების გადაცემის ინსტრუმენტი გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში.

წყაროების მიმოხილვა. კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა. მაგალითად, განვიხილე მასაჩუსეტსის, ტექსასის, კალიფორნიის, ოკლაჰომას, ჰავაისა და სხვა სასწავლო გეგმები. ნაშრომში წარმოჩენილია ამ სასწავლო გეგმებში საკითხთა შესაბამისობა ამერიკულ სახელმძღვანელოებთან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეირჩა აღნიშნული შტატები, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ისტორიულ მოვლენას განვიხილავ. მაგალითად, როგორ ისწავლება მონობა, სამოქალაქო ომი და რა როლი აქვს ამ საკითხებს თანასწორობის გაღვივებაში. ამის საკვლევად შვეისწავლე მასაჩუსეტსის, როგორც კავშირის და ტექსასის, როგორც კონფედერაციის წევრი შტატის სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები. ხოლო, როდესაც განვიხილავ მექსიკელი იმიგრანტების ან მექსიკელიამერიკელების ისტორიას, ამის მაგალითად მომყავს კალიფორნიის სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები, სადაც მათი მოძრაობა სამოქალაქო

უფლებებისთვის დაიწყო. გარდა ამისა, განხილულია იმ შტატების სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმები, სადაც ლათინოამერიკელი მოსახლეობა შედარებით ნაკლებია.

- **სხვადასხვა შტატისა და საქართველოს სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა.** მასაჩუსეტსის ისტორიისა და სოციალური კვლევების სასწავლო ჩარჩო დოკუმენტი“ (Massachusetts History and Social Studies Framework, 2018), „ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების სასწავლო სტანდარტები კალიფორნიის საჯარო სკოლებისთვის“ (History – Social Science Content Standards for California Public Schools, 2000), „სამოქალაქო განათლების კრებული კალიფორნიის ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების სტანდარტისთვის“ (Civic-Learning Compendium for the California History-Social Science Framework, 2016), „ოკლაჰომას აკადემიური სტანდარტი. სოციალური მეცნიერებები“ (Oklahoma Academic Standart. Social Studies. 2019), “ნევადას აკადემიური სასწავლო სტანდარტები სოციალურ მეცნიერებებისთვის” (Nevada Academic Content Standards for Social Studies, 2018), “ჰავაის სოციალური მეცნიერებების ძირითადი სტანდარტები” (2018 წ.), „ნებრასკას სოციალური კვლევების სტანდარტები“ (Hawaii Core Standards for Social Studies, 2018), „ნიუ-იორკის სოციალური კვლევების ჩარჩო დოკუმენტი“ (New York Social Studies Framework, Grades 9-12, 2017), „შინაარსობრივი და შედეგობრივი სტანდარტები ალასკას მოსწავლეებისთვის“ (Content and Performance Standards for Alaska Students, 2016), „ალასკას სოციალური კვლევების სტანდარტები“ (Alaska Social Studies Standards, 2024). საქართველოს „მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. საზოგადოებრივი მეცნიერებები“ (2018-2024 წწ.), „C3 ჩარჩო დოკუმენტი - კოლეჯი, კარიერა და სამოქალაქო ცხოვრება სოციალური კვლევების სახელმწიფო სტანდარტისთვის“ (C3 Framework – College, Career & Civil Life for Social Studies State Standards).

- **ისტორიის ამერიკული სახელმძღვანელოები.** ნაშრომში შეერთებული შტატების ისტორიის სახელმძღვანელოები არის გამოყენებული, როგორებიცაა „ამერიკელები“ (The Americans, 2012), „შეხედულებები, რომლებმაც ახალი ერი შექმნა“ (Reflections, The United States: Making A New Nation, 2003), „ამერიკული ხედვა“ (American Vision, 2010), „ამერიკული სანახაობა“ (The American Pageant, 16th Edition), „ტექსასის ისტორია“ (Texas History, 2014, 2016), „მსოფლიო ისტორია: შუა საუკუნეებიდან თანამედროვე პერიოდამდე“ (World History Medieval to Early Modern Times, 2006), მე-8 კლასის „შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი“ (United States History & Geography: Continuity & Conflict, 2018), მე-8 კლასის „შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი. შეკითხვების ჟურნალი“ (United States History & Geography: Continuity & Conflict. Inquiry Journal – 2018), მე-11 კლასის „შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი“ (United States History & Geography: Continuity & Conflict – 2018), მე-11 კლასის „შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი. შეკითხვების ჟურნალი“ (United States History & Geography: Continuity & Conflict. Inquiry Journal – 2018).
- **პრესა-პერიოდიკის მასალები,** როგორებიცაა ჟურნალი „განათლება“ (1908-1920 წწ.), გაზეთი „საქართველოს დამოუკიდებლობა“ (1956 წ.), გაზეთი „კომუნისტი“ (1936), ჟურნალი „მასწავლებელი“ (2009-2022 წწ.).
- **სოციოლოგიური კვლევის ანგარიშები.** პიუს კვლევითი ცენტრის ანგარიშები, შეერთებული შტატების საელჩოს ანგარიშები, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის კვლევები.

- **საარქივო დოკუმენტები.** მაგალითად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმები, საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულები.

- **ისტორიის საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები.** 1933 წელს გამოცემული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (საშუალო სკოლის მე-8 ჯგუფის და ტექნიკუმებისთვის), მე-8 კლასის „სსრკ ისტორია“ (1969 წ.), მე-9 კლასის „სსრ კავშირის ისტორია“ (1972 წ.).

- **საქართველოს ისტორიის ძველი და თანამედროვე სახელმძღვანელოები.** მაგალითად, აღსანიშნავია 1915 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო - მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის“, 1920 წელს გამოცემული იგივე სახელმძღვანელოს გაუმჯობესებული ვერსია. 2001 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია: XIX-XX საუკუნეები“, მე-11 კლასის ისტორია (სულაკაურის გამომცემლობა, 2012 წ.), მე-9 კლასის საქართველოს ისტორია (გამომცემლობა კლიო, 2012 წ.), მე-9 კლასის „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია“ (გამომცემლობა ლოგოს პრესი, 2021 წ.), მე-9 კლასის ისტორია (გამომცემლობა დიოგენე, 2021 წ.), მე-11 კლასის საქართველოს ისტორია (გამომცემლობა დიოგენე, 2023 წ.).

კვლევის პროცედურა. სადოქტორო ნაშრომისთვის კვლევის პროცედურა წარმართა ჩემი ხელმძღვანელის, პროფესორ ელენე მემმარიაშვილის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) უშუალო ხელმძღვანელობით. კვლევის პირველ ეტაპზე წარმოვადგინე კვლევითი პროექტი 1 და კვლევითი პროექტი 2. პირველ კვლევით პროექტში ყურადღება გავამახვილე სადოქტორო კვლევის მიზნებსა და აქტუალობაზე. მეორე კვლევითი პროექტი კი ეხებოდა რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრების აუცილებლობას შეერთებულ შტატებსა და საქართველოში, ამ პროექტში წარმოჩენილი არის შედარებითი ანალიზი.

კვლევა განხორციელდა საქართველოში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე, გარდა ამისა, კვლევისთვის დამეხმარა ელექტრონული არქივი, სადაც თავმოყრილია წიგნები შეერთებული შტატების სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან.

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე შედეგები ფართო საზოგადოებას სამეცნიერო კონფერენციების საშუალებითა და პუბლიკაციების გამოქვეყნებით გავუზიარე. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის 22-ე (2021 წ.) საერთაშორისო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის შესახებ ისტორიის სწავლების გზით შეერთებულ შტატებში. ხოლო, რიგით 23-ე (2022 წ.) კონფერენციაზე წარვადგინე კვლევა რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრების შესახებ შეერთებულ შტატებში. რიგით 24-ე (2023 წ.) საერთაშორისო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება “სასკოლო რეფორმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში 1910-20-იან წლებში: შედარებითი ანალიზი”. ამავე წლის მასწავლებელთა კონფერენციაზე (ევროპული სკოლა) წარვადგინე მოხსენება “ისტორიის სწავლების პრობლემები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში 1910-20-იან წლებში: შედარებითი ანალიზი”. ამერიკისმცოდნეობის რიგით 25-ე (2025 წ.) საერთაშორისო კონფერენციაზე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) წარმოვადგინე მოხსენება „ისტორიის სწავლება, როგორც თანასწორობის დამკვიდრების გზა შეერთებულ შტატებში (მექსიკელიამერიკელების მაგალითზე)“.

კვლევის შედეგები გამოვაქვეყნე სამი ნაშრომის სახით, 2022 წელს გამოქვეყნდა სტატია „რასობრივი თანასწორობის დამკვიდრება შეერთებულ შტატებში ისტორიის სწავლების გზით“ (Strengthening Racial Equality in the United States through History Education), ხოლო 2023 წელს გამოქვეყნდა “პატრიოტიზმის დამკვიდრება შეერთებულ

შტატებში ისტორიის სწავლების გზით” (Building Patriotism in the United States of America through History Education), ორივე სტატია დაიბეჭდა შავი ზღვის უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში, *Journal in Humanities*. 2024 წელს გამოქვეყნდა “რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრება შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით” (Building Religious Tolerance in the United States and Georgia) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „სპეკალი“.

კვლევის ძირითადი ნაწილი ორი თავისგან შედგება. თითოეული თავი დაყოფილია სამ ქვეთავად. ნაშრომს ახლავს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესავალი, დასკვნა და 242 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I - საგანმანათლებლო რეფორმების გავლენა ღირებულებების დამკვიდრებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში (ისტორიული დისკურსი)

1.1 მამა-დამაარსებლების როლი ამერიკული განათლების ფორმირებაში და ღირებულებების დამკვიდრება

ამერიკის შეერთებული შტატების რევოლუციამ კავშირი არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთთან, არამედ კოლონიურ აზროვნებასთან გაწყვიტა [Slosson, 1921:104]. რევოლუციის შემდეგ, მამა-დამაარსებლების მნიშვნელოვანი ამოცანა ახლადშექმნილი რესპუბლიკის არსებობის უზრუნველყოფა იყო [Crews, 1997:40]. სწორედ ამიტომ, თომას ჯეფერსონი სწერდა ჯორჯ ვაშინგტონს: „ჩემი აზრით, აქსიომაა, რომ ჩვენი თავისუფლება ვერასოდეს ვერ იქნება უსაფრთხო, თავად ხალხის და ასევე, გარკვეული ცოდნის მქონე ადამიანების გარეშე“ (4 იანვარი, 1786 წ.) [Wagoner et al. 1976:24]. ასევე, წარმოიშვა იდეა საყოველთაო განათლების შესახებ, ვინაიდან ყველა მოქალაქე არის ამომრჩეველი და ქვეყნის ბედი განათლებულ ხალხს უნდა გადაეწყვიტა [Slosson, 1921:105]. „დადგა დრო, რომ შეერთებულმა შტატებმა საყოველთაო განათლების გეგმა მიიღოს“ ამბობდა ვაშინგტონი (1795 წ.) [Slosson, 1921:95]. ზოგიერთი მამა-დამაარსებელი მხარს უჭერდა ისეთი სასკოლო განათლების (Schooling) ქონას, რომელიც პატრიოტიზმს დაამკვიდრებდა და უნიკალურ ამერიკულ იდენტობას ჩამოაყალიბებდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ნოა ვებსტერი (Noah Webster) თავის ნაშრომებში - პატრიოტი მოქალაქის აღზრდას [Crews, 1997:40], ხოლო ბენჯამინ რაშს (Benjamin Rush) ისეთი სკოლების შექმნა სურდა, რომლებიც ხალხს “რესპუბლიკურ მანქანებად” გარდაქმნიდა“ [Nash, 2009]. მამა-დამაარსებლები მსჯელობდნენ, თუ რა უნდა ესწავლებინათ მომავალი თაობებისთვის და როგორი განათლების სისტემა უნდა ჰქონოდათ.

თუმცა, სანამ ვრცლად განვიხილავ მამა-დამაარსებლების როლს ამერიკული განათლების ფორმირებასა და ღირებულებების დამკვიდრებაში, მანამდე მიმოვიხილავ კოლონიური განათლების თავისებურებებს.

განათლების სისტემის ფორმირება მასაჩუსეტსის ყურის კოლონიაში დაიწყო, როდესაც 1642 წელს განათლებასთან დაკავშირებული პირველი კანონი მიიღეს [Spring, 2011:17]. ამერიკაში განათლების მიზნები წლების განმავლობაში თანდათან იცვლებოდა. მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც კოლონიურ ამერიკას ეხება, აჩვენებს რელიგიური მოტივების დომინირებას განათლებაში [Johnson, 1979:270]. პურიტანებმა ახალ მიწაზე რეფორმაციის საგანმანათლებლო ხედვა მოიტანეს, რაც გულისხმობდა იმას, რომ განათლება საჭირო იყო, როგორც რელიგიური სწავლებისა და ხსნისთვის, ასევე მოქალაქეობის სასწავლებლად [Webb et al. 1992:76-77]. მათ მიზანს „კარგი საზოგადოების“ შექმნა წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა კარგად ორგანიზებული რელიგიური საზოგადოების არსებობას, რომელიც მსოფლიოს მაგალითს მისცემდა. ჯონ უინთროპმა (John Winthrop) სხვა კოლონისტებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ვიქნებით, როგორც ქალაქი გორაკზე, ყველა ხალხის თვალები ჩვენკენ არის მოპყრობილი“ [Spring, 2011:16]. სწორედ ამიტომ, კოლონიურ ამერიკაში წერა-კითხვა ისწავლებოდა იმისთვის, რათა ბიბლია წაკითხათ, ასევე ქვეყნის უზენაეს კანონს დამორჩილებოდნენ. ამ ცოდნის მიღებას 1642 წლის კანონი ყველას ავალდებულებდა [Spring, 2011:17].

კოლონიური განათლების თავისებურებად შესაძლოა მივიჩნიოთ სკოლების მრავალფეროვნება, რაც რელიგიური მრავალფეროვნებით იყო განპირობებული. თითოეული დენომინაცია თავად აარსებდა სკოლებს, რომლებიც მთავარ როლს თამაშობდნენ შემდგომი თაობებისთვის ღირებულებათა გადაცემაში. ნიუ ინგლანდის კოლონიებში, სადაც პურიტანები დომინირებდნენ, დაარსეს სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ისეთ მორალურ ღირებულებებს, როგორებიცაა ავტორიტეტებისადმი პატივისცემა, სიამოვნებაზე უარის თქმა, წესიერება, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, პატრიოტიზმი და ერთგულება, ბრძოლა პირადი წარმატებისთვის, აგრესიის დათრგუნვა, უფლებებისა და სხვების საკუთრების პატივისცემა, წესებისა და შეზღუდვებისადმი მორჩილება [Pulliam et al. 1995:36].

ბიბლიის გარდა, ზემოთ აღნიშნული მორალური ღირებულებები სახელმძღვანელოების მეშვეობით ისწავლებოდა - „ნიუ ინგლანდის ანბანის წიგნიდან“ (The New England Primer – 1690) დაწყებული ნოა ვებსტერის „ამერიკული მართლწერის წიგნით“ (The American Spelling Book) და „მაკგაფის მკითხველით“ (McGuffey Reader) დამთავრებული [Kariel, 1986:14]. „ნიუ ინგლანდის ანბანის წიგნის“ შინაარსი ასახავდა კოლონიური განათლების ძლიერ რელიგიურ და ავტორიტარულ ბუნებას, ასევე, ის განათლებისა და რელიგიის ურთიერთკავშირის საუკეთესო მაგალითია [Spring, 2011:19]. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის მეშვეობით ასწავლიდნენ ამერიკის რევოლუციის შემდეგაც, სახელმძღვანელოდან ამოიღეს ფრაზები, რომლებიც ინგლისის მეფეს ეხებოდა. სახელმძღვანელოში გვხვდება შემდეგი ფრაზა - მამაცმა ვაშინგტონმა თავისი ქვეყანა გადაარჩინა, რაც, ვფიქრობ, პატრიოტიზმის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად.

გარდა ამისა, პურიტანთა განათლების მიზანი იყო არა პიროვნების თავისუფალი განვითარება, არამედ სკოლებში არსებული დისციპლინა მიიჩნეოდა, როგორც „კარგი მოქალაქის“ აღზრდის საფუძველი. ნიუ ინგლანდის მინისტრი იერემია უაისი (Jeremia Wise) პურიტანული ფილოსოფიის შესახებ ამბობდა, რომ ახალგაზრდების განათლება არის დიდი სარგებელი და საზოგადოებისთვის მსახურება. ეს არის ის, რაც მათ ცივილიზებულს ხდის, მათი ბუნების სიმტკიცეს ათვინიერებს, უყალიბებს სათნოებას. იმის ცოდნა, თუ რას ნიშნავს მთავრობის დაქვემდებარებაში ყოფნა, ასწავლით როგორ მართონ სხვები, როდესაც მათი დრო დადგება [Miller, 1986:226-227].

ნიუ ინგლანდისგან განსხვავებით, **ცენტრალური კოლონიები** (ნიუ იორკი, ნიუ ჯერსი, პენსილვანია, დელავერი) რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და განათლებაზე ერთ რელიგიურ ჯგუფს გავლენა არ ჰქონდა. აქ არსებული საეკლესიო სკოლები სხვადასხვა კონფესიის კონტროლის ქვეშ იყო, როგორებიც არიან ლუთერანები, მენონიტები, ამიშები, მორავიანები, კვაკერები და ა.შ. [Crews et al. 1997:30].

სამხრეთის კოლონიებში კი (მერილენდი, ვირჯინია, ჯორჯია, ჩრ. და სამხრეთ კაროლინა), არსებობდა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პრაქტიკა, თუმცა განათლებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი ნაკლები იყო. სამხრეთის კოლონიებში განათლების მიღება თითოეულ მოქალაქეზე იყო დამოკიდებული. განათლებას იღებდნენ შეძლებული პლანტატორების შვილები [Pulliam et al. 1995:25].

ამგვარად, კოლონიური პერიოდის განათლების თავისებურება უსისტემობა იყო [Crews, 1997:38], ასევე, განსხვავებულობა, რაც დღევანდელი შეერთებული შტატებისთვის არის დამახასიათებელი [Pulliam et al. 1995:80-86]. კოლონიურ ამერიკაში განათლება, გარდა ეკლესიისა, დამოკიდებული იყო ოჯახზე, სკოლაზე, ზოგჯერ ფილანტროპულ საზოგადოებებზეც [Crews, 1997:38]. შეერთებული შტატების მამა-დამაარსებელთა უმრავლესობა შიშობდა, თუ განათლებაზე ზრუნვა დამოკიდებული იქნებოდა ოჯახზე, ეკლესიაზე, ადგილობრივ თემზე ან ფილანტროპულ საზოგადოებებზე, იგი დემოკრატიის გადარჩენას ვერ უზრუნველყოფდა [Pulliam et al. 1995:81-87]. ამერიკის რევოლუციის შემდეგ, ბევრ ამერიკელს სჯეროდა, რომ განათლების საჯარო სისტემა მოახდენდა ნაციონალიზმის გრძნობის გაღვივებას, „კარგი მოქალაქისა“ და საზოგადოების ფორმირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოსტ-რევოლუციური განათლება სახელმწიფო პოლიტიკას ემსახურებოდა, ხოლო რევოლუციამდელი განათლება მხოლოდ ერთეულებისთვის იყო [Spring, 2011:43].

ამერიკის რევოლუციის შემდეგ, განათლება მიზნად ისახავდა მულტიკულტურული საზოგადოების ერთ კულტურად ფორმირებას, ნაციონალიზმისა და ქვეყნისადმი ერთგულების გრძნობის გაღვივებას [Spring, 2011:47], თუმცა ამავე დროს რელიგიური მოტივები კვლავ ძლიერი რჩებოდა [Johnson, 1979:270]. ახლად შექმნილმა ქვეყანამ ევროპისგან დამოუკიდებლად უზრუნველყო ინტელექტუალური საქმიანობა, რაც ანტიმონარქიული, პროდემოკრატიული პამფლეტებისა და წიგნების დაწერაში გამოიხატა. რევოლუციის ბევრმა ლიდერმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ცენტრალურ იდეებად აქცია ადამიანის

ბუნებითი უფლებები, თანასწორობა, პატრიოტიზმი, რაც ქვეყნის კანონებში აისახა [Pulliam et al. 2013:122-124]. ამერიკელებმა უარი თქვეს „ტირანიაზე“, როგორც თომას პეინმა თავის პამფლეტში, „სალი აზრი“ (1776 წ.) ბრიტანეთს უწოდა [შვაიკარტი და სხვები, 2014:45]. საუკეთესო მთავრობის მმართველობის დროსაც კი ძალაუფლება ტირანიად რომ არ გადაქცეულიყო, თომას ჯეფერსონი მიიჩნევდა, რომ მომავალ თაობებს სათანადო განათლება უნდა მიეღოთ [Wagoner, 1976:25].

მათ განათლების ეროვნული სისტემის ფორმირება სურდათ [Pulliam et al 2013:122-124], თუმცა შეერთებული შტატების კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი განათლების შესახებ. ხოლო კონსტიტუციის მეათე შესწორების მიხედვით უფლებამოსილება შტატებს ცალ-ცალკე ენიჭებათ, ამიტომ განათლება თითოეული შტატის ფუნქცია არის. არსებობს შეკითხვა: მამა-დაამრსებლებმა განზრახ გადასცეს ეს უფლება ცალკეულ შტატებს, თუ უბრალოდ გამორჩათ. ზოგოერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მათ გააანალიზეს, რომ განათლების ადგილობრივი კონტროლი უკეთეს ქვეყანას შექმნიდა. სხვები მიიჩნევდნენ, რომ მამა-დამაარსებლები სხვა მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდნენ [Johnson, 1979:296], ამიტომ, იმის მიზეზი, რომ დღეს შეერთებულ შტატებში არ არსებობს განათლების ფედერალური სისტემა, შესაძლოა იმდროინდელ პოლიტიკურ კლიმატს დაუკავშიროთ, როდესაც კონსტიტუცია იწერებოდა [Pulliam et al. 1995:90]. იქიდან გამომდინარე, რომ მამა-დამაარსებლები მსჯელობდნენ განათლების საკითხებთან დაკავშირებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი კონსტიტუციაში შეტანა გამორჩათ.

მიუხედავად ამისა, მამა-დამაარსებლებს ჰქონდათ ხედვა იმის შესახებ, თუ როგორი განათლება უნდა მიეცათ მოქალაქეებისთვის. **ბენჯამინ რაში** (Benjamin Rush) მხარს უჭერდა კლასიკური რესპუბლიკური განათლების სისტემის საჭიროებას. ამით მას სურდა, რომ გაეწყვიტა კავშირი განათლების შესახებ კოლონიურ ხედვასთან. რაშიმა გამოაქვეყნა შეთავაზება პენსილვანიისთვის (1786 წ.) – „საჯარო სკოლების დაარსების გეგმა“ (Plan for the Establishment of Public Schools), რომელსაც თანდართული ჰქონდა ზოგადი მოსაზრებები განათლების შესახებ ამერიკაში. ეს იყო

გზავნილი არა მხოლოდ პენსილვანიისთვის, არამედ დანარჩენი თორმეტი შტატისთვის [Pangle et al. 1993:32]. მეორე გეგმა, რომელიც რაშმა ამავე წელს დაწერა - „აზრები სათანადო განათლების შესახებ რესპუბლიკაში“ (Thoughts Upon the Mode of Education Proper in a Republic), მხარს უჭერდა ერთი განათლების სისტემის ფორმირებას, რადგან მოქალაქეები ევროპის სხვადასხვა სამეფოდან იყვნენ, ხოლო ერთიანი განათლების სისტემა მათ ჰომოგენურს გახდიდა. მისი აზრით, მთავარი ამოცანა ახალგაზრდებში რესპუბლიკური პატრიოტიზმის დანერგვა იყო: მოსწავლეებს ვასწავლოთ, რომ ისინი ეკუთვნებიან არა საკუთარ თავს, არამედ ისინი საზოგადოებრივი საკუთრებანი არიან. ვასწავლოთ მათ ოჯახისადმი სიყვარული, მაგრამ ამავე დროს უნდა შეეძლოთ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ოჯახის დატოვება [Pangle et al. 1993:32]. გარდა ამისა, რაში აღნიშნავს, რომ განათლების მეშვეობით შესაძლებელია კანონმოჩილი, „კარგი მოქალაქეების“ აღზრდა [Rippa, 1969:122]. მიუხედავად იმისა, რომ ბენჯამინ რაში, რომელიც განათლების შესახებ არაერთი ესეს ავტორია, განათლებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ნოა ვებსტერსა და თომას ჯეფერსონს ჰქონდათ [Pulliam et al. 1995:82].

იქიდან გამომდინარე, რომ განათლების მთავარი მიზანი სხვადასხვა კულტურული ფესვების მქონე იმიგრანტების ერთ ერთად გაერთიანება იყო, ამერიკელებისთვის უნდა ესწავლებინათ არა მხოლოდ საერთო ენა, არამედ ერთიანობის ეროვნული გრძნობა და პატრიოტიზმი [Johnson, 1979:270], რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ნოა ვებსტერმა შეიტანა. იგი მიიჩნევდა, რომ საჯარო სკოლებში ისეთი სახელმძღვანელოები უნდა გამოეყენებინათ, რომლებიც ამერიკულ იდენტობას ჩამოაყალიბებდა. ნოა ვებსტერი და მისი ნაშრომები მრავალი წლის განმავლობაში მთავარი საგანმანათლებლო ძალა იყო [Johnson, 1979:270]. მისი აზრით, ეს სახელმძღვანელოები არა მხოლოდ წერა-კითხვას, არამედ კარგ და პატრიოტ ამერიკელს აღზრდიდა, განავითარებდა ამერიკულ ენას, ერთიან ეროვნულ სულს ჩამოაყალიბებდა [Pulliam et al. 1995:50]. აღსანიშნავია, რომ მისი ნაშრომების ადრეულ გამოცემებში ფედერალური კატეხიზმო გვხვდება (Federal Catechism). ანბანის

სასწავლებელ სხვა სახელმძღვანელოებში რელიგიური კატეხიზმო იყო, თუმცა ფედერალური კატეხიზმო შესაძლებელია ვებსტერის ორიგინალურ იდეად მივიჩნიოთ. ამით ვებსტერი მოსწავლეებს ასწავლიდა, თუ რა არის დემოკრატია, კონსტიტუცია და ა.შ. [Spring, 2011:53].

ვებსტერის მიზანი იყო ნაციონალიზმის აღზევება ემოციური პატრიოტიზმის მეშვეობით - მოქალაქის შექმნა, რომელსაც სურვილი აქვს მოკვდეს თავისი ქვეყნისთვის. მისი აზრით, პატრიოტული ამერიკული ეროვნული ერთობა უნდა შექმნილიყო ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება ამერიკულ კულტურულ მახასიათებლებს [Boers, 2007:14-15]. ვებსტერი მიიჩნევდა, რომ არა მხოლოდ სასწავლო გეგმა, არამედ, სახელმძღვანელოებიც მკაცრად ამერიკული უნდა ყოფილიყო, ხოლო ვაშინგტონი უნდა ყოფილიყო პირველი სიტყვა, რომელსაც მოსწავლეები ისწავლიდნენ [Pulliam et al. 1995:82]. ვებსტერის წიგნებში მოთხრობილი იყო „ვაშინგტონის ფეარველის ბრძანება არმიისადმი“, პატრიოტული ლექსები და ამერიკის რევოლუციის ისტორია [Spring, 2011:54]. პატრიოტული აღზრდა, ასევე, გულისხმობდა ეროვნული სიმღერების, ეროვნული ლიტერატურის და ენის, ეროვნული დღესასწაულების სწავლებას, ქვეყნის დროშისადმი პატივისცემას. ნოა ვებსტერმა პატრიოტიზმის წახალისებით ეროვნული კულტურა შექმნა. მისმა მართლწერის წიგნმა, რომელიც ნაციონალისტურ თემებს მოიცავდა, ამერიკის რევოლუციის შემდეგ „ნიუ-ინგლანდის ანბანის წიგნი“ ჩაანაცვლა. ვებსტერის წიგნებმა ერთი საუკუნის განმავლობაში ამერიკული განათლების ბედი განსაზღვრა [Spring, 2011:50-52]. იგი თავის ესეში „ამერიკაში ახალგაზრდების განათლების შესახებ“ (On the Education of Youth in America) აღნიშნავდა, რომ იმდროინდელი სკოლების ერთ-ერთი გაუმართლებელი ნაკლი სათანადო წიგნების არქონა იყო. მოსწავლეები სწავლობდნენ საბერძნეთის, რომისა და დიდი ბრიტანეთის ისტორიას, თუმცა იგი მიიჩნევდა, რომ ამერიკაში ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს და როგორც კი ლაპარაკს დაიწყებს, უნდა იმეორებდეს თავისი ქვეყნის ისტორიას, ადიდებდეს თავისუფლებას, ასევე, იმ გმირებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს,

რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს [Pangle et al. 1993:138]. ვებსტერი ახალგაზრდებს მიმართავდა: გაათავისუფლეთ თქვენი გონება და იმოქმედეთ, როგორც თავისუფალმა ხალხმა. თქვენი ძალისხმევითა და სიბრძნის მეშვეობით მოახდინეთ ეროვნული ხასითის ფორმირება. ამისთვის კი მნიშვნელოვანია ლიბერალური პოლიტიკის გეგმის შემუშავება, რომელიც განათლების სისტემას დაეფუძნება [Pangle et al. 1993:12].

მართალია, ნოა ვებსტერი ლექსიკოგრაფი იყო, მაგრამ მან ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელო დაწერა, რომელიც ამერიკაში დაბეჭდილი ისტორიის პირველ წიგნად შეიძლება მივიჩნიოთ [Lindley, 2022]. ვებსტერის ავტორობით, 1832 წელს „შეერთებული შტატების ისტორია“ გამოიცა, რომელიც იწყებოდა ადამიანის წარმოშობის ისტორიიდან და მთავრდებოდა გენერალ ვაშინგტონის გამოსამშვიდობებელი მიმართვით (General Washington’s Farewell Address, 1796). სახელმძღვანელო მიზნად ისახავდა „კარგი მოქალაქის აღზრდას. შესავალში ვებსტერი აღნიშნავდა, რომ რესპუბლიკური მთავრობა თავის ღირებულებას კარგავს მაშინ, როდესაც მორალური და სოციალური მოვალეობები სათანადოდ არ არის გააზრებული [Webster, 1837:1-8]. რაც შეეხება სწავლების მეთოდს, სახელმძღვანელოს წინათქმაში ვებსტერი მოსწავლეებს ურჩევდა, რომ მთლიანი თავების დამახსოვრების ნაცვლად, ტექსტი შეემცირებინათ და მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტები დაემახსოვრებინათ, ხოლო თითოეულ თავს შეკითხვები ახლავს თან, რომელიც ფაქტების ცოდნას ამოწმებს [Webster, 1832:6].

გარდა ამისა, ნოა ვებსტერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო სკოლის სისტემის განვითარებაში 1810-იან წლებში, როდესაც მასაჩუსეტის საკანონმდებლო ორგანოში მუშაობდა. მან წამოიწყო მოძრაობა საჯარო სკოლებისთვის (Common School Movement), რომელმაც კულმინაციას 1830-იან წლებში მიაღწია ჰორას მანის საქმიანობის დროს (Horace Mann) [Spring, 2011:51], რომელსაც საჯარო სკოლის მამად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ მანი სკოლებში ბიბლიის სწავლებას მხარს უჭერდა, მიიჩნევა, რომ განათლება რელიგიის გავლენისაგან უნდა

გათავისუფლებულიყო და ყურადღება უნდა გაემახვილებინათ მოქალაქეობის სწავლებაზე [Reed, 1993:302].

თომას ჯეფერსონისთვის განათლება და პოლიტიკა ერთმანთისგან განუყოფელი იყო. მისი ადრეული პოლიტიკური ნაშრომები, როგორებიცაა „ბრიტანული ამერიკის უფლებების შემაჯამებელი ხედვა“ (A Summary View of the Rights of British America) და „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ (The Declaration of Independence) თავისი არსით არის როგორც პოლიტიკური, ასევე საგანმანათლებლო, რასაც თავად თომას ჯეფერსონი ადასტურებდა, რომ მას არც ახალი პრინციპები არ აღმოუჩენია, რომლის შესახებაც აქამდე არავის უფიქრია ან უსაუბრია. არც პრინციპების ორიგინალურობისკენ ისწრაფვოდა, არც რომელიმე ნაშრომიდან იყო სიტყვა-სიტყვით აღებული, არამედ მიზნად ისახავდა ამერიკული გონის გამოხატვას, რომლის სული ნაკარნახევი იყო განსაკუთრებული შემთხვევით [Wagoner, 1976:21]. გარდა იმისა, რომ „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიხედვით ამერიკელების ერთ-ერთი ღირებულება თანასწორობაა, ასევე, ეს დოკუმენტი ამერიკულ პატრიოტულ სულს გამოხატავს [შვაიკარტი, 2014:52-53].

თომას ჯეფერსონს სჯეროდა, რომ დემოკრატიული საზოგადოება ვერ იქნებოდა უსაფრთხოდ განათლებული მოქალაქეების გარეშე [Pulliam et al. 1995:82]. განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე კითხვის, წერისა და ანგარიშის უნარების გამომუშავება. დემოკრატი მოქალაქე უნდა იყოს სხვადასხვა საკითხში გათვითცნობიერებული, უნდა ფლობდეს კრიტიკული შეკითხვის დასმის უნარს და გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებდეს. როდესაც განათლებისთვის არ გადაიდგმება დადებითი ნაბიჯები, მაშასადამე ქვეყნის მომავალი საფრთხის წინაშე დადგება [Hartoonian et al. 2013:104]. ჯეფერსონი თავის ნაშრომში „ჩანაწერები ვირჯინიის შტატის შესახებ“ (Notes on the State of Virginia – 1781-1782) განიხილავდა იმას, თუ რა უნდა ესწავლებინათ სკოლაში. მისი აზრით, უმთავრესი საგანი ისტორია უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წარსულის შეფასებით შესაძლებელია მომავლის განსაზღვრა, ამავე დროს, შესაძლებელია სხვა ეპოქის და ქვეყნების გამოცდილების შესწავლა [Rippa, 1969:132].

ჯეფერსონის საგანმანათლებლო გეგმა ორ იდეას მოიცავდა - მოქალაქისა და პოლიტიკური ლიდერის აღზრდას. მის ნაშრომებში განათლების შესახებ იდეალური მოქალაქის პორტრეტი ჩნდება - იგი ხელმძღვანელობს ისტორიის ცოდნით, ის იყენებს მორალურ საღ აზრს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არჩევას [Spring, 2011:57].

ასევე, მამა-დამაარსებლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს სეკულარული განათლების ფორმირება წარმოადგენდა. თომას ჯეფერსონი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მიიჩნევდა, რომ რელიგიას განათლებაზე გავლენა არ უნდა ჰქონოდა. კანონპროექტი, რომელიც თომას ჯეფერსონმა ვირჯინიაში წარადგინა (1779 წ.) ეხებოდა “მეტი ზოგადი ცოდნის გავრცელებას“ (More General Diffusion of Knowledge) და დაკავშირებული იყო რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონპროექტთან. მან წარმოადგინა სეკულარული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით, მოსწავლეებს წერა-კითხვის, არითმეტიკისა და უცხოური ენების გარდა, ანტიკური ისტორია, ბრიტანეთის და ამერიკის ისტორია უნდა ესწავლათ [Butt, 1950:119-120]. მოგვიანებით, ჯეფერსონმა კიდევ ერთი კანონპროექტი წარმოადგინა (1817 წ.), რომლის მეშვეობით იგი ცდილობდა, რომ საჯარო სკოლებზე ყველა რელიგიის კონტროლი ან გავლენა აეკრძალა. ვირჯინიაში აღნიშნული კანონპროექტი რომ მიეღოთ, ის იქნებოდა პირველი შტატი, სადაც საჯარო სასკოლო სისტემა დემოკრატიულ იდეალებთან შესაბამისობაში იქნებოდა [Butt, 1950:121]. პირველი შტატები, რომლებმაც ეკლესიისა და ქვეყნის ერთმანეთისგან განცალკევების გადაწყვეტილება მიიღეს, იყო მასაჩუსეტსი და ნიუ-იორკი. მასაჩუსეტსში 1789 წლის სასკოლო კანონის მიხედვით „ახალი აღთქმა“ ისწავლებოდა სკოლებში, ხოლო მოგვიანებით მიღებული კანონის (1827 წ.) მიხედვით, სკოლებში არცერთი რელიგიური წიგნი არ უნდა გამოეყენებინათ. ნიუ-იორკში 1842 წლის კანონის (The Act of 1842) მიხედვით, ვერც ერთი სკოლა ვერ მიიღებდა დაფინანსებას რომელიმე რელიგიური დოქტრინის სწავლების შემთხვევაში [Butt, 1950:131-135]. შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის შემდეგ რელიგიისა და

სახელმწიფოს განცალკევება კიდევ უფრო მნიშვნელოვან საკითხად იქცა, ხოლო 1900-იანი წლებისთვის ეს გადაწყვეტილება თითქმის ყველა შტატში მიიღეს [Butt, 1950:137].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვებსტერის წიგნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პატრიოტიზმის დამკვიდრებაში, თუმცა XIX საუკუნიდან ღირებულებების დამკვიდრებაში უმთავრესი ისტორია იყო.

ისტორიის, როგორც განცალკევებული საგნის სწავლების დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია, ერთი წყაროს მიხედვით, ისტორიის სწავლება 1810-იანი წლებიდან ბოსტონის ლათინურ სკოლაში (მასაჩუსეტსი) დაიწყო [Russel, 1915:6], ხოლო მეორე წყაროს მიხედვით კი, 1820-იანი წლებიდან [Pierce, 1926:3]. თუმცა, ცნობილია, რომ მასაჩუსეტსში 1827 წელს მიღებულმა კანონმა გაზარდა ისტორიის სწავლების მნიშვნელობა. ამ კანონის მიხედვით, ყველა დიდ თუ პატარა ქალაქში, სადაც ხუთასზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა, უნდა ჰყოლოდათ მასწავლებლები, რომლებიც შეასწავლიდნენ სხვადასხვა საგანს, მათ შორის, შეერთებული შტატების ისტორიას. სამოქალაქო ომის პერიოდისთვის კი ისტორიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საშუალო სკოლების სასწავლო გეგმაში [Russel, 1915:6-7]. პირველი შტატები, სადაც ზემოთ აღნიშნული კანონი ვრცელდებოდა და ისტორიის სწავლება სავალდებულო გახდა, იყო მასაჩუსეტსი და ვერმონტი, ხოლო 1857 მასაჩუსეტსში შეერთებული შტატების ისტორიის სწავლება დაწყებითი სკოლიდან იყო შესაძლებელი [Pierce, 1926:6-7]. 1860-იანი წლებისთვის მხოლოდ ექვს შტატში მიიღეს კანონი (მასაჩუსეტსი, ვერმონტი, ნიუ ჰემფშირი, როდ აილენდი, ვირჯინია, კალიფორნია), რომელიც სოციალური მეცნიერებების სწავლებას მოითხოვდა [Pierce, 1926:9].

ისტორიის სწავლების მიზნები, როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე მომავალი თაობების პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდა იყო. ახლად შექმნილ ქვეყანაში, სადაც ახალი სამთავრობო ექსპერიმენტი მუშავდებოდა, საჭირო გახდა ამერიკელებისთვის სამოქალაქო განათლების სწავლება. ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორის, ჩარლზ ა. გუდრიჩის (C. A. Goodrich) აზრით, არ ჰქონდა მნიშვნელობა მოქალაქეები რა სახით იქნებოდნენ

ჩართული სამთავრობო საქმიანობაში. მათ მეტნაკლებად უნდა სცოდნოდათ პოლიტიკის მეცნიერება, ხოლო საუკეთესო გზა ისტორიის სწავლება იყო. მასაჩუსეტსის შტატში ისტორიის მნიშვნელობა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1820-30-იან წლებში, რადგან ჯექსონისეული დემოკრატიის პერიოდი იყო [Russel, 1915:16], რაც დემოკრატიული პრინციპების ხელახალ დამკვიდრებას გამოხატავდა [Perry, 1944:9].

სახელმძღვანელოების ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ისტორიის სწავლება მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, ჯ. მორსის და ე. პერიშის (J. Morse and E. Parish) აზრით, ყველა ადამიანი უნდა ფლობდეს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გარკვეულ ცოდნას. ეს მნიშვნელოვანია ნამდვილი პატრიოტიზმის არსებობისთვის [Gribbin, 1972:342].

სამოქალაქო ომის შემდეგ დაბეჭდილ სახელმძღვანელოებში ხაზგასმით იყო გადმოცემული ინფორმაცია ამერიკული ომებისა და ამერიკელი გმირების შესახებ [Svobodny, 1985:183], რაც, ვფიქრობ, მიანიშნებს იმაზე, რომ ავტორების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი პატრიოტიზმის დამკვიდრება იყო. მაგალითად, სამოქალაქო ომის დასასრული ასე არის აღწერილი - ამერიკელმა ხალხმა სამოქალაქო ომის დროს გამოავლინა პატრიოტული ენერჯია [Seavey, 1867:241].

ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოები შეერთებულ შტატებში იყო ჩარლზ ა. გუდრიჩის (C. A. Goodrich) ისტორიის წიგნები, რომლებიც იბეჭდებოდა 1820-50-იან წლებში [Russel, 1915:13]. ასევე, სამოქალაქო ომის შემდეგ, 1867 წელს გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელო „შეერთებული შტატების ისტორია“ ეყრდნობა ჩარლზ ა. გუდრიჩის წიგნს. წიგნში ძირითადად აღწერილი არის ომები და გენერლების გმირული ბრძოლა. სახელმძღვანელოში დეტალურად წერია ამერიკის რევოლუციის, 1812 წლის ომისა და სამოქალაქო ომის მოვლენების შესახებ. წიგნს ახლავს ისეთი პირველადი წყაროები, როგორებიცაა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, შეერთებული შტატების კონსტიტუცია. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს თან ახლავს შეერთებული შტატების ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ჩამონათვალი


ქრონოლოგიურად, წიგნში დანართის სახით აღნიშნულია, რომ ქრონოლოგია ისტორიის „თვალა“, თუმცა მოსწავლეებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ ყველა ფაქტის დამახსოვრება, ვინაიდან მათ ერთმანეთთან დაუკავშირებელი თარიღები დიდხანს ვერ დაამახსოვრდებათ. ამა თუ იმ მოვლენის არა თარიღის, არამედ მისი მნიშვნელობისა და შედეგების ცოდნა, ხოლო მოსწავლეებისთვის კითხვების დასმა და თხრობა არ უნდა ყოფილიყო მექანიკური რუტინა. დანართში, ასევე, აღნიშნულია, რომ მასწავლებლებს მოსწავლეებისთვის კვლევითი დავალება „ისტორიული კვლევა“ (Historical Investigation) უნდა მიეცათ, რაც გულისხმობდა მაგალითად, ისტორიული მოვლენის სხვადასხვა თვალთახედვით დანახვას [Seavey, 1867:327-328]. დღესდღეობით შეერთებულ შტატებში აქტუალურია ისტორიის მულტიპერსპექტიული შესწავლა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს რომ XIX საუკუნეში ისტორიის ამგვარ სწავლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, რაც ნათლად ჩანს დავალებაში „ისტორიული კვლევა“.

მოსწავლის ცოდნა თითოეული საკითხის ბოლოს მოცემული შეკითხვებით მოწმდებოდა. მაგალითად, პირველი ეროვნული სიმბოლო (დროშა), რომელიც ამ სახელმძღვანელოში არის აღწერილი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1777 წელს შექმნეს დროშა, რომელზეც 13 ჰორიზონტალური და 13 წრიულად განლაგებული ვარსკვლავი იყო (იხ. სურათი 1).



სურათი 1 (1777 წლის დროშა)

თუმცა, ომის დაწყებამდე, მაშინ, როდესაც კავშირის შეკვრის იდეა მწიფდებოდა, ჰქონდათ დროშა, სადაც გამოსახული იყო დანაწევრებული გველის (Joint - snake Flag) გამოსახულება, თითოეულ ნაწილს ეწერა ქვეყნის სხვადასხვა მხარის სახელი, ასევე, სიტყვები - გაერთიანდი ან მოკვდი. ტექსტის ბოლოს დასმულია შეკითხვა: რა არის ნათქვამი ამერიკის დროშის შესახებ? (იხ. სურათი 2) [Seavey, 1867:130].



სურათი 2 (დანაწევრებული გველის

დროშა)

ისტორიის სახელმძღვანელო არ გამოირჩეოდა სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებით. ადრეულ პერიოდში ისტორიის სწავლებისთვის გამოიყენებოდა სახელმძღვანელო მეთოდები (The Text-book Methods), რაც გულისხმობდა წიგნში მოცემული ინფორმაციის სიტყვა-სიტყვით მოყოლას. ასევე, კითხვა-პასუხის მეთოდი (The Catechetical Method). სახელმძღვანელოში თითოეულ თავს თან ახლდა შეკითხვები, რისი მეშვეობითაც მოსწავლეების ცოდნას ამოწმებდნენ [Russel, 1915:20].

ამგვარად, კოლონიური პერიოდის განათლება მრავალფეროვანი იყო, რასაც რელიგიური მრავალფეროვნება განაპირობებდა, ხოლო სახელმძღვანელოების შინაარსი კოლონიური განათლების ძლიერ რელიგიურ და ავტორიტარულ ბუნებას ასახავდა [Spring, 2011:19]. კოლონიურ პერიოდში მკვიდრდებოდა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა პატრიოტიზმი და ერთგულება, ბრძოლა პირადი წარმატებისთვის და ა.შ. ხოლო რევოლუციის შემდგომი განათლება სეკულარული

გახდა. მის მიზანს მულტიკულტურული საზოგადოების ამერიკანიზაციას, ნაციონალიზმისა და ქვეყნისადმი ერთგულების გრძნობის გაღვივება წარმოადგენდა, რაშიც ისტორიის სწავლებას მთავარი როლი ეკისრებოდა. ყოველივე ეს 1830-იანი და 60-იანი წლების ისტორიის სახელმძღვანელოებში აისახა [Spring, 2011:47].

XVIII საუკუნიდან 1890-იან წლებამდე ისტორიის სწავლება სკოლებში ამერიკის რევოლუციის გმირების, ახალი სამყაროს აღმოჩენის, სხვადასხვა ამბის მეშვეობით პატრიოტიზმის დამკვიდრებას გულისხმობდა. სასწავლო მასალა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების ერთობლიობა იყო, ხოლო სწავლებისთვის გამოიყენებოდა მხოლოდ კითხვა-პასუხისა და მოცემული ინფორმაციის დაზეპირების მეთოდები [Evans, 2004:5]. XIX საუკუნეში სკოლებში ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გაიზარდა. ისეთი ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ ენდრიუ უაითი (Andrew White), ჰერბერტ ბაქსტერ ადამსი (Herbert Baxter Adams), ჩარლზ კენდალ ადამსი (Charles Kendall Adams) მიიჩნევდნენ, რომ ისტორიის ცოდნის ღირებულება არის ინდივიდის გაძლიერება, ასევე, ის გონებას ხდის სხარტს, აფართოებს ჰორიზონტს და სულს სიღრმეს ანიჭებს. მათთვის ისტორია იყო ფანჯარა, რომელითაც წარსულის დანახვაა შესაძლებელი, ამავე დროს ის არის კარი მომავლისკენ და ვინც ისტორიას სათანადოდ შეისწავლის, ყოველდღიური ცხოვრების გაკვეთილებს მიიღებს. ამგვარად, ისტორიის პოპულარიზაციისკენ მიმართული მოძრაობა უნივერსიტეტის ისტორიკოსებს შორის დაიწყო იმ დროისთვის, როდესაც „ამერიკული ისტორიული ასოციაცია“ დაარსდა (American Historical Association – 1884) [Evans, 2004:5-6], ხოლო აღნიშნულმა ასოციაციამ შექმნა “ათთა კომიტეტი“, რომლის მიზანი ისტორიის სწავლების გაუმჯობესება იყო, რაც მომდევნო ქვეთავშია განხილული.

1.2. სასწავლო გეგმის რეფორმა და პროგრესივიზმის გავლენა ისტორიის სწავლებაზე 1910-30-იანი წლების შეერთებულ შტატებში

განათლებაში 1890-იანი წლები ცვლილებებსა და ტრანსფორმაციის დასაწყისს უკავშირდება. ხოლო XX საუკუნის დასაწყისისთვის ახალი სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმა შეიქმნა, რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა „მოქალაქეობის“ გაგება. პროგრესულმა პერიოდმა მოიტანა საგანმანათლებლო ცვლილებები, რაც გულისხმობდა სოციალური მეცნიერებების კურსის გაფართოებას, ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენებას, სოციალური კვლევების სასწავლო გეგმის შექმნას დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის [Bohan, 2003:74].

1890-იან წლებში „განათლების ეროვნულმა ასოციაციამ“ (The National Education Association – NEA), როგორც პირველ ქვეთავში აღვნიშნე შექმნა „ათთა კომიტეტი“ (Committee of Ten), რომელსაც უნდა გადაეხედა ყველა სასკოლო სასწავლო გეგმისთვის, მათ შორის, ისტორიის. კომიტეტის რეკომენდაციით ისტორიის სწავლებას მეტი დრო უნდა დათმობოდა - მე-5 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, ხოლო ამერიკის ისტორია მე-7 და მე-11 კლასებში უნდა ესწავლებინათ. კომიტეტი ერთიანი პროგრამის ქონას არ მოითხოვდა. მიიჩნევდნენ, რომ ისტორიის სწავლა ღირებულია, ვინაიდან ის გონებას ავარჯიშებს, აყალიბებს „გონებრივ ძალას“, რათა განსაჯოს, შეადაროს და დაინახოს კავშირი გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს შორის. ისტორია მოიცავს გონის, მოტივების, პერსონაჟების შესწავლას და მოითხოვს ისეთი უნარის ქონას, როგორცაა ანალიზი. გარდა ამისა, კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ისტორია გვასწავლის მორალს, რადგან როგორც ერის, ასევე პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომები და განცდილი კრახი გაფრთხილება არის (Evans, 2004:6-9).

ასევე, კომიტეტის რეკომენდაცია იყო სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, რაც გულისხმობდა დისკუსიებისა და დებატების წახალისებას. გარდა ამისა, მოსწავლეებს უნდა წაეკითხათ ისტორიული ლიტერატურა, პოემები, ისტორიული ნოველები და ბიოგრაფიები (Evans, 2004:9).

„ამერიკულმა ისტორიის ასოციაციამ“ „განათლების ეროვნული ასოციაციის“ მოთხოვნით „შვიდთა კომიტეტი“ შექმნა (1896 წ.). კომიტეტის მოხსენება ეფუძნებოდა კვლევას, რომელიც საშუალო სკოლებს ეხებოდა. კვლევის მიხედვით, სასწავლო გეგმა ქაოსური იყო. კომიტეტის რეკომენდაციით, ისტორია უნდა დაეყოთ ოთხ ნაწილად - ანტიკური, შუა საუკუნეების, თანამედროვე და ამერიკის, ხოლო მასწავლებლებს მოუწოდებდნენ, რომ სწავლების დროს „ისტორიულად ფიქრის“ (Thinking Historically) უნარის გამომუშავებაზე, ამბის თხრობასა და მნიშვნელოვან ასპექტებზე გაემახვილებინათ ყურადღება, მოსწავლეებში ინტერესი გაეღვიძებინათ (Evans, 2004:11). ისტორიის სწავლება მოსწავლეებს დაეხმარებოდა სოციალური და პოლიტიკური პრობლემების დაძლევაში, რომლებსაც შესაძლოა ყოველდღიურად წააწყდნენ, მზად იქნებიან სოციალური ადაპტაციისთვის და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვისთვის [Evans, 2004:12].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, ისტორია უნდა დაყოფილიყო ოთხ ნაწილად, მესამე ნაწილი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ისტორია და უნდა ესწავლებინათ ინგლისის ისტორია, ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების კავშირისა და მისი ისტორიული ფესვების გამო. მეოთხე ნაწილი უნდა ყოფილიყო ამერიკის ისტორია, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო იმ მნიშვნელოვანი მოვლენების როლის შესწავლა, რომლებმაც ქვეყანა შექმნა და ასევე, დემოკრატიული იდეების შესწავლასაც ისახავდა მიზნად. უფრო მეტიც, განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდა, რაც სოციალური პრობლემების შესწავლით იყო შესაძლებელი [Evans, 2004:13]. ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის ზრდამ დაანახა კომიტეტის წევრებს, რომ უკეთესი განათლების მიცემა ბავშვებისთვის აუცილებელი იყო, რათა მათ დაენახათ ძირეული ცვლილებები ქვეყანაში, რაც კარგ მოქალაქეებად აღზრდას შეუწყობდა ხელს. რეფორმატორები მიიჩნევდნენ, რომ მოქალაქეობის სწავლების უფრო მეტად განვითარება შესაძლებელი იქნებოდა დაწყებით სკოლაში სოციალური

მეცნიერებების სასწავლო გეგმის და არა შეერთებული შტატების ისტორიის ტრადიციული სწავლებით [Slekar, 2001:64].

აღნიშნული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი იყო ჯონ დიუი (John Dewey). იგი აკრიტიკებდა მაშინ არსებულ სასკოლო სისტემასა და ისტორიის სწავლებას. დიუი მიიჩნევდა, რომ ისტორიის სწავლება უფრო მეტად ფუნქციური უნდა გამხდარიყო, რაც შესაძლებელი იქნებოდა წარსულის აწმყოსთან დაკავშირებით. წარსულში მომხდარი მოვლენების აწმყოსგან განცალკევება შეუძლებელია, ვინაიდან ისტორიის რეალური დასაწყისი არის აწმყო თავის პრობლემებთან ერთად [Evans, 2004:22]. თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი ამ მოსაზრებას არ იზიარებდა და მიიჩნევდა, რომ სასწავლო გეგმის შედგენა აწმყოში მომხდარი მოვლენების მიხედვით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მოვლენები მუდმივად ცვალებადია. აქედან გამომდინარე, ზოგი ისტორიკოსი ტრადიციული სასწავლო გეგმის მეშვეობით სწავლებას ემხრობოდა [Evans, 2004:23].

დიუისგან განსხვავებით, კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, დევიდ ს. სნედენი (David S. Snedden) უფრო მძაფრად აკრიტიკებდა ისტორიის ტრადიციულად სწავლებას და მიიჩნევდა, რომ განათლების მთავარი მიზანი სოციალური კონტროლი და სათანადო სოციალური ქცევის ჩამოყალიბება იყო, რითაც ბავშვები საზოგადოების საჭიროებებს მოერგებოდნენ [Evans, 2004:22].

1913 წელს სოციალური კვლევების კომიტეტმა მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ისტორიის სასწავლო გეგმა უფრო ფართო სახელწოდებით უნდა შეცვლილიყო და სოციალური მეცნიერებები უნდა დარქმეოდა, რომლის მიზანი იქნებოდა „კარგი მოქალაქის“ აღზრდა. ამ დროს წარმოადგინეს ახალი სასწავლო გეგმა, რომელმაც „შვიდთა კომიტეტის“ მიერ შედგენილი სასწავლო გეგმა ჩაანაცვლა. ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლების დროს მოსწავლეების საჭიროებები და ინტერესები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული [Evans, 2004:23].

სოციალური კვლევების ანგარიშის (Report on Social Studies) მიხედვით, ისტორიის სწავლებისას მეტი ყურადღება ანტიკურ და შუა შაუკუნების ისტორიას ეთმობოდა,

ნაცვლად ამისა, ევროპის ისტორიის სწავლებისთვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. აღნიშნულ ანგარიშში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ ჯეიმს ჰარვი რობინსონის (James Harvey Robinson) „ახალი ისტორიით“ (New History) უნდა ესწავლებინათ და ჯონ დიუის სწავლების მეთოდები გამოეყენებინათ. თუმცა, ანგარიშის ავტორებმა ვერ შეძლეს პრაქტიკული მაგალითების მოშველიება, რაც ისტორიის სწავლებაში ცვლილებებს უფრო დააჩქარებდა. [Evans, 2004:26].

გარდა ამისა, ისტორიის მიზანი უნდა ყოფილიყო ამერიკული ეროვნების (American Nationality) ნათელი კონცეფციის, ძლიერი პატრიოტიზმისა და პასუხისმგებლობის მძაფრი გრძნობის განვითარება. კომიტეტის რეკომენდაციამ ასევე აღნიშნული იყო, რომ **თემატური მეთოდისა (Topical Method) და პრობლემის გადაჭრის მეთოდი** უნდა გამოეყენებინათ. სოციალური კვლევები, როგორც ინტეგრირებული და პრობლემებზე დაფუძნებული კვლევითი სფერო, პირდაპირ იყო დაკავშირებული მელიორისტული პროგრესული განათლების მოძრაობასთან. ჯონ დიუი სკოლას განიხილავდა ადგილს, სადაც აღზრდიდნენ ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც ჰარმონიული საზოგადოების ფორმირებას შეუწყობდნენ ხელს. ხოლო მასწავლებლები იქნებოდნენ აგენტები, რომლებიც სოციალურ ცვლილებებს, განახორციელებდნენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური რეკონსტრუქციონისტები იქნებოდნენ [Evans, 2004:27].

ჯონ დიუი დაინტერესებული იყო ლაბორატორიული სკოლების შექმნით, სადაც პედაგოგიკურ იდეებს პრაქტიკული გამოყენება ექნებოდა. მისი საგანამანათლებლო საქმიანობა ეფუძნებოდა ისეთი განათლების თეორეტიკოსების მოსაზრებებს, როგორებიც იყვნენ იოჰან პესტალოცი (Johann Pestalozzi), ფრედერიკ ფრობელი (Frederich Froebel), იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტი (Johann Friedrich Herbart). მათ მსგავსად, დიუი მიიჩნევდა, რომ ბავშვები სწავლობენ კეთებით, სწავლობენ იმ გარემოსგან, სადაც ისინი ცხოვრობენ [Button et al. 1983:205-206]. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები ჯგუფურ მუშაობაში და თანამშრომლობას სწავლობენ, რაც ნიშნავს იმას,

რომ სკოლას ახალი სოციალური ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რათა მოსწავლეებს დახმარებოდა საზოგადოებასთან შეგუებაში [Spring, 2011:252].

დიუი თავის ნაშრომში „სკოლა და საზოგადოება“ (The School and Society, 1899) წერდა, რომ კულტურისა და საზოგადოების ცვლილებები მოითხოვდა სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდების განვითარებას, რომელიც ახალი საზოგადოების მოთხოვნილებებს უპასუხებდა. დიუი ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ სწავლებას სახელმძღვანელოების გამოყენებით, ნაცვლად ამისა, იგი მხარს უჭერდა ისეთ სწავლებას, რომელიც ბავშვის ინტერესებზე იყო ორიენტირებული [Button et al. 1983:206].

პროგრესივიზმმა ტრადიციული საგნები შეცვალა, სკოლებში აღარ იყო ისეთი საგნები, როგორებიცაა ისტორია და სახელმწიფო მართვა, მათ ნაცვლად სოციალური მეცნიერებები გაჩნდა [შვაიკარტი და სხვები, 2014:415] „პროგრესული განათლების ასოციაცია“ (The Progressive Education Association), რომელიც ფუნქციონირებდა 1910-1950-იან წლებში, მიზნად ისახავდა განათლების რეფორმების კოორდინირებას და პროგრესული განათლების თეორიის ავტორის, ჯონ დიუის შეხედულებებს გავრცელებას. განათლების სისტემის რეფორმის გატარებაში, იგულისხმებოდა საგანმანათლებლო პროცესიდან რელიგიის ჩამოშორება. ასევე, განათლების მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო არა რაიმეს დაზეპირება, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება [შვაიკარტი და სხვები, 2014:411]. სწორედ კავშირი განათლებასა და პიროვნულ გამოცდილებას შორის არის ჯონ დიუის თეორიის ერთ-ერთი პრინციპი. დიუისთვის გამოცდილება განათლების საფუძველი არის, თუმცა მოგვიანებით (1938 წ.) იგი აღნიშნავდა: „რწმენა იმისა, რომ ჭეშმარიტი განათლების მიღება გამოცდილების მეშვეობით არის შესაძლებელი, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სახის გამოცდილება ჭეშმარიტად და თანაბრად საგანმანათლებლო არის. გამოცდილება და განათლება არ შეიძლება, რომ პირდაპირ ერთმანეთს გაუტოლდეს“ [Webb et al. 1992:208].

ასევე, განათლებას სოციალური ფუნქცია აქვს, იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით შესაძლებელია სოციალური პროგრესის მიღწევა (აბდალაძე და სხვები, 2017:21). დიუის იდეები განათლებაში დღესაც აქტუალურია, კერძოდ კი:

1. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კონრეტულ საკითხებზე; მოქნილი სასწავლო გეგმა;
2. კრიტიკული აზროვნების განვითარება;
3. ინდივიდუალიზაცია;
4. დემოკრატიზაცია;
5. უპირატესობის მინიჭება არა სახელმძღვანელოებისთვის, არამედ რესურსებისთვის;

დიუი მიიჩნევდა, რომ ბავშვები აქტიურები და ცნობისმოყვარეები არიან, ამიტომ მასწავლებელი მხოლოდ ცოდნის გამავრცელებელი კი არ უნდა იყოს, არამედ მასწავლებელი არის მრჩველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, რომ სწავლის პროცესი იყოს კვლევითი ხასიათის [შვაიკარტი და სხვები, 2014:416]. ასეთი მასწავლებელი მოსწავლისთვის წარმოადგენს არა ავტორიტეტს ან ცოდნის გამავრცელებელი, არამედ, მასწავლებელი არის გიდი ან ხელმძღვანელი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება გამოცდილების მიღებაში. დიუი მიიჩნევდა, რომ ჯგუფური მუშაობა და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია. მასწავლებელი არის თანამშრომლობითი პარტნიორი, რომელიც ჯგუფთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს. გარდა ამისა, იგი ყოველთვის დაინტერესებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური განვითარებით [Webb, 1992:208].

რაც შეეხება დიუის შეხედულებებს ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით, იგი ნაშრომში, „დემოკრატია და განათლება“ (1916 წ.) წერს, რომ ისტორია არის ტიპურად ინფორმაციული სასწავლო საგანი სკოლებში და მისი მოცულობა იმდენად დიდია, რომ მოსწავლეები ვერ სწავლობენ იმას, თუ სინამდვილეში რას გამოხატავს ისტორია. თუ ისტორია ისწავლება, როგორც მზა მასალა, მაშასადამე სახელმძღვანელოში მოცემული მოვლენები იქცევა წარსულში მომხდარ გაუცხოებულ მოვლენებად და მას

არანაირი კავშირი არ ექნება გამოცდილებასთან. დიუი მიიჩნევდა, რომ ასეთი სწავლების შემთხვევაში მოსწავლეს აქვს ცალკე დაგროვებული ინფორმაცია, რომელიც მოსწავლის გონებას მოქნილს ვერ ხდის [დიუი, 1916:211-217]. ისტორია არის ფაქტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სოციალური ჯგუფების ქმედებებს, ასევე, განცდებს, ხოლო მომავალი თაობები მათ ცხოვრებას აგრძელებენ. ისტორიის შესწავლა კი ნიშნავს იმას, რომ მოსწავლემ თაობებს შორის კავშირის აღქმის უნარი შეიძინოს [დიუი, 1916:212-214].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისტორიის სწავლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მისი დაკავშირება პირად გამოცდილებასთან და ცხოვრებასთან. აქედან გამომდინარე, დიუი მიიჩნევს, რომ შეერთებული შტატების ისტორია უნდა ისწავლებოდეს აწმყოს გადმოსახედიდან. მართალია, ისტორია წარსულში მომხდარ მოვლენებს ასახავს, მაგრამ მისი შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მისგან გამოცდილებას ვიღებთ. მისი აზრით, „ისტორია არის აწმყოს გასაღები“, რაც ნიშნავს იმას, რომ წარსულში მომხდარი მოვლენების აწმყოსგან განცალკევება და ამავე დროს ამ მოვლენების მნიშვნელობის შენარჩუნება შეუძლებელია. აწმყოში არსებული პრობლემების საფუძველი წარსულში უნდა ვეძებოთ [დიუი, 1916:218].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიუი მიიჩნევს, რომ ისტორია სწავლის პროცესში ეთიკურ ღირებულებას იძენს. ადამიანი იაზრებს წარსულის ზნეობრივ გაკვეთილებს იმისათვის, რათა ცხოვრება მოაწესრიგოს. ისტორიის შესწავლით შესაძლებელია აწმყოს სოციალური სიტუაციის ინტელექტუალური გაგება, რომელშიც მონაწილეობას ინდივიდები იღებენ [დიუი, 1916:218].

ამგვარად, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე ისტორია ისწავლებოდა „ათთა“ და „შვიდთა“ კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით [Evans, 2004:19], რაც არის პროგრესული პერიოდის დასაწყისი განათლებაში. პროგრესულმა პერიოდმა შეცვალა ტრადიციული სწავლების მეთოდები და ხედვა იმისა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიის სწავლება.

გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიუი თავის ნაშრომში „განათლების ნაციონალიზაცია (Nationalizing Education, 1916), აღნიშნავდა, რომ განათლება უნდა გამოვიყენოთ ეროვნული იდეის განსახორციელებლად, რაც არის დემოკრატია. მრავალფეროვანი მოსახლეობა უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთ ერად, მომხდარიყო მათი ამერიკანიზაცია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი განათლებას უნდა ჰქონოდა [Dewey, 1916].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კარგ მოქალაქედ აღზრდას მიზნად ისახავდა დაწყებითი სკოლის სოციალური კვლევების სასწავლო გეგმა, რომელიც 1930-იან წლებში კიდევ უფრო განავითარა პროფესორმა პოლ ჰანამ (Paul Hanna). ჰანას სასწავლო გეგმა ცნობილი იყო, როგორც “გარემოს გაფართოების“ (Expanding Environments) მიდგომა. ეს მიდგომა იმგვარად იყო შექმნილი, რომ მოსწავლეს უჩნდებოდა განცდა ეკონომიკური პრობლემებისა, რაც „დიდმა დეპრესიამ“ მოიტანა [Slekar, 2001:64].

“გარემოს გაფართოების“ სასწავლო გეგმამ ჩაანაცვლა შეერთებული შტატების შექმნის ისტორია, რომელიც დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. ამბები ამერიკელი გმირების შესახებ, ასევე, ამერიკის ადრეული ისტორია მეხუთე კლასამდე სისტემატიურად აღარ უნდა ესწავლებინათ. ისტორიის ამგვარმა სწავლებამ უარყოფითი შედეგები მოიტანა, რასაც ცხადყოფს ჩვიდმეტი წლის მოსწავლეების საგანმანათლებლო პროგრესის ეროვნული შეფასება ისტორიაში (NAEP – National Assessment of Educational Progress). აქედან გამომდინარე, დაიწყო დებატები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რათა მოსწავლეებს დახმარებოდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორიის სწავლებაში. კონსერვატორი პოლიტიკოსები მოითხოვდნენ სასწავლო გეგმაში დაებრუნებინათ ამერიკელი გმირებისა და შეერთებული შტატების შექმნის ისტორიის საკითხები. ხოლო, ლიბერალი პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ისტორიის ამგვარი სწავლება არ გამოხატავდა ამერიკული გამოცდილების მულტიკულტურულ ბუნებას. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ყველა ეთნიკური ჯგუფი. მიუხედავად

აზრთა სხვადასხვაობისა, საკითხი, რომლის შესახებაც თანხმდებოდნენ იყო ის, რომ ისტორიის სწავლებას სოციო-კულტურული და პოლიტიკური მიზნები უნდა ჰქონოდა. ისტორიის სწავლებას უნდა დაენერგა სამოქალაქო ღირებულებები, როგორცაა ქვეყნის სიყვარული, პატრიოტული სულის ჩამოყალიბება, განსხვავებულისადმი პატივისცემა, თუმცა რჩებოდა შეკითხვა - ეს მართლა ისტორიის შესწავლაა? ზოგიერთები მიიჩნევდნენ, რომ არა, ამიტომ გრძელდებოდა განხილვა, თუ რა არის ისტორიის სწავლების დისციპლინური გაგება და როგორ შეიძლება მისი წარმართვა სკოლებში [Slekar, 2001:64-65].

ამგვარად, „გარემოს გაფართოვების“ სასწავლო გეგმამ ჩანაცვლა ისტორია ამერიკული ერის ფორმირების შესახებ, რაც დაწყებითი განათლების სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო. სასწავლო გეგმა აღარ ასწავლიდა ბავშვებს ისტორიებს ამერიკელი გმირებისა და ერის მიღწევების შესახებ. ამის ნაცვლად, გამოჩნდა რამდენიმე დაუკავშირებელი სურათი "სადღესასწაულო ისტორიის" (Holiday History) მცირე ჩანართების სახით, რაც ასახავდა ამერიკის ისტორიის სწავლების ფრაგმენტულ მიდგომას დაწყებით სკოლაში. მეხუთე კლასამდე ბავშვები აღარ სწავლობდნენ ამერიკის ადრეული ისტორიის სრულ ამბავს. ასეთი სასწავლო გეგმა, ფაქტობრივად დღემდე უცვლელად რჩება [Slekar, 2001:64-65].

1.3. სასკოლო რეფორმა და ღირებულებების დამკვიდრება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში

„დიახ, 1918 წლის 26 მაისის აქტით დაიწყო დიადი, ისტორიული ხანა საქართველოს ერის ცხოვრებაში. აი ამით იყო იგი ძლიერი, ამით იყო იგი მიმზიდველი და დაუძლეველი“ - ეს არის ფრაზა, რომელიც გვხვდება ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში [თავისუფალი საქართველო, 1921:3]. სწორედ პირველი რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება. ამ ხანიდან დაიწყო მრავალი რეფორმის განხორციელება, რაც

განათლებლასაც ეხებოდა. უპირველეს ყოვლისა,, უნდა აღინიშნოს, თუ რა ღირებულებებზეა საუბარი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში. მასში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“ [საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918]. 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს ეყრდნობა 1921 წლის კონსტიტუცია, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოში აღიარებული იყო, როგორც პროგრესული დოკუმენტი [საქართველოს ეროვნული არქივი, 2025]. პირველი რესპუბლიკის ხანა ხასიათდებოდა არადისკრიმინაციული პოლიტიკით, რაც კონსტიტუციაში ასახეს დამფუძნებელმა მამებმა. კონსტიტუციის მიხედვით, იკრძალებოდა წოდებრივი დაყოფა და სქესთა შორის თანასწორობას უზრუნველყოფდა [ავალიანი, 2021:96]. მაშასადამე, აქ ნათლად ჩანს დემოკრატიული ღირებულებები.

თუმცა, სანამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდს განვიხილავ, მანამდე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია წინა პერიოდის განათლების, კერძოდ კი, ისტორიის სწავლების პრობლემების განხილვა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებული „სჯულდება“ ანუ „ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი XIII-ისადმი მირთმეული 1799 წელს“ მნიშვნელოვან ყურადღებას განათლებას უთმობდა. „სჯულდება“ განათლების იურიდიულ დოკუმენტად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლებისა და სხვა სასწავლებლების დაარსებას, რომლებსაც განათლების მოხელეები უხელმძღვანელებდნენ და ამასთანავე ხელქვეითებიც ეყოლებოდათ. ყოველივე ამას კი განათლების სისტემა ეწოდება, თუმცა ეს იდეა არ განხორციელდა, ვინაიდან რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა წართვა (1801 წლიდან) [ჭკუასელი, 2020:153-154], ამასთანავე, მუდმივად ცდილობდა ქართველი ხალხისთვის ღირებულებების წართმევასაც, ეროვნული შუღლის გაღვივებას. ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის წართმევას კი მოჰყვა წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე

ჩატარების აკრძალვა, რამაც გამოიწვია რუსული ენის დამკვიდრება არა მხოლოდ მმართველობის ორგანოებში, არამედ სასწავლო დაწესებულებებშიც [მინასოვი, 2019:44]. რუსული რეჟიმი განათლების მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა [ლორთქიფანიძე, 2012:83], ვინაიდან განათლებას იყენებდნენ, როგორც კონტროლის მექანიზმს და ქართველი ხალხის ცნობიერების შეცვლას ისახავდნენ მიზნად [ჭკუასელი, 2020:154].

ამ რეჟიმის წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოხდა (მაგალითად, 1812 წლის აჯანყება კახეთში, ანტირუსული აჯანყება 1819-1820 წლებში, ქართველ პატრიოტთა ფარული საზოგადოება და აჯანყების მცდელობა 1832 წელს), რასაც დამოუკიდებლობის მოპოვება არ მოჰყოლია, თუმცა 1860-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა [ლორთქიფანიძე, 2012:22-59]. თერგდალეულთა (სამოციანელები) საქმიანობა ემსახურებოდა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას განათლების მეშვეობით და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ნიადაგი მოამზადა [ჭუბინიძე, 2019:62]. მათ არა მხოლოდ ქართული ენის გადარჩენა შეძლეს, არამედ მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ხელს უწყობდნენ ისეთი ღირებულების დამკვიდრებას, როგორც არის პატრიოტიზმი და დემოკრატიული აზროვნება, რომლის შესახებაც ხშირად საუბრობდნენ. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევდნენ, რომ განათლების მიზანი „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა უნდა ყოფილიყო [ჭკუასელი, 2020:149].

იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამდა ისეთი ღირებულების გაღვივების მნიშვნელობას, როგორცაა პატრიოტიზმი. იგი გაზეთ „ივერიაში“ წერდა, რომ მამულის სიყვარული, პატრიოტიზმი ერის წარმატების ძირითადი პირობა არის, ქვეყანას რაც უფრო მეტი ერთგული მამულიშვილი ჰყავს, უფრო სწარაფად ვითარდება. ამავე დროს, გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ეროვნული და სოციალური საკითხები, მართალია, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და იმდროინდელი ინტელიგენცია ორივეს ყურადღებას უთმობდა, თუმცა ეროვნული საკითხი მათთვის

უფრო მნიშვნელოვანი იყო [ლორთქიფანიძე, 2012:82-85]. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამდა ისტორიის სწავლების მნიშვნელობას. მართალია, 1860-იან წლებში ისტორია მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა [სიგუა, 1950:67], თუმცა მისი აზრით, ისტორიის სწავლებას საგანმანათლებლო და აღმზრდელი ფუნქცია აქვს. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ისტორიის ცოდნით მომავლის განჭვრეტა არის შესაძლებელი, წარსულში მომხდარი დადებითი და უარყოფითი მოვლენები კი გამოცდილებას გვაძლევს [მალაზონია, 2014:99].

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ყველა კულტურულმა ერმა თავისი ისტორია უნდა იცოდეს და გააზრებული უნდა ჰქონდეს. თუ ქართველებს წარმატებით არსებობა სურდათ, ეს მოსაზრება უნდა გაეთვალისწინებინათ. თუ ერს ავიწყდება თავისი ისტორია, აწმყოსა და მომავალს ვერაფერზე ვერ დააფუძნებს [ჯავახიშვილი, 1938:4]. 1880-იან წლებში იგი წერდა, რომ საქართველოს ისტორია ბუნდოვანი და დაუმუშავებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა ფაქტები ქართველი ხალხის ცხოვრების შესახებ, თუ არსებობდა, ისიც საეჭვო იყო. ჭავჭავაძე წერდა, რომ „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაო კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“ [ჯავახიშვილი, 1938:5]. პრობლემა, რის შესახებაც ილია ჭავჭავაძე წერდა, დღემდე პრობლემად რჩება, ისტორიის დღევანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები ნაკლებად გადმოსცემენ ინფორმაციას ხალხის ცხოვრების შესახებ. ჭავჭავაძე ისტორიას, როგორც ფაქტების ერთობლიობას არ განიხილავდა, არამედ მას აინტერესებდა ისტორიული პროცესების გამომწვევი მიზეზები და მოვლენების შეფასება. მას მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებს უნდა დათმობოდა [ჯავახიშვილი, 1938:7].

გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე წერდა ქართველი ხალხის მახასიათებლების, ღირებულებების შესახებ, როგორებიცაა ერისთვის თავგანწირვა და შემწყნარებლობა. ხოლო, მაგალითებად დემეტრე თავდადებული, შემწყნარებლობის გამოხატულების საუკეთესო მაგალითად კი დავით აღმაშენებელი მოჰყავდა [ჯავახიშვილი, 1938:9-11].

რაც შეეხება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (1879 წ.) როლს, ეს იმ დროისათვის ერთადერთი კულტურული და საგანმანათლებლო საზოგადოება იყო [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, 1919:10] და ამავე დროს რუსული განათლების სისტემის პარალელურად ქართული განათლების სისტემის როლი იტვირთა [ჭკუასელი, 2020:154].

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო - მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის (1915 წ.). ეს წიგნი პირველად ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა (1910 წ.), შემდგომში კი ცალკე წიგნად გამოიცა. წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ 1915 წელს გამოცემული სახელმძღვანელო არის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს „ძველ ისტორიას“, ასევე, უნდა გამოცემულიყო მეორე ნაწილიც, რომელც იქნებოდა საქართველოს „საშუალო ისტორიის“, ხოლო მესამე ნაწილი ახალი ისტორიის შესახებ. რაც შეეხება პირველ ნაწილს, იგი ძირითადად ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „ქართველი ერის ისტორია“, ასევე, ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ თხზულებას „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ (1905 წ., #9, 10, 11, 12). სახელმძღვანელოში არის შემდეგი საკითხები: ქართული ენა, საქართველოს ისტორიის წყაროები, ქართველ ტომთა ბინადრობა და ა.შ. თითოეულ თავს თან ახლავს “კითხვები გასამეორებლად”, რომლებიც ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას. ზოგ შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა გამოეყენებინათ “ქარტა”, რათა, მაგალითად, ენახათ თუ სად ბინადრობდნენ უძველესი ქართველი ტომები [გორგაძე, 1915:2]. ამგვარად, ეს სახელმძღვანელო მეტწილად მნიშვნელოვანი ფაქტების დამახსოვრებას ისახავდა მიზნად, რაც, ვფიქრობ, გუსლისხმობს ქართული იდენტობის, წარმომავლობის

შესახებ სწავლებას. აღნიშნულ სახელმძღვანელოს კიდევ უფრო მეტი საკითხი მოგვიანებით დაემატა და განახლებული ვერსია გამოიცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1917 წლამდე რუსეთის ხელში იყო სკოლების მართვა, სასწავლო პროგრამების განსაზღვრა. განათლების საკითხს, ასევე, რუსეთის უწმინდესი სინოდი ხელმძღვანელობდა. სწავლა-განათლების მხრივ, რუსეთის იმპერია ოლქებად იყოფოდა, ხოლო საქართველო კავკასიის ოლქში შედიოდა. ბავშვებში ნერგავდნენ იმ აზრს, რომ კავკასიის ყველა ნაწილი რუსეთის სამეფოს უნდა შესისხლხორცებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ სწავლა-განათლებას პოლიტიკური მორჯულების იარაღად იყენებდნენ [ჯავახიშვილი, 1908:60-62]. საქართველოში განათლებაზე უარყოფითი გავლენა რუსეთს ჰქონდა, რის შესახებაც ჟურნალში „განათლება“ (1908-1920 წწ.) დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც მეცნიერებასა და სახალხო განათლებას ეხება, ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნეში ქართველმა ხალხმა მრავალი ტანჯვა გამოიარა, ხოლო ყველაზე საშინელი იყო ის საწამლავი, რომელიც სახალხო განათლებას სდევდა თან და ახალი თაობების გადაგვარება გამოიწვია. სკოლებში მოსწავლეები იძენდნენ ისეთ ცოდნას, რომელიც სრულიად დაშორებული იყო პრაქტიკულ ცხოვრებას. დაზეპირებული ცოდნის გამო, ისინი მოკლებულნი იყვნენ „თავისუფალ გონებრივ მუშაობას“. მეცნიერება და ცხოვრება, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, სრულად იყო გაწყვეტილი და მათ შორის არსებობდა დიდი უფსკრული, რაც ქვეყნის წინსვლაზე უარყოფითად აისახებოდა [ბოცვაძე, 1919:1]. იმდროინდელ სკოლებში მოსწავლეები იღებდნენ ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ და ზერელე ცოდნას [იდეალისტი, 1908:52]. ხოლო ამის საპირისპიროდ, საქართველოში მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური უფლებების ხალხის ხელში გადასვლა და ასევე, სკოლის დემოკრატიზაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლა ხალხს უნდა დაახლოებოდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. სწორედ ეს მიზანი ჰქონდათ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ასევე შეერთებულ შტატებსაც [ავალიანი, 1908:44].

1920 წლისთვის, როდესაც ძველი ტრადიციები დაირღვა და ავტორიტეტებმა ძალა დაკარგეს, ხოლო ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს შენება დაიწყო, მნიშვნელოვანი იყო განათლების მიღება და თვითმოქმედების განვითარება. იმ დროისთვის მომავალ თაობას ოჯახისგან განათლების მიღება არ შეეძლო, ვინაიდან უფროს თაობას სწორედ იგივე მეთოდით ზრდიდნენ, რაც ზემოთ მაქვს აღნიშნული. განათლების მიღება შეუძლებელი იყო ცხოვრებისგანაც, ვინაიდან სკოლის გარდა განათლება არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ სკოლაში იყო შესაძლებელი მომავლის შემქმნელი მოქალაქის აღზრდა. სკოლას უნდა მიეცა მოსწავლეებისთვის ის, რასაც ვერც ცხოვრება და ვერც ოჯახი აძლევდა [ზანდუკელი, 1920:3]. ამ პრობლემიდან გამომდინარე, განათლების სამინისტრო (შეიქმნა 1918 წელს) ცდილობდა, რომ საერთო სკოლა შეექმნა და საერთო უფასო სახალხო განათლება შემოეღო (სკოლის პირველ საფეხურზე მაინც) და ამით სკოლის დემოკრატიზაცია მოეხდინა (ზანდუკელი, 1920:4).

„სახალხო განათლების შესახებ კანონის“ მიხედვით (1919 წლის 17 ივლისი), სკოლა დემოკრატიასა და ჰარმონიულ განათლებას უნდა დაფუძნებოდა. თანასწორობის იდეაზე შექმნილ სახელმწიფოში ყველა ადამიანი თანასწორი უნდა ყოფილიყო, როგორც უფლებრივად, ასევე, კულტურული ნიშნით [ჭუმბურიძე, 2018:390-391]. განათლების სამინისტრომ მიზნად დაისახა რეფორმების გატარება, კერძოდ კი, სასკოლო სისტემის რეორგანიზაცია. თუმცა, სასკოლო რეფორმის შესახებ დამოუკიდებლობის მოპოვებამდეც მსჯელობდნენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო სკოლა უნდა ყოფილიყო ეროვნული, დემოკრატიული და პედაგოგიკური თვალსაზრისით უნაკლო სკოლათა სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო [დანელია, 1920:24]. განახლებულ სკოლას უნდა ჰქონოდა შემდეგი მიზნები: სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის ქონებრივ-გონებრივ, ასევე, ზნეობრივ ზრდას; მან უნდა დაიცვას ხალხის ინტერესები; ხელი უნდა შეუწყოს ხალხის კულტურულ ზრდას; უნდა ავრცელებდეს საღ შეხედულებას, საღ ცოდნას, რომელიც შესაბამისობაში იქნება, როგორც ცხოვრების მოთხოვნილებებთან, ასევე იმ

ბუნებრივ პირობებთან, რომლებიც საჭიროა ბავშვის სულისა და სხეულის განვითარებისთვის; სკოლა უნდა იყოს უშრეტი ცოდნის წყარო, სადაც ყველა თანაბრად შეიძენს ცოდნას, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და ა.შ. [ნიკოლაიშვილი, 1920:22-23].

სკოლების გაქართულებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა ქართულ ენაზე სწავლება. გარდა ამისა, უნდა ესწავლებინათ ისეთი ეროვნული საგანი, როგორცაა ისტორია [კარიჭაშვილი, 1917:345-347]. ისტორიის სწავლების მნიშვნელობის შესახებ მსჯელობდნენ, რომ წარსულზე დაკვირვებით შესაძლებელია ბევრი რამის შესწავლა - ადამიანი ხედავს თავის წარმატებას, რაც მას თავდაჯერებულობას ჰმატებს, ამავე დროს, იგი ხედავს ნაკლსაც და მის გამოსწორებას ცდილობს. წინაპართა ცხოვრება და გამოცდილება არის ჩვენი ერის ისტორია, რომლის შესწავლას არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს [გარსევანიშვილი, 1917:73-74]. აწმყოს გასაგებად მნიშვნელოვანია წარსულის გააზრება, რადგან მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს. ასევე, წარსულზე დაკვირვება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გავაანალიზოთ წინაპართა ქმედებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამით კი შესაძლებელია მომავლის განსაზღვრაც. „აწმყო შობილი წარსულისაგან არის დასაბამი მომავლისა“ [გარსევანიშვილი, 1917:75].

ამ პერიოდისთვის (1920 წლისთვის) მიიჩნევდნენ, რომ განახლებული სკოლის შესაქმნელად უნდა გაეზიარებინათ შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის მაგალითი. განახლებული სკოლის მახასიათებლებთან დაკავშირებით თვალნათლივ ჩანს შვეიცარიელი პედაგოგის იოჰან ჰ. პესტალოცისა და ჯონ დიუის იდეების გავლენა. მაგალითად, მიიჩნევდნენ, რომ სკოლა უნდა აგებულიყო შრომის პრინციპზე. მოსწავლეები, რომლებიც სკოლას დაამთავრებდნენ, მზად უნდა ყოფილიყვნენ ცხოვრებისთვის, ყოველმხრივ განვითარებულები და „თვითმოქმედებით აღჭურვილი“ მოქალაქეები. ჟურნალ „განათლების“ ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნულია, რომ აღზრდის შრომითმა პრინციპმა მხოლოდ შეერთებულ შტატებში ჰპოვა პრაქტიკული მნიშვნელობა [ნიკოლაიშვილი, 1920:24-25]. სწავლებას უნდა ჰქონოდა

პრაქტიკული ხასიათი, რათა მომავალი თაობა მზად ყოფილიყო ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად [ზანდუკელი, 1920:4-5]. ეს მოსაზრება ეკუთვნის პესტალოცის. მისგან განსხვავებით, დიუი მიიჩნევდა, რომ განათლებამ კი არ უნდა მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისთვის, არამედ თავად განათლება არის ცხოვრების პროცესი. ახალი მეთოდით აღზრდა კი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ საგნის სწავლება ლაბორატორიულ მეთოდს დაეყრდნობოდა. თითოეულ საგანს ბავშვები შეისწავლიდნენ სიღრმისეული გაანალიზებით, დაკვირვებით და მოქმედების, თვითშემოქმედების უნარებს გამოიმუშავებდნენ. სწავლა კეთებით, როგორც პესტალოცის, ასევე, დიუის იდეაა, თუმცა სიტყვა ლაბორატორია ეკუთვნის მხოლოდ ჯონ დიუის [Colvin, 2018:48].

ასეთი მოსაზრება გვხვდება საზოგადო მოღვაწის იპოლიტე ვართაგავას პუბლიცისტურ წერილებშიც. უპირველეს ყოვლისა, იგი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო სკოლების გაქართულება, ვინაიდან იმდროინდელი სკოლები შინაარსით რუსული იყო [ფართლაძე, 2015:75]. გარდა ამისა, ავტორი წერდა, რომ „სკოლა ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც მზადდება და გროვდება ის მასალა, რომელიც უნდა მოხმარდეს ცხოვრების სხვადასხვა დარგის სათანადოდ მოწყობასა და გაფართოებას, აქ მოქალაქის ცოდნას ეყრება საფუძველი და მისი მსოფლმხედველობა ყალიბდება.“ იგი ასევე მიიჩნევდა, რომ სკოლას ღირსეული მოქალაქის საუკეთესო თვისებები უნდა ჩამოეყალიბებინა [ფართლაძე, 2015:74-75].

ზემოთ აღნიშნული ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენება, რომელიც საშუალო სკოლების რეორგანიზაციას ეხება, ყურადღება გამახვილებულია ისტორიის სწავლების მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ისტორიის სწავლებას უნდა დათმობოდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეობრივი საკითხი და მომავალი თაობებისთვის ქვეყნის კანონმდებლობის სწავლება მნიშვნელოვანი საკითხი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა მოქალაქეს უშუალოდ უწევს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა [ცინცაძე, 1919:35].

ახალ სკოლებში მნიშვნელოვნად უნდა შეცვლილიყო სწავლა-აღზრდის მეთოდები. დოგმატური, განყენებითი და თეორიული სწავლების ნაცვლად, ბავშვი უნდა აღეზარდათ მისი ბუნებისა და ცხოვრების მოთხოვნილებების მიხედვით. სკოლას უნდა აღეზარდა ახალი ცხოვრების შემოქმედი პიროვნება, რისი მიღწევაც შესაძლებელია მაშინ, როდესაც მოსწავლე შემოქმედებითად მუშაობს. მოსწავლეში ინიციატივა და თვითმოქმედება უნდა განევითარებინათ. ძველ სკოლაში, სადაც სწავლების მეთოდები იყო დოგმატური და მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ მრავალი ფაქტის დამახსოვრება, მათში ვითარდებოდა პასიურობა და საუკეთესო შემთხვევაში მიმბაძველობა [ზანდუკელი, 1920:4-7]. ბავშვი გაუნძრევლად უნდა მჯდარიყო ერთ ადგილას და მასწავლებლისთვის უნდა მოესმინა [ბოცვაძე, 1919:48].

ზემოთ აღნიშნული მეთოდებით ისწავლებოდა ისტორიაც. ჟურნალ „განათლების“ ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნული იყო: მთელი ასი ფურცელი აჭრელეულია მეფეების სახელებით, მათი დაბადებისა და გარდაცვალების და ასევე, ომების თარიღებით. შედგენილია მნიშვნელოვან პირთა სიები, სადაც წარმოდგენილია მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და მათი საქმიანობა. სტატიაში გაკრიტიკებულია ისტორიის ამგვარი სწავლება და აღნიშნულია, რომ ეს ფაქტები წარსულს ვერ აღადგენს. წარსულში მომხდარი მოვლენები მოთხრობილი უნდა იყოს არა მოკლედ, არამედ უფრო ვრცლად და ნათლად, რაც მომავალ თაობას გამოცდილებას მისცემს, წარსულის შესწავლით ახალი თაობებისთვის შესაძლებელი იქნება აწმყოს გააზრება და მომავლის განსაზღვრა [ვანათში ნამყოფი, 1913:337]. ამგვარად, საქართველოში არსებობდა ისტორიის სწავლების შესახებ განსხვავებული ხედვა. იმდროისთვის ისტორია სრულიად დავიწყებული საგანი იყო, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ერის ისტორიის სწავლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. საჭირო იყო არა მხოლოდ ლიტერატურის გამდიდრება, არამედ საუკეთესო სწავლების მეთოდების გამოყენებაც. მიიჩნევდნენ, რომ ისტორიის სწავლება დაბალი ორკლასიანი სკოლებიდან უნდა დაწყებულიყო. სკოლები,

რომლებიც იმდროისთვის საუკეთესოდ ითვლებოდა, ისტორია ისწავლებოდა შემდეგნაირად: მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხოვდა „აღმოსავლეთის სლავების“ შესახებ, შემდეგ კი მიმართავდა მათ: „აბა, ეს კარგად დაისწავლეთ, ძალიან საჭიროა, ისტორიას უამისოდ ვერ შეისწავლით“. მოსწავლეებისთვის გაუგებარი იყო, რას სწავლობდნენ და რა არის ისტორია, რა მიზანს ემსახურებოდა მისი შესწავლა. ასევე, მოსწავლეებისთვის რთული იყო დავალებად მიცემული მასალის თხრობა. აღნიშნული პრობლემების გამო ერთ-ერთმა მასწავლებელმა (ი. დობორჯგინიძე) შეიმუშავა სასწავლო გეგმა. მისი აზრით, ისტორიის გაკვეთილებზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დათმობოდა, როგორც თხრობით, ასევე, კითხვა-პასუხის მეთოდს. პირველი გაკვეთილის მოსწავლეებს კლასელებისთვის უნდა მოეყოლათ სკოლაში მისვლის შემდეგ თავიანთი ცხოვრების შესახებ. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ გაეხსენებინათ უფრო შორეული წარსული - მათი ცხოვრება სკოლაში მისვლამდე. დაფიქრდით, გახსოვთ თუ არა მთელი თქვენი თავგადასავალი? საიდან შეგვიძლია გავიგოთ ჩვენი თავგადასავალი დაბადებიდან ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი მათ დავალებას აძლევს: ჰკითხეთ დედას თქვენი ბავშვობის ამბავი, დაურთეთ იგი დღევანდელ ამბებს და მთლიანი მოთხრობა შეადგინეთ. ამით მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის, რომ „ცხოვრების მოთხრობა“ არის ისტორია და ყველა ადამიანს თავისი ისტორია აქვს. ავტორი მიიჩნევს, რომ მოსწავლე ამ დავალებას - თავისი ისტორიის დაწერას - ხალისით შეასრულებს და ამით მარტივად გასაგები იქნება, თუ რა არის ცნება ისტორია. გარდა ამისა, ავტორი მიიჩნევს, რომ ყველა ბავშვის სურვილია განვითარება, სწორედ ეს სურვილი უნდა იყოს ამ ორი ისტორიის გამაერთიანებელი საკითხი. სკოლის ცხოვრება სკოლამდელი ცხოვრების განუყოფელი გაგრძელებაა, ამიტომ ცხოვრება გაუმჯობესებისკენ მისწრაფებაა. გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას უნდა ემსახურებოდეს სკოლა, რომელიც არის საშუალება და არა მიზანი [დობორჯგინიძე, 1915:287-292].

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს დაწერილი ისტორიები, ერთმანეთს შეადაროს და მათ შორის საერთო აღმოაჩინოს. ამ გაკვეთილის მეშვეობით მოსწავლეები გაანალიზებენ, რომ მთელი კლასის ისტორია თითოეულის ისტორიაც არის. ასევე, მათ უნდა შეექმნათ წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის საზოგადოება. უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი მოსწავლეებს მათ მიერ დაწერილ ისტორიებს უკითხავს და შეკითხვას უსვამს: მე წაგიკითხეთ ვანოსა და ნიკოს ისტორიები, რა საერთოა ამ ორი ბავშვის ისტორიებს შორის? ყველა ისტორიის წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ პირადი თვისებები და საერთო-საზოგადო მისწრაფებები. ამით მოსწავლეები ერთმანეთისაგან განასხვავებენ „პირადსა“ და „საზოგადოს“. მასწავლებელმა უნდა დააჯგუფოს მოსწავლეების საერთო თვისებები და საერთო მისწრაფებები, რასაც შემდეგ მათ წაუკითხავს და ჰკითხავს: წაკითხულ მოთრობაში ხედავ თუ არა შენს ისტორიას? ამით მასწავლებელი მოსწავლეებს დაანახებს, რომ მათ საერთო მისწრაფება, მიზანი აქვთ, მამასადამე, საერთო ისტორია აქვთ და ერთ განუყოფელ საზოგადოებას წარმოადგენენ. მართალია, აღნიშნული დავალების მეშვეობით დასკვნების გაკეთებაში მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, თუმცა ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მასწავლებელი ჯერ გზას უკაფავს ბავშვებს და ამის შემდეგ მათ დამოუკიდებლად უნდა შეძლონ დასკვნების გაკეთება. ამის შემდეგ მასწავლებელი ისევ მიმართავს მოსწავლეებს: როგორც ვხედავთ, ჩვენ ერთმანეთზე გადაჯაჭვული ვყოფილვართ საერთო მიზნით, მისწრაფებით, ცხოვრებით, ჩვენ გვაქვს ჩვენი პატარა საზოგადოება და უნდა ვეცადოთ მისი ცხოვრების გალამაზებას. სკოლაში მოსვლისთანავე შევქმენით ეს საზოგადოება, მანამდე კი თითქოს ის უხილავად არსებობდა. მასწავლებელი ამის შემდეგ აძლევს დავალებას, მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ისტორია - „ჩვენი პატარა საზოგადოება“ [დობორჯგინიძე, 1915:288-289].

მესამე გაკვეთილის მიზანია საზოგადოებაზე წარმოდგენის გაფართოვება. დავალებების წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელმა პარალელი უნდა გაავლოს თავიანთ სკოლასა და სხვა სკოლებს შორის, რომ იქაც პატარა საზოგადოებები არის და იგივე

მისწრაფებები აქვთ. ამით მოსწავლეებს ასწავლიან, რომ არსებობს ერთი დიდი საზოგადოება, რომელიც პატარა საზოგადოებებისგან შედგება. როდესაც ისინი სკოლას დაამთავრებენ ერთ მთლიან საზოგადოებად ჩამოყალიბდებიან. ამის შემდეგ, მასწავლებელი მათ დავალებას აძლევს - მოსწავლეებმა თავიანთი მშობლები უნდა გამოკითხონ - ჰქონდათ თუ არა მათ თავიანთი საზოგადოება და როგორ იზრდებოდნენ. დავალების სახელწოდებაა „ძველი თაობის მოკლე ისტორია“ [დობორჯგინიძე, 1915:289-290].

მეოთხე გაკვეთილზე მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ ის, რომ მათი თაობის ისტორია დედ-მამის ისტორიის გაგრძელებაა და მათ შორის განსხვავებები უნდა აღმოაჩინონ. ეს განსხვავება კი გაუმჯობესების მისწრაფებით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, მათ უნდა შეისწავლონ პირველი ცნობები შთამომავლობაზე და მისი ისტორია. დავალების შემოწმების შემდეგ, მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვა - როდის ზრდიდნენ თაობებსა და საზოგადოებას უკეთ, ახლა თუ წარსულში? ძველმა თაობამ, რომელმაც მიიღო და დაგვიტოვა თავისი გამოცდილება, გამოვიყენეთ თუ არა? ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრება თავიდან დავიწყეთ, თუ ვეფუძნებით ძველი თაობის გამოცდილებას? არის თუ არა ჩვენი თაობის ისტორია ძველი თაობის ისტორიის გაგრძელება? ხოლო ძველი თაობის ისტორია არის თუ არა უძველესი თაობის ისტორიის გაგრძელება? ამგვარად, მასწავლებელი მათ ასწავლის, რომ ყველა თაობის მისწრაფება იყო გაუმჯობესების სურვილი, ყველა თაობა თავის შთამომავალს გამოცდილებას უტოვებს, რაზედაც თავიანთ ცხოვრებას აფუძნებენ, ვითარდებიან და მომავალი თაობისთვის ამზადებენ უკეთეს საძირკველს. გაკვეთილის დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგი სახის დავალებას აძლევს: მათ უნდა დაწერონ შთამომავლების მოკლე ისტორია შემდეგი გეგმის მიხედვით - ძველ თაობათა ცხოვრება და გაუმჯობესებისადმი მისწრაფება; გამოცდილების მიღება; ამ გამოცდილების შემდეგი თაობისთვის გადაცემა; თაობათა მუშაობა და მეტი გამოცდილების მიღება ახლანდელ დროში; რას ვემყარებით ჩვენ და რა გვინდა, რომ შევქმნათ [დობორჯგინიძე, 1915:290-291].

მეხუთე გაკვეთილზე მოსწავლეები იწყებენ ქართველი ერის ისტორიის შესწავლას. ნაწერების განხილვის შემდეგ, მასწავლებელი მათ განუმარტავს, რომ არსებობს რამდენიმე ნათესავი შთამომავლობა, როგორებიც არიან გურულები, მეგრელები, იმერლები, რაჭველები, სვანები და ა.შ. ოდესღაც ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, შემოსევით მტერი, რომელსაც მათი განადგურება სურდა, ამიტომ ისინი გაერთიანებულან და მტრის წინააღმდეგ დაუწყიათ ბრძოლა. მტრის დამარცხების შემდეგ კი მათ ერთად დაიწყეს საერთო ამაღორძინებელი ეროვნული მუშაობა. ხოლო შემდეგ შეიქმნა ქართველი ერი. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართველი ერის ისტორიული ცხოვრება. მას შემდეგ, ქართველი ხალხი შრომობს და იბრძვის ბედნიერი მომავლისთვის. თითოეული თაობა შრომასა და ბრძოლას მომავალ თაობებს უანდერძებს. გამოცდილებამ და გაუმჯობესების სურვილმა ჩვენამდე მოაღწია, ხოლო ყოველივე ეს უნდა გახდეს მომავალი თაობების განვითარების ქვაკუთხედი. მომავალმა თაობებებმა უნდა შეჰმატონ ახალი ღირებულებები და მომავალ თაობებს გადასცენ. ავტორი მიიჩნევს, რომ წარსულის შესწავლა მნიშვნელოვანი არის - რისთვის და როგორ ცხოვრობდა ქართველი ერი, როგორია ჩვენი აწმყო, დღეს ვინ ვართ და რისკენ მივისწრაფვით. ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში თუ როგორი მომავალი მოგვიატანს ბედნიერებას და რა გზით უნდა ვიაროთ ასეთი მომავლისთვის [დობორჯგინიძე, 1915:290-291].

სტატიის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ ამ გაკვეთილზე მასწავლებლის თხოვრებას უფრო მეტი დრო ეთმობა. თხოვრება კი იმდენად ცოცხალი უნდა იყოს, რომ ყველას ყურადღება მიიპყროს. შემდგომ მასწავლებელმა უნდა დასვას წინასწარ მომზადებული კითხვები მონათხოვრებთან დაკავშირებით. ყოველ გაკვეთილზე ნასწავლი მასალის გამეორება მნიშვნელოვანია, მხოლოდ ამის შემდეგ არის შეასაძლებელი სახელმძღვანელოების გამოყენება. როგორც ავტორი აღნიშნავს, მთელი ისტორიის მთავარი დედა-მარღვი გაუმჯობესებისაკენ მისწრაფება არის, რაც სათანადოდ არ არის გადმოცემული სახელმძღვანელოებში, დედა-მარღვი ხშირ შემთხვევაში გაწყვეტილია, ხოლო მასწავლებელმა სათანადოდ ცოდნა უნდა გადასცეს

მოსწავლეებს. ზემოთ აღწერილი გაკვეთილების გეგმა წინ უნდა უძღოდეს ისტორიის სწავლას, რათა მოსწავლემ უკეთ შეისწავლოს ქართველი ერის ისტორიის ევოლუცია [დობორჯგინიძე, 1915:291-292].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში ისტორიის სწავლების აუცილებლობის შესახებ აქტიურად მსჯელობდნენ. ზემოთ მოცემული დავალება პრაქტიკულია, ვინაიდან მშობლების გამოკითხვა კვლევითი ხასიათის არის. ვფიქრობ, იმ პერიოდისათვის ისტორიის სწავლების პროგრესული ხედვა ჰქონდათ. პედაგოგი ცდილობს, ისტორიის სწავლება რაც შეიძლება მეტად დაუკავშიროს ცხოვრებას და კვლევითი გახადოს, ისტორიის სწავლების ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, შესაძლებელია, რომ დღესაც გამოვიყენოთ. ამ მხრივ შესაძლებელია, რომ შეერთებულ შტატებს შევადაროთ. ჯონ დიუის მიზანიც ხომ ის იყო, რომ სწავლება ყოფილიყო კვლევითი და რაც შეიძლება მეტი კავშირი ჰქონოდა ცხოვრებასთან.

რაც შეეხება იმდროინდელ ისტორიის სასწავლო პროგრამას, საქართველოს ისტორიის სწავლება იწყებოდა ქართველური ტომების ცხოვრებიდან საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე. სასწავლო პროგრამას თან ახლავს შენიშვნა, რომ ისტორიის სწავლებისას ყურადღება უნდა დაეთმოს არა კერძო პირების ცხოვრების შესწავლას, არამედ ხალხისას [ბოცვაძე, 1919a:41]. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღევანდელი ისტორიის სახელმძღვანელოებში ნაკლებად არის გადმოცემული ამა თუ იმ ეპოქაში ხალხის ცხოვრების ისტორია. გარდა ამისა, შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მოსწავლეებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ ქრონოლოგიის შესწავლა, ვინაიდან მისი დამახსოვრება მოსწავლეებისთვის რთულია. ამის ნაცვლად, მათ უნდა მოეთხოვებოდეთ ისეთი ამბების მწყობრად თხრობა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში და ამა თუ იმ ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის გამომწვევი მიზეზები და შედეგები [ბოცვაძე, 1919a:41].

პრობლემად რჩებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენა რამდენიმე მიზეზის გამო. პედაგოგიკური მოთხოვნების გარდა, საჭირო იყო, რომ ავტორი ყოფილიყო ისტორიის სათანადოდ მცოდნე. იმდროისთვის ისტორიოგრაფიაში საქართველოს შესახებ ბევრი საკითხი ნაკვლევი არ იყო და ცალკე დამუშავებას მოითხოვდა, თუმცა არც მეცნიერულად დამაკლმყოფილებელი ზოგადი ისტორიული თხზულებები არსებობდა. მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის ავტორობით იყო დაწერილი საქართველოს ისტორია მე-13 საუკუნის ჩათვლით. სახელმძღვანელოს შედგენისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ერთი წყარო, რასაც ადასტურებს ილ. ფერაძის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია“. იმ დროს სამინისტროსთან არსებობდა სარეცენზიო კომისია, რომელმაც ამ სახელმძღვანელოს შემვეობით სკოლებში სწავლება მრავალი ფაქტობრივი შეცდომისა და პედაგოგიკური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო მართებულად არ მიიჩნია [ბოცვაძე, 1919b:110-114].

რაც შეეხება სხვა სახელმძღვანელოებს, არსებობდა დიმიტრი უზნაძის მიერ ნათარგმნი ისტორიის წიგნები, რომლებიც არა საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები იყო (კალანდაძე, 2021:14). სარეცენზიო კომისიის რეცენზიაში აღნიშნულია, რომ უზნაძის მიერ ნათარგმნი ვინოგრადოვის ისტორიის სახელმძღვანელოს, მართალია, ჰქონდა ნაკლოვანებები, მაგრამ დროებით დაუშვეს მისი სკოლებში გამოყენება, თუმცა უზნაძის მეორე სახელმძღვანელო, რომელიც ძველ საბერძნეთს ეხება, რეცენზიის მიხედვით, სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს [ბოცვაძე 1919b:110-112].

1920 წელს კი გამოიცა “საქართველოს ძველი ისტორიის” გაუმჯობესებული სახელმძღვანელო. ეს წიგნი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში გამოცემული და შესავალში აღნიშნულია, რომ განახლებულმა სკოლამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სამშობლოს ისტორიის სწავლებას. ახალი პროგრამის მიხედვით, საქართველოს ისტორია იყოფოდა სამ ნაწილად. დაბალ დაწყებით სკოლაში ისწავლებოდა ეპიზოდური კურსი. უმაღლეს დაწყებით სკოლაში

მოკლე სისტემატური კურსი, ხოლო საშუალო სკოლაში ვრცელი სისტემატური კურსი. საქართველოს ისტორია ისწავლებოდა მეორე კლასიდან (უდრის ძველი გიმნაზიის მეექვსე კლასს). მოსწავლეები საქართველოს ისტორიას სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ, ხოლო კვირის განმავლობაში ორი საათი ეთმობოდა [გორგაძე, 1920:2]. წიგნში აღნიშნულია, რომ ეს არის მესამე დიდად შეცვლილი და შევსებული გამოცემა. 1920 წლის წიგნი ეფუძნება პირველად წყაროებს, ასევე, ივანე ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორიას”, მის ნაშრომებს “ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა” და “ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების” შესახებ. გარდა ამისა, გამოყენებულია ჰუგო ვინკლერის კვლევა “დასავლეთის აზია ძველ დროში” და ა.შ. [გორგაძე, 1920:2].

სახელმძღვანელოში ერთ-ერთი თავი, რომელიც ეხება ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნის ქართულ ტომებს, ყურადღება გამახვილებულია მათ მოქალაქეობრივ სათნოებაზე, რომ ისინი გმირულად იბრძოდნენ თავისუფლებისთვის, ასევე, მათ მეფისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა ჰქონდათ. თავის ბოლოს კი დასმულია შეკითხვები, ერთ-ერთი შეკითხვა სწორედ დასავლეთის ქართული ტომების მოქალაქეობრივ-ზნეობრივ ღირსებებს ეხება [გორგაძე, 1920:54-59]. ამგვარად, სახელმძღვანელო დავალებათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

პირველი რესპუბლიკის პერიოდში წარმატებით ებრძოდნენ რუსული პოლიტიკის უარყოფით შედეგებს, რაც განათლებასაც ეხებოდა. ეროვნულ ნიადაგზე შეიქმნა ქართული სკოლები და განათლების სისტემა ჩამოყალიბდა [ლორთქიფანიძე და სხვები, 2012:251]. მართალია, ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით არსებობდა პრობლემები, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ საგნის სწავლების ხედვა სწორი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და მოპოვების შემდეგაც მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორი განათლების სისტემა უნდა ჰქონოდათ, განიხილავდნენ, როგორც ევროპის, ასევე, შეერთებული შტატების მაგალითსაც, იცნობდნენ ჯონ დიუის შეხედულებებსაც. იმ მასალებიდან გამომდინარე, რის მიხედვითაც ეს საკითხი ვიკვლიე რთულია იმის დადგენა, იქნებოდა თუ არა

საქართველოში დიუსის გავლენა ამა თუ იმ საგნის სწავლებაზე, რომ არა მისი ოკუპაცია. სკოლის რეორგანიზაცია უნდა დასრულებულიყო 1923 წლისთვის, თუმცა საქართველოს არ მიეცა იმ დროს დასახული გეგმების შესრულების საშუალება. საბჭოთა კავშირში კი საქართველოს ისტორია, როგორც განცალკევებული საგანი, აღარ ისწავლებოდა. ისწავლებოდა საბჭოთა კავშირის (ფაქტობრივად, რუსეთის) ისტორია, რისი სწავლებაც თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ისტორიის სწავლებისგან 1910-იან წლებამდე. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მეორე თავში განხილულია ის, თუ საიდან იცოდნენ დიუსის შესახებ ქართველმა პედაგოგებმა 1910-იან წლებში.

ამგვარად, შეერთებულ შტატებში ვხედავთ ისტორიის სწავლების თანდათანობით დახვეწას. პროგრესული მოძრაობა, განსაკუთრებით ჯონ დიუს იდეები, დიდი გავლენით სარგებლობდა და განათლების რეფორმის განხორციელება დაიწყო. დიუსის ხედვები დემოკრატიულ პრინციპებს დაეფუძნა. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა და მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინება ეტაპობრივად ინტეგრირდა სკოლებში და ისტორიის სწავლებაზეც აისახა. გარდა ამისა, სწავლების მიზანს კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდა წარმოადგენდა. პროგრესული ხედვა საქართველოშიც არსებობდა, თუმცა შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმები მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რაც 1921 წლის ოკუპაციამ გამოიწვია. განათლება და, კერძოდ, ისტორიის სწავლება იდეოლოგიური კონტროლის ინსტრუმენტად იქცა. მიუხედავად ამისა, პირველი რესპუბლიკის პერიოდში გამოვლენილი ხედვები და საგანმანათლებლო მიზნები ნათლად ასახავს ქვეყნის დემოკრატიულ მისწრაფებებს. აქ ნათლად ვხედავთ პარალელს პროგრესული განათლების მოდელთან.

XIX საუკუნის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. როგორც ზემოთ განვიხილე მამა-დამაარსებლების აზრით, განათლებას, კერძოდ კი, ისტორიას

ეს როლი უნდა შეესრულებინა. საქართველოში კი ამ ღირებულების დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე საუბრობდნენ.

თავი II - ღირებულებების დამკვიდრება თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით

2.1 პატრიოტული აღზრდა

წარმოდგენილი კვლევის პირველ ქვეთავში განხილულია პატრიოტიზმის დამკვიდრება ისტორიის სწავლების გზით 1870-იან წლებში. ამ პერიოდიდან დღემდე შეერთებული შტატების ისტორიაში იყო მოვლენები, რომლებმაც განაპირობა განათლების მიზნების ცვლილება და მაშასადამე ღირებულებების, ამ შემთხვევაში კი, პატრიოტიზმის დამკვიდრების აუცილებლობა. მაგალითად, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო რეფორმები და პატრიოტიზმის გაღვივება ცივი ომის დროს. შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომი ნიშნავდა მათ შორის დამაბულობას. ისინი მიზნად ისახავდნენ იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, განსაკუთრებით, სამხედრო უპირატესობის მოპოვებას. შეჯიბრი ყველა სფეროს მოიცავდა, მათ შორის, კულტურას, განათლებას. ამ უკანასკნელზე გავლენა მოახდინა კონკურენციამ კოსმოსის ათვისების საქმეში. საბჭოთა კავშირის მიერ „სპუტნიკის“ კოსმოსში გაშვებას მოჰყვა ცვლილებები შეერთებული შტატების განათლებაში, რაც ეხებოდა, მაგალითად, მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების მიზანს წარმოადგენდა მომავალი მოქალაქეების აღზრდა, რომლებსაც სჯეროდათ დემოკრატიის და იბრძოლებდნენ კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, მოსწავლეებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ დემოკრატიულ ქვეყანაში და ეწარმოებინათ ანტიკომუნისტური პროპაგანდა [Peterson, 2023:1-5].

ცივ ომამდეც ამერიკულ სკოლებში მოსწავლეებს დემოკრატიულ ღირებულებებს უნერგავდნენ. დემოკრატიის პოპულარიზაცია მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ეროვნული იდენტობის, პატრიოტიზმისა და თავისუფლების მნიშვნელობის გაძლიერებას. ცივი ომის პერიოდში განათლება მიზნად ისახავდა ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც შეეწინააღმდეგებოდნენ კომუნიზმის მზარდ საფრთხეს და დემოკრატიის პრინციპებს დაიცავდნენ. ასევე, მომავალ თაობებს,

კლასში მიღებული ცოდნის მშობლებისთვის გადაცემით, პროამერიკული განწყობების გავრცელება უნდა შეძლებოდათ.. სახელმძღვანელოებში კომუნიზმი აღწერილი იყო, როგორც დამთრგუნველი და ტოტალიტარული სისტემა. მაგალითად, 1956 წელს პენსილვანიის შტატმა განაცხადა, რომ საჯარო სკოლებისთვის მოამზადებდა კურსს კომუნიზმის საფრთხეების შესახებ, რაც მიზნად დაისახავდა ანტი-კომუნისტური განწყობების გაძლიერებას და ამავე დროს პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივებას [Peterson, 2023:5-6].

ასევე, მნიშვნელოვანია „ერთგულების პირობა“ (The Pledge of Allegiance), რომელიც 1890-იან წლებში შეიქმნა და მიზნად ისახავდა ეროვნული ერთიანობისა და პატრიოტიზმის განმტკიცებას. 1950-იან წლებში პრეზიდენტ აიზენჰაუერის ინიციატივით, მას დაემატა ფრაზა “ღვთის ნებით“ (Under God). ცივი ომის კონტექსტში ეს ნიშნავდა იმის ხაზგასმას, რომ შეერთებული შტატები განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირისგან, რომელსაც ათეისტური იდეოლოგია ჰქონდა. ამ ფრაზის დამატებით „ერთგულების პირობა“ პატრიოტული ფიცისა და საჯარო ლოცვის ნაზავად გარდაიქმნა [Tarjan, 2021].

სანამ თანამედროვე შეერთებულ შტატებში ისტორიის სწავლებისა და თანასწორობის დამკვიდრების საკითხს განვიხილავ, მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წელს გამოიცა ანგარიში “ერი რისკის ქვეშ“ (Nation at Risk), სადაც განხილულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუარესების საკითხი. ანგარიში გასცემს რეკომენდაციებს, მათ შორის, სოციალური მეცნიერებების სწავლებასთან დაკავშირებით, მაგალითად აღნიშნულია, რომ სოციალური მეცნიერებების სწავლებას სამი წელი უნდა დაეთმოს [Gardner, 1983:32]. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის შინაარსი ძირითადად კონცენტრირებულია ისტორიისა და სხვა სოციალური მეცნიერებების დისციპლინებიდან მიღებულ კონკრეტულ ფაქტებსა და ზოგად დასკვნებზე. ნაკლები ყურადღება ექცევა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას, ღირებულებების დამკვიდრებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა არ ეყრდნობა მოსწავლეთა განვითარების

საჭიროებებს და არ უსვამს ხაზს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებსა და ეფექტურ მონაწილეობას სოციალურ ცხოვრებაში [Davis, 1983:32].

ამგვარად, 1980-90-იან წლები სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით მძაფრი დებატებით გამოირჩეოდა, მათ შორის, ისტორიასთან დაკავშირებით. მიიჩნეოდნენ, რომ უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დათმობოდა მულტიკულტურალიზმისა და შეერთებული შტატების ისტორიის იმ პერიოდების შესახებ სწავლებას, რომლებიც ეხებოდა აფროამერიკელების, ესპანურენოვანი მოსახლეობის, მკვიდრი ამერიკელებისა და ქალების ჩაგვრას [Loveless, 2014].

ხოლო, 1994 წელს მიიღეს “მიზნები 2000: ამერიკის განათლების კანონი” (Goals 2000: Educate America Act), რომელმაც მიზნად დაისახა შტატებისთვის გრანტების გადაცემა, რათა რეფორმები განხორციელებინათ, ასევე, ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტები შეიქმნა. ყველა მოსწავლეს, ვინც მეოთხე, მერვე და მეთორმეტე კლასებს დაამთავრებდა უნდა დაედანტურებინა ისტორიისა და სხვა სოციალური მეცნიერებების ცოდნა, ქვეყანა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მომავალი თაობები აღზრდილნი არიან, როგორც პასუხისმგებლიანი მოქალაქეები. ხოლო, შტატების მიერ მიღწეული პროგრესი ყოველ ორ წელიწადში მოწმდებოდა. 1999 წელს შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტმა გამოსცა ანგარიში - 1994 წელს მიღებული ფედერალური განათლების კანონმდებლობა (Federal Education Legislation Enacted in 1994). ანგარიშის მიხედვით, შტატები პროგრესს აჩვენებდა საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისა და საგნობრივი სტანდარტების შემუშავების კუთხით. სტანდარტებზე დაფუძნებული რეფორმები და საგანმანათლებლო შედეგებზე ორიენტაცია ფედერალური განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ ელემენტად იქცა. ამერიკის განათლების კანონმა შემდგომ საგანმანათლებლო ინიციატივებს დაუდო საფუძველი, როგორც იყო, მაგალითად, „არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე“ (No Child Left Behind Act – 2001) [Orr, 2022].

ამგვარად, 1994 წლის შემდეგ შტატებმა ახალი სასწავლო გეგმები შეიმუშავეს, ვინაიდან ზემოთ ხსენებული კანონი მოითხოვდა სტანდარტებზე დაფუძნებულ

სწავლებას. 2013 წელს სოციალური კვლევების ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა C3 ჩარჩო დოკუმენტი - კოლეჯი, კარიერა და სამოქალაქო ცხოვრება სოციალური კვლევების სახელმწიფო სტანდარტისთვის (C3 Framework – College, Career & Civil Life for Social Studies State Standards). ეს ჩარჩო დოკუმენტი თხუთმეტი ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა, როგორებიცაა მსოფლიო ისტორიის ასოციაცია (World History Association), ეროვნული საბჭო ისტორიის სწავლებისთვის (National Council for History Education), ცენტრი სამოქალაქო განათლებისთვის (Center for Civic Education) და ა.შ. ამ ჩარჩო დოკუმენტის შესავალში აღნიშნულია, რომ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს მომავალი თაობების, როგორც მცოდნე, მოაზროვნე და აქტიური მოქალაქეების აღზრდა, რაც უნივერსალურია [National Council for the Social Studies, 2013a:1-3].

აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი შემდეგ პრინციპებს ემყარება: სოციალური მეცნიერებები ამზადებს მომავალ თაობებს კოლეჯისთვის, კარიერისთვის და სამოქალაქო ცხოვრებისთვის, შეკითხვებზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს სოციალური მეცნიერებების უმთავრეს ელემენტს, სოციალური მეცნიერებები მოიცავს ინტერდისციპლინურ მიდგომებს და ახდენს ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტეგრაციას; გარდა ამისა, ამზადებს მომავალ თაობებს, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილებები, როგორც მოქალაქეებმა. ჩარჩო დოკუმენტი სოციალურ მეცნიერებებს წარმოაჩენს, როგორც კვლევით პროცესს. ჩარჩო დოკუმენტი ორიენტირებულია კითხვების გამოყენებაზე, რათა აღიძრას ცნობისმოყვარეობა, წარმართოს სწავლება, გააღრმავოს კვლევა, მოიპოვოს სიღრმისეული ცოდნა და მოხდეს მისი პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს XXI საუკუნეში აქტიური და ჩართული მოქალაქეების აღზრდას. ეს არის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც შტატებმა სასწავლო გეგმები შეიმუშავეს. მაგალითად, ასეთი შტატებია ნიუ-იორკი, კალიფორნია, ჰავაი და ა.შ. [National Council for the Social Studies, 2013b]. თუმცა, სანამ თანამედროვე კურიკულუმებს განვიხილავ, მანამდე უნდა აღინიშნოს,

თუ რატომ არის პატრიოტიზმის დამკვიდრება მნიშვნელოვანი შეერთებულ შტატებში დღეს.

შეერთებული შტატების სკოლებში პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოსწავლეების აღზრდის პრობლემად მიმაჩნია უახლესი წარსულის ერთი მოვლენა. როდესაც ტრამპის პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს ამერიკული დემოკრატია საფრთხის წინაშე დადგა. ამ მოვლენის შეფასება არა მარტო ჩემი, არამედ მრავალი მკვლევრის თუ ექსპერტის თვალსაზრისი ასაბუთებს.

„დემოკრატია მყიფეა,“ - თქვა პრეზიდენტმა ბაიდენმა საინაგურაციო მიმართვისას. ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე ხანგრძლივი დროით არსებული კონსტიტუციური დემოკრატიაა, რომელიც 2026 წელს 250 წლის გახდება. როგორც პირველ ქვეთავში აღვნიშნე, მამა-დამაარსებლებს სურდათ, რომ ახლად შექმნილი რესპუბლიკის არსებობაში დარწმუნებული ყოფილიყვნენ და სურდათ, რომ ჰქონოდათ ისეთი განათლება, რომელიც უზრუნველყოფდა დემოკრატის გადარჩენას. წლების შემდეგ, შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის დროს, ამერიკული საზოგადოება დაყოფილი იყო. აბრაჰამ ლინკოლნის მიზანს წარმოადგენდა კავშირის, როგორც შენარჩუნება, ასევე, მისი სრულყოფა. დემოკრატის გადარჩენა არა მხოლოდ პრეზიდენტებზეა დამოკიდებული, ასევე, „ჩვენ ხალხზე, რომელიც უფრო სრულყოფილ კავშირს ეძებს“, განაცხადა ბაიდენმა ამავე მიმართვის დროს. „ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენამ - კაპიტოლიუმზე თავდასხმამ (6 იანვარი, 2021 წ.) დააზიანა დემოკრატია და ამერიკელი ხალხი უთანხმოებამ დაყო“ [Biden, 2021]. აქედან გამომდინარე, ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაცია დემოკრატის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. „განათლება ამერიკული დემოკრატისთვის“ (Education for American Democracy) იყო გეგმა, რომელიც გამოქვეყნდა განათლების დეპარტამენტისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნული ფონდის მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას და ღირებულებების დამკვიდრებას [Educating for American Democracy, 2021].

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც დონალდ ტრამპმა დემოკრატები ხმების მოპარვაში დაადანაშაულა, მან თავის მომხრე მოქალაქეებს მიმართა: „ვიცი, რომ ყველა აქ მყოფი მარშით წავა კაპიტოლიუმისკენ, რათა თქვენი ხმა ისმოდეს მშვიდად და პატრიოტულად.“ სიტყვით გამოსვლა ტრამპმა დაასრულა შემდეგი სიტყვებით: „მოქალაქეები, რომლებიც არ იბრძობენ, ქვეყანა აღარ ექნებათ“ [BBC News, 2021]. ამ განცხადების შემდეგ მოქალაქეები კაპიტოლიუმში შეიჭრნენ, ხოლო ტრამპმა ისინი „დიად პატრიოტებად“ (Great Patriots) მოიხსენია [Moore, 2021]. სიტყვა პატრიოტი არასწორად არის გამოყენებული. პატრიოტიზმი მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქვეყნის სიყვარულს და მისდამი ერთგულებას. ასევე, დემოკრატიული იდეალებისადმი პატივისცემას, იმ იდეალებისადმი, რომელსაც სახელმწიფო ეფუძნება; გულისხმობს კანონისადმი მორჩილებას, დროშისა და სხვა სიმბოლოებისადმი პატივისცემას; სხვადასხვა პასუხისმგებლობის შესრულებას, რომელიც მოქალაქეს აკისრია, ესენია: ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის ფლობა, არჩევნებში ხმის მიცემა, მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულება და საომარი მოქმედებების დროს ქვეყნისთვის მსახურება [U.S. Department of Education, 2005:16]. ერთ-ერთმა მოსამართლემ კაპიტოლიუმზე თავდამსხმელს უთხრა: „თქვენს თავს და სხვებს პატრიოტები უწოდეთ, თუმცა ეს პატრიოტიზმი არ არის. პატრიოტიზმი არის ქვეყნისადმი და არა ერთი სახელმწიფო მეთაურისადმი ერთგულება. ეს არის ტირანია, რომელიც ჩვენ უარვყავით 1776 წლის 4 ივლისს“. ამგვარად, ამ დღეს მომხდარი მოვლენები გამოხატავდა არა მხოლოდ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე თავდასხმას, არამედ ამერიკელი ხალხის ღირებულებების უგულებელყოფას [Spencer, 2021].

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელები ასე დაყოფილნი არ ყოფილან შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის შემდეგ. სწორედ ამიტომ, ჯ. ბაიდენმა თავის საინაუგურაციო მიმართვაში რამდენჯერმე წარმოთქვა სიტყვა - ერთიანობა (Union) და მოქალაქეებს მოუწოდა, რომ ამერიკელები უთანხმოებამ არ უნდა დაეოს (Biden, 2021). დაყოფა (Disunion) არის სიტყვა, რომელიც შეერთებული შტატების სამოქალაქო

ომის შემდეგ არც ერთ პრეზიდენტს ინაუგურაციის დროს არ წარმოუთქვამს. სენატორმა, ჯო მანჩინმა (Joe Manchin) დასავლეთ ვირჯინიიდან, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამერიკელი ხალხი ისეთივე დაყოფილია დღეს, როგორც სამოქალაქო ომის დროს (Hoover, 2021). საინაუგურაციო მიმართვაში პრეზიდენტმა ბაიდენმა სამოქალაქო ომიც ახსენა, როდესაც ქვეყნის ერთიანობა ბეწვზე ეკიდა (Biden, 2021). მოქალაქეები, რომლებიც კაპიტოლიუმში შეიჭრნენ არ იციან, თუ რა ღირებულებებზე დაყრდნობით შეიქმნა შეერთებული შტატები. ისტორიკოსები ეთანხმებიან ზემოთ აღნიშნული სენატორის მოსაზრებას და მიიჩნევენ, რომ ამერიკელების დაყოფას აქვს უფრო სიღრმისეული მიზეზები, ამათგან ერთ-ერთი განათლების ხარისხი არის (Hoover, 2021).

კაპიტოლიუმზე თავდასხმის შემდეგ, ამერიკულმა ისტორიულმა ასოციაციამ (American Historical Association) გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამგვარი რამ არ მომხდარა 1814 წლის შემდეგ, როდესაც ბრიტანელებმა გაძარცვეს და დაწვეს „ხალხის სახლი“ (თეთრი სახლი), კაპიტოლიუმზე თავდამსხმელებს ხელში ეჭირათ კონფედერაციის საბრძოლო დროშა (Confederate Battle Flag), რომელიც დაშლილი ქვეყნის სიმბოლოა და ძალადობას გამოხატავს. ხალხს, რომლებიც კაპიტოლიუმს თავს დაესხნენ „დიდი პატრიოტები“ და „ამერიკელი პატრიოტები“ უწოდეს, თუმცა ეს მცდარია [Blakemore, 2021].

რაც შეეხება ისტორიის სწავლების პრობლემებს, გეგმაში „განათლება დემოკრატიისთვის“ აღნიშნულია, რომ არსებობდა ფედერალური საგანმანათლებლო რეფორმები, როგორებიცაა „არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე“ (No Child Left Behind – 2002), „რბოლა წარმატებისთვის“ (Race to the Top - 2009), თუმცა ისტორიის სწავლების საკითხი უგულვებელყოფილი იყო. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მთავრობა ისტორიის სწავლების საკითხს მხარს უჭერდა, თუმცა თითოეული შტატის განათლების დეპარტამენტი თავად წყვეტს ამა თუ იმ საკითხის სწავლებას. შედეგად, თაობებს ისტორიის მაღალი ხარისხის ცოდნა არ მიუღიათ. ზემოთ აღნიშნული გეგმის მიხედვით კონსტიტუციური დემოკრატია მოითხოვს

„გააზრებულ პატრიოტიზმს“ (Reflective Patriotisms). ალექსის დე ტოკვილი თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ წერდა, რომ „გააზრებული პატრიოტიზმი“ ამერიკელი ხალხის მახასიათებელი იყო და სვამდა შეკითხვას - რით არის განპირობებული ის, რომ გუმინ ჩამოსული და დამკვიდრებული მცხოვრებლები, რომელთაც არც წეს-ჩვეულებები მოჰყოლიათ, არც მოგონებები; სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს უცნობი ადამიანები, სადაც ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, სამშობლოსადმი ინსტიქტის გრძნობა ძლივს თუ შეიძლება არსებობდეს; საიდან მომდინარეობს ის, რომ თითოეულის ინტერესის საგანი ისევეა მისი თემის, ოლქისა და მთლიანად შტატის საქმეები, როგორც საკუთარი? [ტოკვილი, 2011:187]

დღესდღეობით პატრიოტულ აღზრდას ისახავს მიზნად სხვადასხვა შტატის მიერ მიღებული სოციალური კვლევების სასწავლო გეგმა. მაგალითად, „მასაჩუსეტსის ისტორიისა და სოციალური კვლევების სასწავლო გეგმა“, რომელიც 2018 წელს მიიღეს (Massachusetts History and Social Studies Framework – 2018), პირველ კლასში ისწავლება, თუ რა არის შეერთებული შტატების ეროვნული სიმბოლოები (მაგალითად, აშშ-ს დროშა, თეთრთავიანი არწივი, თეთრი სახლი და თავისუფლების ქანდაკება). ასევე, ფრაზები, მოტო და გამონათქვამები, რომლებიც უკავშირდება შეერთებულ შტატებს (მაგალითად, მოტო ლათინურად - „E pluribus unum“ - ერთი მრავალთაგან). გარდა ამისა, ისწავლება პატრიოტული სიმღერები და მელოდიები, როგორებიცაა „ვარსკვლავებით მოჭედილი დროშა“, „ღმერთმა დალოცოს ამერიკა“ და ა.შ. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ თითოეული გამაერთიანებელი სიმბოლოს, ფრაზის თუ სიმღერის მნიშვნელობის ახსნა [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:34].


საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის არჩევითი საგანი არის შეერთებული შტატების მთავრობა და პოლიტიკა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მე-8 კლასში ნასწავლ საგანთან - შეერთებული შტატების ისტორია 1 და 2, როდესაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად სწავლობენ ქვეყნის ისტორიას [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:162]. ამ საგნის მეშვეობით, დემოკრატიის

ისეთი ღირებულების შესწავლისთვის, როგორც არის პატრიოტიზმი, მოსწავლეებს ევალებათ, რომ ჩაატარონ კვლევა, ანალიზი, ზეპირი ან წერილი პრეზენტაცია, ან მულტიმედიური პრეზენტაცია. მათ უნდა გამოიყენონ პირველადი წყაროები იმისათვის, რათა ნათლად წარმოაჩინონ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ამერიკული დემოკრატიის პრინციპები [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:140-141]. სწორედ კვლევა და დამატებითი მასალების გამოყენება არის ჯონ დიუის სწავლების მეთოდები.

მასაჩუსეტსის ისტორიული საზოგადოება (Massachusetts Historical Society), სადაც ისტორიის სწავლების ცენტრი (Center for the Teaching of History) არის, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს შეერთებული შტატების ისტორიის სწავლებისთვის აქტივობებს, მეთოდებს. რა თქმა უნდა, სასწავლო საკითხები ღირებულებების სწავლებასაც მოიცავს. მაგალითად, განვიხილოთ, სამოქალაქო ომის სწავლება.

მოსწავლეებს მიცემული აქვთ რამდენიმე წყარო, რომლებიც სამოქალაქო ომს უკავშირდება, თუმცა დოკუმენტების გაცნობამდე მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს და განიხილავენ საკითხებს. ამ აქტივობას შესაძლოა ვუწოდოთ **მოთელვითი დისკუსია** (Warm-up Discussion). მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ შეკითხვებს: - რით იყო ქალებისა და კაცების სამოქალაქო ომში მონაწილეობა მოტივირებული? რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოტივები? მოსწავლეების პასუხები შესაძლოა მოიცავდეს ისეთ იდეას, როგორც არის პატრიოტიზმი. ასევე, მათ უნდა დაწერონ ესე, იმის შესახებ, თუ თავად როგორ ჩაერთვებოდნენ სამოქალაქო ომში (ჯარისკაცი, ექთანი და ა.შ.) [Center for the Teaching of History, 2021:1].

გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევათ პირველადი წყარო - ახალწვეულთა დოკუმენტი, სადაც კავშირის გენერალ ნათანიელ პ. ბენქსის (Nathaniel P. Banks) კავალერიაში იწვევენ ხალხს.



სურათი 3. გენერალ-მაიორ ბენქსის დიდი ექსპედიცია - 1862

პლაკატს თან ახლავს აღწერა, სადაც წერია, რომ ომში ჩარიცხულებს უპირობო პატრიოტიზმის გრძნობა ამოძრავებდათ. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:

- გამოიკვლიეთ, ვინ იყვნენ ეს ჯარისკაცები (ნათანიელ ბენქსი, კასპარ ქროუნინშილდი და სხვ.);
- თქვენი აზრით, რატომ არის მათი სახელი და გვარი განთავსებული ახალწვეულთა დოკუმენტში.

თქვენზე მოახდენდა თუ არა გავლენას მეგობრების გადაწყვეტილება მიეღოთ მონაწილეობა სამოქალაქო ომში? [Center for the Teaching of History, 2021:1].

ასევე, პატრიოტიზმის სწავლებისთვის აუცილებელია განვიხილოთ ამერიკის რევოლუციაც. მოსწავლეები ეცნობიან შემდეგ წყაროს: „აბიგაილის ომი: აბიგაილ ადამსის თვალთ დანახული ამერიკის რევოლუცია.“ ამ წყაროში მოცემულია უილიამ პრესკოტის წერილი აბიგაილ ადამსს და აბიგაილ ადამსის წერილი ჯონ ადამსს. უილიამ პრესკოტი აღწერს ბანკერ ჰილის შეტაკებას (1775 წლის 25 აგვისტო), იგი იბრძოდა, როგორც პატრიოტი. აბიგაილ ადამსიც თავის წერილში აღწერს ბანკერ ჰილის შეტაკებას, რომელსაც თავის სახლთან ახლოს გორაკიდან აკვირდებოდა. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ ორივე წერილი და დაწერონ სტატია, სადაც გადმოცემული იქნება მოსწავლის თვალთახედვა ამ ბრძოლის შესახებ, უნდა წარმოაჩინონ საკუთარი დამოკიდებულება. იმისათვის, რათა მათ მსჯელობა გაუადვილდეთ, დასმული აქვთ რამდენიმე შეკითხვა:

- რას ფიქრობთ ამ ბრძოლის შესახებ?
- ამაყობთ თუ არა პატრიოტი ჯარისკაცებით?
- რას ფიქრობთ ბრძოლის შესახებ, როგორც პატრიოტი, რომელიც მხარს უჭერს კოლონიების დამოუკიდებლობას?

ამგავარად, დავალებებში ჩანს, რომ ყურადღება ეთმობა არა ისტორიული ფაქტების დამახსოვრებას, არამედ მათ ანალიზს და პირადი დამოკიდებულების გამოხატვას, რაც მოსწავლის გონებას მოქნილს ხდის [Ottman, 2021:6].

პატრიოტიზმის გრძნობა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა შეერთებულ შტატებში. ტრაგედიის შემდეგ, ნებრასკას განათლების დეპარტამენტმა მიიღო ბილი პატრიოტიზმის შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა სოციალური კვლევების სასწავლო გეგმის შინაარსს, კერძოდ კი, უნდა ესწავლებინათ საკუთარი ქვეყნის სიყვარული, ამერიკელი გმირების ქმედებები, უნდა ესწავლათ შეერთებული შტატების ჰიმნი და ა.შ. რამდენიმე თვეში სხვა შტატებმაც მიბაძეს ნებრასკას და სასწავლო გეგმაში ცვლილებები შეიტანეს [Westheimer, 2006:608-609]. ნებრასკას დღევანდელი სოციალური კვლევების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პატრიოტული სიმბოლოების სწავლებას, თუმცა ეს ფუნქცია

ძირითადად სამოქალაქო განათლებას აქვს მინიჭებული [Nebraska Department of Education, 2019]. რაც შეეხება ისტორიის სწავლებას, ნებრასკას განათლების დეპარტამენტმა შექმნა ორი არჩევითი საგანმანათლებლო წყარო, რომლის მეშვეობით დაინერგა სოციალური კვლევების სტანდარტები. პირველი წყარო არის “სოციალური კვლევების სტანდარტის საგანმანათლებლო საშუალება“ (Social Studies Standards Instructional Tool – SIT), ეს არის ელექტრონული ცხრილი, რომელიც შეიცავს საგანმანათლებლო წყაროებს, რომლებსაც თან ახლავს დავალებები [Nebraska Department of Education, 2019]. მე-8 კლასის ისტორიის სასწავლო გეგმისა და აქტივობების მაგალითზე, განვიხილოთ, თუ როგორ ასწავლიან პატრიოტიზმს.

ერთ-ერთი წყარო მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ვეტერანების დღესთან დაკავშირებით, ინტერვიუს ვეტერანებთან, ასევე, შეერთებული შტატების პრეზიდენტების გამონათქვამებს, რომლებიც ეხება პატრიოტებს და პატრიოტიზმს [Veterans Day, 2021]. მოცემული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ შემდეგი პროექტებიდან ერთ-ერთი:

1. დაწერეთ 300-400 სიტყვიანი ესე და უპასუხეთ ამ შეკითხვებიდან ერთ-ერთს:

- რას ნიშნავს ვეტერანი ჩემთვის?
- რა არის პატრიოტიზმი?
- რატომ უნდა აღვნიშნოთ ვეტერანთა დღე?
- როგორი არის ვეტერანთა დღის ისტორია?
- ჩაატარეთ კვლევა ერთ-ერთი ვეტერანის შესახებ, როდესაც მსახურობდა.
- გამოკითხეთ ვეტერანი იმ პერიოდის შესახებ, როდესაც მსახურობდა.

2. თანაკლასელთან ერთად შექმენით ვიდეო, რომელიც პატივს მიაგებს ვეტერანებს (wevideo.com - ს გამოყენებით).

3. შექმენით ხელოვნების ნიმუში, რომელიც პატივს მიაგებს ვეტერანებს.

4. შექმენით მემორიალი.

5. დაწერეთ სიმღერა ან ლექსი ვეტერანებისთვის (შესაძლებელია wevideo.com - ს გამოყენება) [Veterans Day, 2021].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პატრიოტიზმი მხოლოდ ქვეყნის სიმბოლოებისადმი პატივისცემას არ გამოხატავს, არამედ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, რომ მოსწავლეებს ქვეყნის დაცვას და სიყვარულს ასწავლიან. მასაჩუსეტსისგან განსხვავებით, რომლის სოციალური კვლევების სასწავლო გეგმაში პატრიოტიზმი დემოკრატიის ერთ-ერთ პრინციპად არის მოხსენიებული, **კონექტიკუტის, ინდიანას, ნევადას, დელავერის** და ა.შ. სასწავლო გეგმაში პატრიოტიზმი არ წერია. 2021 წლის 6 იანვრის მოვლენების შეფასებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ტრამპის მომხრეთა შეჭრას კაპიტოლიუმში „შენიღბულ პატრიოტიზმს“ უწოდებენ. საინტერესოა, რა სახით შეიტანენ ამ საკითხს სასწავლო გეგმაში ან სახელმძღვანელოში [Donadze, 2023:6].

ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნული ფონდისა და შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის დაფინანსებით შექმნილი გეგმა - „განათლება ამერიკული დემოკრატიისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სწავლების სრულყოფას, თავის მიზნებს 2030 წლისთვის უნდა მიაღწიოს. გეგმის შესავალში აღნიშნულია, რომ დღესდღეობით შეერთებული შტატები საფრთხისა და შესაძლებლობების გზაჯვარედინზე დგას. ჯანსაღი კონსტიტუციური დემოკრატია ყოველთვის „გააზრებულ პატრიოტიზმს“ (Reflective Patriotism) მოითხოვს [Education for American Democracy, 2021:7]. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ პატრიოტიზმის დამკვიდრებასა და ისტორიის სწავლებას მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს და რომ დემოკრატიის გადარჩენისთვის ერთადერთი გზა განათლებული მოქალაქეების ყოლაა [Flaherty, 2021]. აღნიშნული გეგმა არ არის კურიკულუმი, არამედ ეს არის მოწოდება შტატებისთვის, რათა სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს ამ გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს (Educating for American Democracy, 2021:7).

კაპიტოლიუმზე თავდასხმაც სასწავლო გეგმის ნაწილი უნდა გახდეს, რაც, ვფიქრობ, მოსწავლეებს ასწავლის, რა არ არის პატრიოტიზმი [University of South Carolina, 2021].

რაც შეეხება საქართველოს, როგორც პირველ თავში აღვნიშნე, განათლების რეფორმების გატარება 1910-20-იან წლებში მაშინდელ ხელისუფლებას არ დასცალდა, 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ საქართველოში სკოლები სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატს (განსახკომი) დაექვემდებარა. საბჭოთა კავშირის შექმნიდან 1925 წლამდე არსებობდა არა საგნობრივი სწავლება, არამედ თემატური, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს - შრომა, საზოგადოება, ადამიანი და ბუნება. თუმცა, შემდგომში საგნობრივი სწავლება განახლდა, საგანთა სასწავლო გეგმას განსახკომი ადგენდა და მთელ საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა. თითოეულ რესპუბლიკას არა მხოლოდ საერთო სასწავლო გეგმა, არამედ სახელმძღვანელოებიც საერთო ჰქონდა [ჭანტურია, 2020:16-18].

ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ლენინისა და სტალინის დროინდელი განათლება. ვლადიმერ ლენინის შეხედულებები სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის შესახებ საფუძვლად დაედო საბჭოთა სკოლას, რომელიც 1917-1920 წლებში ჩამოყალიბდა. იმ დროისთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სწავლების მეთოდს, რაც ნიშნავს იმას, რომ სწავლების მიზანი ცხოვრებასთან დაკავშირება იყო [ვასაძე და სხვები, 1988: 427-428]. ლენინს სურდა, ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაკლის - თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისგან გათიშვის აღმოფხვრა [ვასაძე და სხვები, 1988:402].

ლენინი საბჭოთა სკოლებში პატრიოტიზმის დანერგვის მომხრე იყო. იგი მიიჩნევდა, რომ კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლა უნდა ყოფილიყო პარტიის პოლიტიკის გამტარებელი, მომავალი თაობა პარტიისა და ხალხის საქმისთვის ერთგულების გრძნობით უნდა აღეზარდათ. სწორედ ამგვარად იყო შესაძლებელი პატრიოტი და ნამდვილი კომუნისტის აღზრდა [ვასაძე, 1988:401-404]. ერთ-ერთ

ყრილობაზე ლენინმა განაცხადა: „ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, რომ სკოლა ცხოვრების გარეშე, პოლიტიკის გარეშე, ეს სიცრუე და თვალთმაქცობაა“ (1918 წ.) [ვასაძე და სხვები, 1988:401].

ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში უცხოური პედაგოგიკის გავრცელება დაიწყო. რუსი რეფორმატორები თანდათან შორდებოდნენ ევროპულ მოდელს, განსაკუთრებით კი გერმანულს და დიუის შეხედულებებისკენ იხრებოდნენ. ეს ხდებოდა ორი მიზეზით. უპირველეს ყოვლისა, მიიჩნევდნენ, რომ დიუი აერთიანდებდა სხვადასხვა რეფორმის მოთხოვნებს და მეორე მიზეზად შესაძლებელია პოლიტიკური მიზეზი დავასახელოთ. 1914 წლიდან გერმანია რუსეთთან ომში იმყოფებოდა, რამაც გავლენა იქონია მათ ურთიერთობებზე, ეს კი პედაგოგიკის სფეროზეც აისახა. ხოლო შეერთებულ შტატებში განათლების სისტემა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებოდა, მზარდ ინტერესს იწვევდა, როგორც მისაბამი მოდელი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოციალური კონფლიქტი მძაფრდებოდა რუსეთში და სოციალური რევოლუციის პირას იდგა. ასეთმა გარემოებებმა ხელი შეუწყო დიუის იდეების გავრცელებას, თუმცა დიუის პედაგოგიკა და ისეთი იდეები, როგორებიცაა „კლასთა ბრძოლა“, კომუნისმი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა პედაგოგებისთვის ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. დიუისთვის მნიშვნელოვანი იყო ინდივიდი და არა სახელმწიფო ან პოლიტიკური ინტერესები. მისთვის თავისუფლება იყო მიზანიც და საშუალებაც სოციალური ცვლილებისთვის, ხოლო ბოლშევიკები ცდილობდნენ თავისუფლების იდეა ავტორიტარული მეთოდებით დაენერგათ, მათ შორის, სკოლაშიც, რითაც თავადვე დააკნინეს ის იდეა, რომლის დამკვიდრებაც სურდათ. დიუის პედაგოგიკა კი ძნელად შესატყვისი იყო ავტორიტარული სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემასთან [Mchitarjan, 2009:180-181]. პირველ თავში, სადაც განვიხილეთ, რომ დიუის იდეებს საქართველოშიც იცნობდნენ, იმით უნდა ავხსნათ, რომ 1907-1917 წლებში რუსეთში დიუის ნაშრომები რუსულ ენაზე იბეჭდებოდა

[Mchitarjan, 2009:167], ჟურნალში “განათლება” სწორედ ამ პერიოდში გამოცემულ ნომრებში გვხვდება ინფორმაცია ლაბორატორიულ სწავლებაზე.

მომავალ თაობებს კომუნიზმის იდეებისა და სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდნენ. 1920 წელს გამოქვეყნებულ განსახკომის (სახალხო განათლების სახელმწიფო კომისია, რომელიც 1917 წელს შეიქმნა, მის მიზანს წარმოადგენდა სახალხო განათლების სისტემის ფორმირება) ანგარიშში ჩამოყალიბებული იყო სასწავლო გეგმა, სადაც საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა. ისტორიის მეშვეობით კი ისწავლებოდა რევოლუციური მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიული საკითხები. მოსწავლეებს ოქტომბრის რევოლუციისა და ცნობილი რევოლუციონერების შესახებ უნდა ემსჯელათ [ვასაძე, 1988:411-426]. ლენინი მოითხოვდა, რომ ისტორია კომუნისტურად ესწავლებინათ და კომუნისტური წიგნები გამოეყენებინათ (1922 წელი, პარტიის მე-11 ყრილობა) [კომუნისტი, 1936:1].

1930-იან წლებში რუსიფიკაციის პოლიტიკა ეფუძნებოდა „ხალხთა შორის მეგობრობის“ პრინციპს, რამაც განათლებაზე გავლენა მოახდინა, რაც ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში აღვივებდნენ ეთნონაციონალიზმის გრძნობას. ეს კი უმცირესობების შევიწროვების ხარჯზე ხდებოდა. ამავე დროს, რუსული ნაციონალიზმი სხვა ეროვნებებთან შედარებით უპირატესად განიხილებოდა. იმისათვის, რათა მომავალი თაობები საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღეზარდათ, სტანდარტიზებული სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები შეიქმნა. სტალინი თავად ერთვებოდა, როგორც კურიკულუმების, ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერაში. ამგვარად, საბჭოთა სკოლები პოლიტიზირებული იყო და სტალინის პროპაგანდას აქტიურად ეწეოდა (ჭანტურია, 2020:19).

1930-იან წლებში მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ [კომუნისტი, 1936:1]. ასევე, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სწავლება დაიწყო. საბჭოთა იდეოლოგიას ავრცელებდნენ

ისტორიის, კონსტიტუციისა და გეოგრაფიის სწავლების მეშვეობით [ჭანტურია, 2020:22]. სამოქალაქო ისტორიის მეშვეობით ისწავლებოდა ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომელთა სიღრმისეულ ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენების სწორად გაგებისთვის და „ფაშისტ თავდამსხმელთა“ წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მოქალაქეების გმირული ბრძოლის მაგალითზე მოსწავლეებში აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს, სამშობლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებას [განსახკომი, 1942:21]. მაგალითად, ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა, მასწავლებელმა გაკვეთილის თემასთან გაზეთ „პრავდაში“ (1942 წლის 22 მაისი) გამოქვეყნებული წერილი „ცისფერი შარფი“ დააკავშირა. წერილში მოთხრობილი იყო ამბავი ახალგაზრდა საბჭოთა მფრინავის შესახებ, რომელიც ფაშისტების მიერ მოკლული მფრინავი ქალის გამო შურს იძიებდა. დაღუპული ქალის ხსოვნის აღსანიშნავად იგი ცისფერ შარფს ატარებდა და მასზე კვანძებს აკეთებდა თითოეული ფაშისტური თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ. აღნიშნულმა ისტორიამ თითოეულ მოსწავლეზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა [განსახკომი, 1942:22].

იმ დროს, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, ისწავლებოდა საბჭოთა კავშირის ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორია მხოლოდ დანამატი იყო. სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოების მეშვეობით აღვივებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმს. 1946 წლის „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში“ ვკითხულობთ, რომ მასწავლებლები პატრიოტიზმის სწავლებისთვის სათანადოდ იყენებდნენ თანადროულ მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგალითად, როგორცაა საბჭოთა ხალხის ძლევა მოსილი გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე [განსახკომი, 1946:19].

მოგვიანებით გამოცემულ მე-8 კლასის „სსრ კავშირის ისტორიის“ სახელმძღვანელოში (1969 წ.) ერთ-ერთი გაკვეთილის თემა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი არის. გაკვეთილს თან ახლავს დოკუმენტური მასალა, რომელიც საბჭოთა გმირის ისტორიას მოგვითხრობს - „თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება

№269, ა. მ. მატროსოვის სამუდამოდ ჩარიცხვის შესახებ ალექსანდრე მატროსოვის სახელობის გვარდიის 254-ე პოლკის პირველი ასეულის სიაში“. ალექსანდრე მატროსოვი, რომელიც რიგითი ჯარისკაცი იყო, თავისი ტანით გადაეფარა სათოფურს, რითაც შემტევი ქვედანაყოფის წარმატება უზრუნველყო. 1943 წელს ალექსანდრე მატროსოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. მისი თავგანწირვა წითელი არმიის ყველა მებრძოლისთვის გმირობის ნიმუშად უნდა იქცეს. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: რაში მდგომარეობს ალექსანდრე მატროსოვის გმირობის მნიშვნელობა? ცნობილია თუ არა თქვენთვის ასეთივე გმირობის სხვა შემთხვევები? [ჩიქოვანი, 1969:229]

პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ამავე სახელმძღვანელოში მოცემული, როგორც სსრ კავშირის, ასევე, მოკავშირე რესპუბლიკების გერბის, დროშისა და ჰიმნის სწავლება. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკის გერბზე ნამგალი და ურო დედამიწის ფონზე მზის სხივებში იყო გამოსახული, რომელსაც გარშემოვლებული აქვთ თავთავი, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე აწერია - „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! გერბის ზემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი არის გამოსახული [ჩიქოვანი, 1969:355]. ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა შედგება წითელი ქსოვილის და მასზე გამოსახული ნამგალისა და უროსგან [ჩიქოვანი, 1969:356].

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე იდგა, რაც განათლების საკითხებსაც ეხებოდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, რომ ეროვნული სკოლა შექმნილიყო. ეს გამოიწვია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ (78-ე მუხლი, 1978 წ.), რაც გულისხმობდა იმას, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ექნებოდა. ამ ცვლილების გაპროტესტებამ ბიძგი მისცა ქართული სკოლის შექმნის იდეის განხორციელებას, რაც გულისხმობდა საბჭოთა იდეოლოგიის ეროვნული და პატრიოტული მსოფლმხედველობით

ჩანაცვლებას, ასევე, სკოლებზე პოლიტიკას გავლენა აღარ უნდა ჰქონოდა [ჭანტურია და სხვები, 2020:32].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველო მრავალი სირთულის წინაშე იდგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაშიც იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. დაიწყო ახალი სახელმწიფოს შენება, რაშიც განათლების სისტემის ფორმირებაც იგულისხმებოდა. შეიქმნა საქართველოს განათლების კონცეფცია, დაიწყო ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და ა.შ. [ჭკუასელი და სხვები, 2014:260].

1997 წელს მიიღეს „საქართველოს კანონი განათლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განათლება უნდა გარდაქმნილიყო და დასავლური განათლების სტანდარტებთან მოსულიყო შესაბამისობაში, სახელმწიფოებრივი და ეროვნული აზროვნების ფორმირება უნდა მომხდარიყო. ასევე, კანონი მიზნად ისახავდა საგნობრივი სტანდარტების შემუშავებას. სასწავლო გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვანი ყურადღება საქართველოს ისტორიის სწავლებას დაეთმო და ამ საგნისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა გაიზარდა [ჭანტურია და სხვები, 2020:48].

მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის (გამომცემლობა კლიო, 2012) სახელმძღვანელოში ერთ-ერთი თავი ეხება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ თავს თან ახლავს „მთავარი კითხვა: როგორ შეიქმნა ახალი ქართული სახელმწიფოს საფუძველი“ და საკვანძო სიტყვები, რაც ამერიკულ სახელმძღვანელოებშიც გვხვდება. აღნიშნულ წიგნში მრავლად არის მოცემული პირველადი წყაროები, მაგალითად, ამ თავში მოცემულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის მოსაზრება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შესახებ: „კონსტიტუციის ტექსტი ერთ-ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა“. ამ

წყაროსთან მოცემულია ორი დავალება. პირველი დავალება მოითხოვს წყაროს ანალიზს - მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რა ტიპის სახელმწიფოს აშენებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება. მეორე დავალება კი კვლევითი არის, მოსწავლეებმა უნდა დაწერონ რეფერატი - დემოკრატიის მშენებლობა 1918-1921 წლების საქართველოში [ჯანელიძე და სხვები, 2012:321].

1990-ანი წლები მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა, არამედ იმიტომ, რომ ყოველივე ამას თან ახლდა ღირებულებების გადაფასება და ახალი მენტალობის ჩამოყალიბება. დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს ეროვნული მისწრაფების განხორციელება, დამოუკიდებლობის აღდგენა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის კანონები გააუქმა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა [ჯანელიძე, 2009:206].

2001 წლის სახელმძღვანელოში „საქართველოს ისტორია: XIX-XX საუკუნეებში“ ისწავლებოდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“ (1917-1918 წწ). სახელმძღვანელო დავალებების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, თითოეული თავის ბოლოს დასმულია რამდენიმე შეკითხვა, ხოლო ცალკე გამოყოფილია დავალება. ასევე, სახელმძღვანელოში გვხვდება პირველადი წყაროები, მაგალითად, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი. შეკითხვები, რომლებიც მოცემულია ამ სახელმძღვანელოში, მიზნად ისახავს ფაქტობრივი მასალის ცოდნას და ნაკლებად არის ორიენტირებული სხვადასხვა უნარის განვითარებაზე, ასევე, კონსტიტუციის თუ დამოუკიდებლობის აქტის გაანალიზებისას არ არის დასმული შეკითხვა, თუ რა ღირებულებებია ამ დოკუმენტებში წარმოჩენილი. ამავე სახელმძღვანელოს მეშვეობით ისწავლება 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა [ვაჩანაძე და გურული, 2001:119-136].

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლება შეიცვალა, რომელიც განათლებაში არსებული მრავალი პრობლემის წინაშე იდგა, მანამდე

გატარებული ცვლილებებისა და ინიციატივების მიუხედავად. ფინანსური პრობლემების გარდა, აუცილებელი იყო რესურსებისა და კურიკულუმების შეცვლა, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა [ჭანტურია და სხვები, 2020:56]. ამ პერიოდისთვის ეროვნული სასწავლო გეგმა შეიქმნა, რაც, მაგალითად, გულისხმობდა საგნობრივი ჯგუფების შექმნას. საზოგადოებრივ მეცნიერებებში საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი საგნები გააერთიანეს [ჭანტურია და სხვები, 2020:93].

2012 წელს კი ხელისუფლება შეიცვალა, რომელმაც უმთავრეს მიზნად დაისახა განათლების დეპოლიტიზირება [ჭანტურია და სხვები, 2020:122], რამდენად შეძლო ამ მიზნის განხორციელება ხელისუფლებამ, ეს ისტორიის ზოგიერთ სახელმძღვანელოში ნათლად ჩანს. 2018 წლიდან სწავლება საზოგადოებრივი მეცნიერებების მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაიწყო. ისტორიას მე-7 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით ასწავლიან.

ყურადღებას გავამახვილებ იმ კლასებზე, სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიან, განსაკუთრებით იმაზე, თუ რომელი ღირებულებების დამკვიდრებას ეთმობა ყურადღება. გეგმის მიხედვით, ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ღირებულებების დამკვიდრებას, როგორებიცაა დადებითი დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ, თუმცა სიტყვა ტოლერანტობა გეგმაში არ გვხვდება. გარდა ამისა, მოსწავლეებმა ისტორიული მაგალითების მოშველიებით უნდა დაასაბუთონ სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიული პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროება [განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2018:286].

განვიხილოთ პატრიოტული აღზრდა ისტორიის სწავლების გზით. მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (გამომცემლობა დიოგენე, 2021 წ.), სადაც ერთ-ერთი თავის საკითხია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - რა ფასეულობებს ეფუძნებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა?“ მისი

მეშვეობით შესაძლებელია ისეთი ღირებულებების გაღვივება, როგორებიცაა პატრიოტიზმი, თანასწორობა, მოქალაქეობა და ა.შ. მაგალითად, სახელმძღვანელოში გვხვდება პირველადი წყაროები: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, საქართველოს რესპუბლიკის გერბი და საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა, ასევე, 1921 წლის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი. ყურადღება გამახვილებულია დროშის მნიშვნელობაზე, რომ პირველი რესპუბლიკის პერიოდში დროშა მასობრივად იყო გამოფენილი, ნებისმიერ დღესასწაულზე, მაგალითად 26 მაისს, 12 დეკემბერს (სახალხო გვარდიის დღე). დროშა როგორც ყოველთვის საპატიო ადგილას იყო აღმართული, აივნიდან მოქალაქეებიც ფენდნენ დროშას. გარდა ამისა, დროშის გამოსახულებიანი გულსაბნევებიც მზადდებოდა, რომლებსაც ყიდნენ, ხოლო შემოსავალს საქველმოქმედო მიზნებისთვის იყენებდნენ. გერბისა და დროშის შესახებ რაიმე დავალება ან შეკითხვა სახელმძღვანელოში არ არის, თუმცა ქვეყნის ამ სიმბოლოების მნიშვნელობას უდაოდ ექცევა ყურადღება, რაც მოსწავლეებს პატრიოტიზმის გრძნობას უნერგავს [ახმეტელი და სხვები, 2021:248].

გარდა ამისა, მოსწავლეები აანალიზებენ კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება. მოცემულია როლური თამაში - მოსწავლეები უნდა დაიკონ ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ადამიანი უფლებებს ეხება, მათ უნდა დატოვონ ის მუხლები, რომლებსაც ეთანხმებიან, ხოლო დაამატონ მუხლები, რომლებიც კონსტიტუციის ამ ნაწილში შესული არ არის და აუცილებლად გასათვალისწინებელია დღეს. პროექტის გაცნობის დროს მათ უნდა დაასაბუთონ ამ მუხლების აუცილებლობა. მოსწავლეებმა ახალი მუხლები კენჭისყრით უნდა მიიღონ. ეს არის დავალება, რომელიც მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიმღები პირის როლს აძლევს. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქე აქტიურად უნდა იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, ამგვარად, ვფიქრობ, რომ ასეთი სახის დავალებების მიცემა მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია.

ამავე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი არის “საქართველო - დამოუკიდებელი სახელმწიფო”. ეს თავი იწყება დიალოგით - ნორჩ მკვლევართა სადისკუსიო კლუბში მსჯელობა. აქ ხაზგასმულია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომელმაც ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო მეტად გააქტიურა. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში საკანონმდებლო ორგანოს - უზენაესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პარტია იღებდა მონაწილეობას (14 პარტია და ბლოკი), უმრავლესობა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ მოიპოვა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, საქართველოს მოსახლეობას პასუხი შემდეგ კითხვაზე უნდა გაეცა: თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე? რეფერენდუმი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც ჩატარდა, სადაც მხარი დაუჭირეს აღნიშნულ მოსაზრებას. ამგვარად, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღეს და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო 1918-21 წლების რესპუბლიკის მემკვიდრედ გამოცხადდა. სახელმძღვანელოში მოცემულია პირველადი წყარო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ [ახმეტელი და სხვები, 2020:382]. ამ თავის ბოლოს დასმულია შეკითხვები: გამოთქვით ვარაუდი, რატომ იყო აუცილებელი რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ? ასევე, მოსწავლეებმა უნდა შეადარონ საქართველოს პირველი დემოკრატიული სახელმწიფოსა (1918-21 წწ.) და საქართველოს რესპუბლიკის მიერ დეკლარირებული პრინციპები. მოსწავლემ უნდა გადაწყვიტოს რამდენად შეესაბამება ისინი დემოკრატიულ პრინციპებს. ამგვარად, ეს შეკითხვები მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. გარდა ამისა, მოცემულია კვლევითი დავალებაც, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტიდან, ან ამ პროცესებში მონაწილეებისგან აიღონ ინტერვიუ (მშობლები, ბებია-ბაბუა და ა.შ.) და დაწერონ ესე, რომელმაც შემდეგ შეკითხვას უნდა უპასუხოს:

როგორ დაიშალა საბჭოთა კავშირი და როგორ გახდა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო? [ახმეტელი და სხვები, 2021:384].

ვფიქრობ, მომავალი თაობების პატრიოტული აღზრდისთვის ისტორიაში მომხდარი ისეთი მოვლენა გვეხმარება, როგორცაა ომი. მაგალითად, ამ სახელმძღვანელოში ისწავლება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის შესახებაც ფაქტები შემდეგი სახით არის მიწოდებული: “2008 წლის 6-7 აგვისტოს ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის ბრძანება გასცა, რასაც რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი სამხედრო აგრესიით უპასუხა. 2008 წლის 8-10 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ათასობით ერთეული სამხედრო ტექნიკა და ათიათასობით ცოცხალი ძალა შემოიყვანა.” სახელმძღვანელოში გადმოცემული ინფორმაცია თანმიმდევრულად არ ასახავს იმდროინდელ მოვლენებს. 2018 წელს გამოცემულ კვლევაში - “7 აგვისტო: როგორ მოამზადა და დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი საქართველოს წინააღმდეგ”, რომელიც დეტალურად ასახავს იმდროინდელ მოვლენებს, ვკითხულობთ, რომ ჯერ კიდევ 6 აგვისტოს დიდი რაოდენობით რუსული შეიარაღებული ძალები როკის გვირაბის მიმართულებით მოძრაობდნენ. 7 აგვისტოს 13:00 საათზე რუსულ შეიარაღებულ ძალებს უკვე დამყარებული ჰქონდათ კონტროლი როკის გვირაბზე. ხოლო, ამავე დღის 23:00-23:30 საათზე ახალი სადაზვერვო ინფორმაციის მიხედვით, რუსებს როკის გვირაბის გავლით დამატებითი სამხედრო ძალები შემოჰყავდათ, ხოლო მანამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი ძალები სამხრეთის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ. 7 აგვისტოს 23:35 საათზე პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, რომ ცხინვალის მიმართულებით მიმავალი და როკის გვირაბიდან გამომავალი კოლონები შეეჩერებინა, ასევე, სოფლების დაბომბვა ჩაეხშო, ხოლო სამოქალაქო მსხვერპლი მინიმუმამდე დაეყვანათ [ბატაშვილი, 2018:12-20].

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შემდეგ დასმულია შეკითხვა: შენი აზრით, დაუშვა თუ არა შეცდომა საქართველოს პრეზიდენტმა, როდესაც ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ ქართული სოფლების მიმართულებით სროლას რეგიონში სამხედრო ნაწილების შეყვანით უპასუხა? [ახმეტელი, 2020:404-406]. ამ მოვლენის ასეთი სახით სწავლება, არ ემსახურება პატრიოტიზმის გაღვივებას. გარდა ამისა, ამ თავში არ გვხვდება ინფორმაცია არც ერთ გმირზე, რომლებიც ამ ომში დაიუპნენ და რუსმა ჯარისკაცებმა სასტიკად აწამეს, მაგალითად, გიორგი ანწუხელიძის ამბავი და სხვ. [პრაიმტიმი, 2010:77].

ვფიქრობ, სახელმძღვანელოებში ყველა დავალებას, ასევე, თან უნდა ახლდეს მოკლე აღწერა, თუ რა ტიპის დავალებაა და რომელი უნარის განვითარებას ემსახურება, ისევე, როგორც ამერიკულ სახელმძღვანელოებშია მოცემული, ვინაიდან, ამით უფრო მარტივია მოსწავლისთვის დავალების მიზანი, თუ რომელი უნარის განვითარებას ითხოვს. სახელმძღვანელოებს თან ახლავს მოსწავლის რვეული, თუმცა მოცემულ დავალებებს არც აქ აქვს მითითებული, თუ რომელი უნარის გამოვლენას ითხოვს დავალება [ახმეტელი და სხვები, 2021]. ამგავრად, ინსტრუქციის სწორად მიცემა ბავშვებს დავალების შესრულებას მნიშვნელოვნად გაუმარტივებს [კოტორაშვილი, 2021:8].

შეერთებულ შტატებში განათლებაზე ცივმა ომმა მოახდინა გავლენა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოსწავლეებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ დემოკრატიულ ქვეყანაში და ეწარმოებინათ ანტიკომუნისტური პროპაგანდა, აღზრდილიყვნენ, როგორც პატრიოტი მოქალაქეები [Peterson, 2023:1-5]. საბჭოთა პერიოდის საქართველოში კი საბჭოთა პატრიოტიზმს ნერგავდნენ, რაც გულისხმობდა კომუნისტური პარტიისადმი ერთგულებას. დღეს კი პატრიოტიზმის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია სწავლების გაუმჯობესება. ომის ან სამოქალაქო ომის შესწავლა იძლევა იმის საშუალებას, რომ მომავალი თაობები პატრიოტული სულისკვეთებით აღვზარდოთ.

თანამედროვე შეერთებულ შტატებში კი პატრიოტიზმის დამკვიდრებისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისწავლება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქვეყნის სიმბოლოების შესახებ სწავლება, სამოქალაქო ომი და ა.შ. საქართველოსგან განსხვავებით, შეერთებულ შტატებში დავალებები მეტად მრავალფეროვანია და სხვადასხვა უნარის განვითარებაზე არის ორიენტირებული.

2.2 თანასწორობის სულისკვეთებით აღზრდა

შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიხედვით, ამერიკელების ერთ-ერთი ღირებულება თანასწორობა არის, თუმცა 2020 წლის 25 მაისს ჯორჯ ფლოიდის მკვლელობა არის რასიზმის, რასობრივი უთანასწორობის გამოვლინება. მისმა მკვლელობამ გამოიწვია მასობრივი პროტესტი, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ დისკრიმინაციისა და აფროამერიკელთა მკვლელობის შემთხვევები მონობის მემკვიდრეობის შედეგია. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი ამერიკულ სკოლებში არასათანადოდ ისწავლება.

პრეზიდენტ ჯ. ბაიდენის განცხადებაში ვკითხულობთ: „ბევრჯერ მითქვამს: ამ ერის სულისთვის ბრძოლა 240 წელზე მეტია არის მუდმივი ბიძგი - ბრძოლა ამერიკულ იდეალს, რომ ჩვენ თანასწორებად ვართ შექმნილები და სასტიკ რეალობას შორის, როდესაც რასიზმი ერთმანეთისგან გვეყოფს“ [Biden, 2021].

ასევე, ჯ. ბაიდენი ამბობს, რომ ჯორჯ ფლოიდის მკვლელობამ გამოიწვია ისეთი მასშტაბური პროტესტი, რაც არ გვინახავს 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის შემდეგ, ეს იყო ბრძოლა, რომელმაც ყველა რასის ადამიანი გააერთიანა. პრეზიდენტის აზრით, იმისათვის, რათა ყველა ამერიკელი იყოს თანასწორი, უნდა შეიცვალოს კანონები და პოლიტიკა. მართალია, პრეზიდენტს არ უსაუბრია განათლებაში არსებული პრობლემების შესახებ, თუმცა ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ შეერთებული შტატების ისტორიის, კერძოდ კი, სამოქალაქო ომის,

მონობისა და სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის საკითხებს სათანადოდ არ ასწავლიან. სკოლები უფრო მეტ ყურადღებას მათემატიკისა და მეცნიერების სწავლებას უთმობენ, ვიდრე ისტორიის. სანამ განვიხილავ იმას, თუ როგორ ისწავლება ისტორია ამა თუ იმ შტატში, მანამდე მნიშვნელოვანია, რომ გავცნოთ კვლევის შედეგს, რომელიც რასობრივ უთანასწორობას ეხება.

ჯორჯ ფლოიდის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ „პიუს კვლევითი ცენტრის“ (The Pew Research Center) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრული აფროამერიკელების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რასობრივი უთანასწორობის მიმართ ყურადღება გაიზარდა, თუმცა მათი ცხოვრება არ შეცვლილა. დანარჩენები ფიქრობენ, რომ აფროამერიკელთა მიმართ თანასწორობა მცირედით ან საერთოდ არ არის გამოხატული. ზრდასრული შავკანიანი მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ მონობის მემკვიდრეობას აფროამერიკელთა დღევანდელ ცხოვრებაზე გავლენა აქვს [Cox, 2022].

თუ თითოეული შტატის სოციალური კვლევების სასწავლო გეგმას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზები და მონობის საკითხი სხვადასხვაგვარად ისწავლება. თითოეულ შტატსა და კოლუმბიის ოლქს თავისი სასწავლო გეგმა აქვს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა სასწავლო გეგმა იყოს ლაკონური და ბუნდოვანი. მაგალითად, შვიდი შტატის (მონტანა, უაიომინგი, აიოვა, მეინი, ვერმონტი, დელავერი) სასწავლო გეგმაში არ წერია სიტყვა მონობა [Duncan et al.2020].

მასაჩუსეტსისა და კოლუმბიის ოლქის სასწავლო გეგმაში წერია სიტყვები „თეთრკანიანთა უპირატესობა“. საინტერესოა, ეს საკითხი განიხილება თუ არა, როგორც პრობლემა. ხოლო თექვსმეტი შტატის (იუტა, ტექსასი, მინესოტა, არკანზასი, მისისიპი, ალაბამა, ჯორჯია, ფლორიდა, ჩრ. კაროლინა, კენტუკი, დას. ვირჯინია, ვირჯინია, ინდიანა, ოჰაიო, ნიუ-იორკი) სასწავლო გეგმაში მონობა, როგორც სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი, მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა, რვა შტატის (ალასკა, ორეგონი, მინესოტა, უაიომინგი, სამხრეთ დაკოტა, მისური, მეინი,

დელავერი) სასწავლო გეგმაში თითქმის არაფერი წერია „მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის“ შესახებ [Duncan et al. 2020].

თუმცა ამ შტატებისგან განსხვავებით, ოკლაჰომას სოციალური მეცნიერებების სასწავლო სტანდარტში წერია, რომ სამოქალაქო ომის დაწყების მთავარი მიზეზი მონობა იყო [Oklahoma State Department of Education, 2019:37].

სოციალური კვლევების ეროვნული საბჭოს (National Council for the Social Studies) ყოფილი პრეზიდენტი, თინა ჰიფნერი (Tina Heafner) ამბობს, რომ მასწავლებლები სწავლების დროს ეყრდნობიან შტატის მიერ მიღებულ სტანდარტს, თუ შტატის სტანდარტში არ წერია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი, მაშასადამე მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ამ საკითხების სწავლებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს [Duncan et al. 2020].

ასევე, ჰიფნერის აზრით, თუ მოსწავლეებს არ შეასწავლიან სოციალურ კვლევებს (ისტორია, სამოქალაქო განათლება), მაშასადამე, ისინი არ იქნებიან მზად იმ პასუხისმგებლობისთვის, რაც მოქალაქეს აკისრია. ისტორია გვეხმარება სამყაროს გაცნობაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და მისი კომპლექსურობის შესწავლაში, ასევე, იმ პრობლემების გააზრებაში, რომელთანაც შეხება გვაქვს [Duncan et al. 2020].

ამგვარად, მიმაჩნია, რომ ისტორიის შესწავლა არ გულისხმობს უბრალოდ ფაქტების წაკითხვას და დამახსოვრებას, არამედ ისტორია უნდა ისწავლებოდეს, როგორც გამოცდილება და ის წარსულში მომხდარი მოვლენები ყოველთვის უნდა დავაკავშიროთ აწმყოსთან.

ვფიქრობ, განათლებაში არსებული პრობლემები, კერძოდ, შეერთებული შტატების ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის არასწორად სწავლება, როგორცაა მონობა და სამოქალაქო ომი, კავშირშია ჯორჯ ფლოიდის მკვლელობასთან. თუ მოსწავლეს არ ეცოდინება მონათა რეალური ცხოვრების შესახებ ან სამოქალაქო ომის დაწყების მთავარი მიზეზი, მაშასადამე ვერ ისწავლიან ისეთ ღირებულებას, როგორცაა თანასწორობა. „ნიუ იორკ თაიმსის“ სტატიაში, რომელიც ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას ეხება, ვკითხულობთ ერთ-ერთი


აფროამერიკელი ჟურნალისტის კომენტარს, რომ მასაც სურს ბრძოლაში ჩართვა, ვინაიდან თავისი ქვეყანა ყოველთვის არ ცხოვრობს იმ დიადი იდეალებით, როგორებიცაა თანასწორობა და სამართლიანობა. ეს ის იდეალებია, რომელთა საფუძველზეც შეერთებული შტატები შეიქმნა [Proulx and Schulters, 2020].

რატომ არის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის შესწავლა მნიშვნელოვანი? მოვიშველიებ სამოქალაქო ომის მკვლევრის, შელბი ფუტის აზრს: „ჩვენი ერის ნებისმიერი კუთხით შემეცნება უნდა დაეფუძნოს სამოქალაქო ომის შესწავლას. მან განსაზღვრა, თუ როგორები ვართ... სამოქალაქო ომმა გვაქცია ისეთებად, როგორებიც ვართ, განსაზღვრა ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუ აპირებთ ჩაწვდეთ ამერიკულ ხასიათს, თქვენთვის აუცილებელია შეისწავლოთ XIX საუკუნის ეს უდიდესი კატასტროფა. ეს იყო ჩვენი ყოფიერების გზაჯვარედინი და ეს გზაჯვარედინი ჯოჯოხეთური იყო“ [კაჭარავა, 2016:38].

ისტორიკოსი, პროფესორი და ავტორი, იბრამ ზ. კენდი (Ibram X. Kendi) აღნიშნავს, რომ ყველა შტატს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ დაწერონ თავიანთი შტატის ისტორია, მაგრამ უპირველესია ერის (ქვეყნის), ხოლო შემდეგ შტატის ისტორია. ის, ასევე, მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას ისტორიის სწავლების საერთო სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ყველა ამერიკელ ბავშვს ასწავლიან [Duncan et al. 2020].

იგი აკრიტიკებს ისტორიის სახელმძღვანელოებს „ამერიკული სანახაობა“ (მე-10-12 კლასები) (The American Pageant, 16th Edition), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოა შეერთებულ შტატებში, ასევე, „ტექსასის ისტორია“ (Texas History). საინტერესოა, თუ ამ საკითხს განვიხილავთ ტექსასის, როგორც კონფედერაციის შტატის და მასაჩუსეტის, როგორც კავშირის შტატის სასწავლო გეგმის მიხედვით.


სახელმძღვანელოში „ამერიკული სანახაობა“ მოცემულია რუკა, სადაც აფრიკელები მოხსენიებულები არიან, როგორც იმიგრანტები (იხ. სურათი 1) გერმანელებთან, ინგლისელებთან, დანიელებთან და სხვებთან ერთად.



სურათი 4. იმიგრანტთა ჯგუფები 1775 წელს [Kennedy and Cohen, 2015:85]

აფრიკელები არ იყვნენ იმიგრანტები, ისინი არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით წამოიყვანეს ახალ მიწაზე. ასევე, აღნიშნულ სახელმძღვანელოში ვხვდებით სიტყვას „მულატი“, რაც რასისტულ ტერმინად ითვლება [Duncan et al. 2020].

რაც შეეხება, მე-7 კლასის „ტექსასის ისტორიის“ სახელმძღვანელოს, მოცემულია ილუსტრაციები, რომლებიც პლანტაციებში მონათა მუშაობას ასახავს, ნაჩვენები არ არის რეალური სურათი, თუ როგორ სასტიკად ექცეოდნენ მონებს, ერთ-ერთ ილუსტრაციაზე ვხვდებით წარწერას, რომ შეერთებული შტატების ზოგიერთმა მოსახლემ ტექსასში მოიყვანა მონები, რათა მათ პლანტაციებში სამუშაოდ დახმარებოდნენ (იხ. სურათი 2).



სურათი 5. მონები ტექსასში [Holt Mcdougal, 2014:198]

გარდა ამისა, ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში ვხვდებით კიდევ ერთ ილუსტრაციას, რაც ასევე არ ასახავს რეალობას (იხ. სურათი 3).



სურათი 6. მონათა ცხოვრება [Holt Mcdougal, 2014:361]

ამ ილუსტრაციას თან ახლავს კომენტარი და დავალება - მონების ცხოვრება. ბამბის მოსავლის აღება იყო მონების საქმიანობა ტექსასში. მონათა ცხოვრების სხვა რა მახასიათებლებს ხედავთ ილუსტრაციაზე?

სახელმძღვანელოში წერია, რომ ზოგიერთი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა მონობას, რადგან ეს არ იყო მორალური ქმედება, ერთი ადამიანი არ უნდა ფლობდეს მეორეს. მონებს ყიდულობდნენ და ყიდდნენ, როგორც საკუთრებას. თუმცა, ისეთი

მნიშვნელოვანი ღირებულება, როგორც არის თანასწორობა, სახელმძღვანელოში ნახსენები საერთოდ არ არის. აღნიშნული თავის ბოლოს მოსწავლეებს სთხოვენ, რომ საკითხი შეაჯამონ და დაასახელონ ძირითადი არგუმენტები მონობის წინააღმდეგ. ბოლო დავალება, რომელსაც ეწოდება წერა და კრიტიკული აზროვნება, მოსწავლეებს სთხოვენ, რომ მისწერონ წერილი თავიანთ მეგობარს და ახსნან რატომ არიან მონობის წინააღმდეგნი. წერილის წერის დროს მათ უნდა გაითვალისწინონ მონათა ცხოვრების პირობები და ის, თუ როგორ ექცეოდნენ მათ [Holt Mcdougal, 2014:363].

მონები ზოგჯერ მფლობელებისგან გარბოდნენ და თუ მათ დაჭერას შეძლებდნენ, სასტიკად სჯიდნენ. სახელმძღვანელოში მონათა რელური ცხოვრება ილუსტრაციებზე ასახული არ არის. თუ ამერიკელ ბავშვებს არ ეცოდინებათ მათი სასტიკი ცხოვრების შესახებ, მამასადამე ვერ ისწავლიან ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებას, როგორცაა თანასწორობა. ამავე სახელმძღვანელოს 2016 წლის გამოცემაშიც არ გვხვდება ამგვარი სახის ილუსტრაციები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი გაკვეთილის თემა, რომელიც ეხება მონების გაქცევასა და აჯანყებას, ტექსტში აღნიშნულია, რომ მონების დიდი ნაწილი არ ცდილობდა გაქცევას, ვინაიდან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში მონათმფლობელები მათ სასტიკად სჯიდნენ. აქვე მაგალითია მოყვანილი, რომ 1856 წელს მონათა ჯგუფმა კოლორადო ქაუნტიდან (Colorado County) გაქცევა სცადა. ამის შესახებ მონათმფლობელებმა წინასწარ შეიტყვეს და ისინი სიკვდილამდე გაროზგეს. ტექსტის ბოლოს კი გვხვდება დავალება წაკითხულის შემოწმება-ინფორმაციის ანალიზი: მონათა უმრავლესობა რატომ არ ცდილობდა გაქცევას? [Holt Mcdougal, 2016:362].

სხვა შტატებისაგან განსხვავებით, მასაჩუსეტსში, როგორც კავშირის წევრ შტატში მოსწავლეებს მონობასა და სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზს სათანადოდ ასწავლიან. ასევე, იმასაც, რომ ბრძოლა გაგრძელდა 1960-ანი წლებამდე - „მოდრობა სამოქალაქო უფლებებისთვის“ [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:18]. მასაჩუსეტსის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ თანასწორობის გაღვივება არის. მე-3, მე-4, მე-5 კლასების და

საშუალო სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან მონობას პირველადი წყაროების გამოყენებით. მე-5 კლასის მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი თემა ადრეულ კოლონიაზაციასა და კოლონიების ზრდას ეხება. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ საკვანძო შეკითხვას - ვისთვის იყო ჩრდილოეთ ამერიკა შესაძლებლობების ქვეყანა? მოსწავლეები შეისწავლიან დამონებული და თავისუფალი მონების ცხოვრებას, ასევე, ამერიკის მამა-დამაარსებლების შესახებ, როგორებიც იყვნენ თომას ჯეფერსონი, ჯორჯ ვაშინგტონი, ჯეიმს მედისონი და რომლებიც მონათმფლობელები იყვნენ. აქტივობები, რომლებიც სასწავლო გეგმაში არის მოცემლი, შემდეგი სახის არის: მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ თითოეული წყაროს მიზანი, მოსაზრებები და ფაქტები ერთმანეთისგან უნდა განასხვავონ [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:72-73].

აღნიშნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია შემდეგი წყაროები: „კოლონიური უილიამსბურგი: მოქალაქეობის ისტორია“, „ჯორჯ ვაშინგტონის მაუნთ ვერნონი: მონობა“, „მონობა მონტიჩელოში: თავისუფლების პარადოქსი“. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მოცემული აქვთ პირველადი წყაროები. მაგალითად, კოლონიური უილიამსბურგის ვებგვერდზე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, რომ გაეცნონ ინფორმაციას მონათა ვაჭრობის, მონობის მემკვიდრეობისა და ასევე, მონათა მონათხრობის შესახებ [Colonial Williamsburg, 2022].

შემდეგი წყარო ეხება იმ მონებს, რომლებიც ვერნონში ცხოვრობდნენ. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჯორჯ ვაშინგტონს მონები ჰყავდა, ის იყო ერთადერთი მამა-დამაარსებელი, რომელმაც მონები გაათავისუფლა. 1786 წელს ვაშინგტონი აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა სურვილი საკანონმდებლო ორგანოს ჰქონოდა გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავდა მონობის გაუქმებას [George Washington's Mount Vernon. George, 2022].

მესამე წყარო, რომელსაც ეწოდება თავისუფლების პარადოქსი, მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც ეხება დამონებულ ოჯახებს, რომლებიც მონტიჩელოში ცხოვრობდნენ, ასევე, ინფორმაციას თომას ჯეფერსონის

დამოკიდებულებას მონების მიმართ. ჯეფერსონი მიიჩნევდა, რომ ეს „საშინელი დანაშაული“ იყო, მიუხედავად ამისა, მას ცხოვრების ბოლომდე მონები ჰყავდა. გარდა ამისა, მოსწავლეები შეისწავლიან „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“, როგორც პირველად წყაროს. მას თან ახლავს ტექსტი, რომელიც თანასწორობას ეხება და რომ იგი არ ვრცელდება ამერიკის მოსახლეობის მეხუთედზე [Monticello, 2022].

ასევე, მე-5 კლასის მოსწავლეები სწავლობენ მოძრაობას სამოქალაქო უფლებებისთვის და მის როლს თანასწორობის გავრცელებაში. მოსწავლეები უნდა გაეცნონ მარტინ ლუთერ კინგის მიმართვას - „მე მაქვს ოცნება“. მათ უნდა განიხილონ და ერთმანეთს შეადარონ 23 ივნისისა და 29 აგვისტოს წარმოთქმული სიტყვა [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:78].

აქედან გამომდინარე, ტექსასისა და მასაჩუსეტის საწავლო გეგმა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იმის გამო, რომ ზოგი საკითხი არასათანადოდ ისწავლება ტექსასში, განათლების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო გეგმის გადახედვის შესახებ [Houston Public Media, 2022].

სხვადასხვა შტატის სასწავლო გეგმის გარდა, შეერთებულ შტატებში ასწავლიან ალტერნატიული გეგმის მიხედვით. 2019 წლის აგვისტოში ჟურნალმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა „პროექტი 1619“, რომელიც ეძღვნებოდა დამონებულ აფრიკელებს, რომლებიც პირველად ჩამოიყვანეს ვირჯინიაში. პროექტი არის „ნიუ იორკ თაიმსის“ სპეციალური გამოშვება, რომელიც მიზნად ისახავს შეერთებული შტატების ისტორიის ახლებურად გააზრებას. პროექტი მოიცავს თვრამეტ ესეს, პირველი ესეს ავტორია ნიკოლ ჰანა ჯონსი (Nikole Hannah-Jones). იგი თავის ესეში თომას ჯეფერსონს და „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ ღირებულებები, რომლებიც დეკლარაციაშია მთელ ერს არ მიესადაგება. ჯონსი მიიჩნევს, რომ აფროამერიკელების დამსახურებაა ამერიკული დემოკრატიის ფორმირება და ისინი ამერიკის რეალური მამა-დამაარსებლები არიან [Hannah-Jones, 2019]. პროექტი გააკრიტიკეს არა იმის გამო, რომ ის დიდ ყურადღებას მონობის მემკვიდრეობას უთმობს, არამედ იმიტომ, რომ მონობის ხედვა ისტორიულად

ლიმიტირებულია. თუმცა, ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისტორიის ახლებური გაანალიზება მიანიშნებს იმაზე, რომ წარსულის გაგება „გაყინული“ არ არის. ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ პროექტი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, შეერთებული შტატების ისტორიის არასწორი ინტერპრეტაციის გამო. რამდენიმე შტატში ამ პროექტის მიხედვით სწავლება აიკრძალა. მიჩ მაკკონელმა (Mitch McConnell), რომელიც სენატის უმცირესობის ლიდერია, შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის მდივანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ პროექტი მხოლოდ ქვეყნის ნაკლოვანებებს უსვამდა ხაზს და საზოგადოებას ყოფდა [Gasman, 2021].

კრიტიკის მიუხედავად, ამ სასწავლო გეგმას იყენებენ და მოსწავლეებს აწვდიან მრავალფეროვან წყაროს. მაგალითად, განვიხილოთ სასწავლო გეგმა, რომელიც გამოიყენება ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი). სწავლის პერიოდი მოიცავს 5-6 კვირას და სასწავლო გეგმა გაკუთვნილია მე-6-12 კლასებისთვის. სასწავლო გეგმაში მოცემულია პირველადი წყაროები, „პოდკასტები“ (ციფრული ჩანაწერები) და ა.შ. [Pulitzer Center, 2021].

სწავლის დროს მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ რამდენიმე შეკითხვას - როგორ შეიძლება განისაზღვროს ან ხელახლა განისაზღვროს მონობის გავლენა ამერიკაში? როგორ ჩამოაყალიბა მონობამ შეერთებული შტატების ისტორია? აღნიშნულ შეკითხვას თანდართული აქვს კომენტარი, რომ მონობა შეერთებული შტატების ისტორიისაგან განცალკევებით არ უნდა ისწავლებოდეს. ბოლო შეკითხვა კი ეხება მონობის გავლენას აწმყოზე. სწავლების პირველი კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ნიკოლ ჰანა-ჯონსის ესე - „ამერიკის იდეა“ და მოისმინონ ეპიზოდი „პროექტ 1619“-ის „პოდკასტიდან“. ჩანაწერი ეხება ეკონომიკას, რომელიც მონობამ შექმნა, ასევე, აფროამერიკელთა მუსიკას და მათ როლს, რომელმაც ამერიკის იდეა რეალობად აქცია. მოსწავლეებმა დისკუსიაში უნდა მიიღონ მონაწილეობა და უპასუხონ შეკითხვებს - როგორ შეიტყვეს პირველად მონობის შესახებ და როგორია

მის მემკვიდრეობა, ასევე მათ უნდა განიხილონ აფროამერიკელთა წვლილი საზოგადოებაში [Pulitzer Center, 2021].

ამავე დროს, მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ციფრული ისტორია - „მონათა ცხოვრების ციკლი“, რომელიც მონების დაბადების, მშობრებთან ურთიერთობის, ქორწინების, ქმართან ან ცოლთან ცხოვრების, მოხუცებულობისა და გარდაცვალების შესახებ მოგვითხრობს. პირველი წყარო ეხება ფრედერიკ დაგლასს (Frederick Douglas), რომელიც მონად დაიბადა. თეთრკანიანი ბავშვებისაგან განსხვავებით, მას არ შეეძლო, რომ თავისი ასაკი ეთქვა, რადგან დაგლასმა ბევრი რამ არ იცოდა დაბადების შესახებ [Pulitzer Center, 2021].

მოცემული ტექსტი მისი ავტობიოგრაფიის ნაწილია და მოგვითხრობს, რომ იგი დედისგან განცაკეცებით ცხოვრობდა, თავისი ცხოვრების განმავლობაში დედა ოთხჯერ ან ხუთჯერ ჰყავდა ნანახი. დედას შეეძლო, რომ შვილი ღამით ენახა, დილით კი პლანტაციის სამუშაოდ ბრუნდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მას დააგვიანდებოდა, მფლობელი სცემდა. დაგლასი ფიქრობდა, რომ დედის ტანჯვა გარდაცვალებით დასრულდა. იმ დროისათვის იგი შვიდი წლის იყო. ტექსტის ბოლოს დასმულია შეკითხვა - რით განსხვავდებოდა დამონებული და თავისუფალი აფრიკელების ცხოვრების ციკლი? [Pulitzer Center, 2021].

შემდეგი ისტორია ეხება ქალს, რომელსაც ახალშობილი ჰყავდა. იმ დროისათვის მონათმფლობელები თავიანთი მონების შვილებს ყიდდენ. ქალს არ სურდა, რომ თავისი შვილი გაეყიდათ, ამიტომ იგი მოკლა. შეკითხვა, რომელსაც მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვის შემდეგ უნდა უპასუხოს, ასეთია - ვინ არის დამნაშავე, ქალი, მონათმფლობელი თუ მონობის სისტემა?[Pulitzer Center, 2021].

შემდეგი აქტივობა არის ჯგუფური მუშაობა, მოსწავლეებმა ლექსი ერთობლივად უნდა დაწერონ. მონობის საკითხის ცოდნა მათ დაეხმარებათ დავალების შესრულებაში. გაკვეთილის თემაა „დაუმორჩილებლობის პოეზია: როგორ გაუწიეს წინააღმდეგობა მონებმა“, მოსწავლეებს მოცემული აქვთ წინააღმდეგობის რამდენიმე მაგალითი, როგორც არის მონების გაქცევა, აჯანყება და ა.შ. დამატებით

მოსწავლეები ეცნობიან რამდენიმე სიმღერის ტექსტს, რომელთაც „შავკანიანთა სიმღერები“ (Negro Spirituals) ეწოდებათ. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ სიმღერის თითოეული ფრაზა და მორალი [Pulitzer Center, 2021].

ამ სასწავლო გეგმის ნაწილია „მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის“, მოსწავლეებმა უნდა უნდა უპასუხონ შეკითხვას - დაასრულა თუ არა რასობრივი უთანასწორობა 1960-იანი წლების მოძრაობამ? ვფიქრობ, ბოლო გაკვეთილი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეები წარსულს აწმყოსთან აკავშირებენ - ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას და აღნიშნულ მოძრაობას მიმდინარე პროტესტს - „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ ადარებენ. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ მსგავსება და განსხვავება ამ ორ მოძრაობას შორის და განიხილონ არის, თუ არა კონფლიქტი პოლიციასა და აფროამერიკელებს შორის დღეს [Pulitzer Center, 2021]

გარდა ამისა, მოსწავლეები უნდა გაეცნონ ბრაუნის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას ეხება. სტატიის წაკითხვის შემდეგ, მათ ინტერვიუ უნდა აიღონ ზემოთ ხსენებული მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილისგან, რომელიც იბრძვის რასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ. ინტერვიუს შინაარსი მოსწავლეებმა თანაკლასელებს უნდა გააცნონ (Pulitzer Center, 2022).

აღნიშნული პროექტი გამოქვეყნდა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს, რომლისთვისაც ეს ინიციატივა მიუღებელი იყო. „პროექტ 1619“-ის სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება კალიფორნიის შტატში დაიწყო, ხოლო ამის შემდეგ, დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ „განათლების დეპარტამენტი ამას უყურებს. ასე რომ, ისინი დაფინანსებას ვეღარ მიიღებენ“ [Cohen, 2020]. ტრამპმა მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული პროექტი და განაცხადა, რომ: „მემარცხენე ძალებმა გააყალბეს, დაამახინჯესა და შებღალეს ამერიკის ისტორია ტყუილებით. ეს პროექტი ხელახლა წერს ამერიკის ისტორიას, რათა ჩვენს შვილებს ასწავლონ, რომ ჩვენი ქვეყანა ემყარება ჩაგვრის და არა თავისუფლების პრინციპს“. „ამერიკის დამფუძნებლებმა დაიწყეს ისეთი მოვლენათა განუწყვეტელი ჯაჭვი, რომელმაც გააუქმა მონობა,

უზრუნველყო სამოქალაქო უფლებები, დაამარცხა კომუნიზმი და ფაშიზმი, შექმნა ყველაზე სამართლიანი, თანასწორი და კეთილდღეობის მქონე ქვეყანა კაცობრიობის ისტორიაში“. ტრამპმა არა მხოლოდ გააკრიტიკა აღნიშნული პროექტი, არამედ მის საპასუხოდ გამოაცხადა „კომისია 1776“-ის შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავდა პატრიოტიზმის აღდგენას ამერიკულ სკოლებში. ტრამპმა აღნიშნა, რომ „ეროვნული ერთიანობის ერთადერთი გზა არის ჩვენი საერთო იდენტობა, როგორც ამერიკელების. ამიტომ არის ასე გადაუდებელი, რომ საბოლოოდ აღვადგინოთ პატრიოტული განათლება ჩვენს სკოლებში. ჩვენი ხელმძღვანელობის ფარგლებში “ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნულმა ფონდმა“ (The National Endowment for the Humanities) გასცა გრანტი, რომელიც მხარს უჭერს პრო-ამერიკული სასწავლო გეგმის შემუშავებას, და იგი წარმოაჩენს სიმართლეს ჩვენი ქვეყნის დიადი ისტორიის შესახებ“ [Watson and Segers, 2020].

ამგვარად, „პრეზიდენტის საკონსულტაციო კომისია 1776“ (14 დეკემბერი, 2020) (The President’s Advisory 1776 Commission) შეიქმნა, რომლის მიზანი იყო პრეზიდენტისთვის რეკომენდაციების მიცემა იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ მომავალ თაობას უკეთესად შეასწავლონ 1776 წელს შეერთებული შტატების შექმნის ისტორია და მის პრინციპები, რათა ისინი ისწარაფვოდნენ უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნისთვის. აღნიშნული კომისიის ფუნქცია უნდა ყოფილიყო შემდეგი:

- პრეზიდენტისთვის ანგარიშის მომზადება, რომელიც შეეხება იმ პრინციპებს, რომლებსაც შეერთებული შტატები ეფუძნება. ამ პრინციპების გაგება, რომლებიც მომავალ თაობებს დაეხმარება ისეთი იდეების გააზრებაში, როგორებიცაა „თავისუფლების კურთხევა“ (“the blessings of liberty”) და „უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნა“ (“to form a more perfect Union”).
- პრეზიდენტისთვისა და შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 250 წლისთავის კომისიისათვის რეკომენდაციების გაწევა ფედერალური მთავრობის გეგმის შესახებ ამ საიუბილეო ღონისძიების აღსანიშნავად.

- პრეზიდენტის 1776 წლის ჯილდოს შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ცოდნის აღიარებას. იგულისხმება ისეთი საკითხების ცოდნა, როგორებიცაა ამერიკის დაარსების ისტორია, ვინ იყვნენ მამა-დამაარსებლები, ამერიკის რევოლუციის მნიშვნელოვანი ბრძოლები და დიადი ჯარისკაცები.

- აღმასრულებელი დეპარტამენტებისა და სააგენტოებისთვის კონსულტაციის გაწევა იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფენ პატრიოტული განათლების ქონას. პატრიოტულ განათლებაში იგულისხმება ამერიკის დაარსების ისტორია და ის პრინციპები, რომელსაც იგი ეფუძნება, ასევე, იმაზე დაკვირვება, თუ როგორ მიუახლოვდა ამ პრინციპებს დროთა განმავლობაში. გარდა ამისა, იმისი ახსნა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მისწრაფებებისადმი ერთგულება.

- სხვა საქმიანობების ხელშეწყობა, კონსულტაციის გაწევა და მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და პატრიოტული განათლების განვითარებას ამერიკის რევოლუციისა და დაფუძნების საკითხებზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას [DeVos, 2020].

ხოლო 2021 წლის იანვარში „პრეზიდენტის საკონსულტაციო კომისია 1776“-მა გამოაქვეყნა „ანგარიში 1776“, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: „დეკლარაციის მნიშვნელობა“ (Meaning of the Declaration), „პრინციპების კონსტიტუცია“ (A Constitution of Principles), „ამერიკის პრინციპების გამოწვევები“ (Challenges to America’s Principles), „ეროვნული განახლების ამოცანა“ (The Task of National Renewal) [The President’s Advisory Commission, 2021:1]. ანგარიში ხაზს უსვამს ფუნდამენტური დოკუმენტებისა და მამა-დამაარსებლების სიდიადეს. ანგარიშში საუბარია მონობის შესახებაც - ყველაზე გავრცელებული ბრალდება, რომელიც წარმოთქმულია მამა-დამაარსებლების მიმართ და შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის ის, რომ ისინი იყვნენ ფარისევლები, რომლებსაც არ სჯეროდათ მათ მიერ წარმოთქმული პრინციპების და ამგვარად, ქვეყანა, რომელიც მათ შექმნეს, ტყუილს ეფუძნება. ეს

ბრალდება მცდარია და განსაკუთრებით ბოლო წლებში უზარმაზარი ზიანი მიაყენა ჩვენს სამოქალაქო ერთიანობას [The President's Advisory Commission, 2021:10].

ბევრი ამერიკელი იმ ილუზიაში ცხოვრობს, რომ მონობა რაღაც განსაკუთრებული ამერიკული ბოროტება იყო. სამწუხარო ფაქტი არის ის, რომ მონობის ინსტიტუტი უფრო მეტად წესი იყო და არა გამონაკლისი კაცობრიობის ისტორიაში. ჯორჯ ვაშინგტონს ჰყავდა მონები, თუმცა თავისი სისცოცხლის დასასრულს მან ყველა თავისი მონა გაათავისუფლა. თომას ჯეფერსონსაც ჰყავდა მონები. მას სურდა, რომ „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ ჩაეწერა, რომ იგი მკაცრად გამოხდა მონობას, თუმცა მონათმფლობელი დელეგატების მოთხოვნით ეს დეკლარაციაში არ ჩაიწერა. ვაშინგტონში ჯეფერსონის მემორიალზე ამოტვიფრულია შემდეგი სიტყვები: „ვკანკალებ ჩემი ქვეყნისთვის როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია; მისი სამართალი სამუდამოდ ვერ დაიძინებს“ [The President's Advisory Commission, 2021:10-11].

„დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ კი წერია შემდეგი სიტყვები, რომ ყველა ადამიანი თანასწორად იბადება. მამა-დამაარსებლებმა იცოდნენ, რომ მონობა შეუთავსებელი იყო ამ ჭეშმარიტებასთან. მათ მონობის დასასრულის თესლი დათესეს. შეერთებულ შტატებში დაწყებულმა მონობის გაუქმების მოძრაობამ გაკვალა გზა მონობის სამართლებრივად დასრულებისკენ [The President's Advisory Commission, 2021:12].

მოხსენების გამოცემისთანავე „ამერიკულმა ისტორიის ასოციაციამ“ (American Historical Association) განცხადება გაავრცელა, რომელსაც 47 ორგანიზაცია აწერს ხელს. განცხადებაში დაგმობილია ეს ანგარიში, ვინაიდან ის დაწერილია პროფესიონალი ისტორიკოსების ჩართულობის გარეშე. ანგარიშში უგულებელყოფილია ბოლო შვიდი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევები. გარდა ამისა, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ “დამოუკიდებლობის დეკლარაციისა” და შეერთებული შტატების კონსტიტუციის გააზრებას შეუძლია ყველა ამერიკელის სამშობლოს სიყვარულის გრძნობით

გაერთიანება. „პრეზიდენტის მრჩეველთა კომისია 1776-ის“ მიერ მომზადებული ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ამ ფუნდამენტურ დოკუმენტებზე და უარყოფს მცდელობებს, რომ შეისწავლონ, თუ როგორ მოახდინა გავლენა მონობამ აშშ-ის ისტორიის ფორმირებაზე. ამ ანგარიში ავტორები მოითხოვენ მოსწავლეების ინდოქტრინაციას და წარსულის არცოდნას სამოქალაქო ღირსებად აქცევენ [American Historical Association, 2021].

ანგარიში ორ საკითხს მოიცავს, როგორებიცაა მამა-დამაარსებლებისადმი პატივისცემა, რაც წარმოჩენილია გამარტივებული ინტერპრეტაციითა და ეყრდნობა სიცრუეს, უზუსტობებს და შეცდომაში შემყვან განცხადებებს. მეორე საკითხი კი ეხება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისტორიული კვლევების წინააღმდეგ ქადაგებას - ფართო ისტორიულ ტენდენციებს ერთი კონკრეტული მაგალითით ასახავს (განსაკუთრებით ეს ეხება „პროექტ 1619“-ს) [American Historical Association, 2021].

ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც მამა-დამაარსებლებს ეხება, მათ ღვთაებრივ ადამიანებად წარმოაჩენს, რომლებმაც შექმნეს დოკუმენტები, რომლებიც „სამართლისა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის უნივერსალურ და მარადიულ პრინციპებს“ გამოხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში მთლიანად უგულებელყოფილია მონები, ინდიელები და ქალები, ისევე როგორც, მამა-დამაარსებლებმა გამორიცხეს ეს ჯგუფები ფუნდამენტური დოკუმენტებიდან. ანგარიში, ასევე გვერდს უვლის კონფედერაციის შტატებს, რომელთა ლიდერები ღალატში არიან ბრალდებულები და რომელთაც სამოქალაქო ომი წამოიწიეს. ომში 700 000-ზე მეტი ამერიკელი დაიღუპა. ამ საკითხების ნაცვლად, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროგრესულ რეფორმებზე და მათ უცნაურად უკავშირებენ მუსოლინისა და მეორე მსოფლიო ომის ევროპელ ფაშისტებს. განსაკუთრებით საყურადღებოა პროგრესული ხანის კანონმდებლობა - სამუშაო გარემოსა და უსაფრთხოების რეგულაციები, საკვებისა და წამლების წარმოების

რეგულაციები, ბავშვთა შრომის აღმოფხვრისა და სხვა სოციალური სიკეთეების კრიტიკა [American Historical Association, 2021].

ამგვარად, ეს ანგარიში დაიწერა ერთი თვის განმავლობაში ორი ზედაპირული განხილვის შემდეგ. გარდა ამისა, განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ პროფესიონალ ამერიკელ ისტორიკოსებს. ანგარიშში უგულვებელყოფილია ბოლო შვიდი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევები. ისტორიის ამგვარი სწავლება კი შესაძლებელია სახელმძღვანელოებშიც ასახონ American Historical Association, 2021]. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპმა ვერ გაიმარჯვა, ამიტომ, პრეზიდენტმა ბაიდენმა გამოსცა აღმასრულებელი ბრძანება, რაც ეხებოდა აღნიშნული კომისიის დაშლას [Kelly, 2021].

დონალდ ტრამპმა მეორე ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ გვაქვს განათლების სისტემა, რომელიც ჩვენს ბავშვებს ასწავლის იმას, რომ საკუთარი თავის რცხვენოდეთ - ხშირ შემთხვევაში კი ასწავლის ჩვენი ქვეყნის სიმძლავრის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მთელი ძალისხმევით ვცდილობთ მათთვის სიყვარულის მიცემას. ეს ყველაფერი შეიცვლება დღეს და შეიცვლება ძალიან სწრაფად“ [Trump, 2025]. ხოლო 2025 წლის 29 იანვარს გამოიცა პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანება „რადიკალური ინდოქტრინაციის დასასრული K-12 განათლებაში“ (Ending Radical Indoctrination in K-12 Schooling), რაც ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი ტრამპი „კომისია 1776“-ს აღადგენს. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მშობლები ენდობიან ამერიკის სკოლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი შვილებისათვის მაღალი ხარისხის განათლების მიცემას, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში მშობლები ხედავენ, რომ სკოლები ახდენენ ბავშვების ინდოქტრინაციას, შეასწავლიან ანტი-ამერიკულ იდეოლოგიას. ბრძანებაში განმარტებულია, რომ „პატრიოტული განათლება“ ნიშნავს შეერთებული შტატების ისტორიის წარმოდგენას, რომელიც ეფუძნება ამერიკის დაარსებისა და მისი ფუნდამენტური პრინციპების ზუსტ, გულწრფელ, შთამაგონებელ და ამალღებულ აღწერას. ასევე, როგორ მიუახლოვდა შეერთებული შტატები თავის პრინციპებს

მთელი ისტორიის განმავლობაში. გარდა ამისა, „პატრიოტულ განათლებაში“ იგულისხმება კონცეფცია, რომ ამერიკის მისწრაფებებისადმი ერთგულება არის სასარგებლო, ამერიკის სიდიადისა და ისტორიის ზეიმი არის სწორი [White House, 2025].

ასევე, ბრძანებაში წერია, რომ უნდა აღდგეს „კომისია 1776“-ის მუშაობა, რომელიც განათლების დეპარტამენტთან ერთად იმუშავებს და იარსებებს ორი წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ მოითხოვს, რომ კომისიამ მუშაობა გააგრძელოს. რაც შეეხებათ კომისიის წევრებს, მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს, რომლებიც არ უნდა იყვნენ ფედერალური მთავრობის წევრები და უნდა ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება და განათლება. ბრძანების გამოცემიდან 90 დღის ვადაში პრეზიდენტს უნდა წარუდგინონ გეგმა და რეკომენდაციები [White House, 2025].

აღნიშნული მოხსენება 2021 წელს გააკრიტიკა ისტორიკოსმა და აქტივისტმა იბრამ ზ. კენდიმ: „კომისია 1776“-ში აღნიშნულია, რომ ამერიკა არის „ყველაზე სამართლიანი და დიდებული ქვეყანა მთელი კაცობრიობის ისტორიაში“, რაც არის დიდი ტყუილი [New York Times, 2021].

ამერიკელმა პროფესორმა, ისტორიკოსმა და მწერალმა მერი ფრენსის ბერიმ (Mary Frances Berry) ერთ-ერთ ინტერვიუში ისტორიის სწავლების პრობლემების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებსაც მოსწავლეებს ასწავლიან განსაზღვრავს შტატი. მან მოიყვანა, ლუიზიანას მაგალითი, სადაც ზოგმა მოსწავლემ არ იცის, რომ სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი მონობა იყო. შეერთებულ შტატებში არ არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით ფედერალურ მთავრობას სასწავლო გეგმის შედგენის უფლება არ აქვს. თუმცა არსებობს „ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნული ფონდი“ (The National Endowment for the Humanities), რომელსაც შეუძლია შეადგინოს გეგმა შავკანიანთა ისტორიის სწავლების შესახებ. თუმცა, ბერის აზრით, შავკანიანთა ისტორია არ უნდა ისწავლებოდეს შეერთებული შტატების ისტორიისგან განცალკევებით (Zak, 2021).

ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ, ამერიკის მოქალაქეებმა ჩამოაგდეს რასისტული წარსულის მქონე თეთრკანიანი პოლიტიკური ფიგურების ძეგლები. ბერის აზრით, ისტორიულმა ფიგურებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი რამ გააკეთეს შეერთებული შტატებისთვის, მათი ძეგლების დარბევა მიღებელია, ამასთანავე, ის მიიჩნევს, რომ იმ შავკანიანი ამერიკელების ძეგლებიც უნდა დადგან, რომელთა საქმიანობა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, ბერი აღნიშნავს, რომ ისტორიაში მომხდარი ცუდი მოვლენები უნდა ისწავლებოდეს იმისათვის, რათა აღარ გავიმეოროთ. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ისტორია ყოველთვის უნდა დავეუკავშიროთ აწმყოს და ვასწავლოთ ისტორია, როგორც გამოცდილება (Zak, 2021).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამერიკელი მოსწავლეები ზოგ შემთხვევაში დეზინფორმაციას იღებენ, რაც დასტურდება ზემოთ აღნიშნული სახემძღვანელოებით და ზოგი შტატის სოციალური კვლევების სტანდარტით. მასაჩუსეტსის სოციალური კვლევების სტანდარტი და ალტერნატიული სასწავლო გეგმა მონათა რეალური ცხოვრების შესახებ ასწავლის. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამერიკის ნამდვილი მამა-დამაარსებლები შავკანიანები არიან, ვინაიდან თომას ჯეფერსონისა და სხვა დამაარსებლების როლი უგულვებელყოფილი არ უნდა იყოს. ამავდროულად, არ უნდა იქნას დავიწყებული შავკანიანების წვლილი და მათი ისტორია განცალკევებით არ უნდა ისწავლებოდეს, ვინაიდან შავკანიანთა ისტორია შეერთებული შტატების ისტორიის ნაწილია. გარდა ამისა, ვეთანხმები ამერიკელი ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ საერთო სასწავლო გეგმა მოაგვარებს ისტორიის სწავლების პრობლემებს. ამასთანავე, ზოგი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა შესაძლოა „პროექტ 1619“-ის სასწავლო გეგმამ ჩაანაცვლოს [Donadze, 2022:7].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2025 წლის 20 მარტს ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რომლის მიხედვით, განათლების დეპარტამენტი უნდა დაიხუროს და მმართველობა მთლიანად შტატებს გადაეცეს, ვინაიდან განათლებაში ფედერალური როლი წარმატებული არ არის, რაზეც მეტყველებს ის, რომ განათლების

დონე ზოგირთ საგანში ისტორიულ მინიმუმზეა [Trump, 2025]. აქედან გამომდინარე, სოციალური მეცნიერებების ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება დღესდღეობით შეერთებულ შტატებში შეუძლებელია. განათლების დეპარტამენტის მდივანმა განაცხადა, რომ დახურვა არ გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა პროგრამა აღარ დაფინანსდება [U.S. Department of Education, 2025]. აღნიშნული აღმასრულებელი ბრძანების შემდეგ უცნობია „კომისია 1776“ გააგრძელებს თუ არა მუშაობას.

გარდა აფროამერიკელებისა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მექსიკელიამერიკელების საკითხიც. შეერთებული შტატების მოსახლეობის 18%-ს ესპანურენოვანი მოსახლეობა შეადგენს, აქედან კი ყველაზე მეტნი მექსიკელიამერიკელები არიან [Pew Research Center, 2022]. ვარაუდობენ, რომ 2060 წლისათვის ესპანურენოვანი მოსახლეობის რაოდენობა 30%-მდე გაიზრდება. ესპანურენოვანი მოსახლეობა მრავალფეროვანია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეროვნებით, კლასით, რასითა და ეთნო-კულტურული მახასიათებლებით. დღესდღეობით აქტუალურია მექსიკელი მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციის საკითხი, განსაკუთრებით კი დონალდ ტრამპის პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს. მისი კამპანია რასისტული და ქსენოფობიური რიტორიკით ხასიათდებოდა [Canizales and Vallejo, 2021]. მაგალითად, 2016 წელს საპრეზიდენტო კამპანიის დრო ტრამპმა განაცხადა: „ჩვენ აქ ზოგიერთი ცუდი ბიჭი გვყავს და ვაპირებთ, რომ ქვეყნიდან გავაძევოთ“ (We have some bad hombres here and we are going to get them out). იგი მექსიკელ იმიგრანტებს მოიხსენიებდა, როგორც კრიმინალის წყაროდ, რომელიც ქვეყანას საფრთხეს უქმნიდა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ასეთი განზოგადება მიუღებელია. შეერთებული შტატები აღიქმება, როგორც კულტურათა „სადნობი ღუმელი“, ქვეყანა, რომელიც შეიქმნა იმიგრანტების მიერ და რომლებიც ემბდნენ უკეთეს ცხოვრებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, მართალია, ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიის ცენტრალური საკითხი მექსიკელი იმიგრანტები იყვნენ, მაგრამ მათ მიმართ დისკრიმინაცია ტრამპის პრეზიდენტობით არ იწყება [Soria, 2024:1-2].

ასევე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია გავეცნოთ კვლევებს რამდენად განიცდიან ისინი დისკრიმინაციას, თუმცა კვლევები არ ასახავს მხოლოდ მექსიკელიამერიკელების დისკრიმინაციის შემთხვევებს. 2021 წელს „პიუს კვლევითი ცენტრმა“ გამოაქვეყნა ორი კვლევა. ერთი კვლევის მიხედვით, ესპანურენოვანი მოსახლეობის 50%-ზე მეტი განიცდიდა სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას. ხოლო, ისინი, ვისაც ნაკლებად მუქი ფერის კანი აქვს ნაკლებად იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი, გარდა ამისა, მათ აკრიტიკებდნენ ესპანურად საუბრის გამო, ან ეუბნებოდნენ, რომ ტავთან ქვეყნებში დაბრუნებულიყვნენ (Pew Research Center, 2021). რაც შეეხება მეორე კვლევას, ესპანურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მუქი ფერის კანი ყოველდღიურ ცხოვრებასა და სხვადასხვა შესაძლებლობაზე ახდენს გავლენას (Pew Research Center, 2021). მართალია, დღევანდელი კვლევები კონკრეტულად მექსიკელ ამერიკელებს არ ეხება, თუმცა ისტორია ცხადყოფს მათ მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევებს.

ლათინოამერიკელები წლების განმავლობაში განიცდიდნენ დისკრიმინაციას, მაგალითად, მექსიკელი ამერიკელები ჩაგრულ უმცირესობათა ჯგუფი XIX საუკუნეში გახდა, რაც გამოწვეული იყო შეერთებული შტატების ტერიტორიის გაფართოებით. მექსიკელი ამერიკელების ჩაგვრა ტექსას-მექსიკის ომისა (1836 წ.) და ამერიკა-მექსიკის ომის (1846-48 წწ.) დაწყებას უკავშირდება. 1848 წელს, როდესაც ხელი მოაწერეს „გუადალუპე იდალგოს სამშვიდობო ხელშეკრულებას“ (The Treaty of Guadalupe Hidalgo), რომლის თანახმადაც მექსიკელები, რომლებიც შეერთებული შტატების მიერ ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე საცხოვრებლად რჩებოდნენ, გარკვეული უფლებები, რომლებიც უკავშირდება საკუთრებას, რელიგიას, კულტურასა და განათლებას, შეერთებული შტატების მთავრობის მიერ არასოდეს ყოფილა დაცული ან აღსრულებული [Munoz, 1989:19-20].

მექსიკელთა იმიგრაცია უკავშირდება „ოქროს ციებ-ცხელებას“ კალიფორნიაში (1849 წ.), საკრამენტოს ხეობაში აღმოჩენილი ოქროს შესახებ ამბავი სწარაფად გავრცელდა, რამაც 100 000 იმიგრანტი კალიფორნიაში ჩავიდა, მათ შორის 6 000

მექსიკელი [მემმარიაშვილი და ბარნოვი, 2019:246-247]. ხოლო, XX საუკუნის დადგომასთან ერთად მექსიკელ ამერიკელმა მოსახლეობამ მნიშვნელოვნად დაიწყო ზრდა. იმ პერიოდისათვის მთავრობას არ ჰქონდა ზუსტი მონაცემები მექსიკელი იმიგრანტების რაოდენობის შესახებ, თუმცა ისტორიკოსების მიერ შედგენილი სტატისტიკა სანდოა. შეერთებულ შტატებში 1900-1909 წლებში 24 000 მექსიკელი, ხოლო მექსიკის რევოლუციის დროს (1910-14 წწ.) 82 000 მექსიკელი იმიგრანტი ჩავიდა, თუმცა რევოლუცია ემიგრაციის მთავარი მიზეზი არ იყო, ვინაიდან მისი დასრულების შემდეგაც მექსიკა ათასობით მოქალაქემ დატოვა. ემიგრაციის გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა იაფი მუშახელის აუცილებლობა შუადასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში. პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია თეთრკანიანი მუშახელის ნაკლებობა, მექსიკელები და ამერიკელი მექსიკელები ფოლადის მრეწველობის განვითარებისთვის საჭირონი იყვნენ ჩიკაგოსა და პიტსბურგში, სოფლის მეურნეობის განვითარება კი მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ-დასავლეთის ეკონომიკისთვის. მექსიკელი მოსახლეობის რიცხვს შეერთებულ შტატებში 1930-იანი წლებისთვის 2 200 000-ს გადააჭარბა. მექსიკელი იმიგრანტი მუშების შვილები სწავლობდნენ სეგრეგირებულ საჯარო სკოლებში მექსიკელ ამერიკელებთან ერთად. ორივე ჯგუფმა გაიარა ამერიკანიზაციისა და ინდოქტრინაციის პროცესი. მათ შეითვისეს დომინანტი კულტურის ღირებულებები, რწმენები და იდეები, თუმცა ამავე დროს ისინი ტანჯვას განიცდიდნენ მათ მიმართ რასიზმის გამო. 1930-იან წლებში „დიდი დეპრესია“ დიდ გამოწვევად იქცა მექსიკელი იმიგრანტებისთვის, ვინაიდან ჩამოშლილმა ეკონომიკამ მილიონობით მოქალაქე უსახლკაროდ და უმუშევრად დატოვა [Munoz, 1989:20]. ბევრი მექსიკელის თუ მექსიკელი ამერიკელის დეპორტაცია მოხდა ან თავად დაბრუნდნენ მექსიკაში [Library of Congress, 2024].

1940-იან წლებში ამოქმედდა „მექსიკელი ფერმის მუშების პროგრამა“ (Mexican Farm Labor Program – 1942), ასევე მას „მუშათა პროგრამას“ (Bracero Program) უწოდებენ. ეს შეთანხმება მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის, მილიონობით მექსიკელს უფლებას აძლევდა, რომ ლეგალურად ემუშავათ შეერთებულ შტატებში

მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტით. აღნიშნული პროგრამა მნიშველოვანი იყო შეერთებულ შტატებისთვის, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომმა სასოფლო-სამეურნეო მუშახელის ნაკლებობა გამოიწვია. გარდა ამისა, ეს პროგრამა გამოასწორებდა „დიდი დეპრესიის“ დროს რეპატრაციას, ასევე, მექსიკელი-ამერიკელების უსამართლო დეპორტაციას, რომლებიც შეერთებული შტატების მოქალაქეები იყვნენ. 1964 წლისთვის, როდესაც ეს პროგრამა დასრულდა, შეერთებულ შტატების სოფლის მეურნეობასა და რკინიგზაში ოთხი მილიონი მუშა იყო დასაქმებული. მისი დასრულება დაკავშირებული იყო მუშების დისკრიმინაციასთან [Library of Congress, 2024].

მექსიკელი იმიგრანტი მუშების ჩაგვრა პირველად 1929 წელს სტუდენტმა ერნესტო გალარზამ (Ernesto Galarza) გააპროტესტა, რომელიც იყო პირველი მექსიკელი-ამერიკელი სტუდენტი სტენფორდის უნივერსიტეტში. იმ დროისათვის გალარზა რომელიმე მექსიკელ-ამერიკელ სტუდენტთა ორგანიზაციის ან ჯგუფის წევრი არ იყო, ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები არ არსებობდა. იგი შეერთებულ შტატებში მექსიკის რევოლუციის გამო წავიდა. დედასთან და ორ ბიძასთან ერთად მინდორში კალიფორნიის საკრამენტოს ველზე მუშაობდა. მან თავის თავზე გამოსცადა ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია, ამგვარად მან იცოდა, თუ როგორ ჩაგვრას განიცდიდნენ მექსიკელი იმიგრანტი მუშები. გალარზას პროტესტი შესაძლებელია სტუდენტთა აქტივიზმის დასაწყისად ჩაითვალოს [Munoz, 1989:21-22].

რასიზმმა იმიგრანტების მიმართ აიძულა გალარზა, რომ ებრძოლა მექსიკიდან იმიგრაციის შეწყვეტის წინააღმდეგ. იმიგრაცია გახდა პოლიტიკური პრობლემა იმათთვის, ვისაც სურდა, შეერთებული შტატების, როგორც „რასობრივად სუფთა“ (Racially Pure) ქვეყნის შენარჩუნება. მექსიკელები ამერიკული საზოგადოების საფრთხედ მიიჩნეოდნენ. გალარზა აპროტესტებდა იმდროინდელ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელიც შიშით იყო მოწამლული. რასიზმი მექსიკელების მიმართ განსაკუთრებით მწვავე იყო 1926-1930 წლებში, ვინაიდან სენატისა და წარმომადგენელთა პალატის კომიტეტები მართავდნენ საჯარო მოსმენას მექსიკელთა

იმიგრაციის შესახებ. სენატორი ჰირამ ჯონსონი (Hiram Johnson) კალიფორნიიდან და ტომას ჰეფლინი (Thomas Heflin) ალაბამიდან მიიჩნევდნენ, რომ მექსიკელები საფრთხეს წარმოადგენდნენ ამერიკული საზოგადოებისთვის, ვინაიდან შერეული ჯიშის იყვნენ. გარდა ამისა, მუშათა გაერთიანებები ეწინააღმდეგებოდნენ მექსიკელთა იმიგრაციას, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ისინი თეთრკანიანებს სამუშაო ადგილებს ართმევდნენ. შეერთებული შტატების „იმიგრაციის ბიურომ“ დაიწყო მექსიკელების დეპორტაცია, ხოლო ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები, მაგალითად, ლოს ანჯელესში მხარს უჭერდნენ მექსიკელების დეპორტაციას, ვინაიდან ისინი კრიმინალურად არასასურველად მიიჩნეოდნენ [Munoz, 1989:21-22].

რაც შეეხება განათლების მიღებას, მექსიკელი ბავშვები სეგრეგირებულ სკოლებში სწავლობდნენ მთელ სამხრეთ-დასავლეთში, რაც დაიწყო 1913 წელს ორენჯ ქაუნთში (კალიფორნია), სადაც მექსიკელი ბავშვები განცალკევებულები იყვნენ თეთრკანიანი ბავშვებისაგან ინტეგრირებულ სკოლაში, ხოლო პირველი სეგრეგირებული სკოლა ამავე ადგილას 1919 წელს დაარსდა. ერთ-ერთი კვლევით დასტურდება, რომ სამხრეთ-დასავლეთში სკოლების 80-90 პროცენტი იყო სეგრეგირებული (Robbie, 2003).

რაც შეეხება სკოლების დესეგრეგაციას, 1947 წელს საქმემ „მენდესი უესტმინსტერის წინააღმდეგ“ (Mendez v. Westminster) დაასრულა სეგრეგაცია კალიფორნიაში. გონსალო მენდესმა (Gonzalo Mendez), რომელმაც გადაწყვიტა, რომ თავისი შვილები შეეყვანა უესტმინსტერის სკოლაში, უარი უთხრეს, ვინაიდან ეს სეგრეგირებული სკოლა იყო, ხოლო მისი დისშვილები, რომლებიც ნახევრად მექსიკელი და ნახევრად ფრანგი წარმოშობის იყვნენ და კანის ფერი თეთრი ჰქონდათ, ამ სკოლაში მიიღეს. ამ საქმის მოსამართლე დევიდ მარკუსმა (David Marcus) გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა სოციოლოგებისა და განათლების ექსპერტების მოსაზრებებიც, რომ სეგრეგაცია უარყოფითად აისახებოდა ბავშვებზე, ვინაიდან ისინი არასრულაფასოვნად იგრძნობდნენ თავს, ასევე, სეგრეგირებულ სკოლებში ვერ ისწავლიდნენ ინგლისურს, ამერიკულ კულტურას და ვერ გაივლიდნენ ამერიკანიზაციის პროცესს, სეგრეგაციის ნაცვლად ისინი ინტეგრირებულნი უნდა

ყოფილიყვნენ. მარკუსი იყო პირველი მოსამართლე, რომელმაც მიიჩნია რომ “განცალკევებული არ ნიშნავს თანასწორს“ (Separate is never equal) და ეს საქმე მე-14 შესწორების მიხედვით არაკონსტიტუციურად სცნო (Robbie, 2003). მოგვიანებით კი კალიფორნიის გუბერნატორმა ერლ უორენმა (Earl Warren) ხელი მოაწერა კანონპროექტს სკოლების დესეგრეგაციის შესახებ კალიფორნიაში, ამგვარად კალიფორნია იყო პირველი შტატი, სადაც ოფიციალურად დასრულდა სკოლების სეგრეგაცია [United States Courts, 2024].

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო საქმე „ერნანდესი ტექსასის წინააღმდეგ“ (Hernandez v. Texas – 1954). მექსიკელ-ამერიკელი პიტ ერნანდესი (Pete Hernandez), რომელიც ბამბის პლანტაციაში მუშაობდა, ბრალი დასდეს ჯო ესპინოზას (Joe Espinoza) მკვლელობაში, თორმეტმა თეთრკანიანმა ნაფიცმა მსაჯულმა მას განაჩენი გამოუტანა და დამნაშავედ სცნო. გამამტყუნებელი განაჩენის გამო სამოქალაქო უფლებების მექსიკელ-ამერიკელმა ადვოკატებმა, გუსტავო გარსიამ (Gustavo Garcia) და კარლოს კადენამ (Carlos Cadena) გადაწყვიტეს, რომ საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოსთვის მიენდოთ (Library of Congress, 2024), რათა გაეპროტესტებინათ სახელმწიფოს მიერ მექსიკური წარმოშობის პირების ნაფიცმსაჯულებად არდაშვება. ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-14 შესწორება თანაბრად იცავს ყველა მოქალაქეს რასისა და კლასის მიუხედავად, თუმცა მექსიკელები, რომლებიც თეთრკანიანებად მიიჩნევიან, მათ მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები ამტკიცებს, რომ კლასობრივად განსხვავებულები არიან. იმისათვის, რათა მხოლოდ თეთრკანიანი ნაფიცი მსაჯულების ყოფნა გაემართლებინათ, ტექსასის შტატი, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციის მე-14 შესწორება მხოლოდ თეთრ და შავკანიანებს ეხებათ, ხოლო მექსიკელები თეთრკანიანები არიან [Bullock Museum, 2024].

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ერლ უორენმა მიიღო უზენაესი სასამართლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ჯგუფურ მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებას კრძალავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მექსიკელი

ამერიკელები იყვნენ განსხვავებული კლასი, რომელსაც ისევე იცავს კონსტიტუციის მე-14 შესწორება, როგორც სხვა უმცირესობებს. პიტ ერნანდესის სასამართლო პროცესი ისევე გაიმართა, ნაფიც მსაჯულთა შორის მექსიკელი ამერიკელებიც იყვნენ, რომლებმაც იგი მაინც დამნაშავედ სცნეს. აღნიშნული საქმე იყო პრეცედენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ისეთი ბარიერების გადალახვას მექსიკელი ამერიკელებისთვის, როგორებიცაა დასაქმება, სკოლების სეგრეგაცია, ხმის მიცემის უფლება. ეს საქმე მილიონობით ლათინურ-ამერიკული წარმოშობის მოქალაქეს დაეხმარა ცხოვრების გაუმჯობესებაში [Bullock Museum, 2024].

1960-70-იანი წლები ტრადიციული ამერიკული ღირებულებებისთვის და სოციალური ინსტიტუტებისთვის გამოწვევა იყო. ვიეტნამის ომმა, ომის საწინააღმდეგო მოძრობამ, მოძრაობამ სამოქალაქო უფლებებისთვის, სტუდენტების პროტესტმა უნივერსიტეტებსა და კოლეჯების კამპუსებში ყველა ამერიკელზე მოახდინა გავლენა. დაძაბულობა კი ძირითადად დაკავშირებული იყო სამოქალაქო უფლებებთან. 1960-70-იან წლებში მექსიკელი ამერიკელების პროტესტმა მიიპყრო ყურადღება, რომელსაც „ჩიკანო¹ მოძრაობა“ (Chicano Movement) ეწოდება. ისინი აპროტესტებდნენ ხელფასებს, საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს, ასევე განათლებას და საკვებს, რომელიც ხარისხით სხვა ამერიკელების საკვების ხარისხს ჩამოუვარდებოდა (Camarillo, 1990:86). ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმში ერთი მუშა ინტერვიუს დროს ამბობს, რომ წელიწადში გამოიმუშავებდა ხუთას დოლარს, ხოლო მეორე მუშას დღეში ორ დოლარს უხდიდნენ. „გაერთიანებული ფერმის მუშები“ და „სოფლის მეურნეობის მუშათა საორგანიზაციო კომიტეტი“ (Agricultural Workers Organizing Committee – AWOOC) გაერთიანდა და ეწოდა „გაერთიანებული ფერმის მუშათა საორგანიზაციო კომიტეტი“ (United Farm Workers Organizing Committee – UFWOC), რომელიც ჩავესმა და უერთამ დააარსეს [Vargas, 2010:311]. ასეთმა სამუშაო პირობებმა აიძულა მექსიკელი ამერიკელები გაფიცულიყვნენ, 1965 წელს „ყურძნის ბოიკოტი“ (Grape Boycott) გამოაცხადეს, შეწყვიტეს მუშაობა ვენახებში და გამოვიდნენ

¹ ჩიკანო - შერთებულ შტატებში დაბადებული მესიკური წარმოშობის ხალხი.

ლოზუნგით „უელგა“ (Huelga), რაც ესპანურად გაფიცვას ნიშნავს [Facing History and Ourselves, 2020]. პროტესტს სათავეში სეზარ ჩავესი (Cezar Chaves) და დოლორეს უერტა (Dolores Huerta) ედგა. „გაერთიანებულმა ფერმის მუშებმა“ (The United Farm Workers – UFW) დაიწყო ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის და საფუძველი „ჩიკანო მოძრაობას“ ჩაუყარეს [Camarillo, 1990:92]. ჩავესმა და უერტამ მიზნად დასახეს „გაერთიანებული ფერმის მუშების“ მასობრივ მოძრაობად გარდაქმნა, რაც გულისხმობდა გაფიცვას, ბოიკოტსა და არაძალადობრივ პირდაპირ მოქმედებას [Vargas, 2010:310].

მექსიკელ-ამერიკელებს აფროამერიკელების მსგავსად ჰქონდათ პრობლემები, მაგალითად, სამუშაოს ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, მექსიკელი-ამერიკელები აწყდებოდნენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ესპანური ენის სტატუსი სკოლებში და იმიგრაციის პოლიტიკა. ისევე როგორც აფროამერიკელებმა, მექსიკელმა-ამერიკელებმაც მიიღეს სამოქალაქო უფლებები 1960-იან წლებში [Vargas, 2010:337].

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ისწავლება მექსიკელი-ამერიკელების ისტორია შეერთებულ შტატებში, საკვლევად შევარჩიე კალიფორნიის შტატი, ვინაიდან აქ ყველაზე მეტი მექსიკელი ამერიკელი ცხოვრობს. **კალიფორნიის** სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვით, მე-8 კლასში ისწავლება „შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი“. ერთ-ერთი საკითხი არის „დემოკრატიის გამოცდა: წარსული და აწმყო“, მოსწავლეები შეისწავლიან მექსიკა-ამერიკის ომის გავლენას. „გუადალუპე იდალგოს სამშვიდობო ხელშეკრულებამ“, რომელმაც დაასრულა ომი შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გეოგრაფიაზე, ეკონომიკაზე, საგარეო ურთიერთობებზე, მექსიკელებისა და ამერიკელების ცხოვრებაზე. მოსწავლეები აღნიშნული საკითხის შესასწავლად დავალებული აქვთ **როლური თამაში** - ისინი იყოფიან ამ ომის მხარდამჭერებად და მოწინააღმდეგეებად. მოსწავლეები ამ დავალების შესრულებისას სწავლობენ, თუ როგორი იყო ადრეული დასახლება, ანალიზებენ ამა თუ იმ პოლიტიკოსის ამბიციებსა და ომის გავლენას მექსიკელ ხალხზე. გარდა ამისა,

ისწავლება „გუადალუპე იდალგოს სამშვიდობო ხელშეკრულება“ და კალიფორნიის 1849 წლის კონსტიტუცია, მექსიკელთა ცხოვრება ახალ საზღვრებში [California State Board of Education, 2016:46-47].

მე-8 და მე-11 კლასის სახელმძღვანელოების („შეერთებული შტატების ისტორია და გეოგრაფია: მემკვიდრეობითობა და კონფლიქტი“) განახლებული ვერსია 2018 წელს გამოიცა [Spielvogel et al, 2018b], სადაც ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ისწავლება [Spielvogel et al, 2018a]. ამ წიგნს თან ახლავს ინტერაქტიული სამუშაო რვეული, რომელიც მოსწავლეებს დამატებით აქტივობებს სთავაზობს, რათა განავითარონ კვლევის, ანალიზის, ფაქტებზე დაფუძნებული წერის უნარები [Spielvogel et al, 2018c]. ისევე როგორც სახელმძღვანელოში, სამუშაო რვეულშიც დავალებებს თან ახლავს მოკლე აღწერა, თუ მოსწავლისგან რომელი უნარის განვითარებას ითხოვენ [Spielvogel et al, 2018d].

ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობითაც კალიფორნიის სკოლებში ისწავლება, არის მე-8 კლასის წიგნი „შეერთებული შტატების ისტორია: დამოუკიდებლობიდან 1914 წლამდე“. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში შეტანილია შემდეგი საკითხები: ტექსასის რევოლუცია და დამოუკიდებლობა, ალამოსა და სან ხასინტოს ბრძოლა, მექსიკა-ამერიკის ომი, ასევე, ასწავლიან მექსიკელი იმიგრანტების შესახებ 1800-იან წლებში, თუმცა მცირე ინფორმაციაა მოცემული. სახელმძღვანელოში გვხვდება დავალება „წაკითხულის შემოწმება“ - შეჯამება და დასმულია შეკითხვა: როგორ ეხმარებოდნენ ახალი იმიგრანტები თავიანთ თავებსა და სხვებს? სახელმძღვანელოში ყურადღება ეთმობა ანტი-იმიგრაციულ განწყობას და ტექსტის ბოლოს მოცემულია დავალება „წაკითხულის შემოწმება“ - გაანალიზება: რატომ არ სურდათ იმიგრაცია და მათ საწინააღმდეგოდ რა ნაბიჯებს დგამდნენ? ხოლო ამ თავის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა იდენტიფიცირება (Identify), განსხვავება (Contrast), შეჯამება (Summarize), ახსნა (Explain), დასკვნის გამოტანა (Draw Conclusion), წინასწარ განსაზღვრა (Predict) – მაგალითად, დასმულია შეკითხვა: იმიგრაციის მიმართ

წინააღმდეგობის ზრდამ როგორ შეიძლება, რომ გამოიწვიოს პრობლემები შეერთებულ შტატებში? შემდეგი დავალება კი კრიტიკული აზროვნების განვითარებას ისახავს მიზნად, მოსწავლეს მოცემული აქვს დიაგრამა, მათ უნდა იკვლიონ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც იდგნენ ახალი იმიგრანტები. გამოწვევები კი ეხებოდა განათლებას, სამსახურს, ცხოვრების პირობებსა და კულტურას [Holt Rinehart and Winston. 2006:592-593].

კალიფორნიის სასწავლო გეგმაში არ გვხვდება საკითხი „ჩიკანო მოძრაობასთან“ დაკავშირებით, როგორ იბრძოდნენ მექსიკელი ამერიკელები სამოქალაქო უფლებებისთვის, თუმცა, მე-3 კლასელები შეისწავლიან საქმეს „მენდესი უესტმინსტერის წინააღმდეგ“, რაც სამოქალაქო განათლების ნაწილია და არა ისტორიის. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ბიოგრაფიები ან კვლევით პროექტებში ჩაერთონ, უნდა გამოიყენონ პირველადი წყაროები, ასევე, ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა, როგორცაა „განცალკევებული არ ნიშნავს თანასწორს“ - სილვია მენდესისა და თავისი ოჯახის ბრძოლა დესეგრეგაციისთვის [California State Board of Education, 2016:21].

შედარებით ნაკლების მექსიკელი-ამერიკელი ცხოვრობს ნევადაში. რაც შეეხება ნევადას სოციალური კვლევების სასწავლო გეგმას, სხვა შტატის სასწავლო გეგმისაგან განსხვავებით, მაგალითად მასაჩუსეტის, საკითხები არ არის კონკრეტული. მე-6-8 კლასებში ისწავლება საგანი „ადრეული შეერთებული შტატების ისტორია და სამოქალაქო იდეალები“, რომლის საკითხთა ჩამონათვალში არ გვხვდება მექსიკა-ამერიკის ომი. მე-9-12 კლასებში ისწავლება საგანი „შეერთებული შტატების ისტორია (1877 წლიდან დღემდე)“, რომლის სასწავლო გეგმაში ნახსენები არ არიან მექსიკელი ამერიკელები, თუმცა ასწავლიან სხვადასხვა იმიგრანტი ჯგუფის შესახებ და სხვადასხვა ხალხის მიმართ პატივისცემასა და თანასწორებად აღქმას [Nevada Department of Education, 2018:23-38].

რაც შეეხება მასაჩუსეტის სასწავლო გეგმას, მე-4 კლასში ისწავლება „ჩრდილოეთ ამერიკის გეოგრაფია, ისტორია და ხალხები“. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შემდეგ

საკვანძო შეკითხვას - რა წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ ამერიკაში დასახლებულმა სხვადასხვა ჯგუფმა თითოეული რეგიონის კულტურაში? მაგალითად, იმიგრანტების, რომლებიც გვიან XX და XXI საუკუნეებში გადმოსახლდნენ - მექსიკელები, პუერტო რიკოელები, სალვადორელები, კოლუმბიელები, ბრაზილიელები და ა.შ. [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:64]. გარდა ამისა, ისწავლება, რომ ტექსასი, არიზონა, ნიუ მექსიკო მექსიკის ნაწილი იყო; ტექსასმა მექსიკისაგან დამოუკიდებლობა 1836 წელს გამოაცხადა, მექსიკა-ამერიკის ომის (1846-1848 წწ.) შედეგად არიზონა, იუტა, კალიფორნია, კოლორადო და ნიუ მექსიკო, შეერთებულ შტატებს შეუერთდა. აღნიშნული საკითხების შესწავლისას მოსწავლეებმა უნდა შეძლონ რეგიონის მრავლფეროვანი კულტურული ბუნების აღწერა, იგულისხმებიან იმიგრანტებიც, მათ შორის მექსიკელები [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:66].

სახელმძღვანელოში „ამერიკული ხედვა“ (მე-12 კლასი) (The American Vision) ერთი თავი ეთმობა შემდეგ საკითხს „პროტესტის პოლიტიკა“ 1960-80-იან წლებში, რომელიც ეხება ლათინოამერიკელების, კერძოდ მექსიკელების იმიგრაციის ისტორიას შეერთებულ შტატებში, მათ დისკრიმინაციისა და სეგრეგაციას. მექსიკელი ამერიკელებისა და მექსიკელი იმიგრანტების უმრავლესობა ქვეყნის სამხრეთ დასავლეთით ცხოვრობდა, სადაც ისინი დისკრიმინაციას განიცდიდნენ სამუშაო და საცხოვრებელ ადგილას. XX საუკუნის შუა წლებში მეტი იმიგრანტი ჩავიდა შეერთებულ შტატებში ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამოქალაქო უფლებების ორგანიზაციებს აარსებდნენ. სახელმძღვანელოში გადმოცემული არის ლტოლვილთა კოლონიის მნიშვნელობა, რომელსაც „უბანი“ ანუ “ბარიო“ (ესპ. Barrio) ერქვა. შეერთებულ შტატებში ჩამოსული იმიგრანტები თავს სწორედ ამ კოლონიას აფარებდნენ. ერნესტო გალარზა თავის ავტობიოგრაფიაში აღწერს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიას ახალი იმიგრანტებისთვის [Glencoe, 2010:921-922].

დიდი დეპრესიის დროს 1930-იან წლებში შეერთებული შტატები მექსიკელი მოსახლეობის დაახლოებით ერთმა მესამედმა დატოვა, თუმცა დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავ მრავლად იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეორე მსოფლიო ომის დროს ამოქმედდა „მუშათა პროგრამა“, რომელიც მექსიკელ მუშებს აძლევდა დროებითი მუშაობის უფლებას შეერთებულ შტატებში. ამ პერიოდისათვის კი არალეგალურმა იმიგრაციამ იმატა და 1954 წელს აიზენჰაუერის ადმინისტრაციამ აამოქმედა პროგრამა, რაც მიზნად მექსიკელთა დეპორტაციას ისახავდა. შემდეგი სამი წლის განმავლობაში 3.7 მილიონი მექსიკელის დეპორტაცია მოხდა, რაც გააკრიტიკეს შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში, ვინაიდან მიიჩნეოდნენ, რომ ხალხი იჩაგრებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ მექსიკელებს ჰგავდნენ. გარდა ამისა, ზოგჯერ უშვებდნენ შეცდომას, თუ ვინ იყო შეერთებული შტატების მოქალაქე და ვინ არალეგალურად მცხოვრები. ამ ინფორმაციას თან ახლავს დავალება: შეჯამება (Summarizing) – როგორ აკრიტიკებდნენ აიზენჰაუერის დეპორტაციის პროგრამას? [Glencoe, 2010:922].

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში გადმოცემული არის მცირე ინფორმაცია სხვა ლათინოამერიკელების (Latinos) იმიგრაციის შესახებ. მართალია, 1950-იანი წლებისთვის მექსიკელები ყველაზე მეტი ესპანურად მოსაუბრე მოსახლეობა იყო, თუმცა დიდი რაოდენობით პუერტო რიკოელები ჩამოვიდნენ შეერთებულ შტატებში, რაც გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკური კრიზისით პუერტო რიკოში. პუერტო რიკოელების უმრავლესობა დასახლდა ქალაქ ნიუ იორკში, სადაც ისინი რასობრივ დისკრიმინაციასა და სიღარიბეს განიცდიდნენ. გარდა ამისა, შეერთებულ შტატებში 350 000 კუბელი ჩამოვიდა 1959 წლის კუბის რევოლუციის შემდეგ. იმიგრანტები კომუნისტურ რეჟიმს გაურბოდნენ, მათ შორის ბევრი ბიზნესმენი იყო, რომლებიც მაიამიში დასახლდნენ. მათი უმრავლესობის ჩამოსვლას შეერთებულ შტატებში მიესალმებოდნენ, ვინაიდან კომუნიზმის ჩაგვრას გაურბოდნენ. 1960 წელს შეერთებულ შტატებში 3 მილიონი ლათინოამერიკელი ცხოვრობდა, ხოლო 1960-იანი წლების ბოლოსთვის მათი რიცხვი 9 მილიონამდე გაიზარდა [Glencoe, 2010:922].

1929 მექსიკურ ამერიკულმა ორგანიზაციებმა შექმნეს „გაერთიანებული ლათინოამერიკელი მოქალაქეების ლიგა“ (League Of United Latin American Citizens – LULAC), რომლის მიზანი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ორგანიზაცია უზღუდავდა წევრობას ლათინოამერიკული წარმოშობის ხალხს, რომლებიც შეერთებული შტატების მოქალაქეები იყვნენ, ასევე, წახალისეს ასიმილაცია ამერიკულ საზოგადოებაში და ინგლისური ენა ოფიციალურ ენად მიიღეს. ორგანიზაციამ ბევრი დადებითი რამ მოუტანა ლათინოამერიკელებს - ტექსასში დაასრულა სეგრეგაცია საჯარო ადგილებში, სადაც მექსიკელი ამერიკელები (აფროამერიკელებთან ერთად), რომელთაც აკრძალული ჰქონდათ თეთრკანიანებისთვის განკუთვნილ ადგილას ყოფნა. გარდა ამისა, ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღვის სკოლების დესეგრეგაციაში [Glencoe, 2010:923].

საქმემ „მენდესი უესტმისტერის წინააღმდეგ“ (Mendez v. Westminster, 1947) კალიფორნიაში სკოლების სეგრეგაცია დაასრულა, ორი წლის შემდეგ იგივე ტექსასის შტატშიც მოხდა. 1954 წელს საქმემ „ერნანდესი ტექსასის წინააღმდეგ“ (Hernandez v. Texas) ლათინოამერიკული წარმოშობის მოქალაქეების უფლებები გააფართოვა. გაკვეთილს თან ახლავს ვიზუალური მასალაც (იხ. სურათი 7 და სურათი 8), რომლებიც მოსაწავლეებმა უნდა გაანალიზონ (Analyzing Visuals) და უპასუხონ შეკითვას, მოსწავლემ უნდა აღწეროს, თუ როგორ ეპყრობოდნენ ლათინოამერიკელებს შეერთებულ შტატებში. განასხვავონ, თუ რა გამოწვევებს აწყდებოდნენ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილას ოჯახები? [Glencoe, 2010:923]



სურათი 7. ბევრ

მიგრანტ მუშას ცუდ პირობებში უწევდა ყოფნა, როგორც ამ ოჯახს, რომელიც ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა.



სურათი 8. ოჯახის

ყველა წევს უწევდა მუშაობა გადარჩენისთვის, როგორც ამ ბავშვებს, რომლებიც ბამბას კრეფენ ტექსასში.

კიდევ ერთი ორგანიზაცია „ამერიკული ჯიაი ფორუმი“ (American GI Forum) შეიქმნა, რომელიც მიზნად ისახავდა მექსიკელი ამერიკელი ვეტერანების უფლებების დაცვას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინო ამერიკელი ვეტერანები ვეტერანთა ორგანიზაციიდან გარიცხეს, ხოლო ვეტერანთა ადმინისტრაციამ სამედიცინო დახმარებაზე უარი თქვა. ამ ორგანიზაციის პირველი ბრძოლა რასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ ეხებოდა მექსიკელი ამერიკელი ჯარისკაცის დაღუპვას მეორე მსოფლიო ომში, რომლის დაკრძალვაზე უარი თქვა დაკრძალვის სახლმა, ვინაიდან ის მექსიკელი ამერიკელი იყო. „ამერიკულმა ჯიაი ფორუმმა“ სენატორ ლინდონ ჯონსონის დახმარებით ერის ყურადღება მიიპყრო, ჯარისკაცი კი არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე (Arlington National Cemetery) დაკრძალეს. ტექსტის ბოლოს გვხვდება დავალება: წაკითხულის შემოწმება (Reading Check) გაანალიზება - როგორ ახდენდა ამერიკული საზოგადოება ლათინოამერიკელების დისკრიმინაციას? [Glencoe, 2010:924].

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში მოცემულია ქვეთავი „პროტესტი და პროგრესი“, რომელიც იწყება „ძირითადი იდეით“, რომ ბევრი ლათინოამერიკელი აგრარული მუშა იყო, რომლებსაც დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ. „გაერთიანებული ფერმის მუშები“ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ცდილობდნენ. ამ ქვეთავში აღწერილია სეზარ ჩავესისა და დოლორეს უერტას ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის. 1960-70-იან წლებში მოძრაობაში სტუდენტებიც ჩაერთნენ (სან ანტონიო, ტექსასი), რომელთა ლიდერი ხოსე ანხელ გუტიერესი (Jose Angel Gutierrez) იყო, მათ დაარსეს „მექსიკელი ამერიკელების ახალგაზრდული ორგანიზაცია (the Mexican American Youth Organization - MAYO). აღნიშნული ორგანიზაცია აპროტესტებდა რასიზმს, ასევე, ითხოვდნენ ორენოვან განათლებას ადგილობრივ საშუალო სკოლაში. ორგანიზაციის წარმატებამ და პროტესტის მასშტაბის გაფართოვებამ ქვეყნის დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში გუტიერესი დაარწმუნა, რომ შეექმნა პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული ხალხი“ (ესპ. La Raza Unida - 1969). აღნიშნული პარტია იყო უფრო დიდი მოძრაობის მაწილი, რომლებიც საკუთარ თავს „ჩიკანოს“ უწოდებდნენ. პარტია

მხარს უჭერდა ლათინოამერიკელ კანდიდატებს ტექსასში, კალიფორნიაში, კოლორადოში, არიზონასა და ნიუ-მექსიკოში. ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისში მათ აირჩიეს ლათინოამერიკელები, რომლებიც რამდენიმე ქალაქის ადგილობრივ ოფისებში მუშაობდნენ. ამავე დროს ჩამოყალიბდა მოძრაობა „ყავისფერი ძალა“, რომელიც დისკრიმინაციას ებრძოდა და ეთნიკური სიამაყის გრძნობის გაღვივებას ისახავდნენ მიზნად. მექსიკის დამოუკიდებლობს დღეს (16 სექტემბერი, 1969 წ.) კალიფორნიის უნივერსიტეტში სტუდენტები მოითხოვდნენ „ჩიკანომცოდნეობის“ (Chicano Studies) პროგრამის სწავლებას. შემდეგი ათწლეულის განმავლობაში ორმოცდაათმა უნივერსიტეტმა შექმნა პროგრამა, რომელიც ეძღვნებოდა შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ლათინოამერიკელებს [Glencoe, 2010:924].

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც განიხილავდნენ იყო ორენოვანი სწავლება, კონგრესმა 1968 წელს მხარი დაუჭირა “ორენოვანი განათლების კანონს, რომელიც ავალეზდა სკოლის რაიონებს შეექმნათ კლასები იმიგრანტებისთვის, სადაც ასწავლიდნენ ესპანურად, ამავე დროს ინგლისურსაც შეისწავლიდნენ. მოგვიანებით, ორენოვნება პოლიტიკურად სადავო საკითხი გახდა. ბევრი ამერიკელი მიიჩნევდა, რომ ეს მექსიკელთა ასიმილაციას შეუშლიდა ხელს. 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მოძრაობა “მხოლოდ ინგლისური” (English-only Movement), ხოლო 2000-იანი წლებისთვის ოცდახუთი შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი ან შესწორება, რომლის მიხედვითაც შტატის ოფიციალური ენა ინგლისური გახდა. ამ გაკვეთილის ბოლოს მოცემულია დავალებები, ვფიქრობ, მათგან საინტერესოა დავალება, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარებას ისახავს მიზნად. მოსწავლეებმა უნდა შექმნან ცხრილი, მათ უნდა მოახდინონ ლათინოამერიკელი ჯგუფებისა და მათი მიღწევების იდენტიფიცირება. შემდეგი დავალებაა „ექსპოზიციური წერა“ (Expository Writing), რაც გულისმობს ჟურნალის სტატიის დაწერას ლათინოამერიკელების ცხოვრების პირობების შესახებ, რომლებმაც ისინი აიძულა დაეწყოთ ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის ომის შემდგომ პერიოდში

[Glencoe, 2010:924-925]. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში არის დავალება „ისტორია და შენ“ - ფიქრობ, თუ არა რომ შეერთებულ შტატებში ეროვნული ენა უნდა იყოს?

2023 წელს ჰოფკინსის უნივერსიტეტმა და „უნიდოს იუესმა“ (UnidosUS), რომელიც არის ყველაზე დიდი სამოქალაქო უფლებების ორგანიზაცია ესპანურენოვანი მოსახლეობისთვის, გამოაქვეყნა ანგარიში. ამ პროექტის ფარგლებში იკვლიეს შეერთებული შტატების ისტორიის საშუალო სკოლის ხუთი სახელმძღვანელო. მკვლევრებმა შეისწავლეს რამდენად იყო წარმოჩენილი ლათინოამერიკელების ისტორია და უთანასწორობის საკითხები. კვლევის მიხედვით, ლათინოამერიკელთა ისტორიის ძირითადი საკითხების 87% ან საერთოდ არ იყო ისტორიის სახელმძღვანელოებში ან რამდენიმე წინადადებით იყო განხილული. სახელმძღვანელოებში ბოლო ორასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ მიღწევაზე იყო გამახვილებული ყურადღება - სონია სოტომაიორის უზენაეს სასამართლოში დანიშვნა. 222 მნიშვნელოვანი საკითხიდან მხოლოდ 28 კარგად არის გაშუქებული, რის გამოც მნიშვნელოვანი საკითხები განხილული არ არის, როგორებიცაა მექსიკა-ამერიკის ომი, თანამედროვე სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობა, საარჩევნო უფლებების აქტი, სამოქალაქო უფლებების აქტი და რასობრივი სეგრეგაცია [UnidosUS, 2023]. აღნიშნული კვლევა ჩატარდა იმ ხუთ შტატში, სადაც ყველაზე მეტი ლათინოამერიკელი მოსწავლეა - ნიუ-მექსიკო, კალიფორნია, ტექსასი, ფლორიდა და ნიუ-იორკი. ასევე, შეარჩიეს ორი შტატი, სადაც ნაკლები ლათინოამერიკელი მოსწავლეა - აიოვა და დასავლეთ ვირჯინია [UnidosUS and Johns Hopkins, 2023:16].

ანგარიშის ბოლოს გაცემულია რეკომენდაციები, შტატებისა და სასკოლო სისტემის ხელმძღვანელებისთვის, მათ მოუწოდებენ, რომ არსებულ სახელმძღვანელოებს გადახედონ და თემატურად უფრო მრავალფეროვანი გახადონ. ასევე, განხილულია მასწავლებლის როლიც, რომლებმაც უნდა მოუწოდონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომ მრავალფეროვანი სასწავლო გეგმა და მასალები მიაწოდონ მოსწავლეებს. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს დამატებითი სანდო წყაროები მიაწოდონ, მოიწვიონ ექსპერტები

სკოლაში პრეზენტაციის ჩასატარებლად ან მოსწავლეებს მიაღებინონ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელიც, მაგალითად, დაკავშირებული იქნება „ესპანურენოვანთა მემკვიდრეობის თვესთან“ (Hispanic Heritage Month) [UnidosUS and Johns Hopkins, 2023:28-29].

რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, რომ თანასწორობის დამკვიდრების საკითხი განვიხილოთ საბჭოთა პერიოდიდან. 1936 წელს მიღებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით, იგივე შეგვიძლია ვთქვათ 1977 წლის კონსტიტუციაზეც, სადაც 34-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები თანასწორები არიან კანონის წინაშე, მათი წარმოშობის, სქესის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, განათლების, რწმენის ან სხვა ნიშნის მიხედვით. 35-ე მუხლი ეხება ქალებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში კაცის თანასწორი უფლებები აქვთ. 36-ე მუხლის მიხედვით, „სხვადასხვა ეროვნებისა და რასის საბჭოთა მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ“. იკრძალებოდა ეროვნული ან რასობრივი ნიშნით მოქალაქეებისთვის უპირატესობის მინიჭება [საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, 1977:13-14].

ამავე დროს, საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოში გვხვდება შეერთებული შტატების კრიტიკა. 1930-იან წლებში გამოცემული ისტორიის (საშუალო სკოლის მე-8 ჯგუფის და ტექნიკუმებისთვის) სახელმძღვანელოს მეშვეობით ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია, რომელიც მოგვითხრობს ამერიკელების ისეთი ფუნდამენტური ღირებულების შესახებ, როგორც არის თანასწორობა. სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ ლამაზ დემოკრატიის ფრაზებში გაახვიეს, როგორებიც არის მოქალაქეთა თავისუფლება და თანასწორობა. ასეთი შელამაზებული სიტყვების „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ ჩაწერა მიზნად ისახავდა მშრომელთა მოსახლეობის გამოყენებას მისი მეტოქის - ინგლისის და მისი ბატონობის დასამარცხებლად. ამ მიზნის მიღწევა კი იმ დროისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან მშრომელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უუფლებო ზანგები და ინდიელი ტომები იყვნენ. ხოლო კონსტიტუციის ავტორი

მსხვილი მემამულე და ასეულობით მონის მფლობელი იყო, ამავე დროს მას ეკუთვნოდა ბრწყინვალე სიტყვები მოქალაქეთა თანასწორობისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ ამერიკაში [ციხისტავი, 1933:120-121]. ხოლო „შეერთებული შტატების კონსტიტუცია“ მოხსენიებულია „სამარცხვინო კანონად“, სადაც მონების შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამი და მყვირალა ფრაზებით მიღებულ „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ ეწინააღმდეგებოდა [ციხისტავი, 1933:122].

შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიხედვით, ცალსახა ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ის, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია“ [შვაიკარტი და სხვები, 2014:53]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, თანასწორობა ეხებოდა არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მოქალაქეებს. ასევე, მე-9 კლასის სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოს მეშვობით ისწავლებოდა მოქალაქეთა თანასწორობის შესახებ. გაკვეთილის თემაა - „1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუცია“, სადაც გადმოცემულია ზემოთ აღნიშნული საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მუხლების შინაარსი [ბერხინი, 1972:290-291].

რაც შეეხება თანასწორობის დამკვიდრების საკითხს თანამედროვე საქართველოში, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“ [საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1995]. სახელმძღვანელოებში კონსტიტუციის ეს მუხლი შესული არ არის, თუმცა, მაგალითად, მე-9 კლასის (გამომცემლობა დიოგენე, 2021) ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანილია ნაწყვეტი „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან“, რომლის მიხედვითაც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა,

სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“. ასევე, სახელმძღვანელოში შეტანილია 1921 წლის კონსტიტუციის მე-3 თავი, რომელიც მოქალაქის უფლებებს ეხება. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ ეს წყაროები და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: „რომელ ფასეულობებს ეყრდნობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია? გაიხსენე, საიდან იღებს ეს ღირებულებები სათავეს? გაიხსენე სამოქალაქო განათლების გაკვეთილებიდან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. რომელ მათგანს აკანონებს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია? დაასახელე ის ღირებულებები, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. კონსტიტუციას რომელიმე მუხლს ხომ არ დაამატებდი? ან, პირიქით, რომელიმე მუხლი ზედმეტად ხომ არ მიგაჩნია? ასევე, სახელმძღვანელოში გვხვდება შედარებითი ანალიზის დავალება - შეადარე საქართველოს კონსტიტუციის მუხლები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მიღებულ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მუხლებს. მონახე მათ შორის შესაბამისობები; იმსჯელე მათ შორის განსხვავებაზეც; ისეთი რა სიახლეა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ფრანგულ დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის?“ [ახმეტელი და სხვები, 2021:247:250]. აღნიშნული შეკითხვები თუ დავალებები უდაოდ ისახავს მიზნად თანასწორობის დამკვიდრებას. ამავე დროს, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, რომ საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციაში შესული მე-11 მუხლის განხილვაც და პარალელის გავლება 1921 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლთან, თუმცა შედარებითი ანალიზის დავალება გვხვდება სახელმძღვანელოში - მოსწავლეებმა უნდა შეადარონ საქართველოს კონსტიტუციის მუხლები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მიღებულ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მუხლებს. ამ დავალებაში, ასევე, ჩანს საკითხის გლობალურ ჭრილში განხილვა.

ამგვარად, თანამედროვე შეერთებულ შტატებსა და საქართველოში თანასწორობის, როგორც დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრებაში ისტორიის სწავლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს. მართალია, შეერთებულ შტატებში ვაწყდებით

პრობლემებს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების სწავლებისას, როგორცაა მონობა, თუმცა ამ პრობლემებთან დაკავშირებით დებატები გრძელდება. ალასკას განათლების დეპარტამენტმა შეცვლილ სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმაში ასახა მონობის საკითხის სწავლება. დროთა განმავლობაში კი შესაძლოა სხვა შტატებმაც გადახედონ სასწავლო გეგმებს. რაც შეეხება საქართველოს, სახელმძღვანელოებში შეტანილია 1921 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლი, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნე, უმჯობესია მოსწავლეებმა შეადარონ ის საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციაში შესულ მე-11 მუხლს. ასევე, ვფიქრობ, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ კვლევითი დავალება - რამდენად ასახავს დღევანდელი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი თანასწორობის იდეას რეალობაში. ამ გზით მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ განავითარონ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარები.

2.3 რელიგიური ტოლერანტობის გაღვივება

ამერიკის შეერთებული შტატებში, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს და იმიგრანტთა ერი ეწოდებათ, არ აქვთ საერთო მემკვიდრეობა, რელიგია, ადათები და ა.შ., არამედ მათ ღირებულებები აერთიანებს [მემმარიაშვილი, 2021:1]. ამერიკელების ერთ-ერთი ღირებულება ტოლერანტობა არის.

იმისათვის, რათა გავიგოთ როგორ ჩამოყალიბდა რელიგიური ტოლერანტობა შეერთებულ შტატებში, უნდა გავეცნოთ მის ისტორიას. რელიგიური ტოლერანტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ შეერთებული შტატების მამა-დამაარსებლებს, ასევე, განათლებას, კერძოდ კი ისტორიის სწავლებას.

შეერთებული შტატების განსაკუთრებულობა არის ის, რომ აქ რელიგიური მრავალფეროვნებაა, მისთვის დამახასიათებელია რელიგიური პლურალიზმი და რელიგიის თავისუფლების ტრადიცია აქვს. ისტორიულად შეერთებული შტატები რელიგიური ტოლერანტობის ადგილად ითვლება, თუმცა, იგი ყოველთვის ტოლერანტული ადგილი არ იყო განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანების

მიმართ. სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი, რომელიც ამერიკის მიწაზე მოვიდა, რელიგიურ თავისუფლებას ეძებდა და არა ტოლერანტობას. ამერიკელი მწერალი და მეცნიერი, ლუის ბ. რაითი (Louis B. Write) აღნიშნავდა, რომ ახალ მიწაზე მოსულ რელიგიურ ჯგუფებს სურდათ, რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ სხვა რელიგიური ჯგუფების ან არამეგობრულად განწყობილი ხელისუფლების ჩარევისაგან [Nardo, 2010:10].

1620 წელს პილიგრიმები ახალ მიწაზე სწორედ რელიგიურ თავისუფლებისთვის მოვიდნენ. მართალია, მილიონობით ადამიანმა იპოვა „სადნობი ღუმელი“, სადაც არსებობდა რწმენის თავისუფლება, თუმცა, პრობლემა არის ის, რომ რელიგიის ისტორია ამერიკაში ხშირ შემთხვევაში შემადრწუნებელი და სისხლიანი იყო, ზოგი ისტორია კი სასკოლო წიგნებში გადმოცემული არ არის [Kenneth, 2010].

მაგალითად, უცნობია ისტორია ჰუგენოტების (ფრანგი პროტესტანტები) შესახებ, რომლებიც 1564 წელს ჩავიდნენ ახალ მიწაზე რელიგიური თავისუფლების საძიებლად. მათ დაარსეს ფორტ კაროლინის კოლონია (დღევანდელ ჯექსონვილთან ახლოს, ფლორიდა). 1565 წელს ესპანელებმა ეს კოლონია გაანადგურეს. ესპანელმა სარდალმა, პედრო მენენდეს დე ავილესმა (Pedro Menéndez de Avilés) ესპანეთის მეფეს, პილიპე II-ს მისწერა, რომ მათ ჩამოახრჩვეს ყველა, ვინც იპოვეს ფორტ კაროლინში, რადგან ისინი ავრცელებდნენ ამაზრზენ ლუთერანულ დოქტრინას. ამგვარად, ევროპელი ქრისტიანების პირველი შეხვედრა ამერიკის მიწაზე საკმაოდ სასტიკი იყო [Kenneth, 2010].

ნიუ ინგლანდის კოლონიებიდან (New England Colonies) ყველაზე არატოლერანტად შესაძლოა მასაჩუსეტსის ყურის კოლონია (Massachusetts Bay Colony) მივიჩნიოთ. პურიტანები, რომლებიც მასაჩუსეტსის ყურის კოლონიაში ცხოვრობდნენ, სხვა რელიგიური ხედვის მიმართ ტოლერანტები არ იყვნენ. 1650-იან წლებში სხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების დასჯა ან დევნა უჩვეულო არ იყო. მაგალითად, სისასტიკეს იჩენდნენ კვაკერების მიმართ. ორი კვაკერი ქალი, რომლებიც ბარბადოსიდან მასაჩუსეტსის კოლონიაში ჩავიდნენ (1656 წელი), ციხეში

ჩასვეს, საბოლოოდ კი ბარბადოსში დააბრუნეს. ორი წლის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვით, კოლონიიდან განდევნილი კვაკერები, თუ დაბრუნდებოდნენ, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ამის შემდეგ, ბოსტონში (1659-1661 წლებში) ოთხი კვაკერი ჩამოახრჩვეს [Nardo, 2010:8-9].

ასევე, ცნობილი დისიდენტები, როჯერ უილიამსი (Roger Williams) და ენ ჰაჩინსონი (Anne Hutchinson) თეოლოგიასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო მასაჩუსეტსიდან განდევნეს, როჯერ უილიამსმა დაარსა **როდ-აილენდის კოლონია**. ენ ჰაჩინსონთან ერთად ფართოდ გაულო კარი პლურალიზმს, რასაც ტოლერანტობას უწოდებდნენ [Espinosa, 2009:3]. ეს იყო პირველი კოლონია, სადაც რელიგიური თავისუფლება ყველას ენიჭებოდა [History, 2018]. მასაჩუსეტსის და პლიმუტის კოლონიები დაარსდა ისეთი რელიგიური თემების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი რელიგიის გავრცელებას, ხოლო როჯერ უილიამსის აზრით, თითოეულ ადამიანს ჰქონდა უფლება, რომ რელიგია თავად აერჩია. ამის გამო, როდ აილენდში რელიგიური უთანხმოება არ იყო, ასევე ეს იყო ერთადერთი კოლონია, სადაც ებრაელები თავისუფლები იყვნენ [Bridges, 2008:14].

კონექტიკუტის კოლონიაში „ტოლერანტობის კანონი“ (The Toleration Act of 1708) გაუქმდა და „სეიბროუკის პლატფორმა“ მიიღეს (The Saybrook Platform). ეს იყო კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა თხუთმეტ მუხლს და ეკლესიის მართვის წესებს არეგულირებდა. „სეიბროუკის პლატფორმამ“ ეკლესიებზე კონტროლი დაამყარა [Coons, 1936:15].

ცენტრალური კოლონიებისთვის (Middle Colonies) რელიგიური ტოლერანტობა უფრო მეტად იყო დამახასიათებელი, ვიდრე ნიუ ინგლანდის კოლონიებისთვის. მაგალითად, **პენსილვანიის კოლონია**, რომელიც უილიამ პენმა დაარსა (William Penn), ცდილობდა ხალხის თავისუფლების გაფართოვებას (1680-იანი წლები), რაც გულისხმობდა რელიგიის თავისუფლებასაც [Bridges, 2008:45]. თავად პენი კვაკერი იყო. მას სურდა კვაკერთა მთავარი დევიზის - „ძმური სიყვარულის“ საზოგადოების

შექმნა. კვაკერები ქრისტიანობის სხვადასხვა დენომინაციასა და სექტას თანასწორებად მიიჩნევდნენ [მექმარიაშვილი, 2019:80-81].

რაც შეეხება სამხრეთის კოლონიებს, **მერილენდის კოლონია** დააარსა კათოლიკე დიდგვაროვანმა, ლორდმა ბალტიმორ მეორემ (Second Lord Baltimore - Cecilius Calvert), რომელმაც პროტესტანტები კოლონიაში მიიღო და კათოლიკეებს მოუწოდა, რომ ისინი არ დაემცირებინათ. მიუხედავად ამისა, ლორდმა ბალტიმორმა სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის დაპირისპირება ვერ აღმოფხვრა, განსაკუთრებით კი 1640 წლის შემდეგ, როდესაც კოლონიაში პურიტანთა რაოდენობის სწრაფი ზრდა დაიწყო [Sweet, 1953:33]. ტოლერანტული დამოკიდებულების გაძლიერების მიზნით, მიიღეს „შემწყნარებლობის კანონი“ (Maryland Toleration Act - 1649). იგი მსახურების უფლებას აძლევდა პროტესტანტებსა და კათოლიკეებს. მართალია, მოგვიანებით კანონი გაუქმდა, მაგრამ ეს იყო რელიგიური თავისუფლებისკენ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი [History, 2009].

ამგავრად, კოლონიებში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახალმოსახლეებს შორის სასტიკი დამოკიდებულების მრავალი მაგალითია. საინტერესოა, საიდან გაჩნდა სიძულვილი განსხვავებული რელიგიური შეხედულებების მიმართ ამერიკაში? იმისათვის, რათა ამ შეკითხვას პასუხი გავცეთ, უნდა გავეცნოთ რელიგიური ჯგუფების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას 1500-1600-იანი წლების ევროპაში [Nardo, 2010:10]. მას შემდეგ, რაც მარტინ ლუთერმა რეფორმაციული მოძრაობა დაიწყო, ევროპა დაიყო კათოლიკეებად და პროტესტანტებად. ხოლო, რელიგიური ომი (1546 წელი) დაიყო მაშინ, როდესაც საღვთო რომის იმპერიის იმპერატორმა, კარლოს V-მ პროტესტანტიზმის ამოძირკვა სცადა, თუმცა მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მის მიერ გამოცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ, რომ იკრძალებოდა მარტინ ლუთერის ნაბეჭდი ან ხელნაწერი თხზულების ქონა, მისი ყიდვა, გაყიდვა ან [Nardo, 2010:10-12].

საფრანგეთში პროტესტანტების, კერძოდ კი, ჰუგენოტების დევნამ მწვავე ხასიათი მე-16 საუკუნის 50-იან წლებში მიიღო, როდესაც მეფე ანრი II ვალუამ გამოსცა ედიქტი (1559 წელი), რომლის მიხედვით, ერეტიკოსები სიკვდილით უნდა დაესაჯათ. საფრანგეთში პროტესტანტების მიმართ სასტიკი მოპყრობის არაერთი მაგალითია. საფრანგეთის სამეფო კარზე ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პირმა, ფრანსუა გიზმა ათეულობით ჰუგენოტი ღვთისმსახურების დროს დახოცა (1562 წელი). რელიგიურმა დაპირისპირებამ კულმინაციას „ბართლომეს ღამეს“ (1572 წელი) მიაღწია, როდესაც კათოლიკეებმა ჰუგენოტები დახოცეს [კილურაძე და სხვები, 2012:388-390].

ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებებს შორის მჭიდრო კავშირი არის, ამიტომ ტოლერანტობა არ არსებობს ადამიანთა უფლებების დაცვის გარეშე [მახაშვილი და სხვები, 2021:10]. რელიგიური თავისუფლებისა და ტოლერანტობის უნიკალური ერთიანობა შეერთებული შტატების მამა-დამაარსებლებმა ასახეს ფუნდამენტურ დოკუმენტებში. თუმცა, სანამ ამ საკითხს განვიხილავ, მანამდე მნიშვნელოვანია „დიდი გამოღვიძების“ როლის განხილვა რელიგიური ტოლერანტობის წარმოშობაში.

„დიდი გამოღვიძება“ (1720-1750 წწ) დაიწყო ცენტრალურ კოლონიებში და შემდეგ ცამეტივე კოლონიაში გავრცელდა. გარდა იმისა, რომ „დიდმა გამოღვიძებამ“ შეცვალა რელიგიური იდეები და ღვთისმსახურება, რელიგიურმა შეკრებებმა ყველა ადამიანი გააერთიანა. მოძრაობაში ერთიანდებოდნენ არა მხოლოდ ინტელექტუალი ლიდერები, არამედ ღარიბი მოსახლეობა, თავისუფალი და დამონებული აფრიკელები და ა.შ. ასეთი თანაბარი ჩართულობა იმ დროისთვის იშვიათი იყო [Hill et al. 2003:252].

ცენტრალური კოლონიები, სადაც „დიდი გამოღვიძება“ დაიწყო, გამოირჩეოდა რელიგიური მრავალფეროვნებით, ხოლო „დიდმა გამოღვიძებამ“ მრავალფეროვნება კიდევ უფრო მეტად შეჰმატა. ამ მოძრაობამ პურიტანიზმს დომინანტური მდგომარეობა დააკარგვინა და ხელი შეუწყო მეთოდისა და ბაპტიზმის გაჩენას. მან ასევე ნიადაგი მოამზადა რევოლუციის დასაწყებად, რასაც ახალი სახემწიფოს შექმნა და საფუძვლიანი ცვლილებები მოჰყვა [ზაქარიაძე, 2018:43].

შტატებს ერთმანთისგან განსხვავებული კანონმდებლობა ჰქონდა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია ზოგ შტატში დაკანონებული იყო. მაგალითად, მასაჩუსეტსში მხოლოდ ქრისტიანებს ჰქონდათ უფლება, რომ საჯარო თანამდებობა დაეკავებინათ. კათოლიკებს საჯარო თანამდებობის დაკავება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ პაპის უფლებამოსილებას უარყოფდნენ [Kenneth, 2010]. მასაჩუსეტსში უფლებათა ბილის (1780 წელი) მიღების შემდეგ რელიგიური თავისუფლება კვლავ იზღუდებოდა, რაც 1800-იან წლებამდე გაგრძელდა [Bridges, 2008:18].

მასაჩუსეტსისგან განსხვავებით, ნიუ-იორკის შტატის კონსტიტუცია კათოლიკეებს უკრძალავდა საჯარო თანამდებობის დაკავებას, ხოლო მერილენდში მათ სრული სამოქალაქო უფლებები ჰქონდათ, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ებრაელებზე [Kenneth, 2010].

1770-იან წლებში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი რელიგიურ თავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ კოლონიურმა ასამბლეამ ტოლერანტობის კანონი არ დაამტკიცა, რომელსაც ინგლისში მიღებული ტოლერანტობის კანონის (The Toleration Act – 1689) დებულებები უნდა გაეგრძელებინა. თუმცა, 1779 წელს ვირჯინიის გუბერნატორმა, თომას ჯეფერსონმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც კრძალავდა რომელიმე რელიგიის იძულებით მიღებას და მსახურებას. ამგვარად, ამ კანონით რელიგიური თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ასევე, ის უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის თანასწორობას განურჩევლად მრწამსისა, იცავდა იმ ხალხის თანასწორობასაც, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ იყვნენ. ჯეფერსონი მიიჩნევდა - „ჩვენი სამოქალაქო უფლებები არ არის დამოკიდებული ჩვენს რელიგიურ შეხედულებებზე“ [Nardo, 2010:13].

ჯეფერსონის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი არ მიიღეს. სწორედ ამიტომ მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ჩანაწერები ვირჯინიის შტატის შესახებ“ (Notes on the State of Virginia - 1785), სადაც იგი წერს, რომ ჩრდილოეთის შტატებში რელიგიური თავისუფლება არის, ხოლო ვირჯინიელები „რელიგიურ მონობაში“ ცხოვრობენ [Espinosa, 2009:92-93]. თუმცა, მოგვიანებით (1786 წელი), რელიგიური თავისუფლება

(Virginia Act for Establishing Religious Freedom) დაკანონდა [Bridges, 2008:152]. მედისონს სურდა, რომ ჯეფერსონის იდეა ქვეყნის კანონი გამხადარიყო, ამიტომ, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-6 მუხლში (Article VI) წერია, რომ თანამდებობის დაკავებისთვის რომელიმე რელიგიისადმი ერთგულება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც წინაპირობა [Kenneth, 2010].

გარდა ამისა, ვირჯინიაში მიღებული კანონის შთაგონებით მიიღეს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც კრძალავს რომელიმე რელიგიის დაკანონებას და მოქალაქეებს თავისუფალი აღმსარებლობის უფლებას აძლევს [Harris, 2009].

რაც შეეხება მედისონს, მან თავის ესეში „ჩანაწერები და პროტესტი რელიგიური შეფასებების წინააღმდეგ“ (Memorial and Remonstrance Against Religious Assessments, 1785) ჩამოაყალიბა 15 პუნქტი, სადაც იგი წერს, რომ თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სწამდეს ის რელიგია, რომელიც სურს [Bridges, 2008:151].

ასევე, აღსანიშნავია ჯორჯ ვაშინგტონის როლი ტოლერანტობის წახალისებაში ამერიკელ პროტესტანტებს, კათოლიკეებსა და ებრაელებს შორის. ჯორჯ ვაშინგტონმა ებრაელთა ჰიბრუს კონგრეგაციისადმი (Excerpt of the Letter to the Hebrew Congregation of Newport, Rhode Island, August 17, 1790) გაგზავნილი წერილით მათ მიმართა, რომ შეერთებული შტატების მოქალაქეებმა კაცობრიობას მისცეს მაგალითი ლიბერალიზმის პოლიტიკისა, რომელიც ღირს მიბაძვად. ყველა ადამიანს რწმენის თავისუფლება აქვს და ყველა მოქალაქე უნდა იჯდეს უსაფრთხოდ თავისი ვაზის და ლეღვის ხის ქვეშ [Espinosa, 2009:82].

ამგვარად, რელიგიური თავისუფლებისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ შეერთებული შტატების მამა-დამაარსებლებს.

„დიდი გამოღვიძება“ და სხვა რელიგიურ ტოლერანტობის ან არატოლერანტობის შემთხვევები აღწერილია მასაჩუსეტსის, ნუ-იორკის, კალიფორნიისა და ჰავაის შტატების სოციალური კვლევების სასწავლო გეგმაში.

მაგალითად, მასაჩუსეტსის ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების (History and Social Science Framework, Massachusetts - 2018) სასწავლო გეგმაში ტოლერანტობა მოხსენიებულია, როგორც ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი. მოსწავლეებმა პირველად წყაროებზე დაყრდნობით უნდა ჩაატარონ კვლევა, ტექსტის ანალიზი და პრეზენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოხატული დემოკრატიის პრინციპები იმ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზე შეერთებული შტატები შეიქმნა. სასწავლო გეგმა, ასევე, ითვალისწინებს რელიგიური ტოლერანტობის სწავლებასაც, თუმცა არა შეერთებული შტატების ისტორიის სწავლებით [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:164].

ასევე, კალიფორნიის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს ამერიკული ღირებულებების სწავლებას, მათ შორის, რელიგიური ტოლერანტობის. რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, გეგმაში აღწერილია კვლევითი აქტივობები. მოსწავლეებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვავონ პირველადი და მეორეული წყაროები, დასვან შესაბამისი შეკითხვები ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც აღწერილია ისტორიულ დოკუმენტებში, წერილებში, დღიურებში და ა.შ. ასევე, ისტორიის ინტერპრეტაცია: მოსწავლეებმა უნდა შეაჯამონ იმ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეისწავლიან და ახსნან ამ ისტორიული მოვლენების კონტექსტი. ასევე, ახსნან ისტორიული მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები [California State Board of Education, 2000:1-2].

კალიფორნიის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის (History – Social Science Content Standards for California Public Schools) მიხედვით, მე-5 კლასში ისწავლება პირველი დიდი გამოღვიძების მნიშვნელობა (The First Great Awakening), რომელმაც რელიგიური ტოლერანტობა წარმოშვა [California State Board of Education, 2000:18]. ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობითაც კალიფორნიის სკოლებში ასწავლიან არის „შეხედულებები, რომლებმაც ახალი ერი შექმნა“ (Reflections Making A New Nation). სახელმძღვანელო დაწერილია კალიფორნიის

სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის მიხედვით, თითოეულ თავს ახლავს გეგმაში ასახული მიზნები.

სახელმძღვანელოს დასაწყისში აღწერილი არის უნარები, რომლებიც უნდა გამოიმუშაოს მოსწავლემ სწავლის პროცესში. მოსწავლეს უნდა შეეძლოს, როგორც დიაგრამებისა და ცხრილებზე მოცემული ინფორმაციის გაანალიზება, ასევე მას უნდა განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ ფაქტებისა და მოსაზრებების, ფაქტებისა და მოგონილი ამბების ერთმანეთისგან გარჩევას, პირველადი და მეორეული წყაროების ერთმანეთთან შედარებას, ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ამოცნობას, პრობლემის მოგვარებას და ა.შ. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გამოიმუშაოს ისეთი უნარი, როგორცაა ჩართულობა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს პრობლემის მოგვარება, ასევე, მან უნდა იმოქმედოს, როგორც პასუხისმგებლიანმა მოქალაქემ [Hill et al. 2003:19].

ამგვარად, სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მოქალაქეობის სწავლებასაც, რაც გულისხმობს დემოკრატიული ღირებულებების შესწავლას. რაც შეეხება რელიგიური ტოლერანტობის სწავლებას, ერთ-ერთი გაკვეთილის თემა არის „ცხოვრება შუა კოლონიებში“, გაკვეთილის დასაწყისშივე დასმულია საკვანძო შეკითხვა: როგორ მიიზიდა რელიგიურმა ტოლერანტობამ სხვადასხვა კულტურის ხალხი შუა კოლონიებში? მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა, რელიგიასა და „დიდ გამოღვიძებას“ [Hill et al. 2003:251-252].

გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შემდეგი სახის დავალება: კრიტიკული აზროვნება - მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას: რატომ ფიქრობ, რომ „დიდ გამოღვიძებას“ კოლონიებში რელიგიურ ცხოვრებაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა? [Hill et al. 2003:255]

მე-11 კლასში ისწავლება რელიგიური არატოლერანტობის შემთხვევები შეერთებულ შტატებში, მაგალითად, მორმონების დევნა, ანტიკათოლიკური განწყობა და ანტისემიტიზმი [California State Board of Education, 2000:48]. სახელმძღვანელოში „ამერიკელები“ (The Americans) გაკვეთილის თემაა ჰოლოკოსტი. მიუხედავად იმისა,

რომ ჰოლოკოსტის მსხვერპლი მხოლოდ ებრაელი ხალხი არ იყო, ისინი ნაცისტების მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ. რამდენიმე ქვეყანამ ებრაელი ლტოლვილები მიიღო, მათ შორის, შეერთებულმა შტატებმაც (100 000 ლტოლვილი). ამერიკელი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ სურდა მათი მიღება, რადგან დიდი დეპრესიის დროს მათი ქვეყანაში მიღება ხელს შეუშლიდა ეკონომიკის აღდგენას და შეერთებული შტატების მოქალაქეებს სამუშაო არ ექნებოდათ. ამ დროიათვის შეერთებულ შტატებში გავრცელებული იყო ანტისემიტიზმი. პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა, რომ ებრაელების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვით, იგი ზიანს არ მიაყენებდა ამერიკელი მოქალაქეების მომავალს. საკვანძო შეკითხვა, რომელსაც მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ ასეთია: როგორ უპასუხა შეერთებულმა შტატებმა ებრაელ ლტოლვილებს? [Holt McDougal, 2012:542]

კალიფორნიაში მე-7 კლასში ისწავლება მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია. სახელმძღვანელოში „მსოფლიო ისტორია: შუა საუკუნეებიდან თანამედროვე პერიოდამდე“ ერთ-ერთი გაკვეთილი ეთმობა განმანათლებლობას, რომელიც სეკულარული (არარელიგიური) მოძრაობა იყო. განმანათლებლობის მოაზროვნეები არ ეთანხმებოდნენ ეკლესიის პრეტენზიას ჰქონოდა ავტორიტეტი და არ იზიარებდნენ მის შეუწყნარებელ დამოკიდებულებას არაქრისტიანული რწმენის მიმართ [Burstein and Shek, 2006:475]. ასევე, მოცემულია ფრანგი განმანათლებლის, ვოლტერის (1694-1778 წწ) უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური არატოლერანტობის მიმართ. გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შემდეგი სახის დავალებები: იდეების, ტერმინებისა და ისტორიული ფიგურების მიმოხილვა. მაგალითად, მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას - რას ნიშნავს ის, რომ განმანათლებლობა იყო სეკულარული მოძრაობა? შემდეგი აქტივობაა კრიტიკული აზროვნება, მოსწავლემ უნდა შეადგინოს ცხრილი განმანათლებლობის იდეების შესახებ. ასევე, მოსწავლეებმა წერილობით უნდა გადმოსცენ ის, თუ რისი თქმა შეუძლიათ განმანათლებლობის იდეების სასარგებლოდ [Burstein and Shek, 2006:477].

რაც შეეხება ჰავაის შტატს, მისი სოციალური კვლევების სასწავლო გეგმის (Hawaii Core Standards for Social Studies – 2018) მიხედვით, მე-5 კლასში ისწავლება რელიგიური ტოლერანტობა და არატოლერანტობა, მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, თუ რა როლი ითამაშა რელიგიამ ადრეულ კოლონიურ საზოგადოებაში [Hawaii State Department of Education, 2018:9] ეს არის საკითხი, რომელსაც კალიფორნიის სასწავლო გეგმაც ითვალისწინებს.

ნიუ-იორკის სოციალური კვლევების სასწავლო გეგმაც (Social Studies Framework, Grades 9-12) ითვალისწინებს რელიგიური ტოლერანტობის სწავლებას. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ „მეიფლაუერის ბილი“ (The Mayflower Compact) და „მერილენდის შემწყნარებლობის კანონი“ (Maryland Toleration Act of 1649) [New York State Education Department, 2017:34]. ეს საკითხები მოცემულია სახელმძღვანელოში „ამერიკული ხედვა“ (მე-12 კლასი) (The American Vision).

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მრავლად არის მოცემული სხვადასხვა სახის დავალება. გაკვეთილი, რომელიც ეხება პილიგრიმების ჩასვლას ახალ მიწაზე, მოსწავლეები უნდა გაეცნონ პირველად წყაროს - „მეიფლაუერის ბილს“ და უპასუხონ მთავარ შეკითხვას: ახსენით, რა მიზანს ისახავს „მეიფლაუერის ბილი“? ამ დავალებას ეწოდება გაანალიზება [Glencoe, 2010:28].

გარდა ამისა, ამ გაკვეთილს თან ახლავს აქტივობა - **თანამშრომლობითი სწავლება** (Collaborative Learning), მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს, თუ რატომ იყო „მერილენდის შემწყნარებლობის კანონი“ მნიშვნელოვანი. იმ დროისთვის, როდესაც „ტოლერანტობის კანონი“ მიიღეს, არც კოლონიებში და არც ინგლისში არ არსებობდა ასეთი კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა რელიგიურ ტოლერანტობას. როდესაც მერილენდში პროტესტანტების რაოდენობის ზრდა დაიწყო, კოლონიის ლიდერებს სურდათ დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ კათოლიკეები რელიგიურ ტოლერანტობას გამოიჩენდნენ ამ კანონის მიღებით. ამის პარალელურად, როდ აილენდში არსებობდა წესდება (The Charter of Rhode Island), რომელიც რელიგიური თავისუფლების გარანტიას იძლეოდა. ხოლო „მერილენდის

შემწყნარებლობის კანონმა“ ხელი შეუწყო რელიგიური თავისუფლების პრეცედენტის შექმნას შეერთებულ შტატებში [Glencoe, 2010:28].

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი სხვადასხვა დროს არატოლერანტულ მოპყრობას განიცდიდა. 2017 და 2019 წელს „პიუს კვლევითი ცენტრის“ (Pew Research Center) მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შეერთებულ შტატებში ყველაზე მეტი დისკრიმინაციის შემთხვევა მუსლიმების მიმართ არის, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა განაპირობა [Masci, 2019].

ტერაქტიდან ოცი წლის შემდეგაც კი ამერიკელი მუსლიმების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების შემთხვევები კვლავ მზარდი არის. თუ კვლევას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სხვადასხვა შტატში მრავლად არის მუსლიმთა დაშინების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები. მუსლიმებს მოიხსნიებენ ეპითეტით - „ტერორისტი“ [Sothern Poverty Law Center, 2011].

ტერაქტის შემდეგ პრეზიდენტმა ჯორჯ უ. ბუშმა (George W. Bush) მუსლიმების მიმართ სიძულვილი დაგმო და განაცხადა - „ტერორიზმის სახე ისლამის რეალური რწმენა არ არის. ისლამი მშვიდობაა. ეს ტერორისტები არ წარმოადგენენ მშვიდობას, არამედ ბოროტებასა და ომს... როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ისლამზე, ჩვენ ვფიქრობთ რწმენაზე, რომელსაც მთელ მსოფლიოში მილიარდობით ადამიანისთვის კომფორტი მოაქვს“ [Bush, 2001].

რაც შეეხება პრეზიდენტ ბარაკ ობამას (Barack H. Obama), იგი არ იყენებდა სიტყვებს “ისლამური ტერორიზმი“ და ფიქრობდა, რომ ისინი არა რელიგიური ლიდერები, არამედ ტერორისტები არიან. ჩვენ არ ვებრძვით ისლამს, არამედ ხალხს, რომელმაც ისლამი დაამახინჯა [Dilanian, 2016].

ობამა პრეზიდენტობის დროს ბალტიმორში მეჩეთს ესტუმრა, რითაც რელიგიური ტოლერანტობა წაახალისა, რადგან ანტი-მუსლიმური განყოფილება მზარდი იყო. მისი ქმედება დონალდ ტრამპმა (Donald J. Trump) გააკრიტიკა (2016 წლის 3 თებერვალი): „მას შეუძლია ბევრ ადგილს ესტუმროს, მან კი მეჩეთი აირჩია“ [Johnson, Jenna. Hauslohner, 2017].

თუ დონალდ ტრამპის მიერ გაკეთებულ განცხადებებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ მისი რიტორიკა განსხვავდება ბუშის, ობამასა და ბაიდენის განცხადებებისგან. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა - „ისლამს ჩვენ ვძულვართ“. 2018 წელს ტრამპმა რამადანის დროს ელჩებსა და დიპლომატებს სადილზე (Iftar Dinner) უმასპინძლა, რაც გააპროტესტეს მუსლიმთა სამოქალაქო უფლებების დამცველმა ჯგუფებმა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ტრამპის ცხარე რიტორიკამ მუსლიმი ამერიკელების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევების ზრდა გამოიწვია. თუმცა, ტრამპმა ამ შეხვედრაზე სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა - “ამ საღამოს ერთად შეკრებისას ჩვენ პატივს ვცემთ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიის წმინდა ტრადიციას” [NBC News, 2018].

2022 წლის 2 მაისს ჯოსეფ რ. ბაიდენმა (Joseph R. Biden Jr) განაცხადა: ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ მსოფლიოში მრავალი მუსლიმი ძალადობის სამიზნე არის. ჩაგრულთა დისკრიმინაცია და რწმენის გამო ხალხის ჩაგვრა დაუშვებელია. მუსლიმები ყოველდღიურად აძლიერებენ ჩვენ ერს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ისინი ჯერ კიდევ აწყდებიან რეალურ გამოწვევებსა და საფრთხეებს, როგორცაა მიზანმიმართული ძალადობა და ისლამოფობია. ჩვენი გრძელვადიანი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია გვექონდეს ქვეყანა, რომელიც მუსლიმი ამერიკელების მიმართ უფრო სამართლიანი იქნება. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია უფრო სრულყოფილი კავშირის შესაქმნელად. თქვენ იცით, რომ შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც შეიქმნა არა რელიგიის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, გეოგრაფიის, არამედ იდეის საფუძველზე, რომ ყველა ადამიანი თანასწორად იბადება და დაჯილდოებულია ისეთი ხელშეუვალი უფლებებით, როგორებიცაა სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისკენ სწრაფვა და ა.შ. [Biden, 2022].

ბაიდენმა ამავე განცხადებაში აღნიშნა, რომ თავისი კარიერის ადრეულ წლებში ცოტა რამ იცოდა ისლამის შესახებ. მის მიერ ისლამის შესახებ ცოდნის გაღრმავება ტოლერანტობას წაახალისებს მუსლიმების მიმართ.

ტრამპისგან განსხვავებით, ვფიქრობ, ბუშის, ობამასა და ბაიდენის განცხადებები და ქმედებები ადასტურებს იმას, რომ ეს პრეზიდენტები დადებით როლს თამაშობენ მუსლიმთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ისინი ამერიკელ ხალხს ეუბნებიან, რომ ისლამი ტერორიზმი არ არის.

საინტერესოა, განათლება, კერძოდ კი, ისტორია რა როლს თამაშობს ტოლერანტობის სწავლებაში. კალიფორნია, ოკლაჰომა, მასაჩუსეტსი, პენსილვანია, ნიუ-იორკი, ეს ის შტატებია, რომელთა სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა ისლამის სწავლებას ითვალისწინებს.

მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კალიფორნიაში მე-7 კლასში ისწავლება მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია. მოსწავლეები შეისწავლიან ისლამის წარმოშობას, მუჰამედის ცხოვრებასა და მის სწავლებებს. ასევე, მოსწავლეები ისლამური რწმენის, მსახურების პირველად წყაროს - “ყურანსაც” (The Qur’an) ეცნობიან. ასევე, “ჰადისს” (The Hadith), სადაც გადმოცემლია მუჰამედის გამონათქვამები.

მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოში აღწერილია მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ არაბთა ადრეული დაპყრობები. არაბები დაპყრობილი ხალხების მიმართ ტოლერანტობას იჩენდნენ, რამაც ისლამის გავრცელება გამოიწვია. იგი სხვადასხვა ხალხის რელიგიად იქცა. აღნიშნული თავის ბოლოს მოცემულია დავალება - შეფასება (Evaluating), მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას - მუსლიმთა ტოლერანტობამ ხელი შეუწყო, თუ შეზღუდა ისლამის გავრცელება? [Burstein and Shek, 2006:83].

გარდა ამისა, მოსწავლეები შეისწავლიან მე-10 საუკუნის კლასიკური შარიათის (The Shari’ah) ტექსტის ნაწილს და მცირე ჯგუფში განიხილავენ, თუ რას გადმოსცემს მოცემული ტექსტი ადრეული ისლამური ცივილიზაციის შესახებ. მათ შესაძლოა ჩაატარონ კვლევა და წარმოადგინონ პრეზენტაცია - კლასიკური შარიათის გავლენა თანამედროვე ისლამური სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაზე. ასევე, მოსწავლეები შეისწავლიან ოსმალთა სულთანის, სულეიმანის (1520-1566 წწ) პოლიტიკას, რომელიც ცნობილია, როგორც „კანონმდებელი“. მან იმ დროისთვის

არსებული კანონები ისლამურ კანონს - შარიათს შეუთავსა და ერთიანი სამართლებრივი კოდექსი მიიღო. კოდექსი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ რელიგიურ ტოლერანტობას აკანონებდა [California State Board of Education, 2016:39].

როგორც კალიფორნიის, ასევე მასაჩუსეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა აღმსარებლობის რწმენათა სისტემის შესწავლას, მათ შორის ისლამის. აქვე მოცემულია ყურანის რამდენიმე სურა, როგორც პირველდი წყარო [Massachusetts Department of Elementary and Secondary Education, 2018:141]. ნიუ - იორკის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის მიხედვით, იგივე საკითხები მე-6 და მე-9 კლასებში ისწავლება [New York State Education Department, 14:2017].

სახელმძღვანელოში „ამერიკული ხედვა“ გაკვეთილის თემაა - ტერორიზმთან ომი იწყება. მისი ერთ-ერთი ქვეთავია: შუა აღმოსავლეთის ტერორიზმი და შეერთებული შტატები. 1920-იან წლებში, როდესაც შეერთებული შტატების ეკონომიკისთვის ნავთობი მნიშვნელოვანი გახდა, ქვეყანამ შუა აღმოსავლეთში ნავთობის ინდუსტრიაში კაპიტალის დაბანდება დაიწყო, რაც წარმატებული აღმოჩნდა. ამას დასავლური იდეების გავრცელება მოჰყვა, რაც ბევრი მუსლიმისთვის მიუღებელი იყო, რადგან მათ თავიანთი ტრადიციული ღირებულებების შესუსტების ემინოდათ. გაჩნდა ახალი მოძრაობა, რომელიც ახდენს „ყურანის“ მკაცრ ინტერპრეტაციას და ისლამის ტრადიციულ კანონებს უბრუნდება. მას ისლამური ფუნდამენტალიზმი, ანუ უკიდურესი ისლამი ეწოდება. მისი მიმდევრების მიზანია წმინდა ისლამური საზოგადოების შექმნა, მიზნების მისაღწევად კი ისინი ტერორიზმს იყენებენ [Glencoe, 2010:1038].

2001 წლის 7 ოქტომბერს შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში ალ ქაიდასა და თალიბანის სამხედრო ძალების დაბომბვა დაიწყო. სწორედ ამ დროს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განმარტა - ისლამი ჩვენი მტერი არ არის, არც ავღანელი ხალხი, ამიტომ შეერთებული შტატები ავღანელ ლტოლვილებს საკვებს და მედიკამენტებს გაუგზავნის. გარდა ამისა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თალიბანზე თავდასხმა

მხოლოდ დასაწყისი იყო და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამარჯვებამდე გაგრძელდებოდა [Glencoe, 2010:1041].

სხვადასხვა შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელი მოსწავლეები ისლამის შესახებ სათანადო ცოდნას იძენენ. ამერიკულ სახელმძღვანელოში მოცემული ჯორჯ ბუშის სიტყვები - „ისლამი ჩვენი მტერი არ არის“, ნიშნავს იმას, რომ ისლამი ტერორიზმს არ ნიშნავს. აღნიშნული საკითხების ამგვარად სწავლება, ვფიქრობ, ხელს უწყობს მუსლიმების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გაჩენას.

გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ შეერთებული შტატების ისტორიაში პრეზიდენტებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ და აქვთ რელიგიური ტოლერანტობის წახალისებაში.

ასევე, ამერიკული სახელმძღვანელოების კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური ტოლერანტობა ისწავლება მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. მათში აღწერილია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც შეერთებულ შტატებში რელიგიური ტოლერანტობა ჩამოაყალიბა.

რელიგიური არატოლერანტობის შემთხვევების სწავლებას ზოგიერთი შტატის სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს, რასაც ვერ ვიტყვით კალიფორნიაზე, სადაც ისწავლება არა მხოლოდ ანტისემიტიზმის, არამედ მორმონების დევნის, ანტიკათოლიკური განწყობისა და ა.შ. ფაქტები. ვფიქრობ, არატოლერანტობის შემთხვევების სწავლება მეტად შეუწყობს ხელს ტოლერანტული მოქალაქის ჩამოყალიბებას. ამის მიუხედავად, დღეს შეერთებული შტატები ამართლებს მედისონის სიტყვებს, რომ ამერიკა არის თავშესაფარი ყველა ერისა და რელიგიური ნიშნით დევნილთა და ჩაგრულთათვის.

დღეს საქართველოში რელიგიური შემწყნარებლობა აქტუალური საკითხია, რადგან საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავლად გამოვლინდა რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები. როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე

საქართველოშიც დისკრიმინაციის ყველაზე მეტი შემთხვევა მუსლიმი მოსახლეობის მიმართ არის [ღია საზოგადოების ფონდი, 2021].

შეერთებული შტატებიც და საქართველოც ისტორიულად ტოლერანტული ქვეყნებია, სადაც განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანები ერთად ცხოვრობენ. თუმცა, დღესდღეობით საქართველოში ვხვდებით არატოლერანტულ დამოკიდებულებას განსხვავებული რწმენის მიმართ. საინტერესოა, რა არის იმისი მიზეზი, რომ ისტორიულად ტოლერანტ ქვეყანაში, სადაც სხვა რელიგიები არ იდევნებოდა, რატომ არის დღეს რელიგიური შეუწყნარებლობის და განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანების მიმართ ძალადობის შემთხვევები.

რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები მრავლად იყო XX საუკუნის 90-იან წლებში. მაგალითად, ახალციხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მართლმადიდებელმა მრევლმა კათოლიკური სამლოცველო დაიკავა, ასევე კახეთში დაარბიეს კათოლიკე მომლოცველები. რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს ვაწყდებით სასწავლო დაწესებულებებშიც. მაგალითად, ახალციხის რაიონში მასწავლებელმა მოსწავლეს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა [ბარდაველიძე, 2018:99]. გარდა ამისა, 2003 წელს თბილისში ბაპტისტური ტაძარი დაარბიეს, ხოლო ლაგოდეხის რაიონში მათი ტაძარი დაწვეს.

2014 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც ჩატარდა „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ მიერ, გვიჩვენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეუწყნარებლობის პროპაგანდის ფაქტებს, განსაკუთრებით კი, აჭარის რეგიონში, სადაც სკოლის ადმინისტრაცია ხშირად იყენებს სიტყვებს „თათარი“, „ურჯულო“ მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. გარდა ამისა, აგრესიული დამოკიდებულებაა შედარებით გვიან წარმოქმნილი რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებსაც მოიხსენიებენ სიტყვებით - „სექტანტი“, „იელოველი“ უარყოფითი დატვირთვით.

თუმცა დარღვევები ვლინდება არა მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციის, არამედ ზოგჯერ განათლების მინისტრის მოადგილის მხრიდან, როდესაც ის მღვდელთან

ერთად სკოლაში მიდის ახალი წლის მისალოცად ან სკოლის საკურთხებლად. ამით ირღვევა კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რაც გულისხმობს სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას [ზანძელაძე, 2014]. გარდა ამისა, კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, რელიგიური რიტუალის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება [საქართველოს პარლამენტი, 2005].

ასევე, მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების საელჩოს ანგარიში (2020 წ.), რომელიც მიმოიხილავს რელიგიურ შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის ფაქტებს. მართალია, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ძალადობის შემთხვევები შემცირდა, თუმცა ეს შესაძლოა პანდემიას უკავშირდებოდეს, რადგან საჯარო აქტივობებზე შეზღუდვები დაწესდა. ანგარიშში აღწერილია „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ არატოლერანტული დამოკიდებულება ქრისტიან - ადვენტიტთა ეკლესიის ორი წევრის მიმართ, რომლებსაც გამოცდის ჩაბარების უფლება შაბათის გარდა სხვა დღეს არ მისცეს. რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, მათ არ შეეძლოთ შაბათ დღეს გამოცდაზე დასწრება. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი აბიტურიენტების სასარგებლოდ გამოიტანა და აღნიშნა, რომ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციით, არ უნდა ირღვეოდეს [ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2020].

სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური შეუწყნარებლობის უფრო ფართო სურათს იძლევა 2016 წელს პროექტის „ტოლერანტობა, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით, საჯარო სკოლებში დისკრიმინაციის შემთხვევებს და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევებს სისტემატური ხასიათი აქვს [მიქელაძე და სხვები, 2016:134]. რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევაში იგულისხმება საგაკვეთილო პროცესის დროს კოლექტიური ლოცვა, ასევე მართმადიდებელი სასულიერო პირების მიერ სკოლის კურთხევა და ა.შ. გარდა იმისა, რომ ირღვევა

რელიგიური ნეიტრალიტეტი, ასევე ზოგადი განათლების კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, რელიგიური რიტუალის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება [საქართველოს პარლამენტი, 2005].

კვლევამ აჩვენა მასწავლებლთა მიერ მოსწავლეთა შურაცხყოფის ფაქტები, რაც რელიგიური ნიშნით იყო გამოწვეული. მაგალითად, მასწავლებელი იეჰოვას მოწმეებს მოიხსენიებდა სიტყვებით „ქუჩის ქალები.“ არაერთი შემთხვევაა აჭარაში ისლამისა და მისი მიმდევრების შეურაცხყოფის, მაგალითად, ერთი მოსწავლე იხსენებს ისტორიის გაკვეთილებს და ამბობს, რომ ისლამს „მორთულ რელიგიას“ უწოდებენ. გარდა ამისა, მასწავლებლები ეროვნებასა და აღმსარებლობას ერთმანეთთან აიგივებენ, კვლევის მიხედვით, მასწავლებლები ბავშვებს უსვამდნენ შეკითხვას - ქართველი ხარ? დადებითი პასუხის შემთხვევაში ეუბნებოდნენ, რომ თუ ქართველია მაშასადამე ქრისტიანი უნდა იყოს [მიქელაძე და სხვები, 2016:148-149], რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგია მძლავრია [მიქელაძე და სხვები, 2016:131].

2021 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილეების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო, რომელიც ისტორიულად მართლმადიდებელი ქვეყანაა, განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც თავიანთი საკულტო ნაგებობების აშენება სურთ, უნდა დაწესდეს შეზღუდვები, იმისათვის, რათა ეროვნული იდენტობის საფრთხე არ შეიქმნას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონაწილეთათვის კათოლიკური ეკლესიების აშენება პრობლემას არ წარმოადგენს, ხოლო მეჩეთების მშენებლობა მათთვის მიუღებელია. გარდა ამისა, ქართველ მოსწავლეებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხის მიმართ მეტი მიმღებლობა აქვთ, ვიდრე სხვადასხვა რწმენის მქონე ხალხის მიმართ. ამგვარად, სკოლებში ტოლერანტობის საკითხისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის [მახაშვილი, 2021].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველო ისტორიულად ტოლერანტი ქვეყანაა და ისტორიიდან არაერთი მაგალითის მოყვანა შესაძლებელია. აღსანიშნავია, დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ისტორიული წყაროები მოგვითხრობს, რომ იგი პატივს სცემდა მუსლიმთა ცხოვრების წესს და მეჩეთში ლოცვებსაც ესწრებოდა. შემწყნარებლური პოლიტიკა დავით აღმაშენებლის მემკვიდრემ, დემეტრე I-მა გააგრძელა. ამას მოწმობს, არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის მონათხრობი დემეტრე I-ის შემწყნარებლური დამოკიდებულების შესახებ მუსლიმების მიმართ. ასევე, შარვანელი პოეტი, ხაკანი წერდა, რომ გარდაცვლილი მეფე მუსლიმებმა და ქრისტიანებმა თანაბრად გამოიგლოვეს [ვაშაყმაძე, 2017:80].

აღსანიშნავია ერეკლე II-ის ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლის მიმართ. ამ დროისათვის ქართლ - კახეთში ცხოვრობდნენ მუსლიმები, ლათინური და სომხური წესის კათოლიკეები, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები და ა.შ. მისი მეფობის დროს რელიგიურ დაპირისპირებებს მასობრივი ხასიათი არასოდეს არ მიუღია [ბარდაველიძე, 2018:100].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელიგიური ტოლერანტობა ქართველი ხალხის ღირებულებაა, თუმცა, საინტერესოა, ისტორიულად ტოლერანტ ქვეყანაში რატომ არის დღეს რელიგიური შეუწყნარებლობის მრავალი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს [საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1995].

აჭარაში მუსლიმების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ჯერ კიდევ 1880-1900-იან წლებში მომხდარი მოვლენებით შესაძლებელია ავხსნათ. მემედ აბაშიძე წერდა, რომ: „ჩვენ, აბაშიძეები, სასტიკად აღვუდექით წინ რუსთა იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანი ჩვენი გარუსება იყო და ქრისტიან მოძმეებთან სრული ჩამოშორება“ [ღვინჯილია, 2024:17]. მემედ აბაშიძის მამის ინიციატივით წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში სკოლა გახსნა (1881 წ.), სადაც მუსლიმებიც სწავლობდნენ. მოსწავლეებს რელიგიური პრინციპით ჰყოფდნენ, მემედ აბაშიძე იხსნებს იმ პერიოდს, როდესაც საკუთარი ეროვნული იდენტობის

გაცნობიერებას ცდილობდა. იგი ამბობდა: „თავდაპირველად თავში გვიტენიდნენ, რომ თუ ვინმე გკითხავთ - ვინ ხართ თქვენ? - უნდა უპასუხოთ: მე ეროვნებით თურქი ვარ, ხოლო მართლმადიდებელმა ქართველმა უნდა უპასუხოთ: მე ეროვნებით ქართველი ვარ“. ამავე დროს მემედ აბაშიძე იხსენებდა, რომ როდესაც თავისი ეროვნება გამოარკვია და სკოლაში მივიდა მასწავლებლის დასმულ კითხვაზე - „ვინ ხარ შენ?“, მან უპასუხა: „მე ეროვნებით ქართველი ვარ“. ამ პასუხს მასწავლებლის სიცილი მოჰყვა, ხოლო მუსლიმმა თანაკლასელებმა მას ზიზღით შეხედეს, თითქოს მან ამ ფრაზის წარმოთქმით ისლამს უღალატა. მუსლიმი ბავშვების გაგებით ქართველი ქრისტიანობის სინონიმი იყო, იგივე მოსაზრება ჰქონდათ ქართველებსაც. ამგვარი დამოკიდებულება შესაძლებელია ავხსნათ რუსეთის ქმედებით, რუსეთთან შეერთების შემდეგ აჭარლები აღწერებში მოხსენიებულები იყვნენ, როგორც თურქები, ეს კი ხელს უშლიდა აჭარლების დანარჩენ საქართველოსთან დაახლოებას [ღვინჯილია, 2024:22-23].

სკოლა, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა, თავის მიზნებს ვერ ასრულებდა, XX საუკუნის დასაწყისისთვის აქ მუსლიმი ბავშვების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ამის მიზეზად უნდა დავასახელოთ მუსლიმი ბავშვების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. მაგალითად, ისიდორე რამიშვილი იხსენებდა, რომ ამ სკოლაში სწავლების დროს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ეწვია სკოლას, რომელსაც არ მოეწონა მუსლიმი ბავშვების თავსაბურავებით ჯდომა საკლასო ოთახში. იმისდა მიუხედავად, რომ მასწავლებელმა მას აუხსნა, რომ მათი სარწმუნოება თავსაბურავის ტარებას მოითხოვდა, ეპისკოპოსი ბავშვებს დაემუქრა, რომ მათ ძალით მონათლავდა ქრისტიანებად. ამგვარი დამოკიდებულების გამო ბავშვებმა სკოლა დატოვეს, ისიდორე რამიშვილი იხსენებს, რომ დიდი ძალისხმევით შედეგად მან სკოლაში მხოლოდ შვიდი ბავშვის დაბრუნება შეძლო [ღვინჯილია, 2024:25-26]. ამგვარად, მუსლიმების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რაშიც წვლილი ჯერ მეფის რუსეთს, ხოლო შემდგომში საბჭოთა კავშირს მიუძღვის.

ქართულ საზოგადოებაში რელიგიის შესახებ მცდარი შეხედულებები სწორედ საბჭოთა კავშირის დროს ჩამოაყალიბდა, სადაც არ არსებობდა რელიგიური ტოლერანტობა და რელიგია იდეენებოდა [ვაშაყმაძე, 2017:80], თუმცა 1960-იანი წლებში სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოში, სადაც ერთ-ერთი გაკვეთილის თემაა „მოქალაქეთა პოლიტიკური და პირადი უფლებები სსრ კავშირში“, ვკითხულობთ, რომ „ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულია რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება. საბჭოთა კანონი კრძალავს მოქალაქეთა დევნას მათ რელიგიურ რწმენასთან და რელიგიური კულტის შესრულებასთან დაკავშირებით“, რაც განისაზღვრა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით [ჩიქოვანი, 1969:390].

იმავეს ითვალისწინებდა 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის 52-ე მუხლიც - „მუდლისა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ სარწმუნოებებთან დაკავშირებით აკრძალულია.“ ამავე დროს, სსრ კავშირის კონსტიტუცია აკანონებდა ათეიზმის პროპაგანდას [სსრ კონსტიტუცია, 1977:19], რაც ნათლად ჩანს ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოში. მოსწავლეებს ასწავლიდნენ, რომ რელიგია მრავალი საუკუნის განმავლობაში აბნელებდა მშრომელთა მასების გონებას. კომუნისტური, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანს წარმოადგენდა რელიგიის მიერ სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობის მტკიცებისა და სიყალბის მხილება. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქე უნდა დახმარებოდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ანტირელიგიურ პროპაგანდაში და უნდა ებრძოლა ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების წინააღმდეგ [ჩიქოვანი, 1969:390].

საბჭოთა კავშირში რელიგიების დევნასა და ისტორიული ძეგლების განადგურებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა [ვაშაყმაძე, 2017:80]. იოსებ სტალინი 1936 წელს მიღებულ კონსტიტუციას მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულს უწოდებდა, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ სწამდეთ ნებისმიერი რელიგია [სსრ კონსტიტუცია, 1977:19], თუმცა რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის და საბჭოთა სინამდვილის შესახებ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში „საქართველოს დამოუკიდებლობა“,

წერდნენ, რომ მსოფლიოში არ არსებობდა ისეთი გაუგებარი, წინააღმდეგობებით სავსე, სიყალბითა და ცბიერებით დატვირთული კოსტიტუცია. სინამდვილეში მისი არც ერთი მუხლი არ განხორციელებულა [გაბაშვილი, 1956:4]. ანტირელიგიური კამპანია გაგრძელდა ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროსაც, როდესაც 1954 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო - „მეცნიერულ ათეისტურ პროპაგანდაში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომებისა და მათი აღმოფხვრის შესახებ“ [ქართველიშვილი, 2021:201].

გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ კონსტიტუცია ათეიზმის პროპაგანდას არ უნდა აკანონებდეს, ვინაიდან თითოეული მოქალაქის თავისუფალი ნებაა, აირჩევს თუ არა რომელიმე რელიგიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმი მძლავრი არის - ეთნიკურობა აღმსარებლობასთან არის გაიგივებული, რაც 1990-იან წლებში გაჩნდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებით, „ვინც არ არის მართლმადიდებელი, ის ქართველი არ არის“, ბიძგი მისცა არატოლერანტული დამოკიდებულების გაჩენას განსხვავებული აღმსარებლობის ხალხის მიმართ [ვაშაყმაძე, 2017:44], არა მხოლოდ 1990-იან წლებში, არამედ დღესაც, რასაც ზემოთ აღნიშნული კვლევა ადასტურებს.

კვლევებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, დღევანდელ საქართველოში რელიგიურ შეუწყნარებლობას მასობრივი ხასიათი არ აქვს, თუმცა ზემოთ აღნიშნული შეუწყნარებლობის ფაქტები ცხადყოფს, რომ ტოლერანტობის, როგორც სამოქალაქო ღირებულების მნიშვნელობა გააზრებული არ არის. ხალხის მსოფლმხედველობისა და ღირებულებების, კერძოდ კი, რელიგიური ტოლერანტობის ფორმირებაში, ვფიქრობ, განათლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს. საქართველოში კი რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევებს ვაწყდებით სასწავლო დაწესებულებებში. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება ნეიტრალურობასა და არადისკრიმინაციულობას, ვკითხულობთ, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს

შემწყნარებლობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა [საქართველოს პარლამენტი, 2005]. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგჯერ ზოგადი განათლების კანონს არღვევს „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“ ან „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“.

დღესდღეობით საქართველოში ხორცილდება რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს განათლების სისტემის გაძლიერებას, ხოლო მისი ქვეპროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ არის. რეფორმის განხორციელება 2018 წლიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთი მიზანი იმ ღირებულებების დანერგვაა, რაც ზოგადი განათლების შესახებ კანონში არის აღწერილი [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018]. კანონის მე-3 მუხლში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს სამოქალაქო ცნობიერება, რომელიც ემყარება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს [საქართველოს პარლამენტი, 2005]. ამგვარად, „ახალი სკოლის მოდელი“ დასავლური ღირებულებების (ტოლერანტობა, თანასწორობა და ა.შ) სწავლებას ეფუძნება.

საინტერესოა, რა როლს ასრულებს ისტორია რელიგიური ტოლერანტობის გაღვივებაში. მაგალითად, მე-8 კლასის სახელმძღვანელოში (2020 წ.) გაკვეთილის თემა ეხება იმას, თუ რატომ გაიხლიჩა ქრისტიანული ეკლესია მე-11 საუკუნეში. გაკვეთილში მოცემულია პირველადი წყაროები. ერთ-ერთი მათგანია მე-11 საუკუნის თხზულება „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია მე-9 საუკუნეში მოღვაწე წმ. ილარიონის მიერ კონსტანტინოპოლისა და რომის მოლოცვა. ხოლო მეორე წყარო იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ გაუწიეს დახმარება რომაელ ბერებს. ქართველ და რომაელ ბერებს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ თოთოეული წყარო და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს - რაზე მიანიშნებს ილარიონის მიერ კონსტანტინოპოლისა და რომის სიწმინდეების თანაბრად მოლოცვა, ხოლო ქართველი ბერების რომაელი ბერებისადმი კეთილგანწყობა. თუმცა, დავალება მხოლოდ კითხვების დასმით არ

შემოიფარგლება, დამატებითი დავალება კვლევითი არის. მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ მინი-კონფერენცია შემდეგ თემაზე: „ქრისტიანობა მე-11 საუკუნეში და დღეს“. კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად, რომლებმაც უნდა მოიძიონ ინფორმაცია რომისა და ბიზანტიის ეკლესიის შესახებ მე-11 საუკუნეში და დღეს, ასევე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ და განიხილოს მისი დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის მიმართ. მოსწავლეებმა პრეზენტაციის შემდეგ უნდა გამართონ დისკუსია რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ და დაასაბუთონ, თუ რატომ არის დაუშვებელი რელიგიური შუღლის გაღვივება. გაკვეთილს თან ახლავს აუდიომასალა - საქართველოს კათალიკოს პატრიარქისა და რომის პაპის მიმართვა (2016 წ.) [სურგულაძე, 2020:85].

ახალი მე-9 კლასის სახელმძღვანელოში (გამომცემლობა დიოგენე - 2021 წ.) ერთ-ერთი გაკვეთილის თემა ასეთია: „რატომ გახდა საქართველო კულტურათა გზაჯვარედინი?“ მოცემული საკითხის შესწავლისთვის მრავლად არის მოცემული პირველადი წყაროები, მათი ანალიზის საფუძველზე მოსწავლეები შეისწავლიან თბილისის მოსახლეობის მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, სერგო ფარაჯანოვის მონათხრობი თბილისის მრავალკონფესიურობის შესახებ: თბილისის ერთ მოედანზე დგას სომხური, რუსული, ქართული ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსლიმური მეჩეთი“ [ახმეტელი და სხვები, 2021:412].

გარდა ამისა, წიგნში მოცემულია წყაროები, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა მრწამსის მქონე ადამიანებს შორის ტოლერანტულ დამოკიდებულებას დღევანდელ საქართველოში. მაგალითად, როგორ აღინიშნება რელიგიური დღესასწაულები ერთ ოჯახში, სადაც განსხვავებული მრწამსის მქონე წევრები არიან. ასევე, მოცემულია წყარო პანკისში მცხოვრები დუისელი ქისტების შესახებ, რომლებიც მუსლიმურ სარწმუნოებას აღიარებენ. მათ აქვთ ისეთი დღესასწაულები, რომლებიც ეთანხმება ქართულ დღესასწაულებს, როგორებიცაა ნთლისღება, შობა და ა.შ. [ახმეტელი და სხვები, 2021:414].

ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მიმართვა (2003 წ.), რომ დედა ეკლესია კარჩაკეტილობას არ ქადაგებს და ჩვენი ტრადიციისთვის შეუმწყნარებლობა მიუღებელია უცხო ერებისა და სხვა აღმსარებლობის ადამიანების მიმართ. ისტორიულად საქართველოში არასოდეს ყოფილა ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით დევნა, სწორედ ამიტომ, სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლები სიყვარულით არიან გამსჭვალულნი ქვეყნისა და ხალხის მიმართ [ახმეტელი და სხვები, 2021:415].

რაც შეხება დავალებებს, მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას: რას გულისხმობს კათალიკოს პატრიარქი სიტყვა კარჩაკეტილობაში და მოსწავლემ უნდა მოამზადოს პროექტი საქართველოს, როგორც მრავალეროვნული და მრავალკონფესიური სახელმწიფოს შესახებ.

მე-11 კლასის სახელმძღვანელოში (სულაკაურის გამომცემლობა - 2012) რამდენიმე თავი დავით აღმაშენებლის მეფობის ხანას ეთმობა. მოცემულია არაბი ისტორიკოსების, ალ-ფარკისა და ალ-ჯაუზის ჩანაწერები დავით აღმაშენებლის დამოკიდებულების შესახებ მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ალ-ფარკის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობდა მუსლიმი მოსახლეობა, არავის არ უნდა ჰყოლოდა ან არ უნდა დაეკლა ღორი, ასევე მეფემ მუსლიმებს თავისუფლად ლოცვის უფლებ მისცა. ხოლო, ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი ყოველ პარასკევს მეჩეთს სტუმრობდა და ყურანის კითხვას უსმენდა. იგი მუსლიმ მოსახლეობას მეტად სცემდა პატივს, ვიდრე თავად ისლამის მიმდევრები. ამგვარად, ეს ორი წყარო ადასტურებს დავით აღმაშენებლის ტოლერანტულ დამოკიდებულებას მუსლიმი მოსახლეობის მიმართ [კილურაძე და სხვები, 2012:297]. იგივე წყაროების უფრო ვრცელი ვერსია გვხვდება ახალ სახელმძღვანელოშიც, რომელიც 2023 წელს არის გრიფირებული (გამომცემლობა დიოგენე, მე-11 კლასის საქართველოს ისტორია), თუმცა დავალება შეცვლილი არ არის - მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ დავით აღმაშენებლის ტოლერანტული დამოკიდებულების შესახებ [ახმეტელი და სხვები, 2023:36].

მოსწავლეებმა მოცემული წყაროებზე დაყრდნობით უნდა შეაფასონ დავითის პოლიტიკა არაქართული მოსახლეობის მიმართ [კილურაძე და სხვები, 2012:300]. ვფიქრობ, ამ სახელმძღვანელოს უარყოფითი მხარე არის ის, რომ მოცემული არ არის კვლევითი დავალებები. ყოველი გაკვეთილის ბოლოს დასმულია შეკითხვები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნას ამოწმებს, რაც საბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებისთვის იყო დამახასიათებელი.

გარდა ამისა, დავით აღმაშენებლის ტოლერანტული დამოკიდებულება დღევანდელი გადმოსახედიდან უნდა განიხილებოდეს, არის თუ არა ქართველი ხალხი ისეთივე ტოლერანტი განსხვავებული მრწამსის მქონე ხალხის მიმართ, როგორც აღმაშენებლის მეფობის დროს. დღესდღეობით, მუსლიმების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, რასაც ზემოთ აღნიშნული კვლევები მოწმობს.

ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო (გამომცემლობა ლოგოს პრესი - 2021), რომლითაც სკოლებში ადარ ისწავლება, მოცემულია რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრების, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

სწავლებისთვის გამოიყენება **ინტერაქტიული მეთოდები**, მაგალითად, დისკუსია, მსჯელობა მოცემულ საკითხზე. გაკვეთილის თემაა ის, თუ რატომ დაინტერესდნენ XVII საუკუნეში ევროპელები საქართველოთი. მოსწავლეები უნდა გაეცნონ რომის პაპის მიერ გამოგზავნილი მისიონერების საქმიანობას საქართველოში, ასევე, სიუჟეტს - „ჩვენი ეზო - კათოლიკეები საქართველოში“. მათ უნდა იმსჯელონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რელიგიურ შემწყნარებლობას და რატომ უნდა იცხოვროს სხვადასხვა რელიგიის მიმდევარმა საქართველოში მშვიდობიანად [სურგულაძე და სხვები, 2021:25-28]. ისტორიის სწავლების დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა პარალელი გაავლონ აწმყოსთან, ვინაიდან ისტორიის დღევანდელი გადასახედიდან შესწავლა ნათლად დაგვანახებს დღეს არსებულ პრობლემებს.

აღსანიშნავია მე-11 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (გამომცემლობა დიოგენე - 2023), სადაც ერთ-ერთი გაკვეთილის თემა არის „როგორ

ვითარდებოდა საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა XIX საუკუნეში“. ამ თავში განხილულია დემოგრაფიული ექსპანსია, რომელსაც რუსეთის იმპერია ახორციელებდა, როდესაც პავლე ციციანოვმა სომხები თბილისსა და ქვემო ქართლში დაასახლა. ასევე, განხილულია რუსი რელიგიური უმცირესობების - დუხობორების, მალაკნების, სკოპცებისა და სხვების დასახლება. ეს გაკვეთილი მოსწვლეებს უნერგავს არა მხოლოდ თანასწორობასა და ტოლერანტობას, ასევე, პატრიოტიზმს, ვინაიდან მოყვანილია ფრაზა ვაჟა-ფშაველას ნაშრომიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (1905 წ.): „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გპულს სხვა ერები და ნუ გშურს მათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწოროდეს მოწინავე ერებს“ [ახმეტელი და სხვები, 2023:293].

ვფიქრობ, აღნიშნულ ან სხვა სახელმძღვანელოში შეტანილი უნდა იყოს ქართველი მართლმადიდებლებისა და ქართველი მუსლიმების ერთმანეთისადმი დამოკიდებულების საკითხი აჭარაში 1880-1900-იან წლებში და მისი გამომწვევი მიზეზი, ვინაიდან ეს არის საკითხი, რომელიც რელიგიური ტოლერანტობის წახალისებაში დაგვეხმარება.

ამგვარად, ტოლერანტობა ამერიკელებისა და ქართველების საერთო ღირებულებაა. ამერიკული სახელმძღვანელოების კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური ტოლერანტობა ისწავლება მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში აღწერილია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც შეერთებულ შტატებში რელიგიური ტოლერანტობა ჩამოაყალიბა, თუმცა რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევების სწავლებას ზოგი შტატის სასწვლო გეგმა არ ითვალისწინებს, რასაც ვერ ვიტყვით კალიფორნიასა და ჰავაიზე. ვფიქრობ, არატოლერანტობის შემთხვევების სწავლება მეტად შეუწყობს ხელს ტოლერანტი მოქალაქის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ განათლება დადებით როლს თამაშობს მუსლიმთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათ მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავ არის,

რაც ტრამპის რიტორიკით არის განპირობებული. 2017 წელს „პიუს კვლევითი ცენტის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამერიკელი მუსლიმების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტრამპი მათ მიმართ არამეგობრულად იყო განწყობილი, ხოლო მუსლიმთა ნახევარი მიიჩნევდა, რომ მათთვის შეერთებულ შტატებში ცხოვრება გართულდა [Pew Research Center, 2017].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1962 წელს შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ სკოლებში ლოცვა და ქადაგება აკრძალა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ შესწორებას. ამერიკულ სკოლებში რელიგია არ ისწავლება [ციხისტავი, 2025], ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კალიფორნიის შტატში სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის მიხედვით, ასწავლიან ისლამის წარმოშობას, მუჰამედის ცხოვრებასა და მის სწავლებებს, მსახურების პირველად წყაროს - “ყურანსაც“. იქიდან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი საკითხები მე-7 კლასის მსოფლიო ისტორიისა და გეოგრაფიის ნაწილია, დასაშვებია, რომ ისწავლებოდეს, ვინაიდან ეს არის არა რელიგიის სწავლება, არამედ რელიგიის შესახებ სწავლება.

რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, მე-8 (2020 წ.) და მე-9 (2021 წ.) კლასის წიგნების, განსხვავებით, მე-11 კლასის სახელმძღვანელოს (ძველი სულაკაურის გამოცემა, 2012 წ.) უარყოფითი მხარე არის ის, რომ მოცემული არ არის კვლევითი დავალებები, ყოველი გაკვეთილის ბოლოს დასმულია შეკითხვები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნას ამოწმებს, რაც საბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებისთვის არის დამახასიათებელი. დავით აღმაშენებლის ტოლერანტული დამოკიდებულება, რაც ამ სახელმძღვანელოშია გადმოცემული, დღევანდელი გადმოსახედიდან უნდა განიხილებოდეს, არის თუ არა ქართველი ხალხი ისეთივე ტოლერანტი მუსლიმთა მიმართ, როგორც აღმაშენებლის მეფობის დროს. დღესდღეობით, მუსლიმების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების სწავლება, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, რასაც ზემოთ აღნიშნული კვლევა მოწმობს.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოსწავლეები განათლებას ტოლერანტულ გარემოში უნდა იღებდნენ. ვგულისხმობ, მასწავლებლების ტოლერანტულ დამოკიდებულებას განსხვავებული რწმენის მქონე ხალხის მიმართ, რაც ამ ღირებულებას წახალისებს და მოსწავლეებს მაგალითს მისცემს. მიმაჩნია, რომ საჭიროა მომავალი მასწავლებლების სათანადოდ მომზადება, ხოლო იმ მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც მრავალი წელია სკოლაში ასწავლიან.

„მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის მიხედვით, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას [საქართველოს განათლების სამინისტრო, 2010]. მასწავლების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განათლების სამინისტრომ უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შეამცირებს დისკრიმინაციის შემთხვევებს.

კვლევიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ აღნიშნული დისკრიმინაციის შემთხვევები ცხადყოფს, რომ საქართველოში ტოლერანტობის, როგორც სამოქალაქო ღირებულების მნიშვნელობა გააზრებული არ არის. „Tolerare“, რომელიც ლათინური სიტყვაა და თმენას, მოთმენას ნიშნავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის დემოკრატიული ქვეყნებისთვის, ვინაიდან დემოკრატია მოქალაქეებს თმენის ვალდებულებას აკისრებს [გიგინეიშვილი, 2015]. სწორედ ეს ვალდებულება არ არის გააზრებული საქართველოში. მომავალმა თაობებმა უნდა ისწავლონ, ტოლერანტობის, როგორც თმენის მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას [Donadze, 2024].

გარდა ამისა, ახალი სკოლის მოდელს ჰქონდა ნაკლოვანებები, მაგალითად, იგი შინააროსბრივად შესაბამისობაში არ მოდიოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან. რეკომენდაციის სახით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები სათანადოდ უნდა მომზადდნენ, გამარტივდეს კომპლექსური დავალებები, ვინაიდან მასწავლებლებს არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, რათა კომპლექსური დავალებები განახორციელონ

[ტაბატაძე და სხვები, 2024:150-151]. ისტორიასთან მიმართებით ანგარიშში მცირე ინფორმაციაა, თუმცა აღნიშნულია, რომ 2025 წლიდან მომდევნო თაობის სასწავლო გეგმა უნდა ამოქმედდეს, უნდა ჩამოყალიბდეს საგნობრივი სტანდარტები და დაიწეოს ახალი სახელმძღვანელოები [ტაბატაძე და სხვები, 2024:11].

დასკვნა

ამგვარად, სადოქტორო ნაშრომში შესწავლილია ის, თუ რა როლს თამაშობს ისტორიის სწავლება ისეთი ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორც არის პატრიოტიზმი, თანასწორობა და რელიგიური ტოლერანტობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი დასკვნები.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების მიზნები შეერთებული შტატების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და მამასადაამე განსხვავებული იყო ღირებულებების დამკვიდრების საკითხიც. თუ კოლონიურ ამერიკაში მიზნად ისახავდნენ მორალური ღირებულებების დანერგვას, ასევე, მკაცრი დისციპლინა „კარგი მოქალაქის“ აღზრდის საფუძველი იყო, პოსტ-რევოლუციური განათლება სახელმწიფო პოლიტიკას ემსახურებოდა და სხვადასხვა ხალხის ამერიკანიზაცია, ერთ ერად გაერთიანება მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი გახდა პატრიოტი და „კარგი მოქალაქის“ აღზრდა იმისთვის, რათა დემოკრატიულ სახელმწიფოს ეარსება. ეს როლი კი ისტორიის სწავლებას დაეკისრა. პროგრესულ პერიოდშიც განათლებას ამერიკანიზაციის ფუნქცია ჰქონდა. პროგრესული განათლების რეფორმა აისახა ისტორიის სწავლებაზეც, შეიცვალა ისტორიის სწავლების მნიშვნელობა და ის გამოცდილების მიღებისთვისაც მნიშვნელოვანი გახდა, რაც დიუის მოსაზრებას ეფუძნებოდა.

შეერთებული შტატების არსებობის განმავლობაში განათლება პატრიოტიზმის დანერგვას ყოველთვის ისახავდა მიზნად. სახელმძღვანელოებში მოცემული თემატიკა თანდათან მდიდრდებოდა და სწავლების მეთოდებიც იხვეწებოდა. საქართველოში ამ ღირებულების დანერგვა ისწავლება ფუნდამენტური დოკუმენტების საფუძველზე, როგორებიცაა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, 1921 წლის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი, თუმცა, ასევე უმჯობესი იქნებოდა დღევანდელი კონსტიტუციის მე-11 მუხლის განხილვა და შედარება ძველ კონსტიტუციასთან.

შეერთებულ შტატებში რელიგიური ტოლერანტობის წახალისებაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი წვლილი მამა-დამაარსებლებს მიუძღვით. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე შეერთებული შტატები ჩამოყალიბდა ტოლერანტ სახელმწიფოდ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორია ამ ღირებულების დამკვიდრებაში დადებით როლს თამაშობს, ზოგიერთ შემთხვევაში დისკრიმინაციის შემთხვევების ზრდა შესაძლებელია პოლიტიკოსთა უარყოფითმა რიტორიკამ ან რომელიმე ისტორიულმა მოვლენამ წახალისოს.

რაც შეეხება თანასწორობის დანერგვის საკითხს, სხვადასხვა შტატის კურიკულუმი გადახედვას საჭიროებს იგივე ზოგიერთ სახელმძღვანელოსაც ეხება. სათანადოდ არ ისწავლება მონობის საკითხი, მექსიკელი-ამერიკელებისა და სხვა ლათინოამერიკელების ისტორია.

შეერთებული შტატებიც და საქართველოც ისტორიულად ტოლერანტი ქვეყნებია. ქართულ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი თემატიკა მიზნად ისახავს რელიგიური ტოლერანტობის წახალისებას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ განათლების პროცესი კომპლექსურია, მხოლოდ ისტორიის სწავლებამ შესაძლოა ეს როლი ვერ შეასრულოს. მოსწავლეები განათლებას ტოლერანტულ გარემოში უნდა იღებდნენ. ვგულისხმობ, მასწავლებლების ტოლერანტულ დამოკიდებულებას განსხვავებული რწმენის მქონე ხალხის მიმართ, რაც ტოლერანტობას წახალისებს და მოსწავლეებს მაგალითს მისცემს.

კვლევიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ აღნიშნული დისკრიმინაციის შემთხვევები ცხადყოფს, რომ საქართველოში ტოლერანტობის, როგორც სამოქალაქო ღირებულების მნიშვნელობა გააზრებული არ არის. „Tolerare“, რომელიც ლათინური სიტყვაა და თმენას, მოთმენას ნიშნავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის დემოკრატიული ქვეყნებისთვის, ვინაიდან დემოკრატია მოქალაქეებს თმენის ვალდებულებას აკისრებს [გიგინეიშვილი, 2015]. სწორედ ეს ვალდებულება არ არის გააზრებული საქართველოში. მომავალმა თაობებმა უნდა ისწავლონ ტოლერანტობის ანუ შემწყნარებლობის, როგორც თმენის მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს

პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდას და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას [Donadze, 2024].

შეერთებული შტატების შექმნიდან 250 წლის შემდეგ განათლების, კერძოდ კი ისტორიის სწავლების საკითხი დღესაც დიდი დავის საგანია. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფედერალური მთავრობა პირდაპირ ვერ ერევა შტატების განათლების დეპარტამენტების საქმიანობაში, მისი ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ ირიბად. მას შეუძლია გასცეს რეკომენდაციები კურიკულუმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თუმცა დღესდღეობით დონალდ ტრამპმა აღმასრულებელი ბრძანების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება ცალკეულ შტატს დააკისრა. განათლების დეპარტამენტის საქმიანობაში მხოლოდ სხვადასხვა პროგრამის დაფინანსება რჩება.

კვლევამ გვაჩვენა, რომ შეერთებულ შტატებში სასწავლო გეგმის მრავალფეროვნებას განაპირობებს კონკრეტული შტატის ისტორია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორმოცდაათივე შტატს განსხვავებული სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა აქვს, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ თითოეულ შტატს სხვადასხვა ისტორია აქვს. მაგალითად, მასაჩუსეტსის ყურის კოლონიაში დომინირებდნენ პურიტანები რომლებსაც გავლენა ჰქონდათ განათლებაზე, მათ პირველად განათლებასთან დაკავშირებული კანონები მიიღეს. მიმაჩნია, რომ ცალკეული შტატის ისტორია და გამოცდილება განათლებაში განსაზღვრავს დღეს არსებულ სასწავლო გეგმის თემატიკასა და დემოკრატიული ღირებულებების კურუკულუმებში წარმოჩენას. მასაჩუსეტსის შტატის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმას თუ შევადარებთ ალასკას ძველ სასწავლო გეგმას, ვნახავთ, რომ იგი ძალიან ლაკონურია და გამოტოვებულია მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, ძველ სასწავლო გეგმაში არ გვხვდებოდა სიტყვა მონობა (Alaska Department of Education & Early Development, 2016), ამასაც თავად ამ შტატის ისტორია განსაზღვრავს, ვინაიდან ალასკა 1950-იანი წლებში შეერთებულ შტატებს შეუერთდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ალასკამ მიიღო გაუმჯობესებული კურიკულუმი, სადაც აღნიშნულია, რომ მონობა შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის ცენტრალური პრობლემა იყო. ალასკას

ახალი სოციალური კვლევების სტანდარტი უფრო მეტად არის ორიენტირებული მრავალფეროვანი კულტურის წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლებაზე, მათ შორის, ალასკას მკვიდრი მოსახლეობის (Alaska Department of Education & Early Development, 2024:90).

ისტორიის ამერიკული სახელმძღვანელოების კვლევამ აჩვენა მათი მდგრადი განვითარება. შეერთებულ შტატებში ისტორიის სახელმძღვანელოების დადებით მხარედ შესაძლებელია მივიჩნიოთ დავალებების მრავალფეროვნება. თითოეულ დავალებას თან ახლავს მოკლე აღწერა, თუ რა მიზანს ისახავს - რომელი უნარის განვითარებას ეწყობა ხელი. ვფიქრობ, დავალებათა ამგვარი დახარისხება მოსწავლეებისათვის ნათელს ხდის მიზანს და მის შესრულებას უადვილებს.

ხოლო, ამერიკული სახელმძღვანელოების უარყოფითი მხარე არის ის, რომ მულტიკულტურალიზმი ნაკლებად არის ასახული, საჭიროებს მეტი ინფორმაციის სწავლებას მექსიკელიამერიკელების და სხვა ლათინოამერიკელების შესახებ. ასევე, შავკანიანთა ისტორიის სწავლებისას სახელმძღვანელოებში ან შეცდომები გვხვდება ან ისტორია სრულად არ ისწავლება და მნიშვნელოვანი დეტალებია გამოტოვებული. ვფიქრობ, ამან ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავება განაპირობა. მაგალითად, „პროექტი 1619“, რომლის მეშვეობითაც სწავლება ზოგმა შტატმა აკრძალა, ხოლო ზოგიერთი შტატის სკოლებში ამ კურიკულუმის მიხედვით ასწავლიან.

რაც შეეხება ისტორიის სახელმძღვანელოებს საქართველოში, ნათლად ჩანს მათი განვითარება, მაგალითად, 2000-იანი წლების სახელმძღვანელოებთან შედარებით. დღევანდელ სახელმძღვანელოებში გვხვდება უფრო მეტი პირველადი წყარო და მათი ანალიზის საფუძველზე ისტორიის შესწავლა. ასევე, ერთ სახელმძღვანელოში გვხვდება კვლევითი დავალებები, როლური თამაში, დებატები და ა.შ. თუმცა, ყოველივე ეს ასახული უნდა იყოს სხვა წიგნებშიც. ამერიკული სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, ამა თუ იმ თავის ბოლოს მოცემული შეკითხვები და დავალებები არ არის დახარისხებული, არ ახლავს მოკლე აღწერა, თუ რა ტიპის დავალებაა და რომელი უნარის განვითარებას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების შინაარსობრივ მხარეს, პირველ თავში განვიხილე ილია ჭავჭავაძის მოსაზრება, რომ ისტორია ფოკუსირებულია მეფეთა ცხოვრებაზე და არა ხალხის, უმეტესწილად ეს საკითხი კვლავ პრობლემად რჩება. გარდა ამისა, გადასახედია მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (გამომცემლობა დიოგენე), ვინაიდან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენათა თანმიმდევრობა სათანადოდ არ არის აღწერილი. აღნიშნულ სახელმძღვანელოს დადებით მხარედ შესაძლოა მივიჩნიოთ დავალებათა მრავალფეროვნება, რაც სხვა სახელმძღვანელოებში არ გვხვდება და უფრო მეტად ორიენტირებულია ფაქტების ცოდნის შემოწმებასთან.

კვლევის შედეგების თეორიული გამოყენება. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ამერიკისმცოდნეებისთვის, რომლებიც შეერთებული შტატების სოციალური პრობლემებით არიან დაინტერესებული. სადოქტორო კვლევის ცალკეული ნაწილების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლების დროს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება „შესავალი ამერიკისმცოდნეობაში“, რომლის ერთ-ერთი ლექცია ამერიკულ ღირებულებებს ეთმობა, სადოქტორო ნაშრომში ეს საკითხი კიდევ უფრო სიღრმისეულად არის შესწავლილი და შესაძლებელს ხდის სტუდენტებისთვის უფრო მეტი სასწავლო მასალის მიწოდებას. ასევე, სასწავლო მასალებს გაამდიდრებს საგნისთვის „ქალთა თანასწორობა, რასიზმი და უმცირესობათა პრობლემები თანამედროვე ამერიკაში“.

სადოქტორო ნაშრომში შესწავლილი საკითხები შესაძლებელია გამოიყენონ ისტორიის მასწავლებლებმა, როგორც თეორიულად, ასევე, პრაქტიკაშიც. თეორიული თვალსაზრისით, მასწავლებლები გაეცნობიან შეერთებული შტატების ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს, თუ როგორ ისწავლება იქ მონობა, სამოქალაქო ომი და სხვ. მნიშვნელოვანი საკითხები. მასწავლებლებმა შესაძლებელია ამ საკითხების ახსნის დროს თავიანთი გაკვეთილები შინაარსობრივად გაამდიდრონ.

გარდა ამისა, საინტერესო რესურსს წარმოადგენს განათლების მკვლევრებისთვის. მაგალითად, ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კვლევებში სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზის დროს.

კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება. სადოქტორო კვლევის პრაქტიკულ გამოყენებად შესაძლებელია ჩავთვალოთ ჩემი საქმიანობა. ვასწავლი „საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამაზე“ (International Baccalaureate Programme) მე-9 და მე-10 კლასელებს, რაც მიეკუთვნება საშუალო ასაკის პროგრამას (MYP - Middle Years Programme), ხოლო საგნის დასახელებაა ისტორია საშუალო ასაკის ბავშვებისთვის (MYP History). უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა“ გულისხმობს გლობალური მოქალაქის აღზრდას, რაშიც ისტორიის სწავლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს [International Baccalaureate Organization, 2014:1]. მაგალითად, მე-9 კლასელები შეისწავლიან საკითხს მონობა შეერთებულ შტატებში, აბოლიციონიზმი, რატომ გაგრძელდა მონობა შეერთებულ შტატებში 1860-იან წლებამდე, აფროამერიკელთა მიერ სამოქალაქო უფლებების მოპოვება 1960-იან წლებში და 1948 წელს მიღებული გაეროს ადამიანთა უფლებების დეკლარაცია, რომლის მეოთხე მუხლი მონობას კრძალავს [Thomas & Rogers, 2015:61-65]. ეს არის საკითხები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ისეთი დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრება, როგორცაა თანასწორობა და მამასადამე გლობალური მოქალაქის აღზრდა.

სწავლებისას გამოვიყენე „პროექტ 1916“-ის ერთ-ერთი დავალება, რომელიც ეხება ფრედერიკ დაგლასს, ნაწყვეტს მისი ავტობიოგრაფიიდან, როდესაც იგი აღწერს თავის ბავშვობას და დედასთან ურთიერთობას. წყაროს ანალიზისთვის მოსწავლეებმა უპასუხეს შეკითხვას რა გავლენას ახდენდა მონობა ოჯახის წევრების ურთიერთობაზე? მე-9 კლასელები, რომლებიც შეისწავლიან აბოლიციონისტურ მოძრაობას, ანალიზებენ ორ მოკლე დოკუმენტურ ფილმს, შეისწავლიან აბოლიციონისტური მოძრაობის მიზნებს, ასევე, ვინ იყვნენ ცნობილი აბოლიციონისტები. შემდეგ კი, მივეცი შემდეგი სახის დავალება - **როლური თამაში:**

წარმოიდგინე, რომ ხარ აბოლიციონისტი, მიმართე აფროამერიკელებს და დაწერე ეს მიმართვა აბოლიციონისტური გაზეთისთვის. უთხარი მათ, თუ რატომ უნდა იბრძოლონ მონობის წინააღმდეგ. მოსწავლეები სიტვით გამოვიდნენ კლასის წინაშე. ამ დავალების შესრულებისთვის მოსწავლე უკვე ფლობს ცოდნას მონათა მძიმე ცხოვრების შესახებ, რაც დაეხმარება მათ დავალების შესრულებაში. ეს დავალება მიზნად ისახავს, ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა ცოდნა და გაცნობიერება, რაც გულისხმობს უკვე ნასწავლი მასალის გამოყენებას მიმართვისთვის, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი უნარი და კომუნიკაციის უნარი.

მე-10 კლასელები კი შეისწავლიან მხოლოდ „მოძრაობას სამოქალაქო უფლებებისთვის“ შეერთებულ შტატებში [Thomas & Rogers, 2015, 250-266]. ამერიკული ისტორიის სახელმძღვანელოდან გამოვიყენე მეთოდი **დოკუმენტზე დაფუძნებული სწავლა** (პირველწყაროებზე მუშაობა) (Document Based Learning). მოსწავლეებმა გაანალიზეს შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ნაწილი, ემანსიპაციის პროკლამაცია და კონსტიტუციის მე-13, მე-14 და მე-15 შესწორებები. გარდა ამისა, დავალება, რომელიც მოსწავლეებმა შეასრულეს ამ თავის დასასრულს, იყო პლაკატის შექმნა 19 ივნისის აღსანიშნავად (Juneteenth). ამ დავალების მიზანს წარმოადგენს ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა კვლევა, ცოდნა და გაცნობიერება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

„პროექტ 1619“-ის სასწავლო გეგმაში მრავალფეროვანი მასალაა შეტანილი. აქ მოცემული თემატიკა და მასალები დამეხმარა მოსწავლეებისთვის მომემზადებინა დავალება - ელექტრონული წიგნის შექმნა, რომლის მიზანია შავკანიანთა აქტივიზმის შესწავლა, მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობიდან „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ მოძრაობამდე. მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ პერიოდებზე, რომლებიც მანამდე ისწავლეს, იგულისხმება 1950-60-იანი წლების საკვანძო მოვლენები და პროტესტის სტრატეგიები. მოსწავლეებმა იკვლიეს, თუ როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან აფროამერიკელები თანასწორობისთვისა და

სამართლიანობისთვის. ამ წიგნის მეშვეობით, თანასწორობის დამკვიდრება ხელს უწყობს ისეთი ღირებულების დამკვიდრებას, როგორცაა გლობალური მოქალაქეობა (Global Citizenship), ასევე, ციფრული მოქალაქეობა (Digital Citizenship), რაც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული დავალება სრულად პასუხობს საერთაშორისო სკოლების საბჭოს (Council of International Schools – CIS) მოთხოვნებს [Council of International Schools, 2025].

რაც შეეხება იმ მასალას, რომელიც ამ დავალებისთვის გამოვიყენე, არის ბრაუნის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში შექმნილი წყარო - „ინტერაქტიული დროითი ხაზი“ (Interactive Timeline), რომელიც მოიცავს ინფორმაციას შავკანიანთა აქტივიზმის შესახებ. ზოგ მოვლენას თან ახლავს ისტორიკოსის ვიდეოჩანაწერი, რომელიც მოსწავლეებს მოუთხრობს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. დროით ხაზს თან ახლავს სამუშაო ფურცელი, სადაც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ცხრილი, სადაც 1950-60-იან წლებსი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა დაასახელონ, რისთვის იბრძოდნენ და რა იყო მათი სლოგანი [Choices Program, 2023]. ეს დავალება მოსწავლეებს ციფრული წიგნის შექმნაში დაეხმარა. ციფრული წიგნი შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: ცოდნა-გაცნობიერება, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნებისა და კვლევის უნარები. ამ წიგნების ნახვა შესაძლებელია ამ ბმულებზე:

- <https://read.bookcreator.com/CNMtbymFHcYnxAX0eqVPzh8yxml2/3RKCj jh RS67cwpSElOxrQ>
- <https://read.bookcreator.com/BA5yYfjcz8XyLno4KgJ78h89pxz2/Ym2SpAlQR-a8mQywLxGlrA/AL49Zc4KTiKqteXF9Yxx-A>

გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე ვასწავლი საგანს „ქალთა თანასწორობა, რასიზმი და უმცირესობათა პრობლემები თანამედროვე ამერიკაში“. ამ საგნის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აფროამერიკელებისა და ლათინოამერიკელების დისკრიმინაციის ისტორიულ საფუძვლებს და მათ ბრძოლას

სამოქალაქო უფლებებითვის, ასევე, რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის შემთხვევებს თანამედროვე ამერიკაში. სასემინარო მუშაობა ეფუძნება პირველადი წყაროების ანალიზს, მაგალითად, შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, „ემანსიპაციის პროკლამაცია“ და სხვა საკვანძო დოკუმენტები. ამასთანავე, სტუდენტები ეცნობიან სტატისტიკურ მონაცემებს დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ და მათ გამომწვევ მიზეზებს ხსნიან წარსულში მომხდარი მოვლენებით. ვფიქრობ, ისტორიულ და თანამედროვე პრობლემებზე კომპლექსური მსჯელობა მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებაში ეხმარება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგნის თემატიკა საშუალებას იძლევა პარალელი გავავლოთ საქართველოსთან ისევე, როგორც სადოქტორო ნაშრომშია წარმოდგენილი. მაგალითად, ყველაზე მეტი დისკრიმინაციის შემთხვევა ორივე ქვეყანაში მუსლიმების მიმართ არის, სტუდენტები კი შეისწავლიან ამის გამომწვევ მიზეზებს, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოში. აქვე, აღვნიშნავთ იმასაც, რომ შეერთებული შტატებიც და საქართველოც ისტორიულად ტოლერანტი ქვეყნებია. ამ საკითხის სწავლებაში მეხმარება სადოქტორო კვლევის ბოლო ქვეთავი.

საკითხის ამგვარი შესწავლით მათ უვითარდებათ ანალიზისა და დასკვნის უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი. კურსის ბოლოს სტუდენტები კვლევით პროექტს ქმნიან, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ საკითხი უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ. ამგვარად, სადოქტორო კვლევის ცალკეულ ნაწილებს სასწავლო მასალებად ვიყენებ, რაც ხელს უწყობს იმ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, როგორებიცაა თანასწორობა და ტოლერანტობა, როგორც სკოლაში, ასევე უნივერსიტეტში.

საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების რეკომენდაციები.

აღნიშნული კვლევა კომპლექსურია და სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ანალიზის გარდა, შესაძლებელია ცალკეული პრეზიდენტის როლის კვლევა ღირებულებების დანერგვაში. პრეზიდენტების როლი განათლების

რეფორმებში და მათი რიტორიკის გავლენა საზოგადოებაზე. სადოქტორო ნაშრომში ეს საკითხები განხილულია მამა-დამაარსებლებისა და ბოლო რამდენიმე პრეზიდენტთან მიმართებით.

გარდა ამისა, შესაძლებელია დროთა განმავლობაში განათლებაში ფედერალური როლის უფრო სიღრმისეული კვლევა. როდის იყო გაზრდილი ფედერალური როლი, როდის იყო შედარებით შეზღუდული და როგორი გავლენა ჰქონდა ამგვარ როლს განათლებაზე.

ამასთანავე, საინტერესოა საქართველოში პოლიტიკური რიტორიკის გავლენა საზოგადოებაზე, ნაშრომში ამ სახით წარმოდგენილია ზვიდ გამსახურდიას მაგალითი, ხოლო შეერთებული შტატების შემთხვევაში, მამა-დამაარსებლების და ბოლო ოთხი პრეზიდენტი რიტორიკა მუსლიმების მიმართ.

ასევე, შემდგომი კვლევისთვის საინტერესო იქნება იმის შესწავლა, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში იმისთვის, რათა მოსწავლისთვის შეიქმნას ტოლერანტული გარემო, როგორ უნდა ამაღლდეს მასწავლებლების ცნობიერება, რათა, მაგალითად, სხვა მრწამსის მოსწავლეებისადმი გამოხატონ ტოლერანტული დამოკიდებულება. მიმაჩნია, რომ საჭიროა მომავალი მასწავლებლების სათანადოდ მომზადება, ხოლო იმ მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც მრავალი წელია სკოლაში ასწავლიან. „მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის მიხედვით, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას [საქართველოს განათლების სამინისტრო, 2010]. მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განათლების სამინისტრომ უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შეამცირებს დისკრიმინაციის შემთხვევებს.

სადოქტორო ნაშრომში განხილული საკითხები ქმნის იმის საფუძველს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების კვლევა გაგრძელდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. აბდალაძე, ლალი. ახვლედიანი, მია. ჯონ დიუი - ფილოსოფოსი, პედაგოგი, რეფორმატორი. 2017. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/220814> (მოძიებულია 20 აპრილი, 2022)
2. ახმეტელი, ნატო. ლორთქიფანიძე, ბესიკ. ფირცხალავა, ნათია. ისტორია, მე-9 კლასი. თბილისი: დიოგენე. 2021. <https://sites.google.com/view/diogenepublishers/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-9> (მოძიებულია 20 აპრილი, 2022)
3. ახმეტელი, ნატო. ლორთქიფანიძე, ბესიკ. ფირცხალავა, ნათია. ისტორია, მე-9 კლასი. მოსწავლის რვეული. თბილისი: დიოგენე. 2021. <https://sites.google.com/view/diogenepublishers/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-9> (მოძიებულია 20 აპრილი, 2022)
4. ახმეტელი, ნატო. ლორთქიფანიძე, ბესიკ. მურღულია, ნიკოლოზ. ჯანელიძე, ოთარი. სადუნიშვილი, აკაკი. ჩივაძე, დავით. საქართველოს ისტორია, XI კლასი, მოსწავლის წიგნი. თბილისი: დიოგენე. 2023. <https://diogene.ge/ka/saxelmzgvaneloebi> (მოძიებულია, 9 ივნისი, 2024)
5. ავალიანი, თამარ. „უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე“. No. 3. 2021. <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2036> (მოძიებულია 3 თებერვალი, 2025)
6. ავალიანი. სიმ. სკოლების დემოკრატიზაცია. სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. №5-6. 1908. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385790> (მოძიებულია 7 მარტი, 2023)
7. ბანძელაძე, ნათი. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. 2014. <https://www.tdi.ge/ge/news/170-tolerantobis-tradicia-ra-tkma-unda-gvakvs-ogond-es-tradicia-shoreul-carsulshi-gaiqina> (Accessed April 30, 2021)
8. ბარდაველიძე, ნუგზარი. საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 2018. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/306678> (მოძიებულია 20 იანვარი, 2022)
9. ბოცვაძე, ლუარსაბ. მეცნიერება და სახალხო განათლება. ჟურნალი „განათლება“. №1. 1919a. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392435> (მოძიებულია 5 მარტი, 2023)
10. ბოცვაძე, ლუარსაბ. მეცნიერება და სახალხო განათლება. ჟურნალი „განათლება“. №2. 1919b. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392435> (მოძიებულია 5 მარტი, 2023)

11. ბერხინი, ი. გ. სსრ კავშირის ისტორია: კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქა (1917-1937 წწ.), მე-9 კლასი. გამომცემლობა: განათლება. 1972. ნ. ცხაკაიას თარგმანი.
12. ბოლშევიკები საქართველოში. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №3. 1921. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/321644> (მოძიებულია 6 ოქტომბერი, 2024)
13. ბატაშვილი, დავით. 7 აგვისტო: როგორ მოამზადა და დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი საქართველოს წინააღმდეგ. 2018. <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/103-expert-opinion-geo.pdf> (მოძიებულია 10 აპრილი, 2025)
14. გიგინეიშვილი, ლევანი. ტოლერანტობის იდეა და ლიტერატურა. 2015. <https://www.youtube.com/watch?v=7VGhDInWzzo> (DVD)(მოძიებულია 20 აპრილი, 2023)
15. გაბაშვილი, რ. გაზეთი „საქართველოს დამოუკიდებლობა“. პარიზი. №9. 1956. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/314091> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
16. განსახკომი. სსრ განათლების კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული N8-9. თბილისი: განსახკომი. 1942. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315858> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
17. განსახკომი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული. თბილისი. N4. 1946. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315894> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
18. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. საზოგადოებრივი მეცნიერებები. 2018-2024. <https://mes.gov.ge/content.php?id=12552&lang=geo> (მოძიებულია 30 იანვარი, 2025)
19. გორგაძე, სერგო. საქართველოს ისტორია. მოკლე სისტემური კურსი მოზრდილთათვის. ქუთაისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1915. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/236511> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)
20. გორგაძე, სერგო. საქართველოს ძველი ისტორია. სისტემატიური კურსი საშუალო სკოლისათვის. გამომცემლობა: ნ. ფერაძის და აშხ. სტამბა. 1920. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/275123> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)
21. გარსევანიშვილი, ალ. სამშობლო ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. №2.

- თებერვალი, 1917. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392410> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
22. დანელია, ს. საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი. სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალი „განათლება“. №3. ტფილისი: ქალაქთ კავშირის სტამბა. მარტი, 1920. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392441> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
23. დობორჯგინიძე, ა. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი. „განათლება“. №4. აპრილი, 1915. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385831> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
24. ედუ. არის. პასუხი განათლების მინისტრს – „დათქმულ ვადაში ყველა კლასის ყველა სახელმძღვანელოს განახლება წარმოუდგენელია!“. 30 ივლისი, 2024. https://edu.aris.ge/news/pasuxi-ganatilebis-ministrs-datqmul-vadashi-yvela-klasis-yvela-saxelmdzgvanelos-ganaxleba-warmoudgenelia.html?utm_source=chatgpt.com (მოძიებულია 10 აპრილი, 2025)
25. ვაშაყმაძე, ზაზა. ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისთვის - რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში. თბილისი. 2017. <https://religion.gov.ge/inter-religiuri-konferencia/inter-religiuri-konferencia-ii-religiuri-tolerantoba-saqartvelosi-2017w> (მოძიებულია 20 იანვარი, 2022)
26. ვასაძე, ნ. გაგუა, ვ. გურგენიძე, დ. მაგლობლიძევილი, თ. სიხარულიძე, დ. ჩხიკვაძე, ე. პედაგოგიკის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1988.
27. ვანათში ნამყოფი. ფიქრები სკოლაზე. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი. „განათლება“. №5. მაისი, 1913. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/389646> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
28. ვაჩნაძე, მერაბ. გურული, ვახტანგ. საქართველოს ისტორია: XIX-XX საუკუნეები. თბილისი: არტანუჯი. 2001. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/323997> (მოძიებულია 10 აპრილი, 2025)
29. ზანდუკელი, მ. ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები. ჟურნალი „განათლება“. №4-5. ტფილისი: ქალაქთა კავშირის სტამბა. აპრილი, 1920. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392442> (მოძიებულია 9 მარტი 2021)
30. ზაქარიაძე, ანასტასია. ამერიკული ფილოსოფია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018.
31. ზანდუკელი, მ. ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები. სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. ტფილისი: ქალაქთა კავშირის სტამბა. №3. მარტი, 1920. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392441> მოძიებულია 9 მარტი, 2023

32. იდეალისტი. მოკლე შენიშვნა სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. №1. იანვარი, 1908. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385363> (მოძიებულია 7 მარტი, 2023)
33. კილურაძე, ნინო. სანიკიძე, გიორგი. გორდეზიანი, ლევანი. ფირცხალავა, ლალი. გაჩეჩილაძე, რევაზი. ასათიანი, ნოდარი. 2012. ისტორია, მე-11 კლასი. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა. 2012.
34. კაჭარავა, ვასილ. ჩემი სამყარო #11. ამერიკის სამოქალაქო ომი. 2016. <https://gfsis.org.ge/files/my-world/11/05.pdf> (მოძიებულია 15 მარტი, 2021)
35. კარიჭაშვილი, დ. სკოლების გაქართულება. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. №6-7. ივნისი, 1917. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392422> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
36. კომუნისტი. ისტორიის სწავლება ჩვენს სკოლებში. № 22. იანვარი, 1936. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/337423> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
37. კალანდაძე, მერაბ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. თბილისი: ინტელექტი. 2021. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jul/books/kalandadze-yvela-sikete.pdf> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)
38. კუმევა, რუმინა. როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში. თბილისი: ევროკლიო. 2011. <https://www.euroclio.eu/wp-content/uploads/2019/07/How-we-lived-together-in-20th-Century-in-Georgia-Students-Book-Complete-GEORGIAN.pdf> <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jul/books/kalandadze-yvela-sikete.pdf> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)
39. კუმნერიოვა, იულია. კულტურათა გზაჯვარედინი - შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში. მასწავლებლის წიგნი. 2015a. https://www.euroclio.eu/wp-content/uploads/2020/01/Crossroads-Teacher_GE.pdf <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jul/books/kalandadze-yvela-sikete.pdf> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)
40. კუმნერიოვა, იულია. კულტურათა გზაჯვარედინი - შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში. მოსწავლის წიგნი. 2015b. https://www.euroclio.eu/wp-content/uploads/2019/10/Students_GE_to-web-reduced.pdf (მოძიებულია 2 თებერვალი, 2025)

41. კოტორაშვილი, ლელა. ინსტრუქციის როლი საშინაო დავალების შესრულებისას. ჟურნალი „მასწავლებელი“. №1. 2021.
https://mastsavlebeli.ge/?page_id=52 (მოძიებულია 29 მაისი, 2025)
42. ლორთქიფანიძე, მარიამ. ჯაფარიძე, ოთარ. მუსხელიშვილი, დავით. მეტრეველი, როინ. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: პალიტრა L. IV ტომი. 2012.
43. მინასოვი, ქეთი. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის 100 წელი. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. 2019.
<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/307811> (მოძიებულია 10 მარტი, 2021)
44. მემმარიაშვილი, ელენე. ბარნოვი, მიხეილ. დემოკრატიის გაკვეთილები - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1600-1877. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2019.
45. მემმარიაშვილი ელენე. ამერიკული ღირებულებები და ამერიკის იმიჯი საქართველოში. ამერიკისმცოდნეობის შესავალი, სალექციო კურსი, 2021. (ხელნაწერი).
46. მიქელაძე, თამთა. ბეგაძე, მარიამ. გვრიტიშვილი, ეთო. ჩუთლაშვილი, ქეთი. სუხიშვილი, ნინო. სართანია, ქეთი. რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა. თბილისი. 2016. <https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-religiis-tavisufleba-sakhelmtsifos-diskriminatsiuli-da-arasekularuli-politikis-kritika> (მოძიებულია 20 სექტემბერი, 2022)
47. მალაზონია, დავით. იაკობ გოგებაშვილი როგორც ისტორიკოსი. 20 თებერვალი, 2014. <http://eprints.iliauni.edu.ge/1148/> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
48. მახაშვილი, ლევან. ფარჯანაძე, ნიკოლოზ. ჩიტაძე, ნიკა. გობრონიძე, გიორგი. ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში. თბილისი: ევროპის უნივერსიტეტი. 2021.
<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/359698> (მოძიებულია 10 იანვარი, 2022)
49. მიქაბერიძე, ალექსანდრე. როგორ (არ) უნდა ისწავლებოდეს და იწერებოდეს ისტორიის სახელმძღვანელო – „სწორედ ამ მემკვიდრეობის სადღეგრძელოებს ვსვამთ სუფრაზე“. 19 იანვარი, 2024.
<https://edu.aris.ge/news/rogor-ar-unda-iswavlebodes-da-iwerebodes-istoriis-saxelmdzgvanelo-swored-am-memkvidreobis-sadgedrdzeloebis-vsvamt-sufraze.html> (მოძიებულია 10 იანვარი, 2025)
50. ნიკოლაიშვილი, სტ. განახლებულ სკოლის გზა და მიზანი. სამეცნიერო-საპედაგოგო ჟურნალი „განათლება“. №1. იანვარი, 1920.
<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/392437> (მოძიებულია 10 თებერვალი, 2022)

51. პრაიმტაიმი. გმირი. თბილისი: პრაიმტაიმი. 2010.
<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/37957> (მოძიებულია 10 აპრილი, 2025)
52. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია: ძირითადი კანონი. 1977. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/319235> (მოძიებულია 20 იანვარი, 2022)
53. სიგუა, ს. საშუალო განათლების ისტორია საქართველოში. თბილისი: ინსტიტუტის გამომცემლობა. 1950. [Iverieli: საშუალო განათლების ისტორია საქართველოში \(nplg.gov.ge\)](https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/319235) (მოძიებულია 20 თებერვალი, 2022)
54. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ - მუხლი 18. 2005.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94#!> (მოძიებულია 20 იანვარი, 2022)
55. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 13. 2005.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94> (მოძიებულია 22 იანვარი, 2022)
56. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 3. 2005.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94> (მოძიებულია 22, იანვარი 2022)
57. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. მე-11 მუხლი. 1995. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> (მოძიებულია 22 იანვარი, 2022)
58. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“. 2018.
<https://www.mes.gov.ge/content.php?id=536&lang=geo> (მოძიებულია აპრილი 20, 2022)
59. სურგულაძე, მზია. კეკელია, ვლადიმერ. მე-8 კლასის ისტორია. თბილისი: ლოგოს პრესი. 2020. <http://www.logospress.ge/saxelmzgvaneloebi.htm> (მოძიებულია 22 აპრილი, 2022)
60. სურგულაძე მზია. კეკელია ვლადიმერი. ლაბაძე რუსუდანი. მურუსიძე შორენა. ქურთუბაძე მანანა. მე-9 კლასის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. 2021. <http://www.logospress.ge/saxelmzgvaneloebi.htm> (მოძიებულია 30 აპრილი, 2021)
61. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის დამტკიცების შესახებ. 2010.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0> (მოძიებულია 20 სექტემბერი, 2022)
62. საქართველოს ეროვნული არქივი. საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია.

2025. <https://archive.gov.ge/ge/sakartvelos-pirveli-respublika-dokumentebi/saqartvelos-damfudznebeli-krebis-mier-1921-wlis-21-tebervals-migebuli-saqartvelos-konstitucia> (მოძიებულია 3 თებერვალი, 2025)
63. სამინისტროსთან არსებული სარეცენზიო კომისიაში წარდგენილი რეცენზიები. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი. „განათლება“. №2. 1919. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/392436> (მოძიებულია 2 თებერვალი, 2022)
64. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 1918. <https://archive.gov.ge/ge/multimedia-gverdi> (მოძიებულია 3 თებერვალი, 2025)
65. ტოკვილი, ალექსის დე. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011. დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი.
66. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. აშშ-ის რელიგიის თავისუფლების ანგარიში საქართველოს შესახებ. 2020. <https://www.tdi.ge/ge/news/939-ashsh-religiis-tavisuplebis-angarishi-sakartvelos-shesaxe> (მოძიებულია 22 იანვარი, 2022)
67. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. 2009. https://tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_ucxoelebis_u_plebebi.pdf (მოძიებულია 2 აპრილი, 2025)
